ISSN 0132-6023
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

11/92

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მხატვარი ნანა ჭურღულია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

ნოემბერი № 11.

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1857 წ.

თბილისი
1992

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო კოლეგია:
ბაღათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
გიორგი ბაქანიძე
(მთ. რედ. მოადგილე)
ნოდარ გრიგალაშვილი
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
მამუკა სალუქვაძე
ზაალ სამადაშვილი
ზურაბ სამადაშვილი
ირაკლი სამსონაძე
გიგი სულაკაური
იორამ ქემერტელიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
ვახტანგ ღლონტი
თემურ შავლაძე
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩორძელი
(პ/მ მდივანი)
გოდერძი ჩოხელი
ედიშერ ჭელიძე
კოტე ჯანდიერი
ჯანო ჯანელიძე
მაკა ჯოხაძე

მხატვარი
ვახტანგ რურუა

# შინაარსი

## პოეზია და პროზა

3. ირაკლი ბაზაძე — ლექსები. მილოცვები: რეზო ჭეიშვილი — კაქტუსი ფანჯრის რაფაზე. რევაზ მიშველაძე — ძმაო ირაკლი! ნუგზარ შატაიძე — სულის ბაკანი, ბადრი ჭოხონელიძე — მასპინძელი
14. გიორგი ჭანტურია — მოსე. რომანი. დასასრული
29. ხუტა გაგუა — ლექსები
32. ხოზე ადეიშვილი — ლექსები
36. მერაბ მაჭარაშვილი — ჩემი. ნოველები-მოთხრობა (წინასიტყვა გურამ დოჩანაშვილისა)
51. გუჩა კვარაცხელია — მგზავრო, მავალო!.. ეპიტაფიები. დასაწყისი
56. მერი შალვაშვილი — განშორების პრელუდია. ლექსი
59. ნუნუ ქადაგიძე — ნათლისმცემელი. მოთხრობა
78. თოთია გიბაური — ლექსები
80. მერაბ შათირიშვილი — მოთხრობები
90. ცისანა უტარაშვილი — ლექსები
91. თამაზ ყარყარაშვილი — ზღაპრები

## ახალი თარგმანები

108. ვლადიმირ ნაბოკოვი — ლოლიტა. რომანი. პირველი ნაწილის დასასრული. თარგმნა თამარ ლომიძემ

## წერილები

130. როსტომ ჩხეიძე — შურისგება. დასაწყისი
148. ნიკოლოზ ჭენჭოშვილი — ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის სათავეებთან
156. გუგაზ მეგრელიძე — ახალგაზრდა დრამატურგთა შემოქმედება

ბიბლიოთეკა

დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა ცნობილ პოეტს ირაკლი ბაზაძეს. ჟურნალი „ცისკარი" და მისი სარედაქციო კოლეგია ულოცავს პოეტს ამ საიუბილეო თარიღს და უსურვებს ახალ-ახალი ნაწარმოებებით გაახარებინოს მკითხველი.



# ირაკლი ბაზაძე

●

გაჭირდა ძალზე საქმეების დღეს თავის მობმა,
ჩამოეფარა ფიქრს ყომრალი ღრუბლის ვუალი,
იქნება ჯობდეს გენიალურ გიჟების სნობმა,
თავი მოვიკლა და ცხოვრებას ვუთხრა ვუარი

დაღამდა უკვე. ფოთოლივით გაიშრიალა
ღამემ სარკმელთან... სარკმელს სუნთქვა ლოშნის დეკემბრის.
შემოიარა მოგონებამ — მგზავრმა გვიანმა
და დამიკორტნა შეცივნული ტანი ეკლებით.

●

ოთახში ტბები დადგა სიწყნარის,
ფიქრი საგნებზე უფლობს,
ახლა სიკვდილზე მეტია უფრო
ის, რაც ვიგრძენი და შევიცანი.

თუმც გადამთვრალი მკაცრი ბადრაგი
თვალამღვრეული მზვავობს.
სარკმლიდან ვხედავ, ჩანს სასაფლაო
ჩემი მუდმივი ძვალშესალაგი.

●

დღე ბაცდება და ილევა,
სუსხი მძლავრობს მძაფრი,
ღვინის, ბუხრის, ზღაპრის
სუფევს განწყობილება.

ნოემბერი გავიდა...
შევეჩვიე ლოდინს,
ეს ჯერ კიდევ როდის,
ადრე, სულ იმ თავიდან.

მივაკითხე ყველას,
ფიქრით ყველა ნაცნობს,
ყველა დათვალთმაქცობს,
ერთნაირად ყველა.

ვუსმენ დახშულ შიშინს,
ყიამეთში მზაფრავს,
საშიშია, ალბათ,
მძიმე განსჯის რიგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ტარიელ ჰანტურიას, რომელსაც დღეს
რუსთაველის პრემიას ანიჭებენ

ალბათ დილიდანვე ღელავ, ალბათ
აგიტანა თრთოლამ,
იცი როგორ? როგორც თოვლმა, არა
უფრო როგორც თოვამ.

შენც მოგქონდა შენი ჯვარი,
მოშურნენიც გერტყა დასტად,
შენაც ხატე, ძერწე, კვეთე ერთი ორი
კაცის მსგავსად.

ახლა კუთვნილს მოგაგებენ,
შეგითბობენ კოცნით ყელსაც,
ერთხელ გაღიმება ბედის, წესადა აქვს
ერთხელ ბედსაც.

ალბათ ცხარობ კიდეც ცოტას,
მტკნარად იღიმები ალბათ,
იცი როგორ? როგორც როცა ისმენ
ტვირიალურ ამბავს.

●

მაქვს მზესთან და სიცივესთან
უცნაური შეხვედრები,
თითქო ჟინი მომერია
მთვრალის მეძავთან შეხეტების, —
ხილვა უდაბნოების და
ნაპირს ზღვათა შეხეთქების.

ზრიალებენ, ღრიალებენ
ბრმა ვნებების ქარიშხლები
ერთმანეთში ალუფხული

შინაურიც, გარეშენიც
მიწიერი მკვლელობების
ღრეობებით გალეშილი.

მიცურავენ ოცნებები
თეთრი ღრუბლის კანონებით,
აქ, ამ მაცდურ სიჭრელეში
ათას ცოდვას გამოვები
და ცხოვრება მიდის ძაღლურ
ჰამ! ჰამ! ჰამ! ჰამ!.. ჰამოებით.

## ქალისა და კაცის ბალადა

იღიმოდა კაცი,
იცინოდა ქალი
უნეტარეს განცდით
ბედნიერი, მთვრალი.

მერე კაცი ადგა,
გაიკეტა კარი,

მერე ქალმა მაღლა
ჭერს მიაპყრო თვალი.

მერე წაიხურა
თავზე საბნის კალთა...
ასე წაიხუმრა
სიყვარულმა ქალთან.

## მხოლოდ ჟამის...

განა მეფის-მთავარია
ჟამის მეფეთ-მეფობა,
ყველა მეფის სამარეა
მისი უმაღლესობა.

ღრღნიდათ ხარბი უჟმურები,
ედგათ სისხლის ტბორები,
გონიერის უგნურებით,
უგუნურის გონებით.

გულუბრყვილო იყო ზოგი
ან უბრალოდ კეთილი,
ზოგს უყვარდა ბევრი ოქრო,
ზოგიც კარმიკეტილი.

იმოსავდა ტანს ჯვალოთი,
შუბლს იმკობდა კანაფით..
ზოგი იყო მეფე-ლოთი,
ზოგიც მეფე არაფრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგი განუკურნელ შურის
შთანთქა მღვრიე მორევმა,
ასე პარადოქსალური
იყო მათი ცხოვრება.

ბოლოს... ბოლოს ირევს შლამი
მათ ამაყ თვითნებობას,
რადგან ყველაფერზე ჟამის
მეფობს მეფეთმეფობა.

## აკაკი

თავისი თეთრი ჩიხურა
ტანს საბნად წამოხურა,
საქართველოზე მლოცველმა
ცაში ღმერთისკენ იყურა.

ჟამის სიმუხთლეც იტირა
მარადისობას მითვლილმა...
საქართველოსთვის იცოცხლა
მან მოკლა, განა სიკვდილმა.

●

რაც არ უნდა მემალოს,
ვცნობ სიკვდილის პროფილს,
სიმშვიდეს ვესალმები —
მარტოობის დობილს.

გაძნელდა და გამარტივდა
მისვლა გაჭრილ რვეულთან,

ყველაფერი გამარტივდა,
გაჭინჭყულ-გაჭირვეულდა.

გაქრა ჟინი ცაში აჭრის
ამ ღვთის ვრცელი მოედნის...
ერთი სიტყვით სევდა გაჩნდა,
სევდა ბებერ პოეტის.

●

სული განა ყოველგვარ
ამინდს ემორჩილება? —
არა, — დღემდე ცხოვრება
არის ჩემთვის დილემა.

ბოლოს ლამაზ ოცნებას
თაფლში გესლი ერევა...

გამარჯვება წარსულო,
მკვდარო ბედნიერება!

ჟამის გაუტანლობა
გულის კოვზზე გროვდება,
ვხედავ, ვუახლოვდები,
ვხედავ, მიახლოვდება.

●

არაფერი არ გამაჩნდა
ამ უბადრუკ თავის მეტი,
ყველა კარტი გათამაშდა
ლუწად ლუწი, კენტად კენტი.

დიდ გამოცდას მიწყობს ბედიც,
მარჩევს სიზმარივით ნამდვილს...
ახლო მდინარეა ლეთის,
თვალზე ცრემლებად რომ დამდის,

ყველაფერი მოილია,
ფერი მოცხრის, ფერი მარწყვის...

ჩემს მისვლასაც მოელიან,
გამგზავრების დროა აწი.

მწუხრი თვალზე გადიზნიქა,
როგორც მკლავზე წელი ქალის,
დავცლი მთვარით სავსე ჭიქას,
სავსეს დავცლი ჭიქას მთვარით.

ჩაქრა უდაბნოთა ხვატი,
ჩაქრა აგერ, აქაც — შიგნით...
მოჩანს სარკმელიდან მარტი,
მარტი — დაჩხაპნილი წიგნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

გაიხურა ისე კარი
გაქრა, ველარ ვკიდე თვალი,
აღარ შემოივლის აღარ
ბავშვის ნეტარებით მთვრალი.

აღარ მომიფერებს საპყარს
მზაკვარ წუთისოფლის ხიზანს,
ახლა სულერთია ალბათ
კარზე მივადგები ვისაც.

ვასალს სიყვარულის ვასალს,
მისმა უმიზეზოდ წასვლამ,
თვალში დამიტოვა სევდა
სულში — დიდთოვლობის განცდა.

წლებმა დამამძიმეს წლებმა,
თითქო ტანთ ქვის ყორე მეცვას,
ვატყობ გამიარა გზნებამ —
ამ უსათნოესმა მზეცმა.

რაკი მისი ბაღი ჩაზმა,
ბრჭეც ჩაშვავდა გალავნისა,
აწი სულერთია, ალბათ,
კარზე მივადგები ვისაც.

ვერ ვთმობ, მაინც ვერ მეთმობა,
ვინაც სულის მდელო ვარცხნა,
მისით მენატრება თრობა,
მისით მენატრება ჯვარცმა.

●

ახლა ისე გახშირდა
მტრობით ავადმყოფობა,
რომ ყველაფერს მოედო
გულგრილობის ობობა.
ახლა ბევრი კადრულობს,
მდაბლურს, არასკადრისს,
ზოგი დაგვიმამალდა,
ვინც მატყლს სჩეჩდა აქამდის,
ზოგი ირგებს მანტიას
დიდი თანამედროვის,
ზოგი „ერისკაცია",
ზოგიც „ბრძენი მენტორი",
ლამის გახდეს ქვეყანა
მეარღნის და მედოლის.
დაბალახობს სიკვდილი
გზა-გზა უძლებ მზეცივით.
გვამში ჩაგვსახლებია
ეშმა თვალდაბრეცილი.
მიწა ცოდვით დაიპო,
ჩანს ცა ტანგაფატრული,
გვეკარგება მაღალი,
მოყვრული და ქართული.
თვალში ამოდაღული
ხატი იმერ-ამერის —
კოლხეთს თეთრი ცისკარი,
კახეთს ლურჯი ღამენი, —
იყალთო და გელათი,
ბოლნისი და მარტვილი...
უსაშველოდ მართალი,
უსასრულოდ ნამდვილი.
დაბალახობს სიკვდილი
გზა-გზა უძლებ მზეცივით,
გვამში ჩაგვსახლებია
ეშმა თვალდაბრეცილი.
სიმდაბლეც და ღირსებაც
ვცერით ერთი საცერით.
რა ვიგლოვო, რამდენი
მაქვს დღეს თავში საცემი?!
ვაი, როგორ გახშირდა
მტრობით ავადმყოფობა,
რომ ყველფერს მოედო
გულგრილობის ობობა.

●

ფიქრი აღარ ილევა,
არ თავდება გვემა,
შხამიანმა გველმა —
მომკლა განწყობილებამ.

აღარ მრჩება, არა
დრო განსჯის და ზომვის.
ვსვამ ჭახათურ არაყს,
ვხედავ ცაზე ცდომილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსენდება სევდა,
თვალს დამლად რომ ჩამრჩით: —
კერძევაძე ელდარ,
ფირცხალავა არჩილ.

გავაღევნებ წარსულს
მოგონებას — მდევარს,
რა ვქნა? მტკივა... მახსოვს,
რა ვქნა? მახსოვს... მტკივა.

## ვმწყემსავ თეთრი ღრუბლის ბატკანს...

თუ რამ ვპოვე, ვპოვე — მზეა,
მზეა ჩემთვის პირველი...
ცად მიფრინავს პოეზია —
ასტრალური ფრინველი.

ბოლოს ყველა განვისჯებით
(ვესალმები პოეტებს),
ვიდრე ცივი ქარიშხლები
წყვდიადს შეგვატოვებენ...

ვიდრე ბედის მეც მნათობი,
დღემდე ზეცით დამცახცახებს...
ავიშენე მარტოობის
თეთრი ღრუბლის სრა-სასახლე.

აქ არც შურის ხმები ატანს,
აქ არც ბიწი მხვდება თვალში,
ვმწყემსავ თეთრი ღრუბლის ბატკანს —
ცის ულურჯეს კედროვანში.

თეთრი ღრუბლის სატრფოს ვმალავ,
თეთრი ღრუბლის ვმოსავ კაბით,
თეთრი ღრუბლის მიმწიფს ყანა,
ქარის ცელით მოსაკაფი...

მინდა თვალში სანთლად მენთოს,
(ვიდრე მტკივა ჭრილობა),
სიკვდილამდე მომეც, ღმერთო,
ბავშვის გულუბრყვილობა!

●

პინა ირწევა ბედის სასწორის,
შემოვიკეტავ მშვიდად დარაბებს,
ვგრძნობ, ჩემს სხეულში ქარი
აზმორებს
და უკვდავ სიკვდილს ალაპარაკებს.

წაშლის არყოფნა ყველა მოლოდინს —
ლამაზ ცას, მთვარეს დაზრილს
გისოსზე,
სიკვდილს, რომელშიც ვრჩები
ბოლომდის
საჩუქარივით ვუწვდი სიცოცხლეს.

პინა ირწევა ბედის სასწორის.

## ვედრება უფლისადმი საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში

მდელრში ჟინი ჩაცხრა მდედრის, ცრემლი ჩაეშრიტა თვალში,
მოძმეს გადაუდგა მოძმე, როგორც წინათ ერთ დროს, სამშინ:—
ტყვიას ესვრის, ასმენს ენა უჭრის, როგორც დანა ბასრი...
გული მადლით ამოევსე, გონი გაუნათე აზრით
გზააბნეულს უფალო!

ნეტა სიცოცხლისთვის ნეტა რაღა დარჩა გზა სავალი?
რაღა დაუმაგრდეს სიკვდილს, რა ჯებირი, რა სამანი?!
მოვარდება... წამში წალკოტს დაგიმსგავსებს ნაწალკოტარს,
ვიდრე ცოცხალი ვარ ვიდრე, მძიმეს გამარიდე ცოდვას,
გამარიდე უფალო!

## გოეთს

როდესაც შენზე შეჩერდა რიგი,
სიჩუმე ჩადგა, სიჩუმე ირგვლივ,
ეკლის არჩიე გვირგვინი — იგი
შენი სურვილით დაიდგი თავზე.
შენი სურვილით შიადექ თვითონ
ჯვარს, რაც შენია და უნდა ზიდო,
შენი სურვილით მიადექ თვითონ
სიყვარულს, ტანჯვას მიადექ კარზე.

მერე მიწიერ ცოდვათა გამო
დასჯილი ერთხელ შენც სამუდამოდ,
ხორცის საკნიდან გაქცევას ლამობ,
ლამობ და ველარ დაძლიე შიში.
ველარ დაძლიე, ვერაფრით, ველარ
სულშიც სატანის მაცდური გრეხა,
ხორცის კი არა, სამყაროს ტყვე ხარ,
რადგანაც ქვეყნად პოეტად იშვი.

ბრბო ტალახს ისვრის და მაინც მღერი,
ამოგყავს მაინც ულრმესი ხვრელით
ყრუანტელისა და სიცივის მგვრელი
გველი, ოდითგან მხოხველი მუცლით.
გარეთ კი ქარი კივის დეკემბრის,
შენც ქარში დგახარ და ევებები
შეცივნულ მთვარეს... სუსტი ფეხებით
თოვლზე რო დააქვს სიშიშვლე ურცხვი.

და მთვარის მკვეთრი ზოლივით დადის
კედლებზე შენი სისხლიც და ლანდიც:
როცა გგონია შორსაა ცამდე,
ისე ახლოა, ახლოა ისე,
ლამის ცას ხელი შეახო კიდეც...
გგონია ბევრ კოლხეთის ზინდებს
გადაფენილებს ფრთოსნებად მინდვრებს
ახლაც ახსოვხარ გგონია, ისევ

გგონია ახლაც ახსოვხარ, მაგრამ
არა გცნობს განგებ — შენც სიზმრისაგან
გამოძერწილი ძალუმად, მაგრად
ებღაუჭები იმედს თითებით.
ხმაც მხსნელის ჯერაც არ ისმის არსად...
შემოგხვევია სხეულზე გარსად,
უცხო, უცნაურ ქსოვილის მსგავსად,
ცეცხლი — ჯვარცმულის,
ჯვარისმტვირთველის.

დახარბებული მუდამ ძიებას
თვალი ამოგწვა მაღლმა ციერმა,
შენ იცი დიდი შურისძიებაც!..
შენ მარადიულ ტანჯვას მიგვრილი
მკერდს შეხვევიხარ მამულს ფათალოდ
ცოდვილო, მაინც ცამდე მართალო...
იტვირთე რახან — უნდა ატარო
ჯვარიც და შუბლზე ეკლის გვირგვინიც.

## წუთისოფელი მოკლეა...

წუთისოფელი მოკლეა, არის სამყარო ვრცელი.
სიკვდილის გზაზე მიდიან ტვინნაღრძობიც და ბრძენიც.

ვითვლი და ვერ დამითვლია, ვალი რაც მრჩება სხვისი,
სიცოცხლე თავად ვალია გადასახდელი სისხლით.

ზოგი მამონის მონაა, ზოგი ქალის, თუ კარტის,
ზოგმა იცოცხლა დარდისთვის, ზოგს არ ჰქონია დარდი.

ბიბლიოთეკა

ზოგს ბედმა გადუღიმილა, ზოგს ბედი ერგო მკაცრი,
ცაში გვარდება რადგანაც დანიშნულება კაცის –

არც არაფერი მაოცებს, არც არაფერი მიკვირს
ზოგი ნებდება, ზოგიც კი ებრძვის სიცოცხლით სიკვდილს.

ზოგს ბედი ერგო პოეტის, ზოგსაც ჯალათის ბედი,
ასეთი არი ცხოვრება, ვცხოვრობთ ჩვენ-ჩვენი სვეთი.

წუთისოფელი მოკლეა, არის სამყარო ვრცელი,
მაინც ერთი გზით მიდიან ტვინნაღრძობიც და ბრძენიც.

## საშემოდგომო განწყობილება ზაფხულში

ეს ზაფხული გავა როცა,
მოვა როცა შემოდგომა,
იმერეთი გასაოცარ
ხედს გადაშლის, როგორც რომანს.

გაამიშვლებს ურცხვად ჭალას
ქარი, – ულამაზეს მეძავს,
ყანას გამოჩალავს... ყანას
ფურცელივით გადაკეცავს
შემოდგომა მაღალი!

მერე მეტკინება გულში,
მერე მეტკინება თვალშიც –
გუშინ, ის რაც იყო გუშინ,
მაშინ, ის რაც იყო მაშინ.

მერე გაილევა თასზე
ასჯერ ცრემლდაღვარულ ამბად,
მერე ათრთოლებულ ტანზე
თოვლის წაიხურავს საბანს
შემოდგომა მაღალი.

## ვერ მიპოვნია სიმშვიდე ვერსად

ვალტერ არაბულს

ვეძებ და ტლანქმა აურზაურმა,
გაყეშებულმა დროის ხმაურმა,
ჩემს გულში დღემდე შხამი რო თესა –
– ვერ მიპოვნია სიმშვიდე ვერსად.

მივაყურადებ თებერვლის თოვას,
გაძარცულ ჰუთა ლამაზი გლოვა
მტკივა ტკივილით, რაც ტკივა ხესაც
– ვერ მიპოვნია სიმშვიდე ვერსად,

ცოდვებმა მხრები გადრიკეს ტვირთით,
ზღვის გადამიარს სხეულზე ზვირთი,
ფიქრშიც ზღვის გლოვობს ქარიშხლის
მესსა,
– ვერ მიპოვნია სიმშვიდე ვერსად.

გადირბენს თვალწინ წლები, ვით რემა,
სულს გადაავლის ლაჟვარდის ემალს
წლები... ვიღაცა მამოყვრებს მტერსაც...
– ვერ მიპოვნია სიმშვიდე ვერსად.

მტკივა სხეულში მამული მტკივა,
ტკივილი მტკივა, ტკივილის ტყვე ვარ, –
იცინის მტერი მოყვრულად, ქლესა...
– ვერ მიპოვნია სიმშვიდე ვერსად.

ტამრებს აფხაზეთს: ბიჭვინთას, ათონს...
(მთლად საქართველოს მარტოსულს
მარტოს)
გულშემზარავი აღმოხდა კვნესა,
– ვერ მიპოვნია სიმშვიდე ვერსად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## კაქტუსი ფანჯრის რაფაზე

„...მოწყენილია მწვანე კაქტუსიც
ფანჯრის რაფაზე ჯდომით...“

ახლა მოწყენილი შემოდგომაა. უსიხარულო დღეები დგას საქართველოში.

„...მოწყენილია ყველა სრულიად
ფლირტი, ოცნება, ნატვრა,
აღარ მოდიან დიდი ხანია,
არც შენ მიდიხარ სხვასთან.
გადიან წლები,
დასანანია,
ვერ დაიბრუნებ რასაც...“

წლები კი მაინც მიდიან, ცვივიან წლები, დროები, დღეები და ჩვენ ვეთხოვებით, ვიზრდებით, ვბერდებით. სინანულის, სიმარტოვის, აუხდენელი ოცნებების განცდები მძაფრდებიან, იმსხვრევიან და ბრუნდებიან კვლავ.

50

მიახლოება მტკივნეულია, განშორება სევდიანია. უკან მრავალნაირფერიანი მინდორი რჩება, წინ — დასაწმენდი ბურუსი. ყველაფერი იყო, ყველაფერი იქნება; აყვავდებიან გაზაფხულზე ტყემლები საფიჩხიაზე, ფეხით გადავივლით იმერეთის სერებს, ყვითელი ფოთლები დაეყრება წინაპართა საფლავებს, — ლუკა ბაზაძის გათლილ ქვის ძეგლებს.

„...მე მაინც ლამაზ ფიქრთან დავრჩები“.

მჯერა, რომ ლამაზ ფიქრთან დარჩები, ჩემო ირაკლი.

ფიქრითა და ლექსით, ღამისტეხვით მოიტანე წლები აქამდე, ფიქრითა და ლექსით დარჩები, რადგან სხვა გზა არ გქონია, არ გიძებნია და არ გექნება...

„ფიქრში ღამეა, მთვარის კრთომაა,
ცხადში მკრთომარე სიზმრის კვდომაა...
წინ უცნაური შემოდგომაა
და მოსაწყენი თოვლის ნათელი...“

ამ უცნაურ შემოდგომაში ხმელი ნემოს შარიშურია, ფიქრია, წუხილია, სიხარულია. მილგატეხილ ღამეებს სიგარეტის ლურჯი ბოლი ფანტავს, მთვარის ნათელში იმედებით შემოდის გათენება.

გეცოცხლოს
შენთვის
ჩვენთვის,
ლექსისთვის,
საქართველოსთვის!

რეზო ჭეიშვილი

## ძმაო ირაკლი!

თითქმის ოცდაათი წლის წინანდელი ხაუბარი უნდა გაგახსენო. მწერლობაში პირველ ნაბიჯებს ვდგამდით, შიშით, ეჭვით, მოკრძალებით დაგვქონდა ჩვენი მელანშეუშრალი ნაწერები რედაქციებში. რუსთაველზე შემხვდი აწრიულებული, წარბს გითამაშებდა, ადგილს ვერ პოულობდი: „გლახათაა ჩვენი თაობის საქმეო, შემომჩიელე, ახლა აგერ ერთ რედაქციაში ლექსები მივიტანე და ერთმა პატივცემულმა მწერალმა მითხრა — ბიოგრაფია არა გაქვთ, წყნარ, ზეწარივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთფეროვან ეპოქაში ცხოვრობთ, რა უნდა დაწეროთ თქვენო. მე ვუთხარი: მაინცდამაინც კაცი უნდა მყავდეს მოკლული, ან ციხეში უნდა ვიყო ნაჯდომი ქურდობაზე მეთქი? რატომ არა მაქვს ბიოგრაფია, რას ემახი შენ კარგ ბიოგრაფიას მეთქი, ეწყინა“.

არა და ჩვენი ბიოგრაფიის სწორად ის არადრამატული, არც თუ მძაფრი ხასიათი იყო ჩვენი ტრაგედიის თავი და თავი, ჩვენი სევდის მიზეზი.

ეს ტკივილი, ეს სევდა შენს ლექსებში ბრწყინვალედ გამოიხატა.

მერე ისეთი დრო მოვიდა (უკანასკნელ სამ-ოთხ წელიწადს ვგულისხმობ), რომ ბრძოლისაგან და შეხლა-შემოხლისაგან ისევე ვერ დაიცავდი თავს, როგორც არენაზე გამოსული გლადიატორი ვერ დაიმალებოდა კოლიზეუმში.

შენ შენი სიტყვა ეროვნულ ბრძოლაშიც თქვი — შენი მებრძოლი ლექსით, შენი ვაჟკაცური პოზიციით.

ახლა, როცა ისტორიის დგანდგარ-წრიალში პოლიტიკური ნევროზით დაავადებულთ სიმშვიდე, ლირიკა, ამაღლებულის განცდა, მუზების საუფლო მოგვენატრა, ისევ შენ მიაგენი ქართველი კაცის სურვილს და გულისთქმას, მალამოსავით ლექსები გამოაქვეყნე ამ ბოლო დროს.

ამასწინათ, რომელიღაც გაზეთში შენი ინტერვიუ წავიკითხე. არცერთი სიტყვა პოლიტიკაზე, შემეხარბა. როგორ მოახერხე? ჭეშმარიტი ესთეტი ხარ და იმიტომ. შენ კარგად იცი, როდის როგორ უნდა მოუფონო მოყვასის აჩქოლებულ გულს.

ორმოცდაათს გილოცავ ორმოცდაათი სადღეგრძელოთი (პატარა წელში გამოყვანილ ქუთაისურ ჭიქებს ვგულისხმობ).

**რევაზ მიშველაძე.**

## სულის ბაკანი

**ირაკლი ბაზაძეს** კარგი ხუმრობა ცოლის მზითვს ურჩევნია.

ერთხელ, თურმე, ქუთაისიდან თბილისში მომავალს კოპიტნარის აეროპორტში რაღაც უჩვეულო ჩოჩქოლი დაუხვდა: მილიცია და აეროფლოტის მუშაკები მგზავრებს განსაკუთრებული გულმოდგინებით უჩხრეკავდნენ ბარგს. შორიახლოს, ვითომდა არაფერიო, დასეირნობდნენ სუკის გადაცმული თანამშრომლებიც. იმდროისათვის ძალზე გახშირებული იყო თვითმფრინავის გატაცების შემთხვევები და, როგორც ჩანდა, სამართალდამცავი ორგანოები „პროფილაქტიკურ ღონისძიებას“ ატარებდნენ.

ირაკლის ბარგი არ ჰქონდა და, ცხადია, ვერც ვერაფერს გაუჩხრეკავდნენ, მაგრამ სიტუაცია, თავისთავად, ისე იყო დაძაბული, რომ გადაწყვიტა ეს ნერვული ატმოსფერო რამენაირად განემუხტა. ბევრი ფიქრი არ დასჭირებია: გავიდა ეზოში, მოძებნა ერთი დიდი ლოდი, გაახვია გაზეთში და ამოიდო იღლიაში.

სუკის თანამშრომლებმა მაშინვე რაღაც იყნოსეს, საეჭვო მგზავრს სასწრაფოდ ირგვლივ შემოეხვივნენ და ქვაზე ხელი უტაცეს — რა არის, ბიჭო, მაგიო!

იმანაც, ვითომ და შემკრთალმა, უკან დაიხია, თან აქეთ-იქით ისე გააცეცა თვალები, თითქოს გასაქცევს ეძებსო.

„არიქა, ტერორისტიო!“ — იხუვლეს მგზავრებმა და დარბაზის ერთ შორეულ კუთხეში მიიხვეტნენ, მაგრამ ასეთ საქმეებში გამოცდილმა სუკელებმა იმარჯვეს, პოეტს ხელები გადაუგრიხეს, საეჭვო საგანი წაართვეს და ზედ შემოხვეული გაზეთი ფათაფუთით შემოახიეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი ჩვეულებრივი ქვა შერჩათ ხელში.

რა არის ესო! — უკითხავთ გაწბილებულებს;

ეგ ბატონო, ფუძის ქვა გახლავთ, თბილისში გადავდივარ საცხოვრებლად და თან მიმაქვსო.

წარმომიდგენია, რა სიცილ-ხარხარი ატყდებოდა დარბაზში. ალბათ, მგზავრები მერეც, თვითმფრინავშიც სულ გალიმებულები იხსენებდნენ თბილისამდე. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ თბილისში ჩამოსულს, თურმე, „ცისკრის“ რედაქციაში ეს ამბავი ჭორად დაახვედრეს — ერთ ქუთაისელს ასე და ასე უქნიაო.

დარწმუნებული ვარ, მკითხველო, ვინც ირაკლი ბაზაძეს მხოლოდ მისი მშვენიერი ლექსებით იცნობს, ამ ამბავს მართლაც ჭორად ჩათვლის.

„მაგრამ ყველაფერს დაფარავს თოვლი,
მაგრამ ყველაფერს წაზვეტავს ქარი,
მაგრამ ყველაფერს გადაშლის წვიმა, —
ყველაფერს... წვიმა, თოვლი და ქარი“.

დროის დაუსაბამო მდინარებისა და გარდაუვალი დასასრულის ეს მძაფრი შეგრძნება საოცარი სევდითა და ტრაგიზმით მსჭვალავს მთელს მის შემოქმედებას და როცა იგი, მეგობრებით, ნაცნობებითა თუ უცნობებით გარშემორტყმული თავაწყვეტილი ხუმრობს, როცა მისი ბრწყინვალე ნიჭი იუმორისა ასეთნაირად გვიზიდავს და გვამუქებს ყველას, ამ მომღიმარე ნიღბის უკან მუდამ იგრძნობა სათუთი და ადვილად მოწყვლადი სული პოეტისა და ხვდები, რომ ეს ნიღაბი მის მიერვე შექმნილი ბაკანია ამ სულის დასაცავად და დასაფარავად. აკი თავადვე ამბობს ერთ ლექსში — ბედნიერი ვარ! ყველაფერი ხმაურს მივეციო!

ვულოცავ ჩემს მეგობარს, ორმოცდაათი წლის ირაკლი ბაზაძეს დაბადების დღეს და ვუსურვებ, ამ ჩვენს მძიმე დროშიც ვაჟკაცურად შეენარჩუნებინოს წათუთი და ულამაზესი სული პოეტისა.

**ნუგზარ შატაიძე.**

## მასპინძელი

ორიოდე წლის წინ ბიჭვინთის მწერალთა სახლში ირაკლი ბაზაძემ უჩვეულო ნადიმი მოიწვია. ამ უზარმაზარ შენობაში საიდან არ ჩამოსული მოხუცი მწერლები მოკრიბა და გულითადად უმასპინძლა. ერთი-ორი ჭიქის შემდეგ უნდა გენახათ ეს მზერაათამაშებული სტუმრები (ვინ იცის, ბოლოს როდის აუციმციმდათ ასე სიამოვნებისა და სიხარულისაგან თვალები). ირაკლი თამადობდა და მჭერმეტყველებდა. თავიდან ბევრი ვერ ხვდებოდა, როდის ხუმრობდა და როდის სერიოზულად საუბრობდა. მერე ნელ-ნელა ეჭვი რომ გაუქრათ, იცოცხლეთ, იყო სიცილ-ხარხარი ირაკლის შეუდარებელ იუმორზე (მოგეხსენებათ, უმიზეზოდ მიპატიჟებულ ბევრ უცხო სტუმარს, ჩვენდა სამწუხაროდ, სულ ეეჭვება, რა უნდა ამ კაცს, რატომ მასმევს და მაჭმევსო).

თვითონ ირაკლი სუფრის თავში იჯდა, და ვითომ არაფერიო, სხვათაშორის შეაფასებდა ვინმეს (მაგი კარგი დაურჩა თავის დედიკოსო), ხან კი ისეთ რამეს გაიხსენებდა და ისე ყვებოდა, რომ ამ ახორხოცებული მოხუცების შემხედვარეს, ცოტა არ იყოს, მეშინოდა რამე არ მოსვლოდათ.

მოწითალო მთვარე იქვე აივნის ღია კართან ეკიდა და ირაკლი არც მთვარეს ტოვებდა უყურადღებოდ, დიდხანს აკვირდებოდა. უცებ გამოერკვეოდა და დაბნეულ მზერას მიმოავლებდა სუფრას („ჰო, რას ვამბობდიო“...).

მერე ირაკლიმ მაგნიტოფონი ჩართო და რიგ-რიგობით ყველა მანდილოსან

ეროვნული ბიბლიოთეკა

აცეკვა· ჩვენც გვთხოვდა, ჰე, ბიჭო, იცეკვეთო. მენდეთ· ჩვენი (ორიოდე ქართველი ვიყავით) ჩარევა სრულიად უადგილო იქნებოდა და ამ ასაკოვან მანდილოსნებსაც ყველას ირაკლისთან უნდოდა ცეკვა·

დიდებული მასპინძელია ირაკლი ბაზაძე· საოცარი ის არის, რომ ამ როლს იგი არსად, ვერსად ელევა. ირაკლის სტუმრობა ეთაკილება.

შე მაინც ის საღამო მახსენდება. მახსენდება მოხუცი მწერლები თუ მწერლების ნათესავები, ირაკლის სევდიანი, ალერსიანი მზერა (არავინ რომ უყურადღებოდ არ დარჩენია), მთვარე, ზღვის შრიალი და მასპინძლის ლექსი:

„ცა გადანათდა წითელი მთვარით,
ცა ისე გათბა, ისე მთვარეთი,
წუხელ მინდორში ვიდექი მთვრალი
და ატირებულ ქარს ვაწყნარებდი“.

ასეთი კაცია ჩემი მეგობარი — დარდიანი და მხიარული, გაფანტული და ყურადღებიანი... ატირებული ქარიც ტკივა და აწვალებს ორმოცდაათი წლის ირაკლი ბაზაძეს და ამიტომაცაა იგი პოეტი.

ბადრი ჭოხონელიძე.

ბიბლიოთეკა



## გიორგი ჭანტურია

# მოსე

რომანი

## ნაწილი IV

1.

**სიცოცხლე.** გადამწვანებული მიდამო; ახლად საზეგახსნილი, ოდნავ წელში მოხრილი ყვავილი და მასზე მჯდარი ბრიყვი, მაგრამ ლამაზი პეპელა, ფრთები რომ საოცარი ფერებითა აქვს მოხატული... დაძარღვული, კუნთებამობურცული ბებერი, რვაასწლიანი ხე, ფესვები ღრმად, ძალიან ღრმად რომ აქვს გამჯდარი მიწაში... პატარა, მაგრამ საოცრად ენერგიული მდინარე, ღრიალ-ღრიალით რომ ეშვება რომელიღაც მთიდან... დინჯი, თვალშეუვლები მზე, ყოველთვის მშვიდი და წყნარი, თავისი საქმის ჩუმად მკეთებელი... შავი მიწა, წვიმის წყალს რომ ხარბად ისრუტავს მკერდში და ერთიანად ამ წყლით რომ იჟღინთება. ცას მიმწვდარი მაღალი მთები, ათასი და ათი ათასი წლის წინათაც რომ ისევე უძრავად, ამაყად იდგნენ, როგორც ახლა: იალბუზი და ყაზბეგი, კილიმანჯარო და ჯომოლუნგმა, მონბლანი და იუნგფრაუ... მარადიული თოვლი გადაუფარებიათ სახეზე და თვლემენ...

მრავალფერი და მდიდარი სამყარო ცხოველთა: საოცრად ლამაზი, ამაყი და, რაც მთავარია, საკუთარი ღირსების მცოდნე — შემზარებელი ლომი, ტანის რხევა-რხევით, დინჯად, რომ დააბიჯებს მიწაზე... მსხვერპლს ხეზე დადარაჯებული, მოხერხებული და მოქნილი ფოცხვერი, მუდამ უკნიდან რომ იცის თავდასხმა... ლეშით გამძღარი ტურა თავისი უსიამო, ტანში ჟრუანტელის დამვლელი ხმით... უმშვენიერესი ირემი, თავისი მეტყველი, ჭკვიანი თვალებით... მოუქნელი, მოტუტუცო დათვი, უხეში და ტლანქი ძალა... კაცთა მიერ შერისხული, დაუნდობელი, მაგრამ საოცრად მამაცი, ავანტურისტი მგელი, რომელმაც ადამიანზე უარესად არ იცის ნადირობა, ვნებაში თავაწყვეტილი და ემოციებში უსაზღვრო, ცივ განსჯას მოკლებული და ცხელი, ოხშივარიანი ინსტინქტების ბრმა მონამორჩილი... პატარა ლიფსიტა, რომელსაც ყველა ჭამს ზღვაში თანამოძმე, ხმელეთზე კი უკვე ადამიანი: შემწვარისა თუ მოხარშულის სახით.

**ადამიანი:** გვირგვინი ღვთის შემოქ-

---

დასაწყისი. დასაწ. იხ. „ცისკარი", № 8, 9-10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედების. ადამიანი — მეუფე ბუნების და ადამიანი მონა ღვთისა — არა გაორება, არამედ გულივერის ორი მდგომარეობა სამყაროში. ადამიანი მატლის ზემოდან დამხედავი, ხშირად ფეხსაც რომ წაკრავს (თუ შეგნებულად არ დაჰკრავს და არ დაბიჯებს) უგულოდ და, ადამიანი თავად მატლი... მატლ ვარ და არა კაცი...

ადამიანი — მოაზროვნე, განჭვრეტითა და ღრმა ანალიზით დაკავებული ადამიანი, რომელიც ფიქრობს იმაზე, რასაც ხედავს და რასაც ვერ ხედავს, რაც იყო, არის და რაც უნდა იყოს... შეცოდება მრავალი, ძიება მრავალი, მსხვერპლი მრავალი...

ადამიანი — მოქმედი, ადამიანი — მოღვაწე, ადამიანი — მოძრაობა და ამ მოძრაობით გამოხატული არსი სიცოცხლისა, ნაყოფი ჭვრეტის და აზროვნების... ცდომილებებით სიარული, ზოგჯერ შეგნებითაც...

ადამიანი, პიროვნება, განუმეორებელი და აბსოლუტურად მსგავსს მოკლებული... ადამიანი — მარტოსული და ადამიანი — ხალხი, ერი, კაცობრიობა...

ეს არის სიცოცხლე? კი, მაგრამ სიკვდილი? როგორ ითმენს, როგორ იტევს თავის თავში სიცოცხლე მას? თუ სიკვდილი საპირისპირო რამაა სიცოცხლის? მისი მტერი, მის წინ მდგარი ძლიერი, ულმობელი და უსაზღვრო ძალა?

სიკვდილი საზღაურია ცოდვის, არა სიცოცხლის ნაკლებობის, არამედ სიცოცხლის სიწმინდის ნაკლებობის შედეგი... და სიკვდილი ნაწილია სიცოცხლეში, შეცვალა, დაამახინჯა მისი არსი, მისი სახე... და ღმერთმა ესეც დაუშვა!

ადამანი ჭამდა ადამიანს, ახლა ცხოველს, ცხოველები ერთმანეთს, ყველა ცოცხალი იკვებება ასევე ცოცხალით და სიკვდილის სიძლიერეც ამაშია — რომ ერთი სიცოცხლის არსებობას მეორე სიცოცხლის განადგურებით ხდის შესაძლებელს... გაიგო ეს ადამიანმა? დაინახა?

დანახვით კი დაინახა, მაგრამ ამ მოვლენის ახსნა შედეგებით დაიწყო, მთავარი კი დაავიწყდა — საკუთარი ცოდვიანი ბუნება, მარადიული ცოდვა, რომელმაც სიმახინჯე და დისჰარმონია შეიტანა სიცოცხლეში, ნივთთა და ცოცხალ არსთა აიმ ჰარმონიულ მდგომარეობაში.

რა არის აზრი სიცოცხლის? რაში გამოიხატება ადამიანის არსებობის დანიშნულება?

სიცოცხლე დიდი, საერთო ჯვარია, რომელიც ღმერთმა აკიდა მას... და ეს ჯვარი ბოლომდე იქნება მიტანილი და ისევ ღმერთს, მარადიული სიცოცხლის და თვით წყაროს სიცოცხლისა დაზმარებითვე.

ეს საერთო ჯვარი კი პატარ-პატარა, სხვადასხვა სიმძიმის ჯვრებისაგან შესდგება, თითოეულ მათგანს ღმერთი კონკრეტულ პიროვნებას აძლევს და აქ კი შესაძლოა რომ მრავალმა, ძალზე მრავალმა ეს ჯვარი ბოლომდე ვერ ატაროს, ან საერთოდ ისე განვლოს ცხოვრება, რომ ეს ჯვარი საერთოდ ვერ იხილოს, ვერ შეიგრძნოს, ვერ მოირგოს ზურგზე, მაგრამ საერთო ჯვარი მაინც ატანილი იქნება და ნეტარ არს კაცი, რომელიც ათრევს რა საკუთარ ჯვარს, იცის — ამით საერთოსაც ათრევს!!

პატიმარი მძიმე ტვირთს გრძნობს მხრებზე, მაგრამ საოცრება — ტკბილია ეს ტვირთი, სიხარულის მომნიჭებელი. ფიზიკური მნიშვნელობით მძიმე, რადაც ჰაეროვნებით და მისტიური სიმსუბუქით მოსილი. მძიმე, მაგრამ მსუბუქი, ნატრული ჯვარი და პატიმარმა უკვე იცის სიცოცხლის, მისი ცხოვრების დანიშნულება — ეს ჯვარი უნდა ათრიოს გოლგოთაზე, დაეცემა, უნდა წამოდგეს, სხვა გამოსავალი არ არის.

ჭვრეტა კარგია მაშინ, როდესაც მას საქმე ახლავს. საქმე, მოძრაობა კი ხშირ შემთხვევაში დაზღვეული არ არის შეცდომებისაგან, მაგრამ მაინც, ასეთი სახითაც კი მოქმედება სჯობს უმოქმედობას, ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს მოქმედება ბოროტების წინაალმდეგ უნდა იყოს მიმართული.

მოძრაობა, სიცოცხლე, რაც არ მოძრაობს მკვდარია. ერთია მხოლოდ უძ-

ბიბლიოთეკა

რაკი, სიცოცხლე რომ ჰქვია სახელად, მაგრამ მისი უძრაობა ყველაფრის ამოძრავების პირობა და მიზეზია, ეს უძრავი მამოძრავებელი კი ღმერთია. მისი უძრაობაც პირობითია, რადგან ღმერთი ყოველწამს შედის მის მიერვე შექმნილ სიცოცხლეთა კონტაქტში და ეს მოძრაობაა, მოძრაობა არა მიწიერი, არამედ ზეციური გაგებით.

აქ კი, მიწაზე, რაც არ მოძრაობს, ან მოძრაობს ბოროტის სასარგებლოდ — დასაღუპადაა განწირული. სისხლი მიმორბის ადამიანის სხეულში, გული ფეთქავს, სხეული მოძრაობს... წინააღმდეგ შემთხვევაში სიცოცხლე შეწყდებოდა. გულის ფეთქვის შეწყვეტა სიკვდილია, სისხლის მოძრაობის შეჩერებაც... და ადამიანის სხეულის უმოძრაობა კი უკვე მკვდრის ყველასთვის ნაცნობი მდგომარეობა... გულზე ხელდაკრეფილი!

ვერიდოთ შეცდომებს, მაგრამ მისი შიშით უარს ნუ ვიტყვით მოძრაობაზე, უარს ნუ ვიტყვით სიცოცხლეზე და...

პატიმარი ქალაქდის მოთამაშე თანასაკნელებს უახლოვდება. მათთან ერთად ჯდება და ქალალდს თამაშობს. არა, არ უყვარს თამაში, მაგრამ უმოქმედობის შემდეგ მას რაიმეს გაკეთება მოწყურდა.

ამდენი ხანია აქ არის და თანასაკნელებს წესიერად არც კი იცნობს. ბევრი მათგანის სახელიც კი არ იცის. ვითომ ახალშემოსული იყოს საკანში, ყველას ხელახლა ეცნობა და ყველას სახელს იმახსოვრებს, გულში იმეორებს: აის, თმა რომ არ დარჩენია თავზე და ცხვირი კომბოსტოსავით რომ ადევს სახეზე, ქამის ქურდი შოშიტაა; მის გვერდით სომეხი ვაჰანია ჩამომჯდარა; კუთხეში რომ მიმჯდარა და კვლავ დედაზე რომ ფიქრობს ნაღვლიანი სახით და არაფრისმთქმელი თვალებით, კაცისმკვლელი ყორანაა, ჩამდგარი სახელი [illegible] არ იცის.

თავისი საყვარლებით და სასიყვარულო თავგადასავლებით რომ ტრაბახობს, ლამაზი არაბის ბიჭი მაჰმუდია, რამეს რომ კითხავ, ჯერ შემოგანათებს სახეზე აღბეჭდილი „მარადიული" ღიმილით და თავს გიქნევს, ყველაფერზე თანახმაა, გენდობა ყველაფერში. დიდი შავი თვალები სულ უციმციმებს და უბრიალებს, ლამაზი ბიჭია...

ჩია, დაფუხრიკული კაცი თათარი მურაა, „დედის ძუძუსთან ერთად თრიაქს ნაზიარები", როგორც იცის თვითონ თქმა...

აქ არიან ადამიანები, ადამიანები თავიანთი დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით და როგორც არ უნდა სჭარბობდეს უარყოფითი დაღებითს, აქ მაინც სიცოცხლეა, აქ მოქმედებაა...

მაშ, მონასტერი? ბერები ვინღა არიან?

პატიმარს უკვე ყველაფერი უადვილდება და ამ კითხვაზეც ადვილად სცემს პასუხს—„ბერები ყველაზე მეტად მოქმედი, ყველაზე მოძრავი ხალხია. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც თვითონვე, საკუთარი ნება-სურვილით პატარა ჯვარი გასცვალეს დიდში და მხრებზე წამოიკიდეს... ბერი ადამიანია, რომელმაც ტვირთი თვითვე დაიმძიმა.

ბერის მუშაობა, მისი მოქმედება ლოცვაა და ლოცვა არამარტო საკუთარი სულისთვის, არამედ მამულისთვის, ერისთვის, ყველასთვის... თვით მტრისთვისაც კი!

ბერის ქმედება კრიტიკულ სიტუაციებში სხვა ფორმითაც ვლინდება. ბერი—მებრძოლი, ცალ ხელში ჯვრით და ცალ ხელში ხმლით. ჭეშმარიტი ბერისთვის ლოცვა სულიერი დასვენებაა (პასიური ქმედება), ბრძოლა კი (არა მარტო სულიერი) აქტიური ფორმა მისი ქრისტიანული ბუნების გამოვლენის.

ბრძოლა! ბრძოლა! ბრძოლა!

ბრძოლა მშვიდობისთვის, მარადიული მშვიდობისათვის. ღმერთსა და კაცს შორის მშვიდობისათვის. კაცსა და კაცს შორის მშვიდობისათვის, კაცთა და ცხოველთა შორის მშვიდობისათვის... მაგრამ ამ მშვიდობისათვის საჭიროა დიდი ბრძოლა, სიკეთის დაუღალავი, დაუცხრომელი ბრძოლა, გამარჯვება კი სიკეთეს ერგება, ეს ისტორიის კანონია, ისტორიის კანონებს კი ღმერთი ქმნის და ღმერთმავე იცის თუ საითკენ მიდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცთა მოდგმა, სად მივყავართ ისტორიას.

ახალ იერუსალემს კი ბოროტებამ სახელი გადაარქვა და ულმერთოთ სურს ასეთი საზოგადოების შენება, ეს კი მეორე ბაბილონის გოდოლია, მეტი არაფერი.

პატიმარი მურას ძველისძველ ანეგდოტს უამბობს (რამე ხომ უნდა თქვას?) და მურაც, რომელმაც ჯერ კიდევ ბავშვობაშივე იცოდა, ეს ანეგდოტი, ზრდილობის გულისთვის იღიმება (უფრო მეტიც — იცინის!).

პატიმრების თვალწინ კვერცხი ტყდებოდა და პატარა წიწილა გამოდიოდა, ისანი კი ყურადღებას არ აქცევენ, რომ არ შეეშინებინათ, არ დაეფრთხოთ ახალთვალგახელილი.

...და დადგება დრო, ცხვარი და მგელი ერთად მოძოვს ბალახს, ადამიანი ადამიანს ჩაეკვრება გულში და სინანულის ცრემლით დაუსველებს კვართს. უკან მოხედვის შეეზარება, მაგრამ მაინც მოიხედავს, რომ კიდევ ერთხელ გაიხსენოს რა ცდომილებებით იარა, რა ტანჯვა, რა სიბინძურე, რა ბოროტება განვლო მან... და იქნება ადამიანი თავისუფალი, და არაფრით აღარ იქნება ეს მისი თავისუფლება შეზღუდული, გარდა ზნეობისა, რის სადარაჯოზეც ქრისტეს უბიწო სხეული — ეკლესია იდგება.

ახალი იერუსალემი მართალთა სამეფო, მოქმედ ადამიანთა და სიკეთისთვის მებრძოლთა საუფლო იქნება და იერუსალემის ბრწყინვალე მეუფეც. მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე გულში ჩაიკრავს ყველა მას, ვინც მოიტანა თავისი ჯვარი ამ ქალაქამდე, უჭირდა, ეცემოდა, მაგრამ, მაინც ფეხზე დგებოდა და წინ მიდიოდა... და წინ მიჰქონდა ჯვარი თავისი, ჯვარი საერთო... ტვირთმძიმენი, დევნულნი სიმართლისათვის, გლახაკნი სულთა და სიკეთისათვის მებრძოლი სხვანი მრავალნი.

პატიმარმა ყური ლამის მოიგლიჯა, დიდი პაპის თვისება ეგონა ეს და კიდეც ამაყობდა გულში ამით, მაგრამ ხმამ ჩასძახა, შენს შორეულ შთამომავალს ექნება ეს ჩვევა. მიიხედ-მოიხედა, თხა არსად იყო, თხა არ ჩანდა. სად დაიკარგა თხა, უკვე რამდენი ხანია არ გამოჩენილა, რაც ეს სიტყვები უთხრა — დღეიდან ყველაფერი და მათ შორის ჩემი ბედიც შენზეა დამოკიდებული... — არ გამოჩენილა.

შთამომავალი? კი მაგრამ თვითონ, თხის დახმარების გარეშე, როგორ მიხვდა მას? (თუკია მართალი?) ამასაც და იმასაც, რაც უწინ იფიქრა ეს იერუსალემით, ქრისტე და მართალთა სამეფო..

დაიცა, დაიცა, ბუტბუტებს პატიმარი და კიდევ რაღაცეებს ხვდება.

არ ძინავს ერთს, ერთადერთს არ ძინავს მხოლოდ და ის მისი შთამომავალთა, პატიმრის სისხლი და ხორცი, მისი შორეული...

მანაც იცის ყურის თითით წვალება და უკვირს, საიდან დამჩემდაო. ხმალს იღებს, ცხენს აზტება და მთაში მიდის.

...შემდეგ კი, როდესაც ხმლით დაჩეხილ, სულთმობრძავ, თვალებით ჯერ კიდევ ცოხცალ მის შთამომავალს ჩამოასვენებენ ბარში, ხალხი განუდგება მომაკვდავს, ვერ გაუგებს, მღვდელსაც კი ძლივს დაითანხმებენ, აზიაროს გმირი.

— ვაი, შვილო!.. გმინავს პატიმარი, რა, ხედავს უცნობ, მაგრამ შვილს.

— ვაი, საქართველო. — გმინავს ვიღაც — რატომ მარტო ერთი?...

პატიმრის შვილისშვილისშვილისშვილს სამუდამოდ დაეხუჭა თვალები და სახეზეც ღიმილი, მწარე ღიმილი შერჩენოდა.

პატიმარმა მოისრისა ყური, უფლება აღარ ჰქონდა, არ ყოფილიყო დიდი! მისი თვისება, მისი ჩვევა მის შთამომავალს გადაეცემოდა და ამიტომაც აღარ შეეძლო უმოქმედოდ ყოფნა.

ქართლოს! ქართლოს!.. და ამ სიტყვებსაც მთები იტაცებდნენ ხარბად და ექოთ ჰფენენ ქვეყნიერებას. ჩამოჰკრა საათმა... ჟამი არს!

თხა კი არა და არ ჩანს.

იქნებ აღარ ჭირდება თხა? იქნებ ზედმეტია უკვე მისთვის? ყველაფერს უი-

ბიბლიოთეკა

მისოდაც ხვდება უკვე, მაგრამ თვალები ხომ მან აუხილა... თან უყვარს, საოცრად უყვარს თხა...

— თხაო! თხაო! — მაგრამ პასუხი არ არის, თხა არ ჩანს და არა. რა მოუვიდა ნეტავ? და სარკმლიდან იყურება — ზევით ცა, ქვევით კი გისოსები, გისოსებს მიღმა არც ისე ბებერი, მაგრამ არც მთლად ნორჩი მუხა. მუხასთან თავისუფლება, მუხა გისოსებს მიღმა, მუხა თავისუფალია.

ძლიერი მუხა, ფესვები ღრმად აქვს გაშლილი მიწაში და თუ ჰერაკლემ ანთეოსი მიწას მოწყვიტა და ისე დაამარცხა, ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს ამ მუხის მოთხრას — ფესვი ისე აქვს გაშლილი, რომ ერთი ნაწილი ნიკოფსას რომ წვდება, მეორე დარუბანდამდეა გაფარჩხული. რა ამოთხრის ამ მუხას?

პატიმარი მუხას უყურებს, პირჯვარს იწერს და წვება — დაილალა, ძილი უნდა.

სიზმარში კი მუხას ნახულობს, მუმლი შესევია და დაღუპვას უპირებს... შემდეგ სახედასისხლიანებული კაცები გამოჩნდნენ. ორმოსაც ხედავს, ვიღაც ამოძრომას ლამობს იქიდან...

ვიღაცის სახე, ეს სახე მას ეცნობა. შემდეგ ხვდება რომ თვითონაა და სიზმარში იცინის. სიზმარშივე ფიქრობს, „ღმერთო, არ დამავიწყო ეს სიზმარი, ისეთი საინტერესოა..." მაგრამ დილით მაინც ამაოდ ატანს თავს ძალას, რომ მთელი სიზმარი აღიდგინოს მეხსიერებაში, მხოლოდ ცალკეული სურათები ახსოვს, „მუხა... მუმლი.. ორმო... ჰო, ჰო, თვითონაც!

თავი ეტყობა უხერხულად ედო მთელი ღამე და ტკივა. არაფერია, არაფერი — საწოლზე თივა უგია და ისე ძინავს. თავისუფალი რომ იყო, თივაზე ძილი კიდევაც უყვარდა, აქ კი შეძულდა ცოტათი, მაგრამ მაინც არა უშავს, ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი ძალიან კარგად იქნება... ჩამოჰკრა საათმა... ჟამი არს!

...და პატიმარი ცმუკავს, ვერ ისვენებს. თითქოს აქამდე რაღაც თვლემდა მასში და ერთბაშად იხუვლა, წამოვიდა და მისი გაჩერება შეუძლებელიაო — ვერ ჩერდება, ახლავე უნდა, ამ წამსვე... შემდეგ წყნარდება, საკუთარ თავს არცხვენს, მეორე უკიდურესობაო და ელის, ხოლო ლოდინი იცის, დიდხანს არ მოუწევს... ჟამი არს... ჩამოჰკრა საათმა!

ცაზე მზე არ ჩანს, მაგრამ მაინც ნათელია, ესე იგი, მისი თვალი ვერ ხედავს და სადღაც უკან, მეორე მხარეს არის მოქცეული... სინათლე კი მაინც არის, მაინც...

მზე დედაა ჩემი,
მთვარე მამა ჩემი,
ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები,
დაა და ძმაა ჩემი

ხელები მოიფშვნიტა და გაიცინა. არა, ჯერ გაეცინა და ხელები შემდეგ, მერე მოიფშვნიტა. უხარია, ძალიან უხარია. ხანდახან მაინც ვერ ითმენს და გული ეწურება — როდის? როდის? ამდენი მოთმენაც რომ არ შეიძლება?

შემდეგ ჯდება და პატიმრებს უამბობს სიკეთეზე, სიცოცხლეზე... პირდაღებულნი უსმენენ და თავებს უხმოდ უქნევენ. ერთმა მაინც რომ გაიგოს, ერთმა მაინც, ესეც საქმეა, დიდი საქმე...

**დაუბრუნეთ დაკარგული ცხვარი ფარას!**

ზოგს ესმის, ზოგს არა. ვისაც ესმის, იმათგანაც ზოგიერთს მეორე დილისთვის ყველაფერი გადაავიწყდება, მაგრამ ვისაც არა?.. ვისაც ჩარჩება რამე?

**დაუბრუნეთ დაკარგული ცხვარი ფარას!**

რატომ ჭამო, მოდღმამ ურწმუნომ, საჭმელსო მეზვერეებთან და მისთანებთან. სნეული საჭიროებსო მკურნალს და არა ჯანსაღი...

დაილოცოს ხელი, რომელმაც შენი სიტყვები ჩაიწერა და კაცობრიობას აჩუქა, უფალო.

მათე, მარკოზ, ლუკა, იოანე — ილოცეთ ჩემთვის.

თითოეულ მახარებელზე ფიქრობს, რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. უპირატესობას ვერცერთს ვერ ანიჭებს, ოთხივე ავსებს ერთმანეთს... ოჰ, ოჰ, იოანე რა ღრმაა, რა საოცარი! მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ მაინც მათეს კითხვა უყვარს ყველაზე მეტად...

რამდენი ხანია სახარება ხელში არ ჭერია, რაც აქ გამოკეტეს ძაღლებმა (წაკითხული ჰქონია სახარება, მათეს სახარება კი გამორჩეულადაც ყვარებია, რატომ არ ახსოვდა ეს? რა ლიბრი ჰქონდა გადაფარებული მის მეხსიერებას?).

ძაღლებო! არ ბრაზობს, ღიმილით, ოდნავი დაცინვითაც კი ამბობს — ძაღლებო! თავიანთი გაჭირვება ეყოფათ, ადამიანები იყვნენ და ძაღლები გახდნენ — ძაღლებო! — მაგათზე საცოდავი ხალხი არ არის დედამიწის ზურგზე — ძაღლებო!—ოთხფეხა და ორფეხა ძაღლებო — ძაღლებო!... და პატიმარი უკვე გულიანად იცინის.

პატიმრებიც აყვებიან, თუმც არ იციან, რატომ იცინის ის, უცნაური და ყველასგან გამორჩეული... ისინიც იცინიან.

შემდეგ ეუბნება და უკვე **მართლა** იცინიან. ვაჰანი ხელს ურტყამს მხარზე:

— რა ჯიგარია, არა?... რა ჯიგარია!..—და უაზრო სახით შეჰყურებს თანამოძმეთ.

ჰო, ჯიგარი ვარ — ფიქრობს პატიმარი და ძალიან, ძალიან კარგად გრძნობს თავს. ყველა უყვარს, ყველა ძალიან უყვარს. ხვდება, რომ ეს გრძნობაც არ არის ახალი და შესაძლოა გაცვეთილიც კია ზოგიერთების წყალობით, მაგრამ რომ უყვარს, რა ქნას: თავს დადებს ყველასთვის! (ჰო, ჰო, არ გინდა ახლა—ჩასძახის რომელიღაც ხმა შიგნით, მაგრამ ბელებს უჭერს ამ ხმას და იქვე ახრჩობს, სანამ ძალიან, ძალიან აიმაღლებს...)

— ყველასთვის თავს დადებს, ყველა უყვარს!

— ყორან, დედის მეტი არავინ გყავს?

ყორანა თავს მაღლა წევს, ნაღვლიან თვალებს მოავლებს პატიმარს და:

— ჰო, დედა, დედა... პატიმარმა ვერაფერი ერ გაიგო, მაგრამ მაინც თავს უქნევს — ძალიან უყვარს ყორანას დედა!

შემდეგ შუა საკანში (თუ დილეგში? — ერთი და იგივეა ეს და პატიმარს ფეხებზე ჰკიდია, მთავარი სხვაა, ძალიან სხვა...) დგება, ხელით მოძრაობას აჩერებს, შემომხედეთო და იწყებს:

ყოფნა-არყოფნა, საკითხავი ეს აღარ არის,
ყოფნაო, უკვე გადაწყვიტა მაღალმა ღმერთმა...
და უსიცოცხლო თიხის თოჯინას;
თვალი გაუღო, სული შთაჰბერა.

პატიმრებს არაფერი არ ესმით, მაგრამ ის ამშვიდებს:

— მოვა დრო და თქვენც გაიგებთ, ოღონდ ძალიან, ძალიან უნდა გინდოდეთ გაგება... ადრე არც მე მესმოდა მთლად ყველაფერი, მაგრამ... ერთი სიტყვით ყველაფერს გაიგებთ!.. და საოცრად კმაყოფილი თივაზე წამოწვება.

როდის გავა დრო? სულსწრაფობს პატიმარი, მაგრამ მალევე ეგება გონს და თავს არიგებს — მოთმინება, მოთმინება!

დროშები, თეთრი დროშები — ჩქარა! — ამის გახსენებაზე კვლავ აცეტდა — ჩქარა, ჩქარა... ოოჰ, და ხელებს იფშვნიტავს (თეთრში გადასული ჩალისფერი დროშა, რომელზეც წმინდა გიორგია გამოსახული).

შემდეგ ყური ახსენდება. არა, არ ექავება, მაგრამ ყური ახსენდება და თითით წვალებას უწყებს — ჩემი შთამომავალი! და მომავლის სურათის გახსენება ოდნავ უფუჭებს ხასიათს, თუმც სიამაყითაც ალავსებს — სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა. აე, ახლა კი კვლავ კარგად არის, ახლა კვლავ მოვიდა ხასიათზე და შთამომავალს სიბრალული როგორ ვაკადრეო, ყურს მთელი ძალით მიადგება და კინაღამ მოიგლეჯს... შემდეგ კი, დღეა, მართალია, მაგრამ იძინებს, სახეზე კი მშვიდი, უდარდელი ღიმილი დასთამაშებს და სიზმრადაც ეტყობა კარგ რამეებს ხედავს — ალბათ, დაიფერთხა მუზამ მუმლი...

II.

ბევრს ხეტიალობდნენ ებრაელები. აღთქმული მიწა თითქოს ახლოს იყო, აგერ, ცხვირწინ, მაგრამ საკუთარი ცოდვა უფრო და უფრო აშორებდა მათ ამ მიწისგან. მრავალი წელი გავიდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხშიც უკმაყოფილება იზრდებოდა. მოსემ კი იცოდა, რომ უკვე ცოტა, ძალიან ცოტა იყო დარჩენილი. სულ მალე აღთქმული მიწა მათ შეხვდებოდა. მისე კი დიდ მთაზე უნდა მომკვდარიყო, მას არ უნდა დაედგა ფეხი ამ მიწაზე... ცოტა, ძალიან ცოტა იყო დარჩენილი.

ბავშვი რომ იყო, ეზოში ძალით აგდებდნენ — წადი, ითამაშე. ჩაჟიდოდა, მოთამაშე ბავშვებს შორიახლოს დაუდგებოდა და ყურადღებით აკვირდებოდა. სასწავლებელშიც მარტო იყო, სულ ბოლოში იჯდა, მარტოდმარტო, ყურადღებიანი, დაკვირვებული. სხვა ბავშვებს ათვალწუნებული ყავდათ და ზოგჯერ დასცინოდნენ კიდეც. ის კი ყურადღებას არ აქცევდა. წიგნის კითხვაზე მაინცდამაინც არ იკლავდა თავს, მაგრამ ზღაპრები და ლეგენდები ძალიან უყვარდა და დიდი ინტერესითაც კითხულობდა.

ფასკუნჯზე ფიქრობდა ხშირად, მისი ნაირფრად მოხატული ფრთები. წარმოუდგებოდა თვალწინ... ვითომ ფასკუნჯზე იჯდა და მიფრინავდნენ შორს, ძალიან შორს. მზეთუნახავიც ბევრჯერ უხილავს. თვალს დახუჭავდა და ცნობდა, მაგრამ მისი სახე ლეგენდარულად მაინც არ იცოდა. გაახელდა თვალებს და როგორი იყო მზეთუნახავი, აღარ ახსოვდა, კვლავ დახუჭავდა და ის, ულამაზესი ასული კვლავ წარმოუდგებოდა თვალწინ.

ბავშვობა ახალი დამთავრებული ჰქონდა, რომ პირველი სიყვარული ესტუმრა. პირველი ნამდვილი სიყვარული, თორემ გატაცებები ადრეც ჰქონია. მის პირველ ნამდვილ სიყვარულს მარგო ერქვა სახელად და სიოცარი თავგადასავალი გარდახდა თავს. პატიმრის სიყვარული უარყო და ქილაც თავადს გაჰყვა ცოლად. თუმც რა უარყო, ქალიშვილმა არც კი იცოდა თუ ამ დიდთვალება ნაღვლიან ბიჭს ის უყვარდა, თვითონ კი თეიმურაზი შეიყვარა, მისმა ლამაზმა საუბარმა მოხიბლა და ცოლადაც წაყვა. პატიმარმა კი დაუშვა ეს, ის ხომ „ყველაფერზე მაღლა იდგა".

ფუჰ, ფუჰ! იფურთხება პატიმარი, ოღონდ სულში, არა ნამდვილად. სულში ნამდვილად იფურთხება, ახლა ბრაზობს საკუთარ თავზე, შემდეგ კი თეიმურაზს ცოლი ნაოსარმა მედროვემ შეუცდინა და წაართვა კიდეც, უხერხემლო ქმარმა კი არამც თუ ცოლის, საკუთარი უფლებების დაცვაც კი ვერ შეძლო.

პატიმარმა ესეც იცოდა, მაგრამ ამაზეც მაღლა იდგა, არ ჩაერია საქმეში. ხელები უნდა რომ დაიკბინოს, ისეა გამწარებული საკუთარ თავზე — ოოჰ, რა ბრმა იყო! რა ბრმა და რა უგუნური!

შეიკრა სამკუთხედი: თეიმურაზი, მარგო და ნაოსარი, რომელსაც თუ კარგად ახსოვს, ჯაყო ერქვა სახელად. განათლებული და უხერხემლო უგუნური, სუსტი და დაუცველი მშვენიერება, სინდისი და ღირსება ქმრისა და ველური, უხეში, ტლანქი ძალა, მედროვე გადამთიელი... ის კი ამ სამკუთხედს გარეთ დარჩა, თვითონ არჩია ასე, თვითონ მოისურვა... არადა, რომ ჩარეულიყო, ბევრის გაკეთება შეეძლო. დავიცავდიო მარგოს...

ეს შეცდომაა თუ ბოროტება? ალბათ უფრო ეს მეორე, მაგრამ ამის გამოსწორებაც შეიძლება. ღმერთმა ბრძანა: თუ დაეცი, წამოდექი და გზა გააგრძელე! წამოდგება (თუ წამოდგა უკვე?) და გზასაც გააგრძელებს.

...და კვლავ ჩქარა, ჩქარა, ჩამოჰკრა საათმა, ჟამი არს... ამდენი ლოდინიც აღარ შეუძლია უკვე — დავითი ამომძვრალა ორმოდან, თითქოს რაღაც თვლემდა პატიმარში ადრე, ახლა კი გაიღვიძა და აქეთ-იქით ეხლებოდა, გარეთ გასვლა სწყუროდა, ამოხეთქას ლამობდა და... ამოხეთქავდა! ჟამი არს! ჩამოჰკრა საათმა!

ბუთიარს პატიმრებმა ფული შეუგროვეს და არაყი მოატანინეს. მათაც სურთ დღესასწაული და ქეიფი, დღეგრძელი მაინც გადაავიწყდებათ საჭირბოროტო... პატიმარიც მათთან ერთად ზის სუფრასთან (სუფრას ზის მორყეულ ზინძურ მაგიდას ეძახიან, რომელიც ოდესღაც საკნის მიწაზე იყო მიჭედებული) და მხიარულობს.

— ეს ჟანც გველის, მას გაუმარჯოს!

მოგზ
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს! გაუმარჯოს! აყაყანდებიან უცბადვე. თამადის ამ სიტყვებზე ზოგს სატრფო ახსენდება (თითო-ოროლას გაჰკენწლავს კიდეც გულში, ხომ არ გამითხოვდაო უკვე, მაგრამ „არა“ — იმშვიდებს თავს — „ის ყველას არ ჰგავს, ის სხვანაირია!“), ზოგს ცოლი, ზოგს და თუ ძმა, ზოგსაც ძმაზე უტკბილესი სიყრმის ძმაკაცი... ყორანას კი დედა წარმოუდგება თვალწინ: შავებით მოსილი წელში მოხრილი ქალი, დაღარული სახე, სიღრმეში შევარდნილი, მაგრამ საოცრად ცოცხალი ორი მოყვარული თვალი, დაწინწკლული უბრალო თავსაფარი, დედაბრის შავებს რომ საუცხოოდ ეგუება... ყორანას თვალზე ცრემლი ადგება და ჭიქას („ჭიქა“ საპყრობილეში ფრიად პირობითი ცნებაა და მის მაგივრობას ხან რა სწევს და ხან რა).

თამადა კი სულ დამწვრისას იძახის და სუფრა ლამის ააბღავლოს:

— ეს ჩვენს ძმადნაფიცებს გაუმარჯოს, რომლებიცა რომა ჩვენ სახლში არა ვართ და ჩვენს ქალებს თვალს ადევნებენ, დარაჯობენ ჩვენს სინდის-ნამუსს, ჩვენს ბლარტებს ტკბილეულს უყიდიან, მოეფერებიან... ჩვენს დედებს ნუგეშსა სცემენ და ერთი-ორს ტკბილს სიტყვასაც, ზოგჯერ ტყუილსაც რომ ეტყვიან, აქაოდა დაწყნარდეს ბეჩავიო.

არავის, არავის, შეიძლება არ ჯერა ჩვენი აქედან გასვლის, მათ კი... და გვინახავენ ცოლების პატიოსნებას, ოჯახის სითბოს, კერას, ბალღებს უვლიან ჩვენსას და მშობლებსაც იმედს აძლევენ — თვითონ ჯერამთ და სხვასაც აჯერებენ... მაშ, მაგათ გაუმარჯოთ, ნაღდ კაცებს და ჩვენსა ძმებს, ღმერთმა კარგად გვიმყოფოს მათი თავი.... ალავერდი შენთან, ჩემო ყორან!

იახშიოლო, ყორანა ჩუმად ამბობს და სადღეგრძელოს ბევრს არაფერს უმატებს — რა, არ უყვარს ბევრი ლაპარაკი ყორანას, მას დედის მეტი არავინ ჰყავს და ჭიქას მალე ცლის და მეზობელს გადააწოდებს.

...კმარა, კმარა ამდენი ფილოსოფია! უკვე დროა, მთაზე ასვლის დროა. ისუნავეს ძე გაზრდილა უკვე. დავითი დიდი ხანია ორმოდან ფრჩხილებწამტვრეული და თითებდასისხლიანებული ამომძვრალა. იცის, სიკვდილს მიუსჯიან. სიკვდილს, რომლითაც ელსიდივით უკვდავებაში შეაბიჯებს.

კმარა ლაყბობა. სადაც მთავრდება ჭეშმარიტება, იქ იწყება ფილოსოფია. კმარა. კმარა. ჟამი მოსულა.

III.

## დიალოგებიანი საგალობელი

ცუდი ამბავი გაიგო, ძალიან ცუდი. როსტომის გამოგზავნილმა ფინიამ სულ კმაყოფილი სახით შეაწკმუტუნა ეს ახალი ამბავი... საკანში დაბრუნდა. ფიქრით ჯერ კიდევ იქ იყო, როსტომის გამოგზავნილ „პირუთვნელ“ მსაჯულთან. თვითონაც კარგად მიუგო, არ შეიმჩნია წყენა. ამოიღო ხმა დამამხობელი ქრისტეს და ქართველობის მტრისა. ბევრს, უჩვეულოდ ბევრს ხუმრობდა საკანში, უმიზეზოდ იცინოდა. პირიქით კი უნდა ყოფილიყო, ის კი მხიარულებდა. ეს პირველად არ ემართებოდა. ღმერთმანი, ძალით არ იყვანდა თავს ხელში, სულ ისე, თავისით გამოდიოდა. ცუდს გაიგებს, ავი მოელის, ის განსაკუთრებით მხიარული და ხალისიანია. რა ჭირი ემართება?.. არა, ცუდი კი არ არის, პირიქით კარგია, მაგრამ მაინც ვერ გაუგია, რას მიაწეროს ეს ამბავი. ქვეცნობიერად იმხნევებს თავს, ღმერთი აძლევს ძალას თუ ერთიც და მეორეც? იქნებ კიდევ სხვა?

ჩვენ შენ მოგსპობთო. მერე-რა, არ გამიკვირდებაო, ღიმით მიუგო. „ფინია. ფინია“.

ა

ადგა. სარკმლიდან კიდევ ერთხელ შემოცურებულ სინათლის ზოლს გახედა და პირჯვარი გადაიწერა. საუზმე ხელუხლებელი იდო იატაკზე მილურსმულ მაგიდაზე. გაიარ-გამოიარა, ფართობი არ ეყო — შედგა, შემდეგ კვლავ გაიარ-გამოიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანასაკნელებს ვერ ამჩნევს.

სკამთან ჩაიჩოქა, გულში ლოცვა დაიწყო. სკამი საკურთხევლად აქვს წარმოდგენილი. მრევლიც თვითონ არის.

მღვდელიც.

მგალობელიც.

კვესექსებსაც თვითონ კითხულობს გულში.

„ღირს არს...“ დაიწყო გალობა და ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ამ საგალობელის ქვეშ მას სიკვდილიც არ გაუჭირდებოდა, რაღაც ნათელი ეფინებოდა სახეზე და გულშიც ღვთაებრივი სიხარული იფეთქებდა ხოლმე.

გაირინდა. „წირვა“ შეწყვიტა: საიდანღაც ქარი ქროდა და საიდანღაც ფოთლების შრიალი ისმოდა. საიდანღაც...

დაბალი: შენი დანაშაული ითვალისწინებს სასჯელის უმაღლეს ზომას.

მაღალი: ძალიან გთხოვთ, სამწუხაროდ, ესეც არ დაამატოთ, თქვენ თქვენს საქმეს აკეთებთ. ჩვენ მტრები ვართ ერთმანეთის, მე თქვენს წინააღმდეგ ვიბრძვი და საკმაოდ ლოგიკური მეჩვენება თქვენი გადაწყვეტილება — მომსპოთ.

...მერწმუნეთ მე (ე. ი. ჩვენ) რომ გამემარჯვა, ასევე მოგსპობდით.

დაბალი: მერე შენი მეშისთაყვანისმცემლური ჰუმანიზმი? არა კაც ჰკლაო?

მაღალი: თქვენ მე პიროვნულ მტრად არ მიმაჩნიხართ და თუ მაინც ხართ, დიდსულოვნად მომიტევებია... მაგრამ მე თქვენ მოგსპობდით (თან დიდი სიამოვნებით) როგორც, ერის მოღალატეს, მტერს...

დაბალი: ეს ხომ წმინდა წყლის კაზუასტიკაა, ბატონო ფარისეველო!

მაღალი: კაზუისტიკა თქვენთვის უფრო დამახასიათებელი, ხოლო ჩემი მსჯელობა ლოგიკურიცაა და ქრისტიანულიც და თქვენ რომ ჩვენს რჯულს მხოლოდ ზედაპირულად არ იცნობდეთ, დამეთანხმებოდით... თუმც რას ვამბობ, საიდან უნდა იცნობდეთ ქრისტიანობას, ის თქვენ რაში გჭირდებათ? მე ისიც კი მიკვირს, რომ იკზუატერის არსებობა გაგიგიათ და ეკზუისტიკისთვისაც მოგიკრავთ ყური...

დიდებით დიდებული: ერი ჩემი და ხალხი ჩემი.

მოუწოდა. ჯერ ეურჩებოდა, შემდეგ დამორჩილდა.

ხეტიალი, ხანგრძლივი ხეტიალი,

სიცხეები. ბული. უდაბნოს ქვიშას ქარი მაღლა აიტაცებს და პირშიც უცვივდებათ. მდევარი კი არ ცხრება.

ყველანი უნდა გაიჟლიტონ.

ქარი ქრის და ქვიშიანი რგოლები ჰაერში დატრიალებენ.

მზეც უმოწყალოდ აჭერს.

ხალხი დრტვინავს, ვგდებულიყავით...

ხვლიკები დაბობლავენ ცხელ ქვიშაზე.

ყოველი ლოდის ძირიდან კი შესაძლოა ჭრელკაბა გველი გამოსრიალდეს და ვინმე დაგესლოს.

მდევარი არ ცხრება.

ოო, დიდებით დიდებულო!

უფალო, შეგვიწყალენ!

შემდეგ ქალთა ხმები სჭარბობს და კაცის სმენასაც უფრო ეფერება.

პეტრე მოციქული ციხიდან გაიყვანა... შეედარა-რა!

საცაა დავარდებიან, მეტი არ შეუძლიათ.

სიკვდილი სჯობია ასეთ ყოფას, არაქათი აღარა აქვთ.

თან მზის შუქი მოხვდა უკანმყოფთა ბრჭყვიალა ტანისამოსს და წინმავალთ თვალი მოსჭრა.

ახლო არიან, ველარ გადაურჩებიან.

აჰა, ეტლებიც.

ღმერთო ჩემო, უდაბნოში რა უნდა ზღვას?

აჰა, ღმერთმაც გაწირათ!

წინ — ზღვა, უკან — ისინი...

მოსეს სწყევლიან და... ვგდებულიყავითო.

ზღვა შუაზე იპობა.

წუთით წამოდგა და ბინძურ ჭიქაში წყალი დაისხა.

მოსვა.

პირი უშრება.

მოულოდნელ სასწაულს ისე მიაშურეს, მისთვის, დიდებით დიდებულისათვის, მადლობაც არ შეუწირავთ.

ახლა მდევრები შევიდნენ ზღვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე შუაგულში არიან.

იზრაელმა კი უკვე გადააბიჯა ხმელზე.

ის კვლავ წყალს სვამს.

ზღვა პირს იკრავს.

მდევრები აღარ ჩანან.

გადარჩენილები ისეთ დღეში არიან, რომ ვერც ეხლა მოისაზრეს მადლობა... არაფრის თავი არა აქვთ. თან..., წინ რა ელით?

საუზმე გაიტანეს.

რაღაც უთხრეს, მაგრამ არ გაუგია. არაფერი არ ესმის.

წმინდა ტრაპეზი ბრჭყვიალებს.

ტამარში ოქროსფერი სჭარბობს.

მღვდელია:

ხელების კანკალით შლის გაცრეცილ ოდიკს და იმავწამს ბარძიმსაც სწვდება.

ესაია წინასწარმეტყველი ჩამოჰყურებს სამხრეთის კედლიდან. ცხენები და მხედრები შთასხია.

შავი ზღვა.

არა, სხვა ზღვა.

სხვა ზღვა იყო.

ფარისევლები, სადუკეველები, ჰეროდანელები და ყველა ჯურის
არამზადები.

ზეობენ ნაძირალები.

მოთმინება. მოთმინება.

ჯვრის გზა. წრთობის გზაა.

მოთმინებითა შენითა.

მხრები ჩამოუშვა.

როდის მოელება ბოლო?

დასასრული როდის ექნება?

მომბეზრდა. ყველაფერი მომბეზრდა.

კედლები ოდნავ სველია, თან ცივი. გამხდარი თითებით ეალერსება და ტირის. ეს არს სახლი ჩემი...

**ბ.**

უღირსი. ცოდვის მონა — მრუში....

საიდან შემოუტია სატანამ: „ყველაფერს სძლია, თვალებს — ვერა.

საკუთარ თვალებს ვერაფერი ვერ მოუხერხა. უნებურად გაჰყვებოდა ვინმე მკერდმოშიშვლებულს.

ო, ღმერთო!

საყვარული?

არ გაიხსენოს სჯობია — თვით ფიქრიც კი ცოდვაა.

ღმერთო, შეუნდე ყველა ცოდვილს.

ყველაფერს სძლია?

კვლავ შეუნდე.

ფიცხელა შეარქვეს.

საკუთარი ვნებებისა და ნერვების მონა.

ხანდახან თვალებგადმოკარკლული, ყელზე ვენებდაბერილი და საზეშემლილი — მრისხანე ოლიმპოელი.

ღმერთო, აპატიე!

ლევიტელთ უკვე დაიწყეს მცნების დარღვევა.

დაბალი: მე ჩემი თავისთვის არ მომიცია შეურაცხყოფის უფლება,

შენ კი პატიმარი — ბევრის უფლებას აძლევ თავს.

მაღალი: ეჰ, ფარისევლები ხართ, ფარისევლები. თქვენ უკვე აღარ იქცევით ისე, როგორც ოციან-ოცდაათიან წლებში. მაშინ ხომ მაძიებელნიც, ჯალათნიც და მოსამართლენიც თქვენვე იყავით... დღეს უკვე სხვანაირად მოქმედებთ, სხვისი ხელებით აკეთებთ ბნელ საქმეს.

...ყველაზე საშინელი კი იცით რა არის?

დაბალი: მაინც რა?

მაღალი: ის, რომ იმ საქმის თქვენვე არ გწამთ, რასაც ემსახურებით. თუმც მოღალატეს რა პრინციპები, ან მათდამი რა ერთგულება უნდა მოკითხოთ... დარჩა ჩვევა, ბოროტი ჩვევა და კიდევ ჯავშანი, რასაც თქვენი თანამდებობა თქვენ განიჭებთ და მისგან გამომდინარე ყველა ცხოვრებისეული უპირატესობა... დაბალი: საინტერესოა, საინტერესო. მაინც საიდან დაასკვენი, რომ ჩვენ არ გვწამს საქმის, რომელსაც ვემსახურებით...

მაღალი: თვალებში გეტყობათ.

მოსე მრისხანებს.

თვეთონ კი ყველაზე დიდი ცოდვილია და ამ ბინძური ხელებით მოინდომა სუფთა, დიდი საქმის გაკეთება. მეტომაც არ გაყავს ღმერთის აქედან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთმინება... მოთმინება.

მოსე ალბათ მასზეც მრისხანებს.

მოსე იტანჯება. უკან დარჩა ზღვა, მდევარი, რომელიც ზღვის სტომაქში განისვენებს... ხალხი კი კვლავ დრტვინავს — ვგდებულიყავით.

მონები! მონები!

დიდ საქმეს დიდი ადამიანები აკეთებენ, მათ ცრით არ უნდა დარჩეთ პატარაკაცობისთვის...

თვითონ კი საკუთარი ვნებების მონაა...

## ბ

მანანა.

აჰა, ჭამეთ უმადურნო!

განძლიერდა გული ჩემი. დიდება შენდა, ღმერთო!

მიდი, მიდი, ჰო, ჭამეთ!..

რამ გაუციავათ გული? რამ გააქვავათ? ნუთუ ვერ გრძნობენ მწყალობელს ხელს მათს მხრებზედ?

არც ბაალმა და არც ასტარატმა მოგივლინათ თქვენ ეს საზრდელი, არამედ ღმერთმა იზრაელისა, ერთადერთმა ღმერთმა — ჭეშმარიტმა, მამამ და შემოქმედმა ხილულისა და უხილავისა.

არაფერს არ ამბობენ, მხოლოდ ილუკმებიან. ლოყები გამობერიათ და არაფერი არ აინტერესებთ. დაუღეჭავად ყლაპავენ. ლუკმას და გაძღომასაც ვერ გრძნობენ — აქლემივით სურთ მთელი წლის მარაგი აილონ.

მოსე ლოცულობს:

შენ, რომელიც ბერწთ ანაყოფიერებ და უკვე სასოწარკვეთილთ პირმშოს სწყალობ... შენ, რომელიც არ ივიწყებ ერს შენსას, და უმადურებისა წილ, ცოდვების წილ საკვეთს მოგვცემ, რამეთუ მადლი და სიკეთე შენი ყოველივეს და ყველაფერს აღემატება... შენ, რომელიც ითმენ ნიჭვეის და შენ, რომელსაც აწყრევ მას...

დაბალი: ნუ გაიცინებ, თუ ძმა ხარ.

მაღალი: დადგება თქვენი განკითხვის დროც. გაირბენს რამოდენიმე საუკუნე და დიდ არამზადებს ნიურნბერგში განკითხავენ, გაირბენს კიდევ რამოდენიმე წელი და ქართველი ერიც მოაწყობს თავის „ნიურნბერგის" პროცესს და ყველა მოღალატეს გაასამართლებს...

დაბალი: მანამდე კი ჩვენ შენ (ოოჰ, მაპატიეთ, ბატონო — თქვენ!) მოგსპობთ.

მაღალი: მერწმუნეთ, ასევე, მეც მოგსპობთ, რომ...

დაბალი: მაგამ შევეშვათ. იცი, შენ კიდევ გაქვს შანს.

მაღალი: რა შანსი?

დაბალი: სიცოცხლის გადარჩენისა.

მაღალი: გმადლობთ, მაგ „შანსი" თქვენთვის დაიტოვეთ, მე არ ვსაჭიროებ.

მე მკვდარიც კი უფრო საშიში ვარ თქვენთვის, ვიდრე თქვენი „შანსის" ფასად ცოცხლად გადარჩენილი.

შენ, რომლისგანაც ყოველი მოითხოვს წყალობას და გაგებას და შენ, რომელსაც არავინ არ გიცნობს და არავინ არ გიგებს, რამეთუ არ სურთ ეს...

შენ... შენ...

შენ, რომელსაც გამოგყავს ხალხი შენი ეგვიპტიდან!

„რომელი დაიწყო.

მან ხელები აღაპყრო.

სამხრეთის კედლიდან კვლავ დაჰყურებს ესაია.

ესაია, გიხაროდენ! (...თუ მხიარულ იქენი?)

წრეს არტყამენ. ხელიხელ ჩაკიდებულნი. გვირგვინნი მეჯვარედ უპყრავთ ხელთ.

თავი, თავი სტკივა.

ყურს აწვალებს:

გმადლობთ, შენ, უფალო!

„ღმერთო ძლიერო, შენ შემიბრალე" — მისი ერთადერთი ოპერა, ერთი შვილი ამერიკაში გარდაიცვლება.

## დ

გრძნობს.

წინათგრძნობა წარმართ დასჭირდა.

მოვა უფალი, განიკითხავს...

მრწოდეთ!

ამბაკომი.

დიდ, დიდ შავ წიგნს ნელ-ნელა ფურცლავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობს. კვლავ გრძნობს.

ნოე რომ კიდობანს აშენებდა, მასხარად იგდებდნენ: რამ გადარია ეს კაციო?

შემდეგ ნოეს შეეძლო მათი მასხარად აგდება კიდობანში უშიშრად მყოფს, მაგრამ არ უკადრია.

არ ელიან.

ვინ ელის?

ვინც ელის, მას ნოესავით მასხარად...

როდის,

მხოლოდ მამამ ზეციერმა უწყის;

არც

დაბალი: თუ ძმა ხარ, მართლა ისე ნუ გვიყურებ, როგორც მტრებს! არც ჩვენ ვართ თქვენზე ნაკლები პატრიოტნი და არც როსტომ ბატონს უყვარს საქართველო თქვენზე ნაკლებად.... თავისუფლება, თავისუფლებაო, გაჰყვირით და გავიწყდებათ, რომ თქვენგან ვეშაპად მონათლულმა სახელმწიფომ გადაგვარჩინა, იგი რომ არა, ჩვენს პატარა ქვეყანას გარეშე მტრები დაიპყრობდნენ და შეჭამდნენ...

რა გვაკლია? რა გაკლია შენ დღეს? არაფერი, აბსოლუტურად არაფერი. ისწავლე, იშრომე, ყველა გზა ხსნილია, საქართველო თანასწორუფლებიანი ნაწილია უზარმაზარი იმპერიისა... ასე ბედნიერი, მე თუ მკითხავთ, ჩვენ არასდროს არ ვყოფილვართ.

მაღალი: თქვენ — კი!

დაბალი: თქვენ კი არა, ხომ?

მაღალი: თქვენთან დავა უსარგებლო და უაზროა და განა მარტო იმიტომ, რომ თქვენ დემაგოგი ხართ, არამედ უფრო იმიტომ, რომ თქვენ იმდენად გახრწნილნი ხართ, რომ ყოველგვარი იმედი თქვენი გაადამიანებისა გადაწურულია.

დაბალი: არც ქრისტიანულ განაგდებ და არც ჩვენებებს მოგვცემ?

მაღალი: რა თქმა უნდა, არა. ჩემი ქართველობა და მსოფლიო ქართველთა ძმობის წესდება მიკრძალავს მე ყოველგვარი ჩვენების მიცემას.

დაბალი: შენ ან გიჟი ხარ, ან ფანატიკოსი.

მაღალი: დაიცა, დაიცა. აი, მე ვხედავ, მას ვხედავ, ის ტანდაბალი, ნაოჭებით დაფარული, ფეთქებადი... ის მშვენიერი ქართველი ქალია, ხანდაზმული ქალი.

დაბალი: ბოდავ?

ვაი, მაშინ შეორგულებულთ და სულმოკლეთ!

## ე

ლაზარე მეოთხე დღეს აღადგინა მკვდრეთით.

სული ჩემი ხარობს უფლისა მიმართ: მარადიული არსებობა.

დადგება ეს ნანატრი მეოთხე დღე! მოლოდინი და სიხარული.

სიხარული და მოლოდინი.

ველით სიძეს: ნუ გძინავთ, იფხიზლეთ!

შუაღამე ჩამოჰკრავს, ეკლესიის აწ დამუნჯებული ზარი ნელ-ნელა შეინძრევა, გაიზმორება, ჯერ დაიდუდღუნებს, შემდეგ უფრო და უფრო ჩქარა...

დ ი ნ ნ ნ!

შედის ექსტაზში, ცივი ოფლი წვეთებად აჩნია მის რკინის, ხორკლიან, ძველ სხეულს...

დ ი ნ ნ ნ!

უკვე ყველგან, ყველგან ისმის.

მალე სიძის ფეხის ხმაც მოისმის.

აი, კიბეებზეც ამოდის.

ნაბიჯების ხმა ახლოვდება.

კარებზე აკაკუნებს: ჯერ ფრთხილად, ოდნავ გასაგონად (მისთვის ხომ უამრავჯერ არ გაუღიათ კარი!)

ამჯერად თვითვე აღებს კაკუნის შემდეგ და შემოდის:

თეთრებში...

მრისხანე....

მეოთხე დღე.

დაბალი: რას ფიქრობ?

მაღალი: ვემზადები სიკვდილისთვის.

ხარობს სული ჩემი.

ბიბლიოთეკა

ელის.

...ფეხის ხმა ჩაესმის.

### 3

„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია".

მუცელში ბნელა.

ისევ ნინევიაში ჯობდა, წასულიყო.

დაბალი: მაინცდამაინც სიკვდილი გინდა?

მაღალი: ჩემთვის სიკვდილი გარდაცვალებაა, მოლოდინი მეოთხე დღისა...

სიტყვები თავისით მოდის, იცის იონამ, უკვე ზუსტად იცის, რა უნდა თქვას.

ასე ძლიერი არასდროს არ ყოფილა.

აი, ჩაწვდა ყველა, მათ შორის ქვესკნელის საიდუმლოსაც. მობი დიკმა უნდა გადმოაფურთხოს და ისიც წავა ნინევის, ან კი რა გულუბრყვილობა იყო: მას სად გაექცევი?

ან რად უნდა გაექცე?

„ღმერთი არს ძალა და მაზვილი ჩემი, რის გეშინია?"

მობი დიკი კი გადმოაფურთხებს მას, იონა უკვე კარგად იცნობს უფალს:

ის ღმერთია იზრაელისა (ჩაწვდა, როგორც იქნა!)

მეუფე იზრაელისა უბრძანებს და ვეშაპიც გაუშვებს იონას, იცის მან ეს.

...და შემდეგ იმ ქალაქში, სადაც ადამიანებს ცოცხლად ატყვევებენ.

### ზ. ო

ნაბუქოდონოსორი.

ჰმ!

(რატომ — ჰმ? რა, უცნაურია!)

ცეცხლი. ცეცხლი გიზგიზებს.

შეშინებული თვალები.

თეთრი, მიტკალივით თეთრი სახეები.

მაღალი: მე სიკვდილი არ მინდა, მაგრამ მზად ვარ, მხიარულიც კი ვარ: ქრისტესათვის და იზრაელისათვის სიკვდილი დიდი პატივია ჩემთვის.

დაბალი: გინდა რომ მოგკლან?

...მაგრამ მათ ცეცხლი არ ეხებათ.

„...და მე გავიარო ცეცხლზე და არ დამწვას მას, რამეთუ დიდებით დიდებული იყოს ჩემთან!

...თოკზე ჩამომკიდონ და თოკი გაწყდეს!

...წყალში მომისროლოს და წყალი დაშრეს!

...ციცაბო კლდიდან გადმომაგდონ და ანგელოზებმა ფრთხილად დამსვან მიწაზე!

...ჩემი ჟამი დადგება და: მტრებმა მომკლან, ხოლო მან მეოთხე დღეს აღმადგინოს!

ის იყოს ჩემთან და..."

ცეცხლი.

სამი გადარჩენილი ყრმა.

ნაბუქოდონოსორი.

მეუფე ბაბილონისა.

### ით

კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არ ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშვე სულთა ჩვენთა.

დაბალი: ჩვენ შენ და ყველა შენნაირს მოვსპობთ.

მაღალი: „ასევე ჩვენც „მოწყალეო" ბატონო, ოღონდ თქვენ და თქვენნაირებს.

მოსე ტირის: რაღა მე უდირსი ამომირჩია... გმადლობთ შენ, უფალო! (აკი, არაო...).

მაგრამ ლოცულობს.

ისიც ლოცულობს. „წირვა" — დასასრულს უახლოვდება: გუნდი სადაცაა „მრავალჟამიერს" დააგუგუნებს.

გარეთ წვიმს.

მარადის სანატრელი დედა ჩვენი ზეციური და დედოფალი.

მეოხი ჩვენთვის.

დაბალი: ჩვენ ველით ჩენს გონზე მოსვლას....

მაღალი: არ ველი თქვენს მოწყალებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაზეთ, როგორ იმდაბლებს თავს ღვთის ესოდენ დიდი არჩევანით შეშფოთებულ-შეშინებული, თუმც გახარებული...

„მე რა ღირსი ვარ...“

ემანუილ

სამხრეთის კედლიდან ესაია წინასწარმეტყველი დაჰყურებს.

„აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას მაღალთა შინა...“

## ქრისტიანები

შემოვიდნენ — ჯვარზე გასაკრავად უნდა წაეყვანათ.

კარების ჩხაკუნი ისმის, შემოდიან, უნდა გაიყვანონ. თავის მოსაკვეთად.

კარებზე ხმაურობენ, მოდიან, დასახვრეტად გაიყვანენ ახლა.

კარების ჩხაკუნი დიდხანს, უსაშველოდ დიდხანს გაგრძელდა. შემდეგ ჯერ ბეთარმა შემოჰყო დინჯი და კმაყოფილი, ცბიერი, გულისამრევი ღიმილიც აიფარა სახეზე.

— გამო, გამოდი.

კი. თავის მოსაკვეთად უნდა გაეყვანათ.

გული შედგა. წამში დაპატარავდა და სიმკვრივეც უფრო მოემატა და კაციც დაამძიმა.

საწოლზე იჯდა. ბეთარსა და მის უკან მდგომთ სახეგახსნილმა მოხედა. ჩაიცინა და თანასაკნელებს მომუშტული მარჯვენა აუწია.

თანასაკნელები მდუმარედ იდგნენ და სიცივე ჩამდგარი თვალებით, შეჰყურებდნენ მას.

— აბა, ძმებო, არ მოიწყინოთ უჩემოდ!

ღმერთო ჩემო, რა მოსდიოდა?! ლამის ტირილი უნდოდა, ისე ენანებოდა ყველაფერი, თვით ამ ბინძური კედლების დატოვებაც კი არ ემეტებოდა, ისე უყვარდა... ის კი იცინოდა და ახლა იმაზე ფიქრობდა, რა მოსწრებული სიტყვა ეთქვა, რათა თანასაკნელნი გარინდებიდან გამოეყვანა.

— იქნებ უარყო შენი სიცოფე? — გამომცდელად დაეკითხა ერთი, რომელიც ბეთარის მხრებს ეფარებოდა.

— ქრისტე ღმერთი ჩემი!

ამის მეტი სიტყვა არ თქმულა. კარები დიდი ხნის დაკეტილი იყო უკვე, საკანში მყოფნი კი ახლაც დუმილს იცავდნენ.

ის კი ვიწრო და ბნელ დერეფანში მიიკვლევდა გზას.

„მე ვიყავი, ვარ და ვიქნები. რამდენმა და რამდენჯერ დამიპირა მე სიკვდილი, მაგრამ მე კვლავ ცოცხალი ვარ. რა იციან უგუნურთ, თუ მე უკვდავების წყალი მაქვს შესმული. ჩემი სახელი რაჟდენ პირველმოწამე, ევსტათი მცხეთელი, აბო თბილელი, კონსტანტინე, გობრონი, დავითი, კონსტანტინე, ბიძინა, შალვა და რომელი ერთი ჩამოვთვალო, მე ხომ უამრავი სახელი მაქვს. ამ პატარა ქვეყანაშიც ბევრზე-ბევრი სახელით მიხმობენ და მსოფლიოში ისე ვარ გამრავლებული, რომ ვარსკვლავთ გუნდი არად მოჩანს ჩემთან.

მე ბევრი სახელი მაქვს, მაგრამ ერთი სახელითაც მიხმობენ — ერთი უბრალო სახელით: ამ სახელშია ჩემი უკვდავება დამალული.

რა არის ჩემთვის დრო და სივრცე? არაფერი. რომელი დრო ჩამიტევს და რომელი სივრცე მეყოფა განსასვენებლად?

ან ვის აქვს ხელმწიფება ჩემოდენი? უგუნურთ ჰგონიათ თავს მომკვეთენ. რომც მოკვეთენ, მაინც აღმატებული და უძლიერეს ვიქნები მათზე, რამეთუ ჩემთან არის ყოვლად წმინდა სამება. მაგრამ მომკვეთენ კი?

ო, ღმერთო! ახლაღა ჩავხვდი შენს სიბრძნეს და მოწყალებას აღურიცხველს! ნუთუ მე ცოდვილი გამომარჩიე შენს საჭურჭლედ და გამხადე ღირსი, რათა მოწმეთა გუნდთა თანა შევირაცხო?

მე ეს ვიცი და ვისი შემეშინდეს, რისი შემეშინდეს?

გხედავ, გხედავ შენ მოსევ, ჩემო მოძღვარო და მასწავლებელო: ერსაც ვხედავ შენს, გამოაღწიეთ უკვე უდაბნოს და გაიშალა თვალწინ სანახები ქანონისა — აღთქმული მიწა. დასახლდით, გამრავლდით, აღორძინდით და მთელს სამყაროში ისმოდეს დიდება იერუსალემისა.

მე ვხედავ ამ დღეს, მე ვიცი ეს დღე... ოო, მოსე! მე ჩემს ვხედავ და თუ კადნიერად შენდამი ჩემ ცოდვილს შედარებებს მომიტევებ, ერთსაც ვიტყვი — როგორც შენ მიიცვალე მშვიდად, რადგან იცოდა, რომ იზრაელის ბედი საიმედო ხელში იყო და ისაე ნავეს ძე შემუსრავდა მტერთა იზრაელთა, ასევე მე მწამს მისი, ვინც ჩემს შემდგომ მოვალს და ვინც იქმე იმას, რაც მე ვერ შევძელი...

დე, ჩემმა სისხლმა ცოდვანი სიჭაბუკისანი ჩამომრეცხოს და მანვე აღმანთოს სული ქართველთა და ყოველთა სულიერთა იზრაელელთა...

იყავნ ნება შენი!

ჰაერში ფოლადის წუილის ხმა გაისმა:

— მოკვდი, შეშისთაყვანისცემელო!

დასასრული

25 დეკემბერი — 1980 წელი

5 ნოემბერი — 1983 წელი — ორთაჭალის ციხე

31 ივლისი — 1985 წელი — სუკ-ის იზოლატორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ხუტა გაგუა

### ძმამ გაიმეტა ძმა

დაუმიზნა და წამით
შეყოვნდა — როგორ ცრის!
ძმამ ისარგებლა ამით,
ესროლა, დასცა ძირს.

ესლა ამოხდა: — დედა, —
ვინც გაიმეტეს, მას, —
კარგია, რომ ვერ ხედავ,
ვით უხარია ძმას.

სისხლისგან დაიწრიტა,
გონი დაკარგა მთლად...
ღმერთო, ხომ მართლა ცრიდა,
ძმისთვის არ ცრიდა რად!

1991

### კაენი და აბელი

— ძმის სიძულვილი ვისგანაც მოდის, —
ჩუ! — მაფრთხილებენ, — ფეხდაფეხ
მოგდევს;
ის არ დაეძებს მიზეზს და მოტივს —
შენ ხარ აბელი და უნდა მოკვდე!

—მე უნდა მოვკვდე, მოსული მოყვრად?!—
სისულელეა ეს ყველაფერი!
თუ განუზრახავს მეათედ მოკვლა,
კვლავ გავაწბილებ კაენს აბელი:
მძიმე ცოდვისგან მეათედ ვიხსნი —
არ დავუხვდები ლაჩარ-ჯაბანად,
ვინძლო, ჩემივე ხორცი და სისხლი
ჩაწვდეს უბრალო ამ ანაბანას...

დრო მიზოზინებს თუ სწრაფად გარბის,
ჩაესმით დედის კრულვა თუ ნანა,
კაენი — გველი, აბელი — ზღარბი
ადამის ხნიდან პირისპირ დგანან.

1991

### მანქანების მოძრაობა თბილისში

ღვთისგან სიანჩხლე დაბედებული,
ჟინს აყოლილი ჩემი ქაჯეთი
ჰგავს აქვარიუმს, დაფეთებული
აურაცხელი თევზით გაჭედილს.
ამ უსაშველო ქაოსის მძევალს
და წუხანდელი ელდით ნაეკლარს,
ზოგჯერ მგონია — ის ჩრდილი მე ვარ,
ფარების შუქზე ბოძს რომ აეკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა ჯიშის
„ვოლვო“-„ჟიგულებს“, „კამაზ“-„უაზებს“
გააქვთ გრიალი. ამათი შიშით
ვერ გაუვლია კაცს ტროტუარზეც.

ლანძღვა-გინებით — ეჰეი, ჰეი! —
გულგახეთქილი გარბის ქვეითი...
თქვენ ვერსად ნახავთ ამნაირ სეირს,
რომც მოიაროთ ცხრა ქუვეითი:

მძღოლს დაულია ნასვამი ხაზა,
ტაქსს ერჩოლება — უკვირს უძილარს:
მგზავრს, ეიფელის კოშკივით მაღალს,
ფეხებში როგორ ვერ გაუძვრინა!..

ასე, გზადაგზა, სიცოცხლე ჩემი
ილვრება რაღაც განგების ძალით,
როგორც თვალთაგან უმწეო ცრემლი,
ან გაბზარული სურიდან წყალი.

და რა შვებაა, — ცოფიან ქუჩებს
თავ-კისრის ტეხით გამოქცეული, —
ოთხ კედელს შორის აღმოჩნდე უცებ —
ტახტზე დაემხო მთელი სხეულით...

არ დაიჯერებთ, მაგრამ ასეა,
თუ ჩაგიღამებს თვალთა განთიადს,
შიშიც ის არის, რაც „უაზია“. —
„ნისანი“ — დიდი შეღავათია!

მაგრამ მიფრთხობენ ძილს მენაგვენი,
და მე სიხარულს ვერ ვმალავ ისევ,
რომ ჩემი ჩრდილი, ასჯერ ნაგვემი
და ნაბორბლარი, იგრძელებს კისერს.

## გულარხეინი პოეტის სახე

თუმცა აკაკის შთამომავალი,
ხატთან ფირუზი ცის მოფიცარი,
საქართველოში დადის მრავალი, —
არ მალავს: ნაღდი მხოლოდ ის არის.

თუ აკადრებენ: არიან სხვანიც,
ალგეთს დაზრდილი ლეკვნი მგლისანი,
იცინის, როგორც მეხოტბე ზანის:
გამორჩეული — ფაშა! — ის არის.

და მეც ვიცინი... შეხედეთ ერთი,
რა კონტრასტია, დარწმუნდით — ნახეთ
კდემამოსილი აკაკის გვერდით
გულარხეინი პოეტის სახე.

1991

## სატირა და ლირიკა

გაძლა, დანაყრდა, როგორც ყასაბი,
საუფლისწულო ვახშამ-სადილით,
რაწამს ირწმუნა, რომ წნევასავით
უცებ ავარდა ფასი სატირის.

მას, შესაძლოა, უჩანს ჩამიჩად,
მაგრამ, ტიკივით მუცელგაბერილს,
რაც ეპარება ძილში ჟამიჟამ,
ლექსიც ის არის... ყარს ყველაფერი.

და ვგლოვობ, ვგლოვობ იმათ სატირალს,
ვინც ვერ გაუძლო და გაირიყა...
დიდ პატივშია ახლა სატირა, —
ნაინფარქტალი ბორგავს ლირიკა.

1991

## აზრი ღმერთისმიერი

ცხვირწინ კაკლის დაცემა
როს მოესმათ ზათქად,
ყველაფერი ერთბაშად
თავდაყირა დადგა.

დატრიალდა უკუღმა
ბედის ჩარხი მძიმე.
ერთგან — დიდუ! — აღმოხდათ,
მეორეგან — იმე!

დიდუ! რა დრო დაგვიდგა —
მგლებს, ბატკნების შიშით,
ხმა ვერ ამოგვიღია, —
გაწყდა მათი ჯიში!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმე! მხდალო ვეფხვებო,
ხვადებო და მუნო,
ძალით მიგვრილ ფარშავანგს
წვირის ხოჭო წუნობს!..

ბრძენს — უვიცი, გონიერს
უგუნური ჯაბნის.
დაირიგეს გოგრებმა
გვირგვინები დაფნის.

ვირმა, ურჩი პატრონი
რომ გაიგდო სახრით,
მოანატრა ყროყინი
გზაში პატივაყრილს...

გამოცოცხლდა ღამურა:
— ბრუციანო ჭოტო,
ერთხელ მაინც ენახე —
დაგხატაეჲა ჯოტო...

ფეხქვეშ უნდა გეწვოდეს
მიწა, ანუ დიხა:
თავს ვერაფრით იმართლებ —
სუკის აგენტი ხარ!

ჟირაფს რაწამს წამოსცდა
სიტყვა უშვერ-მჟირი,
გაახსენეს აბანო,
რა თქმა უნდა, ვირის!

თავზე აზის კოდალა,
შუბლში უკაკუნებს,
ვინძლო, ზებრას თუ არა,
დაამგვანოს ჰუნეს.

ხოლო ასგზის ნაშოლტარ-
ნამათრახალ ზებრას
მეფის შარდი აგონებს
ტიგროსსა და ეფრატს...

ისაკუთრებს თხუნელა
დათვის ბინა-ბუნაგს:
ორდერს ამკობს ბეჭედი —
ვირის ცხელი ფუნა.

ისმენს ცრემლებმომდგარი,
ბედნიერი ტურა
ღვთიურ „მთვარის სონატას“ —
თუთიყუშის „დურაკს“.

ყირაზე რომ გადადის,
ის ცალფეხა, ორპირ
მეფეს ფეხებს უკოცნის, —
ერთდროს, ალბათ, ორბი.

ეს კი — შავი ქვაბივით
მიჯაჭვული კერას,
თავად მეტრი — არშინით
ზომავს, ჭრის და კერავს...

ვინც კი დასწაფებია
სხვაგან წყარო — რუსო,
თვალთმაქცია — ფრანცისობს,
ესე იგი, რუსობს.

ცერზე დგება წრუწუნა,
იჭიმება სიმად:
დადიანი მგონიხარ —
ერს ღალატობ, ჯიმა!

ისე, გადავურჩიო
ზურებიან ომონს,
შენ უნდა თქვა, ცხვარივით
გაკრეჭილო ლომო...

სად იყო და სად არა,
დილის ნამით სველი,
ოდნავ რქებატოტვილი
მობაკუნდა შველი:

— ეს რა ხდება, უფალო?!
— არაფერი, სულე, —
გაუვარდა კაკალი
ყვავს, ბრიყვსა და სულელს...

დიდუ! რა ვერ გაუძლო
ჭოტის მზერა — კოჭობს,
შეუკურთხა ღამურამ
ვირს და წვირის ხოჭოს.

უმალ ჩარხი ბედისა
დატრიალდა წალმა.
გეხუმრეო, — თხუნელა
ფეხთ გაუწვა ახმახს...

აზრმა ღმერთისმიერმა
გაიმარჯვა — სალმა.

1992

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ხოჩე ადეიშვილი

### ყველამ უნდა ვიფიქროთ

ვიცი, აწი და აწი
ჩემი თავის პატრონი
მე თვითონვე ვიქნები,
ვერ დამალავს ფეხს ვინმე,
ძველ ცხოვრებას ვერაფრით
ვეღარ შევურიგდები.

ადრე მეკელედ სხვა მყავდა,
ახლა ჩემთვის შენა ხარ
ერთადერთი იმედი,
ყველამ თუკი ვიშრომეთ,
მჯერა, მალე გვექნება
ალბათ სხვა ეტიკეტი.

თორემ ისე სხვაგვარად
ვერაფერს ვერ გავხდებით,
დასჯის ყველას მერმისი,
ჩვენ — ჩვენს საქმეს ცალ-ცალკე
ხელი თუ არ მოვკიდეთ
ვერაფერი ვერ გვიხსნის.

ცხოვრებაში ასეა,
შანსი, ჩემო ტარიელ,
მხოლოდ ერთხელ გეძლევა,
სახლის შესაკეთებლად
რამე თუ არ ვიღონეთ,
თავზე ჩამოგვენგრევა.

ქვეყნის გადასარჩენად
საგანგებო მისიით
ისევ უნდა მესტუმრო,
თორემ სხვა გზით მივდივართ,
მტერ-მოყვარეს ვერ ვარჩევთ,
ჩვენდა საუბედუროდ.

ისე წახდა საწუთრო,
აღარც აკაკისა გვწამს
და აღარც ილიასი,
წინასწარ დადგმულივით
მიდის ჩვენი ცხოვრება,
როგორც კინოსეანსი.

მეტი ძალისხმევა და
სიფრთხილეა საჭირო,
როცა უჭირს ახლა ერს,
მიზნამდე ვერ მივაღწევთ
თუ არ ავწონ-დავწონით,
ამთავითვე ყველაფერს.

ბოლოს გვიან იქნება
დღემდე კაცმა არ იცის,
მერე რა გვეშველება,
ერთად უნდა ვიფიქროთ,
ყველამ უნდა ვიზრუნოთ
სულის გასამრთელებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტყვის წლები

მეტეხს იქით მოჩანს მთები
მოჩითული.
ზოგჯერ მისით მოდის ბედი,
მღერის სული.

ქაშუეთთან, ახლოს იქვე
კვდება კაცი.
როდის უნდა დაგიბრუნდეს
რწმენა აწი.

ეგერ-აგერ დამშრალ ღელეს
ნაღვლობს თვალი,
დაედება ყველას მალე
ცოდო-ბრალი.

ეს ცხოვრება სხვაზე ძლიერ
არ გახარებს.
თვლემ და შენთვის უნებლიეთ
ხუჭავ თვალებს.

რა თქმა უნდა, გწყდება გული,
ჩრდილში დგები.
ვინ რა შექმნა ღირებული
იტყვის წლები.

## მოწყალეა ღმერთი

იგვიანებ, სადა ხარ,
მე ვარ შენი მოწმე.
ნუ დამყვები კარდაკარ,
აწი აღარ მოვწევ.

შენ იქეთ და მე აქეთ.
მივადევნებ თვალყურს.
რა ხანია ვერ ვამხელ
სულის შემძვრელ კაკუნს.

ჩამოასხი ზედაშე,
დამრჩა მისი ხიბლი.
რას გავხდებით მე და შენ
ერთმანეთის ჯიბრით.

ახლა ჩვენთვის მთავარი
მოწყალეა ღმერთი.
შენი მუნჯი სამარე
მე ვარ ერთადერთი.

იმ სოფელში წასვლამდე
უკან მივდევ ტოლებს.
ამ საწუთროს ცალ-ცალკე
რა გამოასწორებს.

ხსნას და იმედს — მომხედე,
მხოლოდ შენში ვხედავ.
მოვალე და მოკეთე
ყველა მეცილება.

## დაგვიანებული ლექსი

ანა კალანდაძეს

ბევრი წყალი ჩაივლის, ისე როგორც ყოველთვის დრო თავისას იტყვის,
ვერვინ შეგეცილება, სამუდამოდ დაიდგამ, თავზე დაფნის გვირგვინს.

შეიცვლება დროება, მაღლა ცის კიბეებით სხვა პარნასზე აჰვალ,
ხიბლი აღარ გექნება, ყველაფერს მოესწრები, შენი თვალით ნახავ.

როგორც ციცინათელა, რიონის ხეობაში დღე და ღამე იფრენ,
ბაგრატიდან ყოველ დღე, წყალწითელას მრავალჯერ, გადმოხედავ კიდევ.

უმწიკვლოდ გატარებულ შენს ბავშვობის დღეებს მოიგონებ აწი,
არ შეცვლილა რაიმე, შენი მამის საძვალეს ისევ ისე აწვიმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელი ცხოვრება ომი და ჭიდილია, მაინც სულ სხვა არი,
ოქრო გადაფასდება, ქალბატონო ანიკო, გავა დრო და ხანი.

როგორც სულთა მხილველი, გეგუთსა და ვარციხეს ეხსომები მუდამ,
არ უნდა დაივიწყო, შენს მშობლიურ ქუთაისს მოეფერო უნდა.

## რწმენა თუ ვერ დავიბრუნე

ალარაფერს, ალბათ, ჩემსას
არ ექნება ფასი მერე,
ჩემს უმწიკვლო სიყვარულში
ყველა თუ არ დავაჯერე.

მაშინ ხელს ნუ გამომიწვდი,
შენად ნუღარ დამიგულებ,
რაც დავკარგე ცხოვრებაში,
რწმენა თუ ვერ დავიბრუნე.

ჩემს სიცოცხლეს რა ფასი აქვს,
ერთხელ სხვასაც თუ არ ვარგე,
ვალი თუ არ მოვიხადე
ქვეყნისა და შენს წინაშე.

ამ დაწყევლილ საწუთროში
რამე თუ ვერ მოვასწარი,
ვინმეს თუ არ შევაყვარე
სიბრალულით ჩემი თავი.

თორემ, მაშინ ვის რათ უნდა
მხარდაჭერა მარტო შენი,
რამე თუ არ მოვიფიქრე
სულის დასამშვიდებელი.

მომბეზრდა და სულ არ მინდა
ვიდეო და აუდიო,
ტყეში უნდა გავიქცე და
სადმე უნდა გავუტიო.

## სანამ ჩემთვის ინათებს

კობა ჯიბღაშვილს

მეტი სითამამე და
რისკი უნდა ყველაფერს,
ვერას გავხდი სიფრთხილით,
ბევრი ტანჯვა ვიწვნიე,
მერამდენედ ვინ იცის,
თვალწინ მიდგას სიკვდილი.

რაც არ უნდა ეცადო,
მაინც ვერ გამომიჭერ,
არ ეძებო მომენტი,
ფეხი არ მომიცვლია,
სხვისკენ არ გამიხედავს,
შენთან ვდგავარ ყოველთვის.

ვერ დავფარავ ვერაფერს,
თავში გამოგიტყდები,
სინამდვილე ასეა,
შენგან, ჩემო მოკეთე,
თავზე ხელის დასმა და
სიყვარული მაკლია.

მთელი ჩემი ცხოვრება,
როგორც გადამთიელ კაცს
ეჭვის თვალით მიყურებ,
ნუ გამწირავ, თუ ძმა ხარ,
გვერდით ამომიდექი,
ზოგჯერ ჩემზეც იზრუნე.

ჯერ არ დავმარცხებულვარ,
მაგრამ მაინც ზოგადად
დაყრილი მაქვს ფარ-ხმალი,
ქვეყანაზე ჩემს გარდა
თითქმის ყველამ მოძებნა
თბილი თავშესაფარი.

მოლოდინში წავიდა,
უღიმღამოდ გაფრინდა
ჩემი ახალგაზრდობა,
როგორც ვატყობ ამჯერად,
უფრო მეტჯერ მომიწევს
პოზიციის დათმობა.

კიდევ აწი მრავალ წელს
ბევრი წყალი ჩაივლის,
სანამ ჩემთვის ინათებს,
ჯერაც ვერ მომინახავს,
დღემდე არ მყავს სპონსორი,
მე ვინც დამაფინანსებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხვალ და მაზეგ...

დაკარგულზე აღარ ვდარდობ,
მაინც იმედი მაქვს ღმერთის.
ბედის განაჩენის გარდა
სხვა ხსნა არ ყოფილა ჩემთვის.

ცოდვის გზაზე სულ ბოლომდე
შემწედ მყავდი მხოლოდ ერთი.
შენ რომ გვერდით არ მყოლოდი,
ამდენ ტკივილს ვერ დავძლევდი.

ადრე, ჩემო ერთადერთო,
არ ესმოდა ვინმეს ჩემი.
ბოლმით დაჭრილ იმ ჩემ ენთან
ვერას გავხდი ძალის ხმევით.

არ მაძლევდა საშველს ბედი,
არც სიმდიდრით, არც ბარაქით.
სიკეთეზე ასჯერ მეტი
ვნახე მტრობა და ღალატი.

სხვაც გზა და გზა ბევრი ვნახე,
მოვესწრები კიდევ მრავალს.
ხვალ და მაზეგ ჩემი საქმე
უკეთესობისკენ წავა.

## კმარა აწი...

ჯვარი უნდა გადაგწერო,
ვერ დაგინდობ, ღმერთმანი,
ხვალ და მაზეგ ხევის ბერო,
რას მიპირებ ნეტავი.

ნუ დამტოვებ, გასაჭირში
დაგიდგები თავდებად.
სულის ხორცთან გასათიში
ჩემი რიგიც დადგება.

დასაღვრელი წმინდა სისხლი,
არ ჩაივლის უკვალოდ.
შენთან მოვალ თუ დაგჭირდი,
ჩემო მხსნელო უფალო.

წყალსაც წვეთ-წვეთობით დავლევ,
როგორც ჩიტი ნიბლია,
მგლის ხახაში ყოფნა, მარლენ,
კმარა, აწი ბიძია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



*მერაბ მაჭარაშვილი*

# ერთი ჩვენთაგანი

რაც თავი მახსოვს, და წინაპრებიდანაც ვიცი, ყოველთვის გავიძახოდით: „დღეს ისე, როგორც არასდროს, გვჭირდება...“ — და ამას სხვადასხვაგვარი მოსაზრებები მოსდევდა ხოლმე. გვყავდნენ დიდი, ჭეშმარიტი მასწავლებლები — სულხან-საბა, ილია და აკაკი, გოგებაშვილი, ვაჟა, და გვყავდნენ ისეთი ცრუ წინასწარმეტყველებიც, ეკლესიებს რომ შეურაცხყოფდნენ. ალბათ, ყოველი თაობის საპატიო ხვედრია აწმყოს უკუღმართობების შემჩნევა და შეუგუებლობა მათთან, მაგრამ მაინც მგონია, რომ ახლა ძალიან მარებულად ჟღერს: „დღეს ისე, როგორც არასდროს, გვჭირდება...“ რა... ამ საშინელი ურთიერთხოცვის ჟამს, და ყოველგვარი გაჭირვებისას, რა, რა გვჭირდება? ცოტათი კი არა, ძალიან მერიდება საკუთარი აზრის გამოთქმა, რადგან დღევანდელ საქართველოში იმდენი ჭკუის დამრიგებელია, თითო კაცზე ორი მასწავლებელი მოდის (არ ვაჭარბებ, რადგან საგრძნობი ნაწილი ვითარებისდა მიხედვით ხშირად იცვლის შეხედულებებს). გავბედავ და, არა მგონია, ვცდებოდე, ვიტყვი: გვჭირდება, პირველ ყოვლისა, ქრისტიანობა (ოღონდ არა ისეთი, მხოლოდ ჯვრის ტარებით და სწრაფი პირჯვრის გადაწერით რომ გამოიხატება), რაღა თქმა უნდა, შრომა, და კიდევ ერთი რამ (შრომასთან ერთად, თავსა და თავში, ქრისტიანობაში რომ შედის). ორიოდ მაგალითს გაგიზიარებთ.

ახლობელმა მითხრა, რომ ერთხელ განსაკუთრებით ერიდებოდა ქუჩაში გასვლას, სხვა რომ არაფერი, ერთდროულად ბრიყვული და თან გაბოროტებული სახეების დანახვა აღარ შეეძლო, აღარ შეეძლო ერის ეგრეთწოდებული „მომავლის“ გარკვეული, თვალში ცუდად საცემი ნაწილის აცოხნებული ყბების დანახვაც კი, ეშინოდა რომ, თავადაც უნებურად გაბოროტებულს, ჩვენში მოარული გადამდები სენით — „კაცი ჰკალ, კაცი ჰკალ“ — ვინმესთვის თავადაც არ წაეჭირა ყელში თითები, და რომ ამ ყოყმანში იჯდა, იჯდა, და უცებ, ღვთის წყალობა — რადიოდან ვერდის ერთი ძალიან ცნობილი ნაწყვეტი მოესმა, სადაც გუნდი, კეთილი მომავლის რწმენით გაჟღენთილი და აღზევებული, უკეთესი მომავლის რწმენას ფართო გალობით ქადაგებს, და რომ ისმენდა ამას და თან გაოცებით გრძნობდა, როგორ კეთილშობილდებოდა თავადაც, როგორ მაღლდებოდა... რომ იქავე იგრძნო, რომ ქუჩად გასული, გალიზიანებით კი არა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორლაც უცნაური თანაგრძნობითა და სწორი თანადგომით შეაცქერდებოდა ბოროტებისაკენ უნებურად, აყოლილად მიდრეკილ სახეებს...

ერთი გადაცემა ვნახე რუსეთის ტელევიზიით: სადღაც, უხმაურო ქუჩაში, კაცი იდგა და, გიტარის თანხლებით, ძველებურ რომანსებს სწორად მღეროდა. ალბათ, ძალიან ციოდა, რადგან მღერისას ყურებს იზელდა და პირიდანაც უხვი ორთქლი გამოსდიოდა. გადაცემას „თეთრი ყორანი" ერქვა. კაცი მღეროდა როგორლაც თან მარტივად და თანაც დიდის სიღრმით, და გვიჩვენეს ჯერ იმათი შეფუთნილი სახეები, იმათი თვალები, ვინც ისმენდნენ, და მერე იმათი, ვინც სხვაგან, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივ ყოფაში,ურომანსებოდ იყვნენ. სხვაობა ძალიან, ძალიან დიდი იყო... მერე ის კაცი ალაპარაკეს. ჰკითხეს, ფილარმონიის სოლისტი ამ ყინვაში ნებაყოფლობით რატომ მართავდა უფასო კონცერტს, მან კი ძალიან უბრალოდ ახსნა, რომ „ხალხს სჭირდება ეს".

ეს — ხელოვნება, ანუ სიყვარულის ერთ-ერთი სახეობა იყო. სიყვარული უცნობებისადმი, მაგრამ ახლობლებისადმი — ადამიანებისადმი. რაღა თქმა უნდა, ეს ქრისტიანობის ძირითადი, საყრდენი ცნებაა, მაგრამ ხალხს საჯაროდ რომ გამოუფინო შვება, ეს საქციელიც მუდამ მოქმედი ქრისტიანობის თვალნათლივი ნაწილაკია.

მეც ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ჩემთვის, მართალია, ვერშესწავლილ, გაუგებარ მეცნიერებებთან ერთად, როგორიცაა, ვთქვათ, ეკონომიკა-ფიზიკა თუ მათემატიკა, ხალხს თუ პირველ რიგში არა, აუცილებლად სჭირდება ხელოვნება — საქმე დიდი და მაკეთილშობილებელი.

ეს ვრცელი შესავალი იმისათვის დამჭირდა, მერაბ მაჭარაშვილზე, მისი პირველი ნაწარმოებით ჩემი გახარება რომ მოგახსენოთ:

აქ ყველაფერი ნაღდია, ნამდვილია, თუკი წვიმს, მართლა წვიმს და თუკი თოვს, მართლა;

აქ გონების თვალით მართლა დავინახე, როგორია ზუსტი და თან უკანონებო პროზის გამოვლინება — მისი ფარული მაჯისცემა, გონიერება, სიღრმე, ძახილის ნიშნის მიუხედავად, არამყვირალა განგაში და სითბო;

ფორმის გარეგნულმა დარღვევამაც, რაც პოეზიას უფრო სჩვევია, მეც კი, ძველი „კონსერვატორი", კარგად ამაღელვა, რადგან ეს უცნაურობაც აქ თავის ადგილზეა, როგორლაც საჭიროა... ეს გადახრები ძნელი კია, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, აქაც დიდი შვებაა — სინამდვილე; ხანდახან, ჩვეულებრიობაზე უფრო ძნელი; აქ სიტყვისმიერ რძეს, სითეთრესთან ერთად, რძის გემოცა აქვს;

ვიცი, რომ მკითხველისთვის ასეთი წინა სიტყვა ხშირად გამაღიზიანებელი, და ავტორისათვის ცუდი სამსახურია, მაგრამ ნაწარმოები „ჩ ე მ ი" ეძღვნება მართლა დიდ კაცს, ჩვენს საერთო შემოქმედ-შვებას, ჩვენს ღირსებასა და სიამაყეს, ვინც სამშობლოსათვის ყველაზე მძიმე დღეებში გარდაგვეცვალა... თუ ვინაა იგი, ამ თან სხვადასხვაამბა და თან ერთიანი ნაწარმოების დასასრულთან, აუცილებლად მიხვდებით.

რადგან თქვენ ხომ მკითხველი ხართ იმ ჟურნალისა, სადაც თითქმის ყველა თანამედროვე ქართველმა მწერალმა აიდგა ფეხი.

ერთი ერთგული და ნამდვილი ჯარისკაცით „ცისკარი" დღესაც, უკიდურესი ძნელბედობისას, ახლაც გაგვამდიდრებს.

უცნაურია, მაგრამ დიად სახელთან ერთად, როგორ გვჭირდება ნამდვილი ხელოვნების ჯარისკაცი ჩვენ, ჩვენი ალაგ მივიწყებული ხალხური პოეზიის, სიმღერების, ცეკვებისა და ფრესკებიანი ეკლესიების პატრონს.

„დღეს, როგორც არასოდეს, ისე გვჭირდება".

**გურამ დოჩანაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩ ე მ ი

## ნოველები — მოთხრობა

*თუ გაცინეთ იქ, სადაც მე ვიცინოდი, და თუ გატირეთ იქ, სადაც მე ვტიროდი, მაშინ მიზანი მიღწეულია; და მე ბედნიერი ვარ!*
*გმადლობთ, ჩემო ძვირფასო მკითხველო.*

### სიცოცხლე

*გურამ რჩეულიშვილს*

ნამიანი, გრილი სიპი, ფეხისგულებს აგრილებს, აცივებს. კლდის ჩრდილი ტალღებზე გაწოლილა, ტორტმანებს. ცის კიდე ჯერ ავარდისფრდა, შემდეგ გაწითლდა...

...გამარჯობა, მზეო! — მზეო, მზეო, მზეო... გამარჯობათ, მთებო! — მთებო, მთებო, მთებო... გამარჯობა, ზღვაო! — ზღვაო, ზღვაო, ზღვაო... ეჰეი, მე ის მიყვარს! — მიყვარს, მიყვარს, მიყვარს... მასაც ვუყვარვარ! — ვუყვარვარ, ვუყვარვარ, ვუყვარვარ... ის იქნება ჩემი ცოლი! — ცოლი, ცოლი, ცოლი... ის იქნება ჩემი შვილების დედა! — დედა, დედა, დედა... ჩემი შვილიშვილების დიდედა! — დიდედა, დიდედა, დიდედა... მე ვარ ბედნიერი! ბედნიერი, ბედნიერი, ბედნიერი...

...მზეო, მე შენ მიყვარხარ! — მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ... მთებო, მე თქვენ მიყვარხართ! მიყვარხართ, მიყვარხართ, მიყვარხართ... ზღვაო, მე შენ მიყვარხარ! — მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ... მე თქვენ მიყვარხართ! მიყვარხართ, მიყვარხართ, მიყვარხართ...

ქიმზე ნამი აშრა, ქვა გაცხელდა, და ფეხისგულებს წვავს, ტალღები კლდეს ეშხეფებიან, ქაფდებიან, ბრაზობენ... მაღლა ცაა. შუაში, მთები. დაბლა — ზღვა...

...ნახვამდის, მზეო! — მზეო, მზეო, მზეო... ნახვამდის, მთებო! — მთებო, მთებო, მთებო... ნახვამდის, ზღვაო! — ზღვაო, ზღვაო, ზღვაო...

### სიკვდილი

*„...საშინელებაა!.. ალპინიზმი უმსხვერპლოდ შეუძლებელია".*
*გურამ თიკანაძე.*

შავსუდარაგადაკრული თავდახურული კუბოები დიდ დარბაზში ასვენია. კედლები თალხი ფერის ხავერდს დაუფარავს. ხავერდზე მომღიმარი ვაჟების ხუთი, მუქჩარჩოიანი, გადიდებული ფოტო ჰკრთის. კუბო ოთხია. თითოეული ფოტოს ქვეშ მთამსვლელის წერაყინი და გაგლეჯილი თოკის ნაწილია მიმაგრებული. ხალხი ნაკადად შედის დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზში, კუბოებს გარს უვლის, ფოტოებსლა უმზერს, და ისევ გადის, ჭირისუფლები ერთად სხედან. მერე მოღიმარე ვაჟების მეგობრებმა წერაყინები ჩამოხსნეს, კუბოებს ზემოდან დააკრეს და დალუპულები გაასვენეს. მეხუთე წერაყინი მეხუთის ბიჭს აჩუქეს. ოთხივე კუბო ერთ მანქანაზე მოათავსეს. მანქანის გარშემო ბევრი ყვავილი ჰყრია. ასფალტი არ ჩანს. ყველანი ტირიან ან იცრემლებიან. მეხუთის შვილს წერაყინი მკერდზე მიუკრავს და ფერწასული მისჩერებია კუბოებს. მანქანა დაიძრა. ჭირისუფლები მსუბუქ ავტოებში ჩასხდნენ, მოსამძიმრენი — ავტობუსებში. ავიდნენ სასაფლაოზე. ოთხივეს საფლავი გვერდიგვერდ გაუჭრიათ. ფოტო ისევ ხუთია: ისევ იღიმებიან მუქი ჩარჩოებიდან... აიზილა სასაფლაოს ყვითელი თიხა-მიწა. იტირეს. შემდეგ რიგრიგობით ჩაასვენეს, მიწა დააყარეს, ზემოდან ყვავილები მოაფანტეს, და წავიდნენ... გარშემო მოჩანს მარმარილოსფილებიანი ძველი საფლავები. საფლავებს შუა, წვრილ ხრეშმოყრილი ბილიკი მიიკლაკნება. ბილიკის თავში, დაჟანგულ ანჯამებზე ალაყაფის კარი ჰკიდია. ალაყაფზე მავთულითაა დამაგრებული ლითონის ოთხკუთხა ფირფიტა. თეთრად შეღებილ ფირფიტაზე დახრილი შავი ასოებით აწერია:

ს ა ს ა ფ ლ ა ო   მ უ შ ა ო ბ ს:
10 სთ-დან 19 სთ-მდე.
დასვენების დღე: ორშაბათი.
და მორჩა. ეს არის და ეს.

## წვიმა

წვრილად წამოწვიმა. გუბეებს საკენკს მისეული ჩიტებივით დაუკაკუნა და პატარ-პატარა წრეები გაუჩინა. მტვრის სუნი დადგა. ხეებს ნელ-ნელა, ლაქებად შეეპარა სისველე. ჰაერი განაცრისფრდა, ნესტით დაიტენა. მიწა გაიჟღინთა და ნაურმალში ატალახდა. იელვა, ოღონდ უხმოდ. ტეხილ ცისფერ ხაზად გაკრთა, და გაჰქრა. ღელეში წყალი აიმღვრა, მოიმატა. მოთეთრო ნაფოტა და ჭრელმა გველანა თევზებმა დარანებსა და დიდ ქვებს შეაფარეს თავი. პატარა ყავისფერი კიბორჩხალები მოდიდებულმა წყალმა გზადაგზა ნაპირზე გამოყარა. კაკლის ხის ტოტებს გალუმპული ყვავი შეეფარა. ისევ იელვა, იქუხა კიდეც. ხეობამ ექოდ გააგრძელა ქუხილის ხმა. წვიმა გაძლიერდა. დიდმა და მძიმე წვეთებმა ღრმა გუბეების ძირებსაც უწვდინა და ისინიც აამღვრია. სასაფლაოზე საფლავის ქვები გადაირეცხა და მათზე მოდებულმა, მზედაკრულმა, დამჭკნარგახუნებულმა ხავსმა, მომწვანო-მოშავოდ გამოიხედა. ეკლესიის ფარღალალა სახურავში წვეთებმა გაჟონა და კედელზე დამაგრებული ირმის რქები და დაფუტუროებული იატაკი დაასველა. საფლავებს შორის გაკვალულ ბილიკებს გარდა, ყველგან წელამდე მოძალებულმა ბალახმა ხასხასი დაიწყო. ასწლოვანი ფიჭვის ფუღუროდან ციყვმა გამოიჭყიტა და ისევ უკან შეიმალა. ძლიერად იქუხა. წვიმამ იმატა.

## სადღაც

ნაშუადღევს, ობობასავით გაუშლია უზარმაზარი ოქროს საცეცები — სხივები — მზეს. ნიავი ქრის, ფოთლებს აშრიალებს. სხივები თრთიან, და დიდრონ ხეებს ელაციცებიან.

გოგო: — მი-ყვარ-ხარ!
ვაჟი: — ვიცი...

. . . . . . . . .

გოგო: — ძალიან მი-ყვარ-ხარ!
ვაჟი: — ვი-ცი...

. . . . . . . . .

გოგო: სიგიჟემდე მი-ყვარ-ხარ!
ვაჟი: — ვ-ი-ც-ი...

. . . . . . . . .

ვაჟი: — რა არის სი-ყვა-რუ-ლი?!

. . . . . . . . .

გოგო: — ...არ ვიცი... მაგრამ, ძალიან მიყვარხარ!
ვაჟი: — ჰმ...

. . . . . . . . .

მზის სხივები წყლის ზედაპირზე ირეკლებიან, ხეებთან ლაციცობენ. ნიავი ქრის, და ფოთლები შრიალებენ...

ეროვნული

## დაცემა?

ქარი ქრის.
ბევრი ფოთოლი.
ღრუბლიანი დღე.
დიდი ნაღველი.

ჭერი ძირს დაეშვა; კედლებმა მიიწიეს; სუნთქვა გაძნელდა; კუთხეში წითელმა თაგვმა გაირბინა; ჭერზე ყვითელი ობობა გაცოცდა; ჭრელად ინათა; შავად დაღამდა; არც მთვარე ჩანს, არც მზე; თავი გაცხელდა, აშიშინდა, პირი ჩაიდანის ყელივით დაგრძელდა, ორთქლი ამოუშვა; ობობამ კარნიზზე გადაინაცვლა და ცისფერი თვალები ააკიაფა; წყნარი ზუზუნით გაიფრინა ვარდისფერმა ბუზმა, კარადაზე დაჯდა; ფოლადის ორმაგი კარი უხმაუროდ გაიღო, მაგრამ არავინ შემოსულა; კარს იქით სინათლე ზოლებად ანათებს; ქარმა დაჰქროლა და სახლი შეაზანზარა; მჭოლი სისინით შემოცურდნენ ყელმოღერებული შავი გველები; გლუვი სიბასრე ეტაკა გველებს და უმალ ნაჭერ-ნაჭერ აქნა; ზარმა მელოდიურად დარეკა; ვიღაცამ სადღაც რაღაც იკითხა; ვიღაცამ უპასუხა; ატყდა: ჯერ ხმამაღალი საუბარი, შემდეგ აურზაური და ქალის კივილი; ფანჯრის მინებს გარედან ცეცხლის ენები ეთამაშება; მათი ლანდები იატაკს ლოკავს; კედელზე დაკიდებულ სურათზე გამოხატულმა ფაშატმა დაიჭიხვინა და, კვიცთან ერთად, თოვლიანი მთებისაკენ მოჰკურცხლა; აკვარიუმში წყალი აღელდა; თევზები წყლიდან ამოვიდნენ და ორ ფეხზე სიარულსა და სჯა-ბაასს მოჰყვნენ; აივანზე გასასვლელი კარი დაგრძელდა და მისი სახელურები ჭერს მიღმა გაუჩინარდა; ბუფეტზე მიკრულმა, ხისაგნ გათლილმა ჩინელმა ქალებმა ქოლგები გაშალეს და წვიმას დაემალნენ, კედლის ძირში ლითონის მსხვილი მილი შემოძვრა, შუა ოთახზე გაიარა, და მოპირდაპირეში გაძვრა; ფანჯრის შავი მინებიდან მოჩანს: გარეთ ხასხასა ყვითელი ფერის, მოლურჯო მრგვალლაქებიანი ფრინველები დაფრინავენ და გამყივანი ხმით ჰყეფენ: [illegible] ღრღნის, და სისხლის დენამდე მისული ფხანა უზომოდ სიამოვნებს; შიგადაშიგ ბალანსაც იგლეჯს ტანიდან; კედლების შეფერილობა წამდაუწუმ იცვლება; ოთახი სულ უფრო და უფრო ვიწროვდება; რადიატორები აკორდეონებივით იშლებიან და იკეცებიან. ხვრელი გაფართოვდა და გასკდა; ფანჯრებს მიღმა ფოლადის ბურთულების სეტყვა დაიწყო და მიწა, შოკოლადიანი ნაყინის სქელი ფენით დაიფარა; კედელზე ჩამოკიდებულმა საათმა ჯერ დარეკა, შემდეგ კი ქანქარით დააკაკუნა; კედელი გაიხსნა, საათი გარეთ გაფრინდა, კედელი ისევ დაიხურა; ელექტროგაყვანილობის სადენებს ცეცხლი წაეკიდა და ფრქვევით იწყო წვა; ოთახი სულ დავიწროვდა; მხოლოდ ფეხზე დგომა ხერხდება; ჭერი მხრებამდე ჩამოვიდა, კედლები ფიცრებად გადაიქცა და თავთან შეიკრა; ყუთი წაიქცა და ტრანსპორტიორის მოძრავი ლენტის ნაგლეჯზე დავარდა; ლენტი დაიკლაკნა, ათუხთუხდა და წინ გაქანდა; ცოტა ხნის შემდეგ ნაგლეჯი მთლიან ლენტს შეუერთდა; იმ ლენტზე ბლომად დგას სხვადასხვა ზომისა და შეფერილობის ყუთები; ყუთებს შიგნიდან ვიღაცეები თუ რაღაცეები ხტიან, აბრახუნებენ, იჭინთებიან; ლენტი ნელა მოძრაობს; ლენტის ბოლოში უზარმაზარი, გავარვარებული, პირმოხდილი ღუმელი დგას; გადამწიფებული ყუთები პანტაპუნტით ცვივა ღუმელში და ტკაცატკუცითა და გოდებით იწვის; დგას საზიზღარი სუნი... რევოლუციაა, რევოლუცია; ჩამობნელდა. რა, ტირი? ჰო. მერე. რა გატირებს? რა ვიცი, ვტირი... ხომ იცი... ჰო, ვიცი... ტირი? არა, ცვლილებებია. ცრიდა.

## დათვი და ენძელა

ხანდახან ჩვენ დროშიც ხდება საოცრებები, მაგრამ სამწუხაროა, რომ მხოლოდ... ზღაპრებსა და სიზმრებში.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა იქნებოდა, იყო ერთი პატარა ენძელა. ენძელა ტყის პირას, ნაკადულთან ცხოვრობდა. ტყე დიდი იყო, საშიში, და უცხო ხმებით სავსე. შუაგულ ტყეში დიდი მურა დათვი ბინადრობდა. დათვი ყოველდღე მიდიოდა ენძელასთან, წინ უჯდებოდა და მდუმარედ შესცქეროდა. ენძელა იმორცხვებდა, თავს ხრიდა და ოდნავ წითლდებოდა. დათვი ხანდახან ღრმად, დათვურად ოხრავდა, მერე ოთხზე დგებოდა და თავისი ბუნაგისაკენ მიემართებოდა. ენძელა თავს მაღლა სწევდა და მიმავალ დათვს მზერას აყოლებდა. ამ ტყეში მაცხოვრებლებმა იცოდნენ, რომ ენძელა დათვის შეყვარებული იყო და მის განაწყენებას ყველა ერიდებოდა. არა და, ტყეში აუარება ცხოველფრინველი სახლობდა: მგელი, მელა, ირემი, კურდღელი, კოდალა, ბუ და კიდევ ბევრი სხვა. ისინი ენძელას მომდურებას განა მარტო იმიტომ ერიდებოდნენ, რომ მურა დათვის ეშინოდათ, არა, იმიტომაც, რომ ისინი დათვს პატივს ცემდნენ. რადგან ის არაჩვეულებრივი დათვი იყო. არავის ჩაგრავდა, ირმებს არ დასდევდა, ხეებს ტოტებს არ ამტვრევდა, და კბილის ტკივილის დროსაც კი თავის ბუნაგში მიძვრებოდა და იქ კვნესოდა და ბორგავდა. ცხოვრობდნენ ასე ცალ-ცალკე, და მაინც ერთად, დათვი და ენძელა, ვიდრე ერთხელ, გაზაფხულის ერთ წვიმიან და ტალახიან დღეს უბედურება არ ეწვიათ. მონადირეები ნაკადულთან დათვის ნაკვალევს წასწყდომოდნენ, გაჰყოლოდნენ, მიეგნოთ მისი ბუნაგი და დათვი მოეკლათ. შემდეგ მკვდარი დათვი ურემზე დაედოთ და მონადირეთა ქოხში ჩაეტანათ. მონადირეებს თან ბავშვები ახლდნენ, რომლებიც ტყეში სოკოებს აგროვებდნენ. იმ დღეს ბავშვებს, სოკოებთან ერთად, ყვავილებიც ბევრი ეკრიფათ და ქოხში მიეტანათ. იმ დაკრეფილ ყვავილებში ჩვენი ნაცნობი ენძელაც მოჰყოლოდა, რადგან ის ყველაზე ლამაზი და გამოსარჩევი ენძელა იყო მთელი იმ ტყის ენძელებში. მონადირეებმა დათვი ქოხში შეათრიეს და ბუხართან დააგდეს. ენძელამ იცნო მეგობარი და მოიწყინა, ბავშვები მკვდარი დათვის გარშემო დახტოდნენ და თამაშობდნენ. მერე ერთმა თქვა: მოდი, დათვი ყვავილებით მოვრთოთო. აიღეს ყვავილები და ზოგი გულზე დააყარეს და ზოგი თათებზე. ლამაზმა ენძელამ, რომელიც დათვის მკერდსმიკრული აღმოჩნდა, მწარედ იტირა. ცრემლი დათვს დაეცა და, ჰოი საოცრებავ: დათვის ტყავიდან ულამაზესი ჭაბუკი გადმოხტა და ენძელა ხელში აიტაცა. შეშინებული ბავშვები წივილ-კივილით გაცვივდნენ გარეთ. ენძელამ ცრემლებიანი თავი დახარა და დაჭკნა. ჭაბუკმა ნაზად მიიტანა დამჭკნარი ყვავილი ბაგეებთან და ნაზადვე ეამბორა. და ისევ, ჰოი საოცრებავ: ენძელა გამოცოცხლდა, წელში გასწორდა, გაიშალა, გაიზარდა და ულამაზეს ქალიშვილად გადაიქცა. ჭაბუკმა და ქალიშვილმა კარი გააღეს და გარეთ გავიდნენ. ქოხთან აღარავინ იყო: ბავშვების მონაყოლით შეშინებული მონადირეები უკან მოუხედავად გაქცეულიყვნენ. ჭაბუკმა და ქალიშვილმა ხელიხელს ჩაჰკიდეს და მშობლიური ტყისაკენ გაემართნენ. მივიდნენ და კიდევ საოცრება: დათვის გამქრალი ბუნაგის სანაცვლოდ, ლამაზკიბეებიანი და ფართოდარბაზებიანი უზარმაზარი სასახლე დახვდათ. ჭაბუკმა და ქალიშვილმა ერთმანეთს გადახედეს, გაიღიმეს, შევიდნენ სასახლეში და დაიწყეს ერთად ტკბილი ცხოვრება. ამბობენ, რომ მათ თორმეტი შვილი შეეძინათ: ექვსი გოგო და ექვსი ბიჭი. ბიჭები ყველანი მამას ჰგავდნენ, გოგონები კი დედასო. და ცხოვრობდნენ ასე ბედნიერად და უზრუნველად კეთილის მსურველთა სულის გასახარად და მტრების გულის მოსაკლავადო. ასე ამბობენ და, რამდენად შეეფერება ეს სიმართლეს, არავინ უწყის.

. . . . . . . . . . . .

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, ერთ ულრან ტყეში ცხოვრობდნენ დათვი, და ენძელა.

. . . . . . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წელიწადის ოთხი დრო

## გაზაფხული

წიფლები და მუხები;

მიწიდან ამოჩრილი მსხვილი ფესვები;

მაისის ხოჭოს მატლები წიფლის ფოთლებზე;

იქვე წითელ ჭიანჭველთა მოძრავი, ორმწკრივა ქარავანი;

ნახევრად ჩამოშლილი, გამავებული ბუდე და მწვანე ფითრი;

ჩანჩქერი უზარმაზარ, ნაცრისფერ ლოდებს შორის; პატარა, ღრმა მორევი;

წყლის პირზე სამი ერთმანეთს მიკრული, მზეს მიფიცხებული თევზი;

კლდის თავზე ბებერი, მოთეთრო-მოყვითალო ანკარა; ლოდებზე — ჯოჯოები;

მდინარის გასწვრივ ახალგაზრდა ხეები, ხევის ფერდებზე — მსხვილები;

ვეება ფუღუროს ჩამავებული თვალი ტოტებშიშველ მუხაზე;

დამპალ ფოთლებს შორის მიმალული ქამასოკოები;

მოფუთფუთე, დედალ-მამალი, ყვითელნისკარტა, შაშვი;

ბოლოქანქალა წყლის პირას, გალიპულ ქვებზე;

წყნარი, გრილი ნიავი.

## ზაფხული

პატარა ნაკადულის გასწვრივ მაღალი, ხასხასა ბალახი;

დიდ ქვაზე განაბული მომწვანო-ყავისფერი ხვლიკი;

გვერდებზე შავად დაწინწკლული, წითლად მოღალანე ყაყაჩო;

მდელოზე ყვითელ-ცისფრად მოდებული წვრილი ყვავილები;

ორი დიდი, ცეცხლისფერი, ერთმანეთს ადევნებული პეპელა;

რქებაშვერილი, მოკიდებული ბუდიდან თავამოყოფილი ხობოკვერა;

სხვადასხვა ხმაზე მოჭრიჭინე, მხტუნავ-მფრინავი კალიები;

მოზრდილი, პრიალა ბუზები, ნემსიყლაპიები, ბზიკები, ფუტკრები;

და სუნი, ყველაფრის ერთმანეთში არეული, მათრობელა სუნი.

## შემოდგომა

წარწერა ნავმისადგომის კედელზე: „ბანაობა სასტიკად აკრძალულია!“;

ძირგამომპალი, გვერდებატკეჩილი, რკინის, სოლზე დაბმული ნავი;

უპატრონო, ჭუჭყიანი ძაღლების მხიარული ხროვა;

სამაშველო სადგურის შენობის კარზე ვეება ბოქლომი;

რკინაბეტონის კედელთან დაზვინული სკამლოგინები;

ნაპირზე უამრავი მედუზა და წყალმცენარე;

სილა გაჟღენთილი, დატკეპნილი, მძიმე;

სანაპირო უკაცრიელი და მიტოვებული;

ცაში რამდენიმე სველი თოლია;

წყალი დაძარღვული, ტალახიანი;

ტალღა სალათისფერი, მუქი;

ზედაპირი დუჟმორეული;

ჰაერში წყლის მტვერი;

ქაფი და ზათქი;

ტალღები;

ზღვა.

## ზამთარი

დილა;

ყველგან თოვლი;

ხეები გაძარცული, გაფარჩხული;

ბუჩქები დამრგვალებული, სითეთრეში ჩაკარგული;

სერზე წაფერდებული, ვეება ვერცხლისფერი ფიჭვი;

ხეობის შავი, ჰორიზონტიდან მომავალი, კლაკნილი ზოლი;

შორს — თეთრ მთათა გადაბმული გრეხილი;

ყვავები გამხმარი ტყემლის ტოტზე;

ცა ლეგა-ნაცრისფერი;

ღრუბელი ლურჯი;

ყინვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შარშანწინ, ზღვასთან

*რაც მინდოდა თუ ვერ გითხარ,
მაპატიე, შენ ხომ ზ ღ ვ ა ხარ.*

ზღვა ცისფერია, ცა — ზღვისფერი. ნაპირთან ახლოს, სილაში, პირჩალმა გდია მოზრდილი ნავი.

ძია ივანე, ოჯახის უფროსი, ძველი მეთევზეა და ნავი მისია. ივანეს ძალიან უყვარს ზღვა და ხშირად გადის ზღვაში ამ ნავით ხან სათევზაოდ და ხან — როგორც თვითონ ამბობს — სულის მოსაოხად, ფიქრებთან ეულად დასარჩენად. ფიქრებთან სალაღობოდ გასული შედის შორს, ძალიან შორს, ნაპირს თვალთახედვიდან კარგავს, შემდეგ ნიჩბებს ილებს, ნავს ზღვას ანდობს, თვითონ ნავის ძირზე წვება, ხელებს თავქვეშ იწყობს, ცას უყურებს, და ფიქრობს. ხშირად იძინებს კიდეც და ნაპირზე მეორე დღეს ბრუნდება. ერთი ასეთი გასვლა სამი-ოთხი კვირა ჰყოფნის. შემდეგ კვლავ უჩნდება მარტოობისა და ფიქრის მძაფრი მოთხოვნილება და ისევ გადის შორს ზღვაში. ახლა ივანე ძველი ფარდულის ჩრდილში ზის, გარღვეულ ბადეს კემსავს დს მეთევზეების ძველებურ სიმღერას ღიღინებს. სახლიდან ივანეს შვილიშვილი, ირა გამოდის. მას ხელში ქვაბი უჭირავს. მე ვუმზერ ირას და სულში სასიამოვნო გრძნობა მეღვრება. ირა გრძნობს ჩემ მზერას და განწყობას, ტუჩების კიდეებში ეღიმება, მაგრამ მალევე ისხლეტს ღიმილს და თეძოების გამომწვევი რხევით სამზარეულოსაკენ მიდის. მეღიმება. ცოტა ხნის შემდეგ ირა სამზარეულოდან გამოდის და ჩემკენ მოემართება. თუმცა სურს, რომ თავი შეიკავოს, მაინც ვერ ახერხებს და ფართოდ ეღიმება. მეც მეღიმება. ირა მიახლოვდება და ქილით რძეს მაწვდის. ვართმევ და ვსვამ. შუადღე გადასულია, ცხელა და სარდაფიდან ამოტანილი ცივი რძე მსიამოვნებს, ქილას ძირამდე ვცლი და ირას ვაწვდი. ირას სურს გამომართვას, მაგრამ მე ხელს გვერდით ვწევ. ირა ცდილობს, რომ ქილა წამართვას. მე ქილიან ხელს ზურგს უკან ვმალავ. ირა უცბად მეხვევა, ტანით ორივე ხელს მიბორკავს და ცდილობს ქილა ხელიდან გამომგლიჯოს. სკამი ვერ უძლებს ასეთ დატვირთვას, ტრიალდება და ჩვენ ძირს ვეცემით. ქილა ტყდება და ნამსხვრევებით ხელი მეჭრება. ირა ზემოდან მაწევს და კისკისებს. ივანე ჩვენკენ იყურება, პირის კუთხეში გაჩრილ სიგარეტს ილებს და, აი თქვე ეშმაკებო, დღისითმზისით რა დღეში ხართ, ჩემი მაინც შეგრცხვეთო, გვეძახის. ირა ხარხარით გარბის. მე ვდგები და სკამს ვილებ. სკამი დასაკეცი იყო და არ გამტყდარა. მერე მეც მეცინება და ივანესთან მივდივარ. აი, აი, ქართველო, რა დღეში ხარ, მეუბნება ძია ივანე, ეშმაკურად ჭუტავს თვალებს და იცინის. მე ვცდილობ ავუხსნა, რაც მოხდა. ვიცი, ვიციო, მაწყვეტინებს ივანე და ისევ იცინის. მეც ვიცინი. ირა სახლიდან გამოდის და მეძახის, თანაც იოდისხსნარიან პატარა ბოთლს მიჩვენებს. ეხლაღა მახსენდება ჭრილობა. მივდივარ ირასთან. ირა ჭრილობაზე იოდს მისვამს. მეწვება და ვიჭმუხნები. ირა სულს მიბერავს. მერე წელში სწორდება და — შენზე ახიაო, მიცინის. ირას ყელზე ორი თეთრი ზოლი ემჩნევა. ეს ჩემი რძიანი ტუჩების კვალია. წელან რომ წავიქეცით, მოვასწარი და ვაკოცე. მეცინება. რას იცინიო, მეკითხება. ყელიდან რძის ნალებს ვწმენდ და თითით ტუჩებზე ვანიშნებ. ირა იცინის და იოდისმიანიანი მუშტით მემუქრება. მეც ვიცინი. ივანეს ბადის კემსვა მოუთავებია, ეხლა უქმად ზის და სიგარეტს ეწევა. მე გვერდით ვუჯდები. ივანე სიგარეტს მთავაზობს. მე ვუარობ, ჩემ ჩიბუხს ვიღებ, ვტენი, ვეწევი. ივანეს ძალიან უყვარს ახალგაზრდობის გახსენება და ეხლაც თავისი მეთევზეობის დროინდელ ამბებს მიყვება. მე ვუსმენ და თანაც თვალი სახლისაკენ მიჭირავს. ირა არ გამოდის. ძია ივანე, რატომ არ ათხოვებ შვილიშვილს? ვეკითხები. ივანე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრებს იჩეჩავს და იცინის: შენ თუ მოგწონს, ითხოვე. ვუხსნი, რომ საცოლე უკვე მყავს. საცოლე კი გყავს, მაგრამ წელან ძალიან ეხვეოდი ჩემ შვილიშვილს? — ისევ იცინის ივანე. მეც მეცინება. არა უშავს, შვილო, მეც ვიყავი ახალგაზრდა, ამბობს ივანე, მახსოვს ერთი ქალის ქმარმა ისე უმოწყალოდ მცემა კეტით, რომ სული საიქიოს კინაღამ წავილე, ხოლო ირას ბებიას გულისათვის ატეხილ ჩხუბში დანით დამჭრეს და ძლივს გადავრჩი. ირა ეზოში გამოდის და ივანეს აღარ ვუსმენ. წამო, საბანაოდ წავიდეთ, მეძახის ირა. მე მივყვები. ზღვა წყნარად ლივლივებს: ჩვენ ფეხზე ვიხდით და ტალღებში მივტყაპუნობთ. ერთი ადგილი ვიცით, ოქროსფერი სილით მოფენილი, იქ მივდივართ. ირა კაბას იძრობს. გაყოფილი საცურაო კოსტიუმი აცვია და თითქმის შიშველია. ბრინჯაოსფერი კანი უბრწყინავს და ბევრი ბანაობისაგან ოდნავ აქვს გამომშრალი, აქა-იქ აქერცლილი. თვალს ველარ ვაშორებ. ირა ამჩნევს ამას და იცინის. მეც ვიცინი და ვფხიზლდები. ჩავრბივართ ზღვაში, მივცურავთ. ირა მეძახის, შემეჯიბრეო. მე თითს საფეთქელთან ვიდებ და ვატრიალებ, გიჟი ხომ არ ხარ-მეთქი. ირა ზღვაზეა გაზრდილი და დელფინივით ცურავს, მე სად შემიძლია მასთან შეჯიბრება. ირა იცინის. მე ნაპირისაკენ ვტრიალდები და მივცურავ. ოქროსფერ სილაზე ვჯდები, ფეხებს აღმოსავლურად ვირთხამ, თავზე კეპს ვიფხატავ, და ჩიბუხს ვეწევი. ირა ამოდის ზღვიდან. აფროდიტა ამოდის ნეპტუნის საბრძანებლიდან და მე მიკვირს, როგორ შეუძლია ნეპტუნს, მამაკაცს, სხვა მამაკაცს ანდოს ასეთი მშვენიერება. ირა წინ მიჩერდება და თავს აქეთ-იქით აქნევს. სველი, ოქროსფერი თმის კარუსელიდან გამოტყორცნილი წვეთები სახეზე მესხურება, თვალებს მაინც არ ვხუჭავ. მზე ტყდება წყლის წვეთებში და მის ძუძუებზე ძვირფასი ქვებივით ციაგობს. ირა წინ მიჯდება, ფეხებს უკან იკეცავს და თვალებში მიყურებს. მე ვეწევი. ირა ჩიბუხს მართმევს და თვითონაც ეწევა. მე ფეხზე ვდგები და ზღვას გავყურებ. ყველგან მზე და ზღვა ბატონობს, ეს ორი უხნესი და უმშვენიერესი მბრძანებელი. დაჯექი, მთხოვს ირა. არ ვუგონებ, ვწვები და ზურგს მზეს ვუშვერ. ირა ხელისგულებს ბეჭებზე მაწყობს და წრიული მოძრაობებით მისვამს. ვცდილობ გავუძლო. ვერ ვახერხებ. ვჯდები და ხელს ირას ყელზე ვაცურებ; მერე დაბლა, მკერდზე ჩამოვდივარ და ვნება უფრო მემალება. ირა სილაზე ეშვება და თავისკენ მიზიდავს. მას ღია ცისფერი თვალები აქვს. მახსენდება ივანეს ნათქვამი: ჩვენს გვარში ყველა ქალს ერთნაირი ფერის თვალები აქვსო... ველარ ვაზროვნებთ, ჩვენს ქცევაში ინსტინქტები შემოდის და ვნების ჭკუაზე გვათამაშებს...

შინ კოჭებამდე შემომდგარ წყალში რბენით ვბრუნდებით. ირა წინ მიჰქრის, მე უკან მივყვები. მერიდება ივანეს დანახვა; კიდევ კარგი, მძინარე გვხვდება. ის დღისით ყოველთვის იძინებს, როცა ღამით სათევზაოდ აპირებს გასვლას. ჩემს ოთახში შევდივარ და საწოლზე ვწვები. ღამით მეც მინდა გავყვე ივანეს სათევზაოდ და ამიტომ ვცდილობ დავიძინო. ფანჯრის მინაზე კაკუნი მაფხიზლებს. ეე, კაცო, არ მოდიხარ სათევზაოდ? — მეძახის ივანე. დაღამებულა. საჩქაროდ ვიცვამ და გარეთ გავრბივარ. ირა არსად ჩანს. ძია ივანეს შარვალი მუხლებამდე აუკარწახებია, ნავი გადმოუტრიალებია და ეხლა ზედ ანძას ამაგრებს. ნავი ცხვირით სილაშია წარჭობილი, კიჩო კი ზღვისაკენ აქვს მიშვერილი. შარვალს მეც მუხლებამდე ვიწევ. ივანე ნიჩბებთან ჯდება, მე ნავს ვაწვები და ზღვაში შევდივართ. მინდა შევენაცვლო ნიჩბებთან, მაგრამ ის მიღიმის და უარის ნიშნად თავს აქნევს. შორს გავდივართ, იალქანი აკეცილი გვაქვს. რაც უფრო ვშორდებით ნაპირს, მით უფრო და უფრო მუქდება წყალი. რა ჰქენით, დღეს როგორ იცურავეთ შენ და ირამ? სახეში მიყურებს და ისე მეკითხება ივანე. მე თვალს ვარიდებ, ნავიდან ვიხრები, პეშვით წყალს ვიღებ, სახეზე ვისხამ, და ნორმალურად-მეთქი, ვპასუხობ. ივა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნე ილიმება. მე უზერხულად ვგრძნობ თავს. ივანე ნავს აჩერებს, ნიჩბებს წყლიდან ილებს, ნავში ჰყრის, მერე ანძასთან მიდის და აფრას შლის. ვიწყებთ თევზაობას. მთვარიანი ღამეა. ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი. ზღვა მუქი ლურჯია, მოშავო. ცა მთვარესთან ახლოს — მოთეთრო-მოცისფრო, მოშორებით — ზღვისფერი.

## ტუთის სოფელი

მოხუცი ქალი საწოლზე იწვა და პაპიროსს ეწეოდა.

ქალს დაღმეჭილი, წვერიანი, და ულვაშიანიც, პირისახე ჰქონდა. მეზობლის ანცმა ბავშვებმა ბალნიანი სახის გამო „მგელი“ შეარქვეს, მაგრამ ქალს ეს არ სწყინდა. ქალს არც ის სწყინდა, რომ უფროსები ბავშვებს მის მიერ მიცემულ კანფეტებს არ აჭმევდნენ; რომ კარის მეზობელმა, აშარმა, გაუთხოვარმა ქალმა, საერთო სამზარეულოდან გამოაგდო და ამიტომაც ახლა ხელ-პირს ოთახში იბანდა და საჭმელსაც იქვე, ნავთქურაზე იკეთებდა; რომ მასთან არავინ მიდიოდა — არც მეზობელი, არც ნათესავი, და საერთოდ არაფერი სწყინდა. ქალს არც კატა ან პატარა ძაღლი ჰყავდა სახლში, როგორც ეს მარტოხელა ადამიანებს სჩვევიათ: ქალს არ უყვარდა ძაღლები და კატები; ქალს მუსიკა უყვარდა. დაჯდებოდა ხოლმე ლომისფეხებიანი, მარმარილოს სადგამიანი დიდი სარკის წინ, აიღებდა ძველთაძველ ვიოლინოს, და უკრავდა; უკრავდა დიდხანს, საათობით. სახლი ძველი იყო, სქელკედლებიანი და მეზობლებს მისი ვიოლინოს ხმა არ აწუხებდათ. არ აწუხებდა არავის არც თვითონ ქალი. აწუხებდათ კი არა, კვირაში ერთხელ ან ორჯერ თუ მოჰკრავდნენ ხოლმე თვალს, რადგან ქალის ოთახს შესასვლელი სადარბაზოდან ჰქონდა და ისიც ისე შედიოდა ან გამოდიოდა, რომ ყველაზე ჭორიკანა და სხვისი ცხოვრებით დაინტერესებული მეზობლებიც კი ვერაფერს იგებდნენ მისი წასვლისა ან მოსვლის შესახებ.

ქალი კუზიანი იყო, შეუხედავი. კუზი ისე ამობურცვოდა ზურგზე, რომ სიარულს უშლიდა და ქალი იძულებული ხდებოდა, წონასწორობის დასაცვად ყავარჯენი ეხმარა. ეცვა ყოველთვის ბინძურად, ჭუჭყიანად და ოთახიც მუდამ დაულაგებელი ჰქონდა. მეზობლები ჩიოდნენ: ბაღლინჯოები და ტარაკნები მაგისგან გადმოდიან ჩვენთანო და მართლებიც იყვნენ: მწერებით სავსე იყო ქალის ბინა. ოთახში ყველაფერი მტვრიანი იყო, უსუფთაო. ძველი კომოდიც, რომლის თავზეც ქალისა და მისი ქმრის, ქორწილის დღეს გადაღებული, ოვალური, ოქროსფერჩარჩოიანი სურათი ეკიდა; ძველებური კარადაც, რომლის უამრავი კარი ნათალი მინის სპილენძშემოვლებული რომბებით იყო მოჭიქული; კაკლის ხის ძველებური სკამებიც, რომლებიც ალბათ, ამ საუკუნის დასაწყისში გაეკეთებინა ვიღაც ხელმადლიან ოსტატს; ოთახის კუთხეში აყუდებული დიდი საათიც, რომლის გაჩერებასთან ერთად თუ გაჩერებულიყო ცხოვრება ამ სახლში, და დაბალი, ოდესღაც შავად გალაქული, ჩრჩილების, ჭიებისა და დროისაგან დაცხავებული, სანთლის შანდლებიანი პიანინოც, რომელსაც, სიძველის მიუხედავად, მშვენიერი ხმა ჰქონდა. პიანინოს თავს აზდიდით თუ არა თვალში გეცემოდათ ფართოასოებიანი წარწერა: R. GÖRS & KALLMANN და ქვემოთ BERLIN. პიანინოს გვერდით, კედელზე მიდგმული იყო განიერი, დიდი საწოლი, რომლის ბრინჯაოსფერი ჩუქურთმებისთვის მტვერს დიდი ხანია დაეკარგა ელვარება. ამ საწოლზე წვებოდნენ ქალი და მისი ქმარი, სანამ ქმარი ცოცხალი იყო; შემდეგ ქალი მარტო იწვა ხოლმე საწოლის მარჯვენა მხარეს. არც შუაში, არც მეორე მხარეს ქალი არ წვებოდა. ლოგინიც სულ მუდამ აშლილი ჰქონდა, თითქოს დასაძინებლად ემზადებაო: თუმცაღა რაც უნდა გვიან დაწოლილიყო, უცბად არასდროს ეძინებოდა: ქალს მოჩვენებები უცხადდებოდნენ და ისიც იწვა ხოლმე გვერდულად, და მაინც პირაღმა (კუზი უშლიდა გა-

მართულად წოლას და ქალი გადაზრილი, მარჯვენა გვერდსა და კუზს დაყრდნობილი წვებოდა), პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდა და მოგონებათა კრიალოსანს მარცვლავდა. სადღაც გამთენიისას, მოგონებათა დასასრულს, როცა კრიალოსნის ბოლო ქვები ჩამოიყრებოდა, ძილი მოდიოდა. ქალი წვირიან, დიდი ხნის გაურეცხავ ბალიშის პირს დამჭკნარ ლოყას ადებდა და იძინებდა.

მის მამას, მდიდარ, თავმომწონე კაცს, წითლების მოსვლამდე საკუთარი სამეანო სახლი ჰქონდა, და გოგოს გარდა, კიდევ ერთი შვილი, ვაჟი ჰყავდა. ვაჟი გოგოზე უფროსი იყო. დედა იმათი, მაღალი, ლამაზი ქალი, გოგოზე მშობიარობას გადაჰყვა და პატივმოყვარე, ამაყ კაცს საყვარელი ცოლის მაგივრად მახინჯი შვილი შერჩა ხელში. კაცი ეცადა არ შეემჩნია თავს დამტყდარი უბედურება: ცოლი დიდი პატივით დაკრძალა, ხოლო გოგონას გადია უქირავა და მისი აღზრდა მთლიანად მას გადააბარა. გავიდა ხანი. ბავშვები წამოიზარდნენ. ვაჟი მამამ საფრანგეთში გაგზავნა სამედიცინო საქმის შესასწავლად, ქალიშვილი კი დაქირავებული მასწავლებლების საშუალებით აზიარა სწავლა-განათლებას. საბრალო ქალიშვილს გარეგანი ნაკლის მიუხედავად, სალი და ნათელი გონება დაჰყვა: უამრავ წიგნს კითხულობდა, უცხო ენებს სწავლობდა და მუსიკითაც ძლიერ იყო გატაცებული. შემდეგ მამამისმა ის მიათხოვა გლეხს, რომელიც ქალაქში სამი დღის ჩამოსული იყო და ღამეებს რკინიგზის სადგურის მოსაცდელ დარბაზში ათევდა. სასიმამრომ მომავალი სიძე მზითევით მოხიბლა. გლეხი წერა-კითხვის უცოდინარი, ნახევრად გონებაჩლუნგი იყო და ცხოველივით მარტო ჭამა-სმა, ძილი და ჟინის მოკვლა სურდა. მისთვის ეს გოგო პირველი და უკანასკნელი ქალი იყო ცხოვრებაში. სიმამრი სიძეს თავის სამეანო სახლში შავი სამუშაოს შესასრულებლად იყენებდა, ოღონდ ამ საქმიანობაში ფულს არ უხდიდა. სიძე მაინც კმაყოფილი იყო: მუშაობდა, მაძღრად ჭამდა და თავზე არ აწვიმდა. თანაც მას, ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდეც სიმამრის, რომელიც მას შიგადაშიგ პოლიციითა და ქალაქიდან გასახლებით ემუქრებოდა. ბავშვი არ ეყოლათ. მიუხედავად ქალის ფიზიკური არასრულფასოვნებისა, ექიმებმა განაცხადეს, რომ მათ უშვილობაში დამნაშავე კაცი იყო, და თუ სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ამ ნახევრად ცხოველ, ნახევრად ადამიანს რაიმე უშხამავდა ხასიათს, ეს უშვილობა გახლდათ, რასაც ის ქალს აბრალებდა. მერე რუსეთში მოხდა რევოლუცია და მალე საქართველოს ხელისუფლების სათავეშიც ბოლშევიკები მოვიდნენ. მამას სამეანო სახლი ჩამოართვეს. ძმა საფრანგეთში დარჩა საცხოვრებლად, ხოლო ქმარმა ისევ გააგრძელა მუშაობა, ოღონდ ეხლა მას ამ სამუშაოში ხელფასს უხდიდნენ. შეწყდა ახალი წიგნების მიღება და მუსიკის მასწავლებელიც აღარ დადიოდა მათთან კვირაში სამჯერ. ჯერჯერობით ისევ საკუთარ დიდ სახლში ცხოვრობდნენ, თუმცა მოსამსახურეები მალე შემოეფანტათ. ერთ დილით მამამისი მკვდარი იპოვეს თავის საწოლში. იქვე, სკამზე, შპრიცი, მორფიუმიანი პატარა ბოთლი და გოგონას სახელზე დაწერილი წერილი იპოვეს. წერილში მამა სწერდა, რომ მორფის მიღება მას მერე დავიწყე, როცა დედაშენი გარდაიცვალა და შენ გაჩნდი ამ ქვეყანაზეო, და რომ მომბეზრდა მახინჯი ქალიშვილისა და სულელი სიძის ცქერა, საერთოდ ყველაფერი მომბეზრდა ამ ქვეყანაზე და თავსაც იმიტომ ვიკლავო. ქალიშვილს მიმართავდა: დაბლა, სარდაფში, შეშის უკან, პატარა ყუთით ძვირფასეულობა მაქვს ჩამარხული, ამოთხარე და მოიხმარე, ოღონდ შენ ლენჩ ქმარს ნუ გააგებინებო. ეხლა ის ყუთი იმავე ნივთებით კომოდის მარჯვენა, ზემოდან მესამე უჯრაში დევს ძველი თეთრეულის უკან. ქალს იმ ნივთებიდან არაფერი გაუყიდია. ჯერ ეშინოდა გაყიდვის, შემდეგ კი აღარ გაყიდა. თვითონაც არ იცოდა, რისთვის ინახავდა. ხანდახან ამოიღებდა და უყურებდა ოქროს სამაჯურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მქრქალ ბზინვარებას, ბეჭდების სხვადასხვაფერ ძვირფას თვალთა ნაირფერ ციმციმს, მთლიანად ოქროსაგან დაფერილ, შუაში დიდი ბრილიანტისთვლიან გულსაკიდს, მამის ნაქონ ოქროს მძიმე პორტსიგარს. ამ ნივთების თვალიერებისას ქალი რეალობის შეგრძნებას კარგავდა და წარსულში გადადიოდა. აწმყოში მობრუნებული, ნივთებს ისევ ყუთში აწყობდა და ყუთს ინახავდა; მამის სიკვდილის შემდეგ, მალე საკუთარი სახლიდანაც გამოასახლეს და აი ამ საერთო ბინის, ამ ერთ ოთახში შემოასახლეს ქმართან ერთად, მეორე სართულზე. ახალი ხელისუფლების მიერ დატოვებული ეს ავეჯიც მისმა ქმარმა გადმოათრია საკუთარი ზურგით. ოთახი დიდი იყო, მაგრამ ბნელი და ნესტიანი, და ერთადერთი ფანჯარა გააჩნდა. ფანჯრიდან ერთი ნაბიჯის მოშორებით, მეზობელი სახლის კედელი იწყებოდა და ამიტომაც ოთახში დღის სინათლეც კი შეშინებული იჭყიტებოდა, თორემ მზის სხივებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. ოთახში დღედაღამე ენთო ნათურა. ამ ოთახში გადმოსახლების შემდეგ ცხოვრება, რომელიც ქალისათვის ნელ-ნელა, მაგრამ, ასე თუ ისე, მაინც წინ მიჯახირობდა, თითქოს შეჩერდა. ქმარი დილით გადიოდა სახლიდან და საღამოთი მთვრალი ბრუნდებოდა. რამდენჯერმე სცემა კიდეც. მერე შინ სანოვაგის ზიდვასაც დაანება თავი; მოდიოდა მთვრალი, აგინებდა, ლანძღავდა, მახინჯს ეძახდა და თუ ქალი შეეპასუხებოდა, სცემდა კიდეც; მერე დაეცემოდა ლოგინზე და დილამდე ყელგამოღადრულივით ხროტინებდა. ქალს შიმშილით სიკვდილი დაემუქრა. მეზობლის ქალებმა, რომლებიც მაშინ ხანდახან კიდევ შედიოდნენ მასთან, ურჩიეს რაიმე საქმისათვის მოეკიდა ხელი და თავი თვითონვე შეენახა. ქალმა დაიწყო სამუშაოს ძებნა, მაგრამ მისი შემხედვარე „პასუხისმგებელი ამხანაგები" სხვადასხვა საბაბით უარს ეუბნებოდნენ სამსახურზე; ერთხელ გარეთ გასულმა ქალმა მაღაზიის კედელზე გაკრულ პატარა განცხადებას მოჰკრა თვალი: უმუშევარ მუსიკოსებს სთხოვდნენ გამოხმაურებას. ქალს გაახსენდა თავისი ძვირფასი ვიოლინო, და ისიც, რომ ერთ დროს არცთუ ურიგოდ უკრავდა; დაბრუნდა სახლში, აიღო ვიოლინო და გამოცხადდა განცხადებაში მითითებულ მისამართზე. სულ რამდენიმე მუსიკოსი მოგროვდა. ისინი არავის გამოუცდია, საერთო სახის შეკითხვებით დაკმაყოფილდნენ და ყველანი მიიღეს. ახლად შექმნილი ორკესტრის წევრებს პატარა ხელფასები დაუნიშნეს, მაგრამ ქალისათვის ის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. მალე ქმარი გარდაეცვალა: ბევრი სმისაგან ღვიძლი დაეშალა, და დარჩა ქალი მარტოდმარტო. მას შემდეგ ორმოცდაათი წელი გავიდა, ნახევარი საუკუნე. ქალი კარგი მუსიკოსი გახდა. შემდეგ პენსიაშიც გავიდა და ორკესტრში დაკვრას თავი ანება. ხანდახან თუ მიიწვევდნენ საშეფო ან საქველმოქმედო კონცერტებზე, სიამოვნებით მიდიოდა, მაგრამ ბოლო ათი წლის განმავლობაში გარეთ აღარსად დაუკრავს. ნელ-ნელა შემოეპარა მოშვება და ბოლოს სულიერ უმწეობაში გადაეზარდა. ქალი სურსათის საყიდლად თუღა გადიოდა გარეთ, ისიც რამდენიმე დღის მარაგს იყიდდა, მერე კი იჯდა შინ და ან წიგნებს კითხულობდა, ანდა ვიოლინოზე უკრავდა. ერთი ხანობა მეზობლის პატარა ბიჭი შეეჩვია მასთან სტუმრობას და ამან ცოტათი გაახალისა: ბავშვისათვის ყიდულობდა კანფეტებს, აცხობდა ნამცხვრებს, ათხოვებდა ან ჩუქნიდა წიგნებს, და ბიჭიც კმაყოფილი იყო და ქალიც. მაგრამ დრო გადიოდა, ბიჭი წამოიზარდა და ქალთან სტუმრობას ეზოში ბურთის დევნა და ბავშვებთან თამაში არჩია. ხანდახან მაინც მიდიოდა ქალთან წიგნის სათხოვნელად. მერე ბიჭს საულვაშეზე ღინღლი შეეპარა, სულ სხვა მისწრაფებანი გაუჩნდა და მიატოვა ქალთან სტუმრობა. ქალი ისევ მოეშვა. პაპიროსის წევა ქმრის სიკვდილის შემდეგ დაიწყო და ეხლა ზედიზედ ეწეოდა. ეწეოდა მამაკაცურად, ბოლომდე და ერთ ნამწვზე მეორეს უკიდებდა. მის ოთახში

ნესტის, თამბაქოსა, და დიდი ხნის გადაუწმენდავი მტვრის ერთმანეთში არეული სუნი იდგა. ქალი გრძნობდა სიცოცხლის აღსასრულის მიახლოებას, მაგრამ სიკვდილისა არ ეშინოდა. სწყინდა მხოლოდ, რომ თავისიანებიდან არავინ შემორჩა და რომ მისი გარდაცვალება გულს არავის დასწყვეტდა. ძმა ამერიკაში ცხოვრობდა და დის ამბები ნაკლებად აინტერესებდა; ნათესავები არც ადრე, ქმრის სიკვდილამდე უმტვრევდნენ კარს სტუმრობით და ეხლა ხომ უკვე რვა წელი იქნებოდა, რაც აღარავინ კითხულობდა მის ამბავს. წინათ მისი მეგობარი, ყოფილი მუსიკოსი ქალი გამოუვლიდა ხანდახან. მართალია, ის სულ თხუთმეტი-ოცი წუთით რჩებოდა მასთან, და მიდიოდა, მაგრამ ეს რამდენიმე წუთიც კი ძალზე აცოცხლებდა და ახალისებდა ქალის მოშვებულ არსებობას. უკვე ორი წელი იყო, რაც იმ მეგობარ ქალსაც აღარ გამოევლო. ალბათ, მოკვდაო, ხანდახან ფიქრობდა ქალი და ცხოვრების მიზანდაკარგული, თვითონაც თავის რიგს ელოდებოდა. ხშირად მთელი დღეობით იწვა, და ხანდახან ისე ალამებდა, რომ პირში ლუკმას არ ჩაიდებდა. პაპიროსს ბევრს ეწეოდა: დღეში სამ კოლოფამდე. მოწეული თამბაქოს ბოლი კიდევ უფრო აბნელებდა და ხუთავდა ისედაც ჩაბნელებულ-ჩახუთულ ოთახს. ოთახში ყველა საფერფლე ფერფლითა და ნამწვით იყო სავსე, ხოლო პიანინოს თავზე „ყაზბეგის" ცარიელი კოლოფები ეყარა.

ეხლა იწვა მარჯვენა გვერდსა და კუზზ დაყრდნობილი მოხუცი ქალი პირაღმა, თამბაქოს პაპიროსის ცარიელ კოლოფში ფერფლავდა, და ბაღლინჯოს კვერცხებისაგან ჩაშავებულ, ოდესღაც თეთრ, კარნიზებიან და ფიგურებიან ჭერს მიშტერებოდა.

გარეთ ახალი ნაწვიმარი იყო.

ეზოში, სახლის კედელზე, ვიღაცას მზე მიეხატა. წვიმას მზე ჩამოერეცხა. მიმდგარიყო ერთი ციცქნა, პაჭუაცხვირიანი, კიკინებიანი გოგონა და მზეს ისევ თავიდან ხატავდა.

მაღლა, ძველი სახლის მეორე სართულზე, კედელთან მიდგმულ საწოლზე იწვა მოხუცი ქალი და სიკვდილს ნატრობდა.

დაბლა, იმავე კედელთან, იდგა ცუგრუმელა გოგონა და დიდ მზეს ხატავდა.

საერთოდ კი ახალი ნაწვიმარი იყო. გამვლელებს სადღაც ეჩქარებოდათ, და მოხუცი ქალისა და პატარა გოგონას ამბავი საერთოდ არ ანაღვლებდა.

ჰმ, კიდევ კარგი, რომ ბევრ ამვლელ-ჩამვლელს ერთად ხალხს მაინც არ უწოდებენ!

. . . . . . . . .

იცხოვრა ამქვეყნად ჩვენს შორის ადამიანმა, იცხოვრა მისთვის განკუთვნილი სიცოცხლით და ბოლოს გარდაიცვალა სულთა საუფლოში.

იცხოვრა რისთვის? ან მოკვდა რისთვის? რა წაიღო თან, ან რა დატოვა? ან საერთოდ იცხოვრა თუ მხოლოდ იარსება? რას ფიქრობდა სიცოცხლის დასაწყისში, როცა ცხოვრება უსაშველოდ გრძელი ეჩვენებოდა, ანდა ბოლოს, როცა ცხოვრება უკვე ძალზე ხანმოკლედ მოეჩვენა? ანდა ფიქრობდა კია საერთოდ? ეგებ პატივს სცემდნენ... და ეტრფოდნენ? ეგებ... უყვარდათ? ეგებ თვითონაც ეტრფოდა? ეგებ... თვითონაც უყვარდა? ეგებ ნატრობდნენ მასთან შეხვედრას? ეგებ ესიზმრებოდათ... ან ელანდებოდათ?... ან... ვინ უყვარდა? ან... ვის უყვარდა?... ან თუ სძულდათ? და თვითონაც სძულდა?! და ბ ო ლ ო ს : მიხვდა თუ არა იმას, რომ უცხოვრია, რათა ეარსება, თუ იმას, რომ უარსებია, რათა ეცხოვრა?... ან იქნებ იცხოვრა, რათა ეცხოვრა? ან იარსება, რათა ეარსება?...

არ ვიცი. ეტყობა, არც სხვამ იცის. ბოლოს გამოჩნდება.... სულ ბოლოს: მერე ყველა გაიგებს. არა, ყველა არა — უმეტესობა. ზოგი შეგნებულად, ზოგიც შეუგნებლად, მაგრამ მაინც უმეტესობა. მანამდე კი — „მიცვალებულებს ავუგად არ იხსენიებენ" და ალბათ თითქმის ყველა საფლავის ქვას მეტ-ნაკლებად მოუხდებოდა წარწერა:

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„თუ იცხოვრე — მაშინ იცოცხლებ, თუ იარსებე — მაშინ მოკვდები".**

. . . . . . .

## ამბობენ:

ალექსანდრე მაკედონელმა სიკვდილის წინ ანდერძად დაიბარა: როცა დამმარხავთ, ხელები ზემოთ დამიტოვეთო. როცა ჰკითხეს, რატომო, უპასუხა: იმიტომ, რომ ყველამ დაინახოს: კაცმა, რომელმაც ნახევარი მსოფლიო დაიპყრო, იმ ქვეყნად ვერაფერი წაიღოო!

სოკრატეს ჰკითხეს: ჯიბეებამოკერილი რად დადიხარო? იმის სატარებლად, რაც მე ადამიანის სიმდიდრისა და ღირსების მაჩვენებლად მიმაჩნია, თავი უფრო აუცილებელია, ვიდრე ჯიბეო! — უპასუხა სოკრატემ.

ბრძენმა დავით გურამიშვილმა დაგვიმოძღვრა:

**სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ**
**შენთანა მყოფელი,**
**მას გეცილების ვერავინ, არ არის**
**გასაყოფელი.**
**სხვას ყველას მაზე უგია, თავისა**
**გასაყოფელი,**
**თუ კაცსა ცოდნა არა აქვს**
**გ ა ს ძ ა ნ ჯ ა ვ ს წუთისოფელი!**

. . . . . . . . .

**იცხოვრეთ, ადამიანებო!**

## კაცი

ჩემი უფროსი მეგობრის, ბატონ
რეზო ინანიშვილის ხსოვნას

წვერმოშვებული, აფორიაქებული, გაბოროტებული დავბორიალებდი; უიმედობით, უილაჯობით გამოწვეულ უხასიათობას ირგვლივ მყოფებზე ვავრცელებდი და ავი ქცევით მათაც ვაბოროტებდი; ბევრი შეურიგდა ასეთ ურთიერთობებს, ბევრიც მომერიდა, მეც მოვერიდე; სინათლის, ჰაერის ზედაპირზე ვფართხალებდი, ნელ-ნელა ვიძირებოდი; უკუნეთში, სიცარიელეში მივექანებოდი, დაბლა, ადამიანურ ურთიერთობათა ფსკერზე; ლექში ვერეოდი, ლექი მერეოდა; უაზროდ ვლაპარაკობდი, უმიზნოდ ვქმედებდი; მაცოფებდა ჩემი ყოფა და... ვბორგავდი; უამრავმა ხელი მკრა; მეც უამრავს ვკარი ხელი; შემომეძარცვა სული, გონებაც; სხეული მომიდუნდა, დაძაბუნდა; მივხვდი: მონებსლა ვეძებდი... ბატონებსაც; სიკვდილი მომენატრა — სიცოცხლესთან განშორება; ნელ-ნელა დავიწყე მზადება; ყველგან უკუნი სუფევდა, აღარაფერი ჩანდა; და უეცრად... შორს, წერტილივით იელვა ნათელმა. ნელ-ნელა, მფრთხალად, მიწას გართხმული გავფორხდი მისკენ; წერტილი გადიდდა; ახლა უკვე მუხლებზე წამოვდექი, ისე წავხოხდი; შუქმა იმატა, წამოვდექი, გავბარბაცდი მისკენ; ნათელი მოძლიერდა, გაფართოვდა; ჯერ ძუნძულზე გადავედი, შემდეგ სირბილზე, და მთელი ძალით გავქანდი წინ; მივირბინე, ვნახე:

ნეკერჩხალის უზარმაზარი ხის ძირში იდგა **კ ა ც ი**; **კ ა ც ი** მარჯვენა ხელით ნეკერჩხალს ეხებოდა, მარცხენათი — ფართორქებიანი ხარირმის ქედს; ფეხის ტერფები შიშველი ჰქონდა; ტანთ წნელებისა და ფოთლებისაგან მოქარგული ტანსაცმელი ემოსა, თავზე მინდვრის ყვავილებისა და ბალახისგან დაწნული გვირგვინი ედგა; ერთ მხარზე კუდფუმფულა ციყვი ეჯდა, მეორეზე — პაწია ღაბუა ჩიტი; იქვე მგელი ჩაყუნცულიყო უკანა თათებზე; ნეკერჩხლის ფესვებს შუა წყარო ამოჩუხჩუხებდა; შორს მოჩანდა ველ-მინდვრები, მზე, სუფთა ცა; უფრო შორს — ყინულისწვერიანი მთები, და მსუბუქი ღრუბლები მათ თავზე; დედამიწიდან, ბალახიდან, ყვავილებიდან, ნეკერჩხლის ტოტებიდან და ფოთლებიდან, ხარირმის ქედიდან, მგლის მზერიდან, ციდან, მზიდან, ჰაერიდან, ტყეებიდან, ველ-მინდვრებიდან, წყაროებიდან, მთებიდან, მდინარეებიდან გადმოდიოდნენ თვალით ხილული, მრავალფენოვანი სხივური ძალები, სხეულის ყველა უჯრედიდან შეიწოვებოდნენ **კ ა ც ი ს** სულისა და გონების მიერ, და სამყაროს არსებობის გასაოცარ რიტმში ჩართული ირთოდა **ი გ ი**, და თავთ ედგა ნათლის შარავანდედი; **კ ა ც ი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორს იმზირებოდა, ქედებისაკენ; ირგვლივ გასაოცარი სიჩუმე სუფევდა; პირქვე დავვარდი, სახე ბალახში ჩავრგე, ავტირდი. ვტიროდი დიდხანს, გულიანად, ცრემლები ღვარად მომედინებოდა დაბინდული თვალებიდან; მომეშვა; თავი ავწიე, სახე მოვიწმინდე, კაცს შევხედე; იგი უბეებიდან პეშვებით ფრთხილად იღებდა ნაირფერ სხივთა გორგლებს, და ირგვლივ ფანტავდა; გორგლები იშლებოდნენ სხივებად, გადადიოდნენ სივრცეში, სივრციდან — ფრინველებში, ცხოველებში, ხეებში, ტყეებში, ბრუნავდნენ, ერეოდნენ ერთმანეთს, იფანტებოდნენ, ავსებდნენ სამყაროს, ადამიანებს, და იმოსებოდა ყველა და ყველაფერი სიკეთით, ბედნიერებით, და ზეიმობდა სიყვარული, სიმშვიდე და ურთიერთგაგება; პირდაღებული, თვალებგაფართოებული შევცქეროდი კაცს; ვინ ხარ ან აქ რას აკეთებ-მეთქი, მინდოდა მეკითხა, მაგრამ გაურკვეველი ააა-ს მეტი ვერაფერი აღმომხდა. კაცმა მზერა მომაპყრო, შემდეგ გამოემართა ჩემკენ, და თავზე ხელი დამადო; უცბად შევმსუბუქდი, მიწას მოვწყდი, პირაღმა ავტრიალდი, ჰაერში ლივლივი დავიწყე; ვიგრძენი, როგორ იწყო მაცოცხლებელმა ძალებმა შემოსვლა ჩემს სხეულში; საოცარმა ნეტარებამ შემიპყრო; გონება განათდა, მზერა დაიწმინდა; სმენა გამახვილდა, სხეული უწონადი გახდა; გადმოვტრიალდი, მინდოდა მეთხოვა კაცისთვის — აღარ მსურს არსად წასვლა, აქ, და ასე დავრჩები-მეთქი სამუდამოდ; შემომხედა, რაღაც მითხრა, და თავიდან ხელი ამაცალა; იმწამსვე ძირს დავენარცხე, და გონება დავკარგე; ფიქრის უნარი რომ დამიბრუნდა, თვალები გავახილე, თავი გავაქნიე, წამოვდექი; მიმოვიხედე; კაცი არსად ჩანდა; ხარირემი და მგელიც გამქრალიყვნენ; მივლასლასდი ნეკერჩხლის ხემდე, დავიჩოქე, სახეზე წყალი შევისხი, ცოტა შევსვი, წამოვდექი, სივრცეს გავხედე; შორს, მთებს ზემოთ წერტილი დავლანდე; ხელებით მოვიჩრდილე, თვალები მოვწკურე, დავძაბე მხედველობა; გავარჩიე: ხარირემზე გადამჯდარი კაცი მიჰქროდა ზეცისკენ. თავზე ისევ გვირგვინი ედგა, მხრებზე ისევ ციყვი და ლაბუა ჩიტი ეჯდა; მგელი უკან მისდევდა; მიჰქროდა ხარირემი, თანდათანობით მაღლა იწევდა, და ბოლოს სულ გაქრა ცის დასალიერში; დავჯექი, ნეკერჩხალს მივეყუდე; გონება ერთდროულად თითქოს სავსეც იყო, და ცარიელიც; ფიქრები, აზრები, თავისუფლად მოძრაობდნენ; და უცბად მივხვდი, რა მითხრა იმ კაცმა:

— საქმე — ცხოვრებაა! თორემ ისეე— ისუნთქავ, სანამ შეძლებ...

— საქმე — ცხოვრებაა! თორემ ისეე — ისუნთქავ, სანამ შეძლებ...

წამოვდექი, უკან მიუხედავად დავეშვი დაბლობისაკენ;

წინ მოჩანდა ჩაბნელებული საცხოვრებლები, იგრძნობოდა მტრულად განწყობილი გარემო;

მაღლა ავიხედე; უკიდეგანო ცის შუაგულში გამორჩევით კიაფობდა ერთი წერტილი; კარგა ხანს ვუყურე თავაწეულმა; სიმშვიდე, სიმხნევე დამიბრუნდა; წერტილს გავუღიმე, სიბნელისაკენ დავეშვი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გუჩა კვარაცხელია



## მგზავრო, მავალო!..

### (ეპიტაფიები)

ამ ძველთაძველი წყვდიადიდან,
სადაც მსოფლიო სევდის
უმოლოდინო ოკეანეში
უძრავად ვწევარ მკვიდრად შეკრულ
ოთხ ფიცარს შორის, ხსნის ჭურჭელში,
რომელიც მხოლოდ იმით არ ჰგავს
ნოეს კიდობანს, რომ მტრედს არ ელის,
მაუწყებლის გულისფანცქალით
ზეთისხილის ნედლი რტოს მომტანს,
აქედან გეტყვით:
არ მეგონა, თუ მოგაკლდებოდი.
ყოველთვის იმას ვფიქრობდი, რომ
სხვები კვდებიან. მხოლოდ სხვები.
სხვები რჩებიან შორეული ბორცვების მიღმა,
მე წინ მივდივარ მზის შესახვედრად.
ყოველთვის, ვიდრე გაშავდებოდა მზე ჩემ თვალწინ
და გლოვის ზღვაში ჩაწვებოდა,
ჩემს დროს ვუცდიდი,
თითქოს ჭიშკარზე დარახტული ტაიჭივით ჩამომივლიდა.
ვუდარაჯებდი. მაინც როგორ გამომაპარეთ —
ჯერ ჩამძახოდით, ადრეაო,
მერმე მითხარით — დააგვიანე!
მათხოვეთ ყოფაგაცუდებულს თქვენი სიზმრები,
ვითამაშებ,
აქ დროს არ ველით.
როდესაც ოთახში ნათესავი შემოვიდა —
ყველას მამიდა, დამტირებელი და დამმარხველი,
რომელსაც ცოცხლებზე მეტად მკვდრები უყვარდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილის ცივი შეგრძნება და
ეტიკეტით გაუთვალისწინებელი ცრემლები შემოჰყვა.
მივხვდი მაშინვე, წასული იყო ჩემი საქმე.
კედლისკენ გადავბრუნდი, ვითომ ზურგი შევაქციე მოსახდენს.
მეუდაბნოის მარტოობა ვიგრძენი.
საშინელი ნაღველი შემომაწვა.
ვკარგავდი სოფელს.
და ამ სოფელთან ერთად — არარსებულ დულსინეასაც,
რომელიც მუქი კიპარისების ჩრდილში
დადგება ჩემს საფლავთან
და იტირებს დღენიადაგ.
როგორც კი ეს გავიფიქრე,
გულზე მომეშვა
და ჩემთან ერთად ჩემი სევდაც გაუჩინარდა.

●

ნეტავი, ჩემი საათი თუ გააჩერეს,
წიკწიკით რომ ანაწევრებდა და დროდ აქცევდა
უძრაობას, რომელიც ახლა ლოდივით მაწევს გულზე?
თუ მოიფიქრეს, რადიატორზე მიფენილი
გაოფლილი პერანგის გადამალვა,
ვიდრე ვინმე შემოვიდოდა?
მოასწრეს მაინც მტერის გადაწმენდა
პიანინოს სახურავიდან?
თუ გაახსენდათ, ვარდისფერი საფარებლები
რომ არ მიყვარდა
და მოლისფერიც ჭირივით მძულდა?
ნეტავი, მეხუთე დღესაც ისევ ისე
უსაშველოდ მოდიოდა წვიმა,
დამრეცი წრფეებით შტრიხავდა ქალაქს,
თუ იჭიოტა?
როცა ქუჩაზე ჩამატარეს,
გამოეფინენ, ალბათ, ნოქრები.
მაღაზიებში სირბილითა და
რიგებში დგომით
დაწყვეტაზე მქონდა ძარღვები —
მიცნეს?
ნეტავი ფანჯარაში თუ გამოიხედა
დღემუდამ მარხვისგან გამოფირფიცებულმა,
ღვთისაგან დავიწყებულმა მოხუცმა,
ერთხელ რომ მითხრა:
„მწიფეს ესროდნენ, მკვახე ცვიოდაო",
მე კი ძირძიტაც არ გავუგზავნე ენაზე?
იმის სათქმელად როგორ დავბრუნდე,
რომ, როცა მითვლიდით სათითაოდ:
ესა და ეს გაქვს, აი, ესეც დაგემატაო,
ერთხელ არ გკითხავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არ მქონდა,
რას ვისაკლისებდი.

●

აღტაცებული ყურადღების
ფარული ლიქნი მაცდუნებდა...
თვალებს მივსებდა მოჩვენებითი ერთგულება,
თაყვანისცემა იმათი, ვინც ვერ გამოწურავს
მონობის წადილს, თანდაყოლილს,
დათრგუნვილი უჯრედებიდან.
სუსტი ვიყავი.
დავკარგე ფონი,
სხვათა შველას ვსაჭიროებდი.
მაგრამ სად იყავ, შენ, სად იყავ, ერთადერთო,
ვისთანაც მსურდა თავის მოწონება,
ვისი დასტურიც ძლიერ მწყუროდა?
შენი ტაში არ ერია იმათ ტაშებში,
არც შენი ლოცვა უერთდებოდა იმათ ლოცვებს,
აღვლენილებს ჩემს სასიკეთოდ.
აღარსად ჩანდი.
მაგრამ ყოველთვის
განმსჯელი მზერის გაუსაძლის მწველობას ვგრძნობდი.

●

როცა მჯეროდა,
ერთი ვარსკვლავი მაინც იყო ჩემზე მზრუნველი,
მე იმ ვარსკვლავის ოხვრას თრთოლვით ვაყურადებდი;
როცა ვშიშობდი,
მხურვალებით არ დამსკდარიყო
მზე, წარმოვთქვამდი ვედრების სიტყვებს;
როცა მდინარეს ვერ შევბედე,
რათა იმისი წმინდა წყალი არ წამებილწა
ან როცა ძრწოლით ვუცქეროდი კოცონის ენებს,
მოწითურონი ზეცისკენ რომ ყელყელაობდნენ,
რას ვიფიქრებდი,
ჩაფრენილი ღვთისმშობლის კალთას
ჩაივლიდა ბავშვი იესო
და ყრმის სიცილი
შიშის ზაფრას გამიქარწყლებდა.

●

თუ ეს სამყარო დანახულია
მთვრალი მთვარის
ყვითელი თვალით,
ნუ გაიკვირვებთ,
ოჩოფეხებზე სიარული რატომ მიყვარდა!
ვჭიმავდი ყირას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფსკრულის პირას;
რატომ მერჩია
მობუზღუნე პირქუშ პროფესორს
კისკისა და უფიქრო გოგო,
ვინც მაყორული ოცნებების რხევად დაირას
უზრუნველად აჟღარუნებდა;
რატომ გამკიცხავთ იმისთვის, რომ
მოჩვენებითი მტრები არსად მეჩვენებოდნენ,
არც მტრებად ქცეულ მეგობრებზე
ზღაპრის მჯეროდა.
და ნუ დამძრახავთ,
თუ ჩემთვის ერთი იყო ოქრო
და ოქროსქანდი,
თუ თქვენს საქმიან მსოფლიოში
სულელი ვჩანდი,
ქარაფშუტულად წუთისოფელს
ვერრა მოვთალე.
უკანასკნელი გავაკეთე სალტო-მორტალე
და ჩავიძირე ბუმბულივით მსუბუქ მიწაში.
დაგოზეთ მიწა,
როგორც თიხა ქვევრზე —
ქუსლებით,
ამოსასვლელი ამოავსეთ,
დაუზუჭავი ქუთუთოსავით
ნუ დაგრჩებათ ნაპრალი ღია,
თორემ იქიდან დავინახავ,
ხუთიოდ ჭიქის მერე როგორ დაიწყებთ სიცილს,
მეკობრულ მზერას გააპარებთ
ჩემი ქვრივისკენ.
იმას კი, ბედშავს,
სიკვდილზე მეტად ხვალინდელი დღის ეშინია.

●

ცოცხალი მკვდართან დამნაშავეა.
ამას რომ ვფიქრობ, ნეტარების ოფლში ვიღვრები.
დაიტანჯები
თუგინდაც იმ საყვედურისთვის,
მისამღერივით ყოველ დღე რომ მიმეორებდი.
მეუბნებოდა რამეს ახალს
ის რეფრენი მონოტონური,
იმის გარდა, რომ
ყველაფერი მოსაწყენია?
მაგრამ უაზრო ის სიტყვები
გრძნეული იყო,
როგორც შელოცვა,
მიხრიოკებდა ოაზისს, შენგან გადამალულს,
დიდ უდაბნოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც თავთით დამიდგამ სანთელს,
მიმტევებელი ღიმილით ილევენთებს ცვილი.
ეს ის იქნება, რაც ტუჩებით ვერ გამოვხატე.

●

მეც ვაგროვებდი, როგორ არა!
მდუმარე უფლის თანდასწრებით,
იმის მზერის ქვეშ
ვკრებდი ყველაფერს,
რაც სიტყვების იმ მხარეს იდო,
რაც იყო შუქის იქითა ნაპირს,
რაც სიყვარულის სხვა კიდეზე ობლად ეკიდა.
აუსრულებელ სურვილების გრძელი აკიდო,
გაცრუებული ოცნებების მოზრდილი აცმა,
გალა მკვდრადშობილ განზრახვათა
სკივრში მიწყვია.
სიმწირით ნადავლს
ადვილად ნუ გამიმსუბუქებთ —
რამდენიც შევძელ,
ვაებათა ვაგროვე განძი.

●

თურმე იმნაირ ბურუსში შეხვალ,
სადაც დაკარგავს მიზიდულობის უნარს მიწა,
სხეული — წონას.
სადაც არ გაკრთობს აუწყავი სიღრმის მზაკვრობა,
აუზომავი სივრცეების განურჩევლობა.
სადაც მდუმარედ — ლურჯი სიმშვიდე გინანავებს
გამოქცეულს ვაებათაგან.
მღვრიე ნიაღვარს მოვყვებოდი,
ქვა და ხე რომ მოჰქონდა, ისეთს,
გულქვიძლს რომ მგლეჯდა
თავს მორზე რომ მარტყმევინებდა.
თურმე არც ისე უგზო-უკვლო იყო დინება,
რაკი ნაგვემი გამომრიყა ნეტარებაში.

●

ისე უჩქამოდ,
როგორც მტვერი ჯდება ბალახზე,
უფსკრულის ფხკერზე დავიწყების
მოვიკალათე.
წითელპერანგა დილის სხივზე
დამრჩა თვალი და
შევნატრე თივის ბლუჯას, შინდის რტოზე გარჩენილს,
ხედავს გამჩენი,
უდრტვინველი ვიყავ კრავივით.

დასასრული იქნება



## მერი შალვაშვილი

### განშორების პრელუდია

1

როდესაც წყევლა ლოცვასავით შემოდის სისხლში,
ნიღაბი — თოვლის ბურბუშელა,
მზის მხურვალე თითის შეხებით განილევა
და თეთრ ქაღალდზე შემორჩება
დილის ცვარით დანამული შენი სახე.
ყოველდღიურობის ჭუჭყიან ხელებში
და მოცახცახე ნერვებში ჟონავს
ბედისწერის ლაბირინთიდან გამომავალი მწირი სინათლე.
ხირონის თეთრი გასაღები
იმ შორეულ ვარსკვლავზე დარჩა,
სადაც ტკივილი წამიერად ჩამოისვენებს,
და ფერმკრთალ თითებს შეაერთებს საგალობლებთან.
რა გითხრა, ვიცი ხმას ვერ მოგაწვდენ,
სიტყვანნი ჩემნი განიბნევიან
როგორც ბროლის ნამსხვრევნი
ცივ ქვაფენილზე,
დამხვდურ ზამთრის ცივ ღამეებს შეეგებება
გაოგნებული თვალები დღეთა,
სულ სხვა მხარეა შენს გარშემო —
ოცნებათა და ლოცვების მხარე,
ჩამოქცეულა ჩუმი სევდა ყვავილთ ფოთლებში.
ნუთუ სხეული ზღვარიც არის და განაჩენიც?
ნუთუ მანძილი (სინათლის წელთა მარათონი)
სავსე მთვარის იარებში სამარადჟამოდ ჩაკეცილია.
მანუსკრიპტებში ჩაცვენილან ძველი სიტყვები
ყრუ, უნუგეშო, არაფრისმთქმელნი.
გრძნობანი შენი — ცრემლჩაქცეული უფსკრულები,
ზაფხულის ფერადებით გარითმული მდელოები,
წმინდა ნიშნები და სახეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

მტვრის პატარა ნაწილაკებად ვქცეულვართ თითქოს
ამ უსასრულო სამყაროში,
გალაქტიკაში ვიმზირებით
ჩვენს უსახელო პლანეტებიდან.
ჩორთით მავალი დრო, პილიგრიმივით მოხეტიალე,
სულს ძლივსღა ითქვამს და
წმინდათაწმინდა ფიალებში დუღს და შიშინებს.
საიდან მოდის დაბნეულ სულთა გაურკვეველი
მძაფრი სურნელი?!
შენ ახლა შორს ხარ,
ჩემი მზერა დაოსებულა შემოდგომის მზის სიმღერებით,
თუმცა ო, არა, ეს ხომ კენესაა
გზად დამდგართა, ძალით წასულთა...
თვალები რომ შემოიტოვეს თითქოს მძევლებად
და მარმარილოს ხელებად ქცეულ საღამოებს
სამუდამოდ დაემშვიდობნენ.
წყევლა წყევლის წილ, ხმებს ნურასოდეს დაუჯერებ,
ამაყია ეს სიყვარული,
დღეთა სამსხვერპლო მისი ბოლო განაჩენია,
მკაცრია და თვალთა ჩრდილებში იტოვებს სათქმელს,
ნუ დაუჯერებ, თუკი თამამად გეტყვის რომ უყვარს.

III

მყვირალობის ჟამს, გაზაფხულზე
სისხლის მცირე მდინარენი ადიდდებიან,
სინათლის სხივებს შემოიკრებს
სარკის მეორე, უცნობი მხარე შეშლილობისგან.
ეჰ, მოგალობე ფრინველებო,
ნეტავი სევდა თქვენც თუ გჩვევიათ,
ან როგორ მალავთ, სევდაჩამდგარ თვალებს სხვებისგან?
ბედისწერაა ყველა რიჟრაჟი, ჩრდილჩუქურთმოვანი
გრძნეულება,
ქურუმთა თვალნი ცეცხლოვანი ვარსკვლავებით
ამოვსებული ნიჟარებია,
ცხოვრება ბრძნული ნახატია მტვრიან ჩარჩოში,
ის ჩვენ გვეკუთვნის დროის ბოლო ამოსუნთქვამდე,
როდის ამოვა სავსე გული —
ვით სავსე მთვარე...
ამ მოლოდინში ცრემლი ჩემი უსახელო პლანეტებში
ჩაქცეულა და შედედებულა,
უსასრულოა მწუხარება სინათლეჩამქრალ გამოხედვას
შეფარებული,
ამ ვარსკვლავების აზროვნებაც უსასრულოა,
გასართობია ყოველივე,
სიკვდილის კარამდე მიმავალს რომ მიგვაცილებს,
სულის ნაწილი ჰქვია სახელად
თუ მატერიის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

ტორტმანებს ვნება ბალახის ღიმილს და
მცენარეთა ლოცვას მოწყურებული,
ნუთუ არ გესმის: ყელადერილი ზარების ხმა
მოდის, მოჟონავს განთიადის ფრთებში,
და თუკი ვნება კვლავაც დაგიპყრობს, ხსნა არ იქნება,
თუგინდ სხვათა ლოცვის მაგიერ, შიმშილად და
ცოცხალ წყურვილად მოგიხსენიონ...
დე, იყოს ასე, ჩამოცალე ლექსით სავსე ფიალა,
ღმერთის ღიმილით იმოსება სრულყოფილება სადამოისი,
ხვალ უსათუოდ დაიბადება ახალი თანავარსკვლავედი,
მომწიფდებიან პლანეტები, ვით შემოდგომის ბაღებში ხილი.
სულში უკვე სინათლეა, უჩინარი ხელები თითქოს
მაგიდაზე ლექსებს ალაგებს,
რომელიც მალე გადაგვარჩენს,
გაგვკურნავს ყველას — დარდისაგან, სიძულვილისგან.
ხელისგულში ვინახავდი ბედნიერების ანარეკლებს,
ღამეთა მკერდში საგულდაგულოდ ვმალავდი
საგალობლებს სიყვარულისას.
დაღლილი მზერა მიეყინა
ძველი ქალაქის ქვიან კედლებს,
ეს ის გზა იყო, პლანეტებიდან გამოტყორცნილმა
სხივმა რომ უცებ აღმოაჩინა,
საშველად ვინმე განწირულისთვის.
როდესაც წყევლა ლოცვასავით შემოდის სისხლში,
ეს სიყვარული კი არ კვდება, მხოლოდღა წუთი,
რომელსაც ვეღარ გააგრძელებ,
ვერ აცოცხლებ, ვერ გადაარჩენ.
დაიბადება სილამაზე დაბრმავებული სიკეთის წილ,
იცოცხლებს ღამე — რომელიც საკუთარ თავს ვერ დაინახავს,
ყრუ-მუნჯის გვირგვინს
მარადიული ექო გაბზარავს.
გამოიხმე ხსოვნიდან ყველა: ვინმეს თუ ძალუძს,
სიყვარულის გრძნეულებაზე იფიქროს ერთად,
ქვეყნად არსებულ ყველა ენაზე.
რა აცახცახებთ ნეტავ რაყრაყებს,
ვის შეუძლია ემბოროს
დაცვარულ ვარდთა ცრემლიან თვალებს?

V

ყველა ტაძარი ჩემთვის ხიდია,
ამ ერთადერთით გიკავშირდები,
სულში ისეთი სინათლეა,
ასე მგონია არყოფნიდან გამოვაბიჯე
და სავსე მთვარის ბილიკს შევყვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნუნუ ქადაგიძე

# ნათლისმცემელი

### მოთხრობა

ჯერ ისევ ბნელოდა, როცა ხმაურმა შეაღვიძა იოანე. იმწამსვე წამოდგა, როგორც ჩვეული იყო. მისი მრავალტანჯული სხეული მყისიერად ემორჩილებოდა ძილსა თუ ღვიძილს. თავი ასწია, ყური მიუგდო განთიადის ბინდბუნდში დარხეულ ხმებს. ჭურჭლის წკრიალი გაარჩია, დაფაცურებულ მსახურთა აღელვებული სიტყვებიც მოესმა.

მიხვდა იოანე, რასაც მოასწავებდა ეს ხმები: დიდ ღრეობას აპირებდა ჰეროდე, მეფე იუდეისა. დიახაც უყვარდა ღრეობის გამართვა უკვე ხანდაზმულ მეფეს, გულით ილხენდა სანადიმო სუფრასთან. საამური საბაბიც ჰქონდა სანადიმოდ: დაბადების დღეს ზეიმობდა, საპატიო სტუმრებს ელოდა, ახლო ნათესავებს, თუ ბავშვობიდან თანშეზრდილთ. ჰეროდეს ბრძანებით, საგანგებო სამზადისი ჰქონდათ სასახლეში და მსახურთა მარაქა ჯერ კიდევ დილაბნელზე შესდგომოდა საქმეს.

იოანე საკნის კუთხეში მივიდა, წყლის ჭურჭელი აიღო, პატარ-პატარა ყლუპებით მოსვა წყალი. ფრთხილად დადგა წყლის ჭურჭელი, ისევ დაუბრუნდა ქვის იატაკზე დაგებულ ხმელ ნარს, დინჯად მოიკეცა ზედ და მზერა ვიწრო სარკმელს მიაპყრო. განთიადი ძალას იკრებდა, მისი შუქი სულ უფრო უხვად ეფინებოდა იოანეს, საჩინოს ხდიდა მის დაძარღვულ, ჩამომხმარ სხეულს, უდაბნოს ქვიშაში ამოზრდილ მცენარის ფესვებს რომ ჰგავდა, სახე ქვის ნიღაბივით უძრავი ჰქონდა, მძიმე, დაღარული შუბლით და ნახევრად დახრილი ქუთუთოებით. ეს ნახევრად დახრილი ქუთუთოები თითქოს შუაზე კვეთდა იოანეს თვალთამზერას, ისევ საკუთარ თავში იბრუნებდა და იხვევდა, რათა შინაგანი ხედვისათვის შეეწონასწორებინა და შეევსო, თუ რამ მადლი და ნაკლი ჰქონდა.

შორით მოტანილი, ზეიმის მაუწყებელი თანდათან ძლიერდებოდა. მეფის სახლეული უკვე ფეხზე იყო, ასე აუწყა ამ ხმებმა იოანეს, რომელიც უკვე კარგად იცნობდა აქაურობას. მალე მზის პირველის ხივებიც ამოსხლტებოდნენ ცისკიდურიდან, ვიწრო სარკმელზე აჭედილ გისოსებზე გაიბრწყინეს. იოანემ გულხელი დაიკრიბა, თავი დახარა და ლოცვაში ჩაეფლო. მზე მდუმარედ აფრქვევდა თავის ნათელს, იოანეც მდუმარე ლოცვას მიაგებდა ამომავალ მნათობს.

მცველებმა ჩაიარეს რკინის ცხაურია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი კარის წინ. იარაღს მიაჟღარუნებდნენ. მალე ჯალათიც გამოჩნდა, ზორბა, მოსული ტანის კაცი იყო· მოზომილი, ღირსეული ნაბიჯებით ჩაიარა და გეზად გამოხედა ლოცვად დამდგარ იოანეს. ჩანდა, ჩვეული სურათი იყო მისთვის, რაც ამ წუთას იხილა. იოანე ლოცვით ეგებებოდა მზის ყოველ ამოსვლას. მალე მსახურიც გამოჩნდა, ჩაიმუხლა და ფრიად მწირი ტრაპეზი შემოაცურა რკინის ქვემოდან. მანაც განურჩეველი მზერა შეავლო იოანეს და სხვა საკნებისკენ გაემართა· იოანე არავითარ ყურადღებას არ აქცევდა საკნის წინ გმართულ მისვლა-მოსვლას. ეტყობოდა, რომ ამწუთას ძალზე შორს იყო აქედან სულითაც და ხორცითაც, ერთი სიტყვა არ დაუძრავს, ტუჩებიც არ შეუტოკებია, ისე გაასრულა ლოცვა, მდაბალი თაყვანი სცა ცაზე მოგიზგიზე ალისფერ მნათობს დ მხოლოდ ამის შემდეგ მიუბრუნდა ქვის იატაკზე დადებულ მწირ ტრაპეზს. აიღო პურის ნატეხი, დაფხვნა, ნამცეცები ხელისგულზე დაიყარა და პირში გადაუძახა. სამიოდეჯერ გაიმეორა ასე. რამდენიმე ყლუპი წყალიც დააყოლა. მერე წამოდგა, ტანზე მჭიდროდ შემოიხვია აქლემის გაცვეთილი ტყავი, ორივე ხელი მაღლა აღაპყრო და გადმოსკდა მისი პირიდან მსუსხავ სიტყვათა ნიაღვარი, მეფისა და მისი სახლეულის განმაქიქებელი· „ძრწოდეთ, უბედურნო, — ღაღადებდა იოანე, — მდიდარი და ბედნიერი გგონიათ თქვენი თავი, ამ დროს კი უღარიბნესი და ყველაზე უბედურნი ხართ ამქვეყნად. თქვენ არარა გაგაჩნიათ, გარდა გაფუფუნებული სხეულისა, მატლების გასასუქებელი გვამისა. ძრწოდეთ! მიწიერმა დანთქა სული თქვენი. სტომაქი ამოყორილია სიმაძღრით, სული გამომშრალია უმეტეს უდაბნოს ქვიშისა, რომელსაც არასდროს ღირსების ზეციური ნამი· გვამი ნეტარებს მომავალი ღრეობის მოლოდინში, სული კი ჰგვემს და კვნესის, მაგრამ თქვენს ყურამდე ვერ აღწევს მისი საწყალობელი ხმა, რამეთუ დახშულია სმენა თქვენი უმეტეს მიწაში დამარხული მკვდრისა...“

წამით შეყოვნდა იოანე. მისმა მახვილმა სმენამ დაიჭირა ბგერები, რომლებმაც დედოფალ ჰეროდიას აბრძანება ამცნო. მაშინ ხმა უფრო შეიმაღლა, აზლა მეფეს და დედოფალს დაანთხია მწარე სიტყვთა ნიაღვარი. „მძიმეა ცოდვა თქვენი, წყეულია თქვენი კავშირი მიწის და ზეცის წინაშე. უარჰყავით იგი, გეშინოდეთ ღვთის სასჯელისა, რომელიც მოაწევს თქვენს ზედა“.

მზის ცეცხლოვანი ბურთი შეუნელებლად იწევდა მაღლა, იოანეს სიტყვებსაც სულ უფრო ემატებოდა სიმწვავე და სიფიცხე· სრულიად მოურიდებლად, დაუნდობლად ამხელდა ყველას და ყოველივეს, რაც კი საწუთროში ტრიალებდა, ჰეროდეთი დაწყებული, უბრალო მცველით დამთავრებული. ყველას დას ყოველივეს მიაგებდა მისაგებელს, თითქოს ბასრი მახვილი ჰკვეთდა მათ სულსა და გულს, სამზეოზე გამოჰქონდა მათში ჩაბუდებული უწმინდურება...

●

შუადღე იქნებოდა, როცა ჰეროდემ მოაკითხა იოანეს. მხლებლებმა რბილი საკარცხული დაუდგეს რკინის ცხაურით აჭედილი კარის წინ. ჰეროდე დაჯდა, საკანი მოათვალიერა ცხაურს მიღმიდან. იოანე ნარზე მოკეცილიყო. უცხო, ნასესხები საგანივით მიეგდო ტან-ფეხი· როგორც ყოველთვის, ქუთუთოები ახლაც ნახევრად დახრილი ჰქონდა. მნახველს შეიძლებოდა ეფიქრა, სძინავსო, მაგრამ ჰეროდე კარგად იცნობდა იოანეს. იცოდა, რომ ძილი და ღვიძლი ერთმანეთისაგან არ განირჩეოდა მის სახეზე· ამას გარდა, კიდეც რომ სძინებოდა, მაშინვე გაეხმაურებოდა იოანე მის სიტყვებს, მყისიერად გადააბიჯებდა სიფხიზლეში. მისი ეს თვისებაც უწყოდა იუდეის მეფემ, ამიტომ მაშინვე გაუბა მუსაიფი, ღამით ნანახი სიზმარი უამბო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სიზმარში ვნახე, ვითომ შენ იყავი მეფე, შენ გეხურა ჩემი ოქროს გვირგვინი. შენი იყო ჩემი ოქროს ტახტი და სამეფო სკიპტრა...“

„შენ საკუთარი შიში გინახავს სიზმრად, ჰეროდე“, — მშვიდად უპასუხა იოანემ. ამ მშვიდ ხმაში ვერც კი ამოიცნობდი იმ მჭექარე, ხაფი ხმის პატრონს, ასე გაცხარებით რომ აფრქვევდა ცეცხლს ყველას და ყოველივეს მის ირგვლივ.

„შიში?“ — გაიკვირვა ჰეროდემ, სახეზე ეჭვი გამოესახა,

„შიში სამეფო გვირგვინის დაკარგვისა, — იმავე მშვიდი ხმით გააგრძელა იოანემ. — შიში მარადი და დაუძლეველი, რამაც უძლურ მატლად გაქცია“.

„მე ახლა აღარ მეშინია სამეფო გვირგვინის დაკარგვისა, — ცხარედ შეესიტყვა ჰეროდე. — მტკიცეა ჩემი მარჯვენა, შეუვალია ჩემი სამეფოს საზღვრები“.

„ცრუობ! ან საკუთარ თავს ატყუებ, ანდა სხვის მოტყუებას ცდილობ. ეს შიში წამითაც არ გცილდება, არც ძილში, არც ღვიძილში. საიქიოშიც ის იქნება შენი თანამგზავრი და არანაკლებ სატანჯველს მოგაწევს, ვიდრე სააქაოს დაგატეხა თავს“.

ჰეროდე აშკარად შეკრთა, თვალი აარიდა იოანეს. წამით სკუთარ სულს გაუსწორა მზერა. ვინ იცისო, გაუბედავად ჩაილაპარაკა და სასწრაფოდ შეცვალა საუბრის თემა.

„ამბობენ, იესოს იერუსალიმისკენ უჭირავს გზიო, — თქვა. —სჯობდა, ფრთხილად ყოფილიყო და იერუსალიმს მორიდებოდა. სინედრიონი კბილებს ილესავს მასზე“.

„სიფრთხილე ღმერთებს არ სჭირდებათ, — ზიზღით მიუგო იოანემ. — სიფრთხილე ადამიანების მოგონილია“.

ჰეროდე მისკენ გადაიხარა.

„მითხარი, იოანე, — ჰკითხა იდუმალი ხმით. — მართლა ღმერთია თუ არა იგი?“

„შენ თვითონ თუ ვერ ხედავ მასში ღმერთს, სრულიად ამაოა სხვათა მითითება. ეს იმას ნიშნავს, მზისკენ მიუთითო დაბადებით ბრმას“.

ნუ სჯი ასე მკაცრად ჩემს სიტყვებს, — სთხოვა ჰეროდემ. — დიდ პატივს გცემ და შენი აზრის გაგებაც ამიტომ მაინტერესებს. შენ ერთადერთი ხარ ჩემ ტუსაღთა შორის, ვისაც არასოდეს უსაზღვრო თავისუფლება...“

„სადაც მე ვარ, ჩემი თავისუფლებაც იქაა...“

„ვიცი ეგ. ისიც ვიცი, რომ ვერასოდეს მივწვდები შენი სულის სიმაღლეს. შენ არ იცი, რა არის სიკვდილის შიში, არარად მიგაჩნია ტკივილი. თუ ვინმე კაცთაგანი მიახლოების ღმერთს, უპირველესი ხარ მათ შორის. ოღონდ ერთს გეტყვი და ნუ შეიტან ეჭვს ჩემს სიტყვებში: აქ მოვიდა ერთი კაცი, რომელიც შენ მესიის სახელით მონათლე მდინარე იორდნეზე...“

„მე არა ერთი მოვნათლე იორდანეზე“.

„იგი შეესწრო იმ დროს, როცა იესო მონათლე და ღმერთი უწოდე...“

„ღმერთს ღმერთი ვუწოდე“.

„მაგრამ მან თვითონ თურმე არაფერი უწყოდა ამის შესახებ“.

„განა შენ უწყი რაიმე საკუთარი თავის შესახებ“? — კითხვა შეუბრუნა იოანემ.

„მე ხომ ადამიანი ვარ და არა ღმერთი...“

ქალის გააჩხლებული ხმა შემოიჭრა გარედან, ჰეროდია ბრაზობდა რაღაცაზე. ჰეროდეს უარესად შეეჭმუხნა ისედაც დაღარული შუბლი. ეს ხმა ისედაც კარგა ხანია აღარ ეჩვენებოდა ანგელოზთა გალობად. აქ კი, იოანეს საკანთან, განსაკუთრებული სიმწვავით ხვდებოდა გულზე. თავის ადრინდელ შეცოდებას აგონებდა, როცა გარდაცვლილი ღვიძლი ძმის ცოლი დედოფლად დაისვა.

ჰეროდიას ხმამ საუბრის ძაფი გაუწყვიტა ჰეროდეს, სხვაგან გადატყორცნა ფიქრებით. თავი დაეხარა ხანდაზმულ მეფეს, რაღაც საზრუნავს ჩაღრმავებოდა, იჩქითად ამოტივტივებულს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუბლზე ნაოჭები კიდევ უფრო გაუღრმავდა, ღრმა ხნულივით აჩნდა.

ალარც იოანეს დუმრავს სიტყვა, მეფის დაღარული შუბლისთვის მიეპყრო თავისი უჩვეულო, სანახევროდ საკუთარ თავში ჩაბრუნებული მზერა.

მზის სხივების კონა შემოიჭრა საკანში, გადაასცოცდა ნარს და ქვის იატაკზე გააგრძელა გზა. მიცოცავდა აუჩქარებლად, სრულიად უხმაუროდ. უხილავი იყო მისი ნაკვალევი.

ჰეროდეს შუბლიდან მზის სხივთა კონაზე გადაიტანა მზერა იოანემ...

...ბალღობიდანვე ამ ნაკვალევს მისდევდა იოანე. ჯერ კიდევ სულ პატარა, გაოცებით შესცქეროდა მზის ოქროვან ბურთს, ცაზე გამოკიდებულს. უკვირდა ბალღს: ყოველივე კვალს ტოვებდა უდაბნოს ქვიშაზე, ქარი იქნებოდა, ადამიანი თუ ცხოველი. უცნაური იყო, მზე არ ტოვებდა ნაკვალევს. გადაგორდებოდა ქვიშის დიუნებს იქით და თვალს ეფარებოდა. იოანე გარბოდა, ეძებდა მზის ნაკვალევს. ისე ეჩვენებოდა პაწია ბალღს, თითქოს უშუალოდ ქვიშაზე ეშვებოდა მზის ელვარე ბურთი. ამაოდ აცეცებდა თვალებს იოანე, მზეს არ ჰქონდა ნაკვალევი. მხოლოდ საკუთარი ნაკვალევი შერჩებოდა ხელში, მისი პატარა ფეხებით ალბეჭდილი ქვიშაზე. დედ-მამას დიდად არ აოცებდა იოანეს აზირება, ბავშვურ ცელქობად უთვლიდნენ და იოანეც მთელი მისი სიყრმის მანძილზე ერთობოდა ამ მიმზიდველი თამაშით, დაეძებდა მზის ნაკვალევს, რათა ბოლოს ყოველთვის საკუთარი პაწია, მსუბუქი ნაკვალევი აღმოეჩინა.

გადიოდა დრო. იოანეს ნაკვალევი ქვიშაზე ალბეჭდილი, ალარ იყო ძველებურად მსუბუქი და პატარა. თანდათან ღრმავდებოდა, სანამ მოწიფული ვაჟკაცის ნაკვალევად არ იქცა. მზის ნაკვალევი კი ახლაც უხილავი იყო. იოანე ალარ მისდევდა მზის ნაკვალევს, ალარ ცდილობდა მის აღმოჩენას, მაგრამ მზის ცეცხლოვანი ბურთი ძველებური ხიბლით ეძახდა თავისკენ, ატყვევებდა მის მზერას. გიგანტურ, ყოვლისმხილველ თვალად ეჩვენებოდა იგი იოანეს, რომელიც ერთი წამითაც არ აცილებდა თავის ბრწყინვლე მზერას და რაღაც მეტად საინტერესოს, იდუმალს და ამოუცნობს მიანიშნებდა. იგი თითქოს ეძახდა თავისკენ, ეძახდა უხმოდ, მაგრამ მეტად მრავლისმეტყველად და ძლიერად. იმდენად დიდი იყო ამ უხმო ძახილის ხიბლი, იოანემ ვერ შეძლო წინაღდგომოდა. მიატოვა მშობლიური სახლი იუდეაში; უდაბნოს მისცა თავი, სადაც განუყოფლად მეუფებდა მზის ცეცხლოვანი ხატება.

უდაბნოს ბალღობიდანვე კარგად იცნობდა იოანე, საკუთარი სახლივით იყო მასთან შეთვისებული მისი ოჯახიც: მშობლები უბრალო მეჯოგეები იყვნენ. საძოვრების ძიებაში ხშირდა მიმოდიოდნენ ოაზისიდან ოაზისამდე, საკუთარ ტყავზე ბევრჯერ განუცდიათ უდაბნოს ულმობლობა, მაგრამ ერთმანეთს ამაგრებდნენ, ისევ გზას აგრძელებდნენ ერთმანეთის იმედით და ძალით.

როცა სრულიად მარტოკა წარსდგა უდაბნოს წინაშე, იოანემ საოცარი სიცხადით დაინახა ის არაჩვეულებრივი, განურჩეველი ულმობლობა, რითაც უდაბნო უხვდება ყველას, მის წიაღში მოხვედრილს. დაინახა, როგორც თვით მზის ცეცხლოვანი სფერო, ცის მუქ ლურჯ თაღზე გამოკიდებული. ძნელი იყო თვალის გასწორება როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის: ეს სიკვდილისათვის თვალის გასწორებას ნიშნავდა, მგარამ სხვა გზა არსად ჩანდა. იოანეს თვალი უნდა გაესწორებინა აუტანლდ ელვარე უდაბნოს მზისთვის და ნაბიჯიც გადაედგა მისკენ. ეს ნაბიჯი კი, უპირველეს ყოვლისა, მის საკუთარ სხეულზე გადიოდა... მისი ხორცის და ძვალის მილმა...

უცხო საგანივით იწყო საკუთარი სხეულის ჭვრეტა. ხორცს უნდა ეცოცხლა, რათა ეცოცხლა მზის მხილველ თვალთმზერას, ამისთვის კი ძალზე მცირე რამ იყო საჭირო. მაშინ შეეჩვია, რომ პურის ნატეხი ნამცეცებად ექცია და მხოლოდ ამ სახით გადაეყარა პირში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო იოანესათვის, პურს ყლაპავდა თუ მუჭით მოხვეტილ მკლავს.

ათასში ერთხელ თუ ველურ თაფლს წააწყდებოდა, ნებას აძლევდა თავს, მიელო ეს ნობათი. მაგრამ მკაცრად ტუქსავდა საკუთარ სხეულს, რათა არ გადასცდენოდა მის მიერვე დაწესებულ მკაცრ ზომას, ულუფას, ლამის ჩიტსაც რომ არ დაურჩებოდა ზედმეტად. ჩიტივით თავისუფალი უნდა ყოფილიყო იოანე, რათა ზიარებოდა მზის მეუფებას. ამგვარმა ცხოვრებამ საბოლოოდ გამოაშრო მისი სხეული, სულ მთლიანად წარხოცა, თუ რამ ზედმეტი ჰქონდა შემორჩენილი, მატლების გასაფუფუნებელი. მისი სხეული იმ არგანს დაემსგავსა, დღენიადაგ რომ არ იშორებდა. არგანის ხმარებაც უდაბნომ დააჩვია აბეზარი ქვეწარმავლის თუ მწერის მოსაშორებლად. საყრდენადაც სჭირდებოდა ხოლმე, როცა მეტისმეტად დაუძლურდებოდა ხანგრძლივი შიმშილისა თუ წყურვილისაგან. თვითონ იოანესთვისაც გაუგებარი და საოცარი იყო, იმდენი გამძლეობა აღმოაჩნდა მის ხორცსა და ძვალს.

ბევრჯერ უფიქრია, ალბათ, აღარაფერი მეშველებაო, თავი მოუდრეკია უდაბნოს ქვიშით უხვად მოფენილ სიკვდილის სარეცელზე, როცა მზე ცეცხლოვან ნიაღვარს დაუნდობლად დაატეხავდა თავზე. მაგრამ მერე, ღამის სიგრილით მოცოცხლებული, ისევ ახელდა თვალს, გაოცებით შესცქეროდა ვარსკვლავთა ოქროვან კუნწულებს და ცდილობდა გაერკვია, ისევ ცოცხლებში იყო, თუ უკვე გადაენაცვლა მარადისობის წიაღში.

არა, არ კვდებოდა ხორცი, უძლებდა გაუსაძლისს. ცოცხლობდა თვალთმზერაც, რომელიც მზის მეუფებას შესცქეროდა და ელტვოდა.

თითქმის გამუდმებულმა მარტოობამ მისი სახე ქვისაგან გამოკვეთილივით უძრავი გახადა, ნამდვილ ნიღაბს დაამსგავსა. ამ ნიღაბს საოცრად თვინიერი და მეტყველი, ლამის ბავშვური თვალები ასხდა. ქუთუთოების ნახევრად დახრაც უდაბნოში ყოფნამ შეაჩვია, მზის აუტანელი ბრწყინვალებისაგან თავდასაცავად. თუ ვინმეს გადაეყრებოდა უდაბნოში ხეტიალისას, არც მაშინ იღებდა ხმას. არაფერს იტყოდა, სანამ არ ჰკითხავდნენ რაიმეს. სამაგიეროდ მუდამ ყურადღებით ისმენდა სხვათა მუსაიფს. სრულიად თავისუფლად მუსაიფობდნენ ყველანი მისი თანდასწრებით. ყველაზე იდუმალი, გაუმხელელი ფიქრების და ზრახვების გამჟღავნებასაც არ ერიდებოდნენ.

ათასი ჯურის ხალხი შეხვედრია უდაბნოს მოგზაურთა შორის იოანეს. შეღამებისას მოიყრიდნენ თავს, დაანთებდნენ კოცონს. შემოუსხდებოდნენ ირგვლივ, მიიღებდნენ ტრაპეზს. იოანესაც უწილადებდნენ. მერე მოხსნიდნენ თავს საოცარი ამბების გუდას. იმოწმებდნენ თავიანთ ღმერთებს, რომ სრული ჭეშმარიტება იყო მათი ნაამბობი. უამრავ ღმერთთა სახელი წარმოითქმებოდა ამ დროს, მრავალთათვის არგაგონილი და არსმენილი. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რამდენი ადამიანიცაა, ღმერთიც იმდენიაო.

ჭეშმარიტად: მრავალნი იყვნენ ღმერთები, და მრავალგვარობაში ერთ მთავარ ნიშანს ჭვრეტდა იოანე: უხილავნი იყვნენ ისინი, როგორც მზის ნაკვალევი ლურჯ ცაზე.

ერთხანს მზის თაყვანისმცემელთა ტომს მიეკედლა იოანე. მოხიბლა ლოცვის მხურვალებამ, რითაც ისინი ეგებებოდნენ მზის ამოსვლას. ასევე ლოცვით მიაცილებდნენ მზის ჩასვლასაც. გულით უყვარდათ თავიანთი ღმერთი, მზის ხატების სახით წარმოდგენილი, უყვარდათ და დიდი სიხარულით ემსახურებოდნენ. იოანემაც გულით მიიღო ეს სიხარული, გაიზიარა მათი სამსახური მზის ღვთაებისადმი. საკუთარ ხმასაც უერთებდა მათ ლოცვას. ლამის დააჯერა თავი, ვპოვე იმ ღმერთის მეუფება, რომელიც შემიძლია ვირწმუნო. მზეც თითქოს უფრო ბრწყინვალე ეჩვენებოდა იმ დღეებში, თითქოს ისიც ხარობდა მის მოქცევას.

თუმცა ბოლოს მაინც იძულებული გახდა იოანე, მიეტოვებინა მზის თაყვანისმცემელთა ტომი, ჭეშმარიტად გულმხურვალედ მორწმუნენი...

მოძღვარი ჰყავდა ამ ტომს, თავიანთი ღვთაებისკენ გზის გამკვლევი, წმინდა კაცი. მზის ღვთაება საკუთარი თვალით იხილაო, მასზე ამბობდნენ. იოანემ სარწმუნოდ მიიღო ეს ცნობა. ისეთი მხურვალე რწმენის სანაცვლოდ, რითაც ეს ტომი გამოირჩეოდა, ღმერთი, ალბათ, მოიღებდა განსაკუთრებულ წყალობას, გამოეცხადებოდა მათ მოძღვარს, რათა მისი საშუალებით სხვებსაც ეხილათ იგი.

იოანე ხშირად იჯდა მოძღვრის გვერდით, უსმენდა მის ლაპარაკს. თან შეფარვით უჭვრეტდა ღვთაების მხილველ კაცს. საკმაოდ ტანსრული იყო მოძღვარი, თუმცა მის შესახებ ამბობდნენ, ახალგაზრდობაში თხელი აღნაგობისა იყო, მხოლოდ მას შემდეგ მოიმატა, რაც ღმერთი გამოეცხადაო. ათას რამეს ეკითხებოდნენ მოძღვარს, ისიც ხალისით პასუხობდა. ლაპარაკი არასოდეს ბეზრდებოდა. იოანეს იქ ყოფნას კი თითქოს საერთოდ ვერც ამჩნევდა.

ერთხელ, წუთიერი მდუმარების შემდეგ, ჯიქურ მოუბრუნდა იოანეს:

„შენ არასდროს არფერი გიკითხავს ჩემთვის. მითხარი, რას ეძებ, რა გინდა..."

„მინდა ღმერთი დავინახო შენი თვალებით", — უპასუხა იოანემ.

„ღმერთს ვერავინ დაინახავს სხვისი თვალებით. ღმერთი თვითონ უნდა მიაგნოს ყველამ".

„საითკენ არის გზა ღვთისა?"

„საკუთარ ხორცს უნდა გადააბიჯო,— თქვა მოძღვარმა და იქვე უგემურად დაუმატა: — თუმცა მე ჯერ არავინ შემხვედრია ისეთი, საკუთარ ხორცს შენსავით უდიერად ექცეოდეს".

იოანე მაშინვე წამოდგა და იქაურობას გაეცალა. მიხვდა მასი იქ ყოფნა არ სიამოვნებდა მოძღვარს, როგორღაც ავიწროებდა თავისი ჯიუტი დუმილით. ამავე დროს, ისიც ცხადი გახდა იოანესათვის, რომ მოძღვარს არაფერი ჰქონდა სათქმელი მისთვის.

ძველებურად პირისპირ წარსდგა უდაბნოს წინაშე, ეული, საკუთარი თავის ამარა, ნიღაბივით უძრავი სახით და ლამის ბავშვურად მიამიტი თვალებით.

თითქოს პირველად დაინახა უდაბნო... დაინახა როგორც გმოუცნობი, თვალშეუვლები გოლიათის დაღარული შუბლი...

ყველა და ყოველივე ტოვებდა ნაკვალევს ამ დაღარულ შუბლზე, ქარი იქნებოდა, ადამიანი თუ ცხოველი. მხოლოდ მზე არ ტოვებდა არავითარ კვალს, მნათობთა მნათობი. და ეს გარემოება როგორღაც შეუსაბამოდ მოეჩვენა იოანეს. დაუძლეველი ძალით გაუწია გულმა, მზის ნაკვალევიც მოეძებნა ამ გამოუცნობი გოლიათის დაღარულ შუბლზე. თუმცა გონება ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა, ამ ძიების სრულ უნიადაგობას აუწყებდა.

მიჰყვა იოანე თვისი გულის ძახილს, მზის კვალს რომ ადევნებოდა მისდა დაუკითხავად. გზის გამკვლევად კი იმ ბავშვურ სიხარულს მოუხმო, რომელიც ბალღობისას მიერეკებოდა მზის კვალდაკვალ. სრულიად ხელცარიელმა და მარტოსულმა, ბავშვური გულუბრყვილო სიხარულის ამარამ შეაბიჯა უდაბნოს მდუმარებაში. უკან აედევნა საკუთარ ნაკვალევთა ჯაჭვი.

მის თავს ზემოთ მზეც შესდგომოდა თავის მარადიულ, ბრწყინვალე გზას ლურჯ უდაბნოში. იოანესაგან განსხვავებით, მას არ მისდევდა საკუთარ ნაკვალევთა ჯაჭვი.

მზე აუჩქარებლად დაეშვა ქვიშის დიუნებზე საღამო ხანს და ნელ-ნელა მიიმალა მათ მიღმა. იოანემ მიღწია იმ დიუნებამდე, მართლაც ბალღივით მოათვალიერა იქაურობა. მხოლოდ საკუთარი ნაკვალევი შერჩა ხელში, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალღობისას. ოღონდ ადრინდელისაგან განსხვავებით, მსუბუქი და პაწია არ ყოფილა ის ნაკვალევი, მოწიფული ადამიანისა გახლდათ.

როცა მზის ნათელი მიინავლა, იოანემ იქვე ჩაიმუხლა და თავი დაანდო უცნობი გოლიათის დაღარულ შუბლს. ვარსკვლავთა ოქროვანმა კუნწულებმა გაოცებით ჩამოხედეს ზემოდან. მალე მთვარემაც შეაწია თავისი სევდიანი ღიმილი.

დილით, როცა მზე კვლავ შეუდგა თავის ბრწყინვალე, კვალთუხილავ გზას, იანეც შეუდგა თავის უჩვეულო საქმიანობას, მზის კვალის ძიებას. ეს ყველაფერი უცვლელად გაგრძელდა შემდგომ დღეებში. იოანე ძველებურად მარტოდმარტო დაეხეტებოდა უდაბნოში, დაეძებდა მზის ნაკვალევს, გზის გამკვლევად კი მისი ბავშვური სიხარული მიუძღოდა მუდამ. ერთი რომ აინთო ის სიხარული, აღარც ჩამქრალა. ჯადოსნური ჩირაღდნის მსგავსად კიაფობდა იგი. ერთნაირად უნათებდა გზას მზის დამაბრმავებელ ბრწყინვალებასა თუ ღამის სიბნელეში.

კიდევ უფრო მახლობელი გახდა უდაბნო იოანესათვის, რაც იგი გამოუცნობი გოლიათის შუბლივით გადაიშალა მის წინაშე. ულმობლობა ცხადად ეწერა ამ შუბლს, მაგრამ ეს გარემოება ახლა კიდევ უფრო ნაკლებად აღელვებდა იოანეს, ვიდრე ოდესმე. მთლიანად ამ ულმობელ შუბლს მიანდო თავისი სიცოცხლე — სადაც დაუღამდებოდა, იქ უთენდებოდა. ცოტა ხნით თუ წაიძინებდა ნადირივით. თუ რა უნდა ჰქონოდა საკვებად, თავის დღეში და დაფიქრებულა ამაზე. მისი სხეული, მისგან გაუცხოებული, რაღაც აუხსნელი, ასევე გაუცხოებული სიცოცხლით ცოცხლობდა, მუდამ უდრტვინველად ასრულებდა იოანეს ნებას. დადიოდა, როცა იოანე უბრძანებდა. ქვიშაზე მოიკეცავდა, როცა იონე ისურვებდა ამას. სხვა დანარჩენი კი, სიცოცხლის თანამდევი მტანჯველი ქიმერები, შიმშილი იქნებოდა, ტკივილი თუ სიკვდილის შიში საბოლოოდ გადაავიწყდა მის სხეულს, რამეთუ იოანემ ერთხელ და სამუდამოდ ჩააკმენდინა ხმა, ერთი წამოკვნესების უფლებაც არ დაუტოვა.

ერთადერთი, ბავშვური სიხარული ენთო უცვლელად იოანეს არსებაში. იგი არა მარტო გზის გამკვლევი, სიცოცხლის ჯადოსნური წყაროც იყო მისთვის. „გამიძეხ წინ, გამიძეხი და მიმიყვანე ღვთის კვალთან, მზის კვალთან." შესთხოვდა იოანე მას, რამეთუ არსაით ჩანდა სხვა რამ ნიშანსვეტი. გარდა ამისა, ისიც ხომ უწყოდა იოანემ: როცა კვალს დაკარგავ, მაშინვე უკან უნდა დაბრუნდე და ყველაფერი თავიდან დაიწყო. ბავშვობაში დაბრუნებაც სწორედ იმ დაკარგულ კვალთან დაბრუნება შეიძლება ყოფილიყო...

ის ბავშვური სიხარული გაორკეცებული ძალით აინთო იოანეს არსებაში, როცა ბოლოს მართლა მიაგნო რაღაც უჩვეულო ნაკვალევს.

ერთი შეხედვით, ადამიანის კვალს ჰგავდა, ჩვეულებრივ კვალს. მისი უჩვეულობა მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ სრულიად მყისიერად იწყებოდა, თითქოს ვიღაცა ჩამოეშვა და ქვიშაზე სეირნობა ინებაო.

სიხარულისაგან ამსუბუქებული ნაბიჯით მიჰყვა იოანე ამ უჩვეულო ნაკვალევს. უნდოდა ენახა, ვინ იყო იგი, ზეციდან მიწაზე დაშვებული. კარგა ხანს იარა გამოუცნობი ნაკვალევის გვერდით, თვალს არ აცილებდა, რაიმე არ გამომეპაროსო, ფრთხილობდა...

ბოლოს კვალი შეწყდა. შეწყდა ისე მყისიერად, როგორც დაიწყო.

იოანე შედგა, თვალები ხელით მოიჩრდილა და ცისკიდურს გახედა. ყოველი კუთხით ერთნაირად გაშლილიყო გამოუცნობი გოლითის გიგანტური შუბლი. ორი კვალი ჰკვეთდა ამ შუბლს: ერთი ვიღაც გამოუცნობი არსებისა, რომელიც წუთიერად დაშვებულიყო მიწაზე. მეორე კი მისი საკუთარი ნაკვალევი, პირველის გვერდით მიმავალი. სხვა რამ ნიშანი ან კვალი არსაით ჩანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანემ კვლავ გულმოდგინედ დაათვალიერა გამოუცნობი ნაკვალევი· დარწმუნდა, რომ ისევ ჩეულებრივ ადამიანურ კვალს ჰგავდა, თუ მყისიერ გაქრობას არ ჩავთვლიდი· მერე იქვე ჩაიმუხლა. თავზე კიდევ უფრო ბარაქიანად წამოიფარა აქლემის ტყავი, არგანიც გვერდით დაიდო. ისეთი სახე მიიღო, თითქოს იმ უჩვეულო კვალს ყარაულობსო. ამ ყოფით დაალამდა თავზე, მზე აუჩქარებლად მიიმალა დიუნებს იქით, მალე ღამეულმა მნათობებმაც აახამხამეს თვალები. მათ შუქზეც კარგად ჩანდა გამოუცნობი ნაკვალევი· იოანე ჟამიდან ჟამზე ცოტა ხნით წაიძინებდა ხოლმე, თვალის გახელისთანავე ნაკვალევს ათვალიერებდა.

განთიადმაც აღარ დააყოვნა. მის შუქზე ცხდი გახდა, რომ ნაკვალევი ცოტათი გამქრქალებულ, ღამის ნიავს ეზრუნა ამაზე·

ის დღეც იმ ნაკვალევთან დაალამა იოანემ. ღამეც იქვე გაატარა.

დილით ნაკვალევი ოდნავლა შეინიშნებოდა.

იოანემ არც იმ დღეს მოიცვალა ფეხი.

მესამე განთიადის ამობრწყინებისას ნაკვალევი სრულებით აღარ ჩანდა. იოანემ მხოლოდ მაშინ წამოკრიფა თავის გამომხმარი სხეული და გზას დაადგა. მიდიოდა და იმაზე ფიქრობდა, რომ ახლა მისი ნაკვალევიც ისე გამოჩნდებოდა უცხო თვალისათვის, თითქოს ვიღაცა ციდან ჩამოეშვაო; იმ გამოუცნობ კვალთან ერთად ხომ იოანეს კვალიც წაიშალა·

კვალი გაქრა, მაგრამ სიხარული ბალღისა, რომელმაც რღაც უჩვეულო დაინახა, არ გამქრალა· იგი ძველებურად ენთო. „გამიძეხ წინ, მიმაგნებინე კვალი ნათელი, კვალი მზის ღვთაებისა“, ძველებურად შესთხოვდა მას იოანე.

რამდენიმე დღე ისე იარა, არაფერი აღარ შეხვედრია.

ბოლოს ისევ წააწყდა ისეთ კვალს, რომელიც თითქოს ვიღაცის მიწაზე დაშვებას ანიშნებდა.

იოანე მაშინვე მიჰყვა მას, მისი სიხარული ამჯერად კიდევ უფრო დიდი იყო, ვიდრე უჩვეულო კვალის პირველად ნახვისას· ეს მეორე ნაკვალევი ხომ აშკარად თვითონვე ადასტურებდა რაღაცას, ჯერჯერობით გამოუცნობს იოანესათვის.

ეს კვალიც, პირველის მსგავსად· მყისიერად შეწყდა.

იოანემაც ჩაიმუხლა და იწყო მისი თვალთვალი.

· სამი დღე-ღამის გასვლის შემდეგ ეს კვალიც გაქრა.

და ასე რამდენჯერმე განმეორდა...

სხვა მხრივ, იოანე თავის ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობდა. ჭამდა იმდენად მწირ საჭმელს, ჩიტს რომ არ დაურჩებოდა ზედმეტად. ნადირივით ფხიზლობდა· ცოტა ხნით თუ წაიძინებდა ხოლმე; მიმოდიოდა უდაბნოს ერთი კუთხიდან მეორემდე და ახალშობილის დარად უფრთხილდებოდა ბავშვური სიხარულის ჩირაღდანს, მის არსებაში ანთებულს· ის იყო მისი ერთდაერთი ნიშანსვეტი.

ერთხელ იოანე ისეთ დროს წააწყდა უჩვეულო ნაკვალევს, როცა მეტისმეტად იყო დაუძლურებული.

ნაკვალევი ადრინდელივით მყისიერად შეწყდა.

იოანემ ჩვეულებისამებრ მოიკეცა ცხელ ქვიშაზე. ისე მოსაღამოვდა, ფეხი არ მოუცვლია იქედან. სულ დაავიწყდა, რომ ველური თაფლის საძებნელად მიდიოდა ღონეგამოცლილი სხეულის მოსაბრუნებლად·

მეორე დილა გათენდა...

და აქ იოანემ ერთი უჩვეულო რამ აღმოაჩინა: კვალი ოდნავადაც არ გამქრქალებულიყო, ადრე ნაპოვნ ნაკვალევთაგან განსხვავებით.

იოანე გაფაციცდა, თვალი აღარ მოაცილა ნაკვალევს. მართალია, ეს ღამე რაღაც მეტისმეტად შეხუთული იყო, ნიავი არ უბერავდა, მაგრამ კვალის ასე უნაკლოდ შენარჩუნება მაინც უცნაურია უდაბნოს ქვიშისათვის, აქ რაღაც ამოუცნობი იმალებოდა.

საღამომდე ლამის თვალმოუცილებლად დასცქეროდა კვალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ის ღამეც გაილია, კვალი ისევ პირვანდელი სახით წარუდგა იოანეს, ისევ ისევ ღრმად აღბეჭდილი ქვიშაზე, ოდნავადაც არ გამქრქალებულიყო.

მესამე დილაც ასეთი სახით გათენდა: თითქოს სრულიად ახლად დამჩნეული კვალი და მის გვერდით, ცხელ ქვიშაზე მოკეცილი იოანე.

და არა მარტო მესამე, მძივებივით მიჰყვა ერთმანეთს სრულიად მსგავსი დღეები. ასე რომ ბოლოს იოანეს მათი სათვალავი აერია. აღარ იცოდა, თუ რამდენ ხანს იჯდა ფეხმოუცვლელად ამ მართლაცდა უჩვეულო ნაკვალევთან, რომელიც არა და არ იცვლიდა იერს.

ბოლოს სხეულმა, მისგან მივიწყებულმა, თვითონვე შეახსენა თავი, რაღაც ანიშნა სუსტი, უღონო ხმით. ამ ერთხელ იოანემ მიუგდო ყური საკუთარი სხეულის ძახილს, იმდენად საგანგაშო ნიშნები შეიცნო მასში. ოდნავ გასაგონად საყვედურობდა გული, მეტი ნამდვილად აღარ შემიძლიაო. მიეჩვენა, მდუღარეში ჩამაგდესო, ისეთი სიცხე შემოენთო ირგვლივ. თვალისთვის სახილველი, მთრთოლვარე ბური ასდიოდა გავარვარებულ ქვიშას. სულ ერთიანად გამომშრალი, ქვასავით უმოძრაო ენაც შეიგრძნო პირში.

მიხვდა იოანე, რომ უკვე აღარ ემსახურებოდა საკუთარი სხეული. თვალი დანანებით მოსწყვიტა უჩვეულო ნაკვალევს, რომელიც არა და არ იცვლიდა თავდაპირველ იერს.

საკუთარ ხელებს დახედა. ეგონა, ჩონჩხის ძვლები მიწყვია წინო, ისე გამომშრალიყვნენ ისინი. ამობურცული, ფერშეცვლილი ძარღვებს ჰკიდა თვალი. მიხვდა, სისხლი აღარ მოძრაობდა მათში. სიკვდილი აშკარად შეიგრძნო იოანემ.

სცადა, არგანი მოეძია, იქნებ დაყრდნობოდა და წამომდგარიყო, მაგრამ ჩონჩხად ქცეული ხელი ველარ მოსწყვიტა ქვიშას.

მაშინ თავი დაბლა დახარა იოანემ, თვალები დახუჭა და გამოუცნობი გოლიათის ულმობელ შუბლს დაანდო საკუთარი შუბლი.

წყვდიადმა დაბურა მისი ცნობიერება. ბნელეთმა იწყო ჩამოწოლა შუადღის გავარვარებულ ხვატში. ჟამიდან ჟამს იფანტებოდა ეს ბნელეთი, მაშინ ისევ ჩაესმოდა იოანეს საკუთარი სხეულის საყვედური და ჩივილი. მერე ისევ წყვდიადი ფარავდა ყველაფერს უგონობიდან აუტანელ ტანჯვამდე მიმოიქცეოდა იოანეს ცნობიერება.

ბოლოს ბნელეთმა მთლიანად დაბურა ყოველივე, განუყოფლად გაბატონდა წყვდიადი.

ამ წყვდიადში მაინც ამოცურდა რაღაც...

რა იყო ეს რაღაც, ხმა თუ რამე მნათი წერტილი, ჭირდა ამის თქმა, ისე უწესრიგოდ იყო ყველაფერი ერთმანეთში არეული.

მერე კი სრულიად გარკვევით ნათქვამი სიტყვები ჩაესმა:

„ადექი და მომყევი, იოანე!“

ამ სიტყვებთან ერთად, იგივე გამოუცნობი ნაკვალევი იხილა იოანემ, ანაზდად რომ იწყებოდა და ისევ ანაზდად წყდებოდა, თითქოს ვიღაცა ცად ამაღლდაო.

იოანე წამოდგა, მიჰყვა ამ ხმას და ნაკვალევს. ვიღაც მიდიოდა მის წინ. იოანე მას ვერ ხედავდა. ხედავდა მხოლოდ ნაკვალევს, ქვიშაზე ბარაქიანად აღბეჭდილს. მიაბიჯებდა იოანე მის კვალდაკვალ, სხეული დამჯერედ ემორჩილებოდა. აღარაფერი აწუხებდა. უკვალოდ გაქრა ყოველგვარი ტკივილი, წყურვილისგან გამოწვეული გაუსაძლისი ტანჯვა. საოცარი სიმსუბუქე ედგა ტანში, თითქოს კი არ მიდიოდა, მიფრინავდა... შემდგომში ამ სიმსუბუქეს რაღაც შეგრძნება შეერია. ეს იყო უალრესად საამური განცდა. — იოანეს სხეული ეწაფებოდა რაღაცას, აუწერლად ტკბილსა და მშვენიერს. სულ უფრო მატულობდა ეს საამური შეგრძნება. მან მთელი სხეული თავის წიაღში ჩაიხვია, ურბილესი ფერადოვანი ღრუბელივით შემოებურა ირგვლივ. მთელი სამყარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდით კიდემდე აავსო იმ ფერადოვანმა ღრუბელმა.

იოანემ თვალები გაახილა...

ისევ ის ფერადოვანი ღრუბელი რიალებდა მის თვალწინ. ცინცხალი ვარდისფერი სჭარბობდა მასში. მთელი სამყარო იმ ვარდისფერ სინათლეს აევსო.

იონე შესცქეროდა ვარდისფრად განათებულ ღრუბელს, ნეტარებდა მისი ჭვრეტით. საამური შეგრძნებაც ღრუბელივით ებურა ირგვლივ. დარწმუნებული იყო, რომ საბოლოოდ გადაებიჯებინა საკუთარი სხეულისათვის, სრულიად გათავისუფლებულიყო ადამიანური ყოფის ჭუჭყისაგან და ახლა ზესთასოფლის სანახებში იშვებდა მისი სული.

მერე ამ ვარდისფერ ღრუბელში რაღაც ამოცურდა, რაღაც მეტად ნაცნობი იოანესთვის. ის იყო იმ იდუმალი გოლიათის დაღარული შუბლი, რომელზეც ყველა და ყოველივე ტოვებს თავის კვალს, მზის გარდა...

იოანე შესცქეროდა გოლიათის შუბლს, ინიშნა მასზე აღბეჭდილი, ღრმა ნაკვალევი... ნაკვალევი გამოუცნობი, თითქოს ვიღაც უხილავის მიერ დატოვებული...

ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ წყლის წვეთები ასხდა ამ შუბლს, თითქოს წვიმას დაენამა, წვიმას, რომელიც უდაბნოში თითქმის არასოდეს მოდის, ათ წელიწადში ერთხელ თუ გადმოიფრქვევა ციდან, როგორც მეტად იშვიათი, ძვირადღირებული ნობათი:

მოულოდნელად გოლიათმა ენა ამოიდგა:

„ღვთის წყალობა გადმოვიდა ჩვენზე..."

ამან საბოლოოდ გამოაფხიზლა იოანე. გამოუცნობი გოლიათი უბრალო მწყემსად იქცა, რომელიც ცხვრების პატარა ფარას მიერეკებოდა. ვრდისფერი ღრუბელი უამრავ ვარდისფერ ყვავილად გარდაისახა, რომლებსაც მთელი უდაბნო კიდით-კიდემდე აევსო. მწყემსის სიტყვები კი იმას ნიშნავდა, რომ წვიმა მოსულიყო უდაბნოში. წვიმამ გამოაფხიზლა უდაბნოს ქვიშაში სალათას ძილით ჩაძინებული ყვავილთა თესლები, ახალი სიცოცხლე შთაბერა მათ. წვიმამ იოანესაც შთაბერა სიცოცხლე, რომელიც თითქმის საბოლოოდ მიინავლა...

სიცოცხლის დაბრუნებას ზეიმობდა იოანეს სხეული, საამური განცდები ახლაც ღრუბელივით ებურა ირგვლივ. საკუთარ ხელებს დახედა. ისინი აღარ ჰგავდა ჩონჩხის ძვლებს, დრეკადი და მოქნილი გამხდარიყო მათზე გადაჭიმული კანი. იოანე თავის არგანს დაეყრდნო, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა წვიმის ნამი და წამოდგა. მწყემსმა პურის ნატეხი უწილადა. იოანემ მადლობით მიიღო პური, თან თავისი ნახევრად დახრილ ქუთუთოებში შემალული თვალებით შეჰყურებდა მწყემსის დაღარულ შუბლს... იგივე იდუმალი გოლიათის შუბლს, რომელზეც ცხადად აღბეჭდილიყო უხილავის ნაკვალევი... მზის ნაკვალევი... მზის სხივივით ნათელი სიხარული...

„წამოდექი და მომყევი, იოანე"! თითქოს ახლაც ჩაესმა ეს სიტყვები, თითქოს მართლაც ზესთასოფელში შეიყვანა ამ ხმამ, სამოთხისებურ ნეტარებას აზიარა. თან ნთლად დაინახა საკუთარი ნაკვალევი, უბრალო მწყემსის შუბლზე აღბეჭდილი.

მერე მწყემსმა გაირეკა თავის პატარა ფარა და გზას გაუდგა. იოანემაც აიღო არგანი, დაადგა თავის გზას. მიდიოდა ვარდისფრად აბიბინებულ ყვავილთა ზღვაში. ისე დაჯერებით მიაბიჯებდა, თითქოს ახლაც ქვიშაზე აღბეჭდილ ნაკვალევს მისდევსო.

შეუსვენებლად იარა, სანამ მდინარე იორდანეს მიაღწევდა.

აქ შედგა იოანე, არგანი მაღლა აღმართა და გადმოიფრქვა მისი პირიდან მსუსხავ სიტყვათა ნიაღვარი. „ჰეი, თქვენ, ღვთისაგან განდგომილნო, მდაბალნო და უკეთურნო, — ღაღადებდა იოანე.— სმენადახშულნო, თვალდავსილნო, ყოველ უმდაბლეს გლახაკზე უფრო გლახაკნო... თქვენ, რომელთაც სხვა საზრუნავი აღარა გაქვთ, იქნებ როგორმე გაიფუოთ საკუთარი სხეული, საჭურჭლე მიწისა და ჭუჭყისა. სულით-ხორცამდე ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლულხართ ნეხვში და ვერ კი გაგიგიათ, ჯოჯოხეთის ბჭეთა უმდაბლეს დაშევბულხართ და ვერ დაგინახავთ. ვერ გსმენიათ თქვენი სულის ხმა და ძახილი, რომელიც უგონო მოზვრის ბღუილს დამსგავსებია. ცხოველურმა მთლიანად წარხოცა თქვენში ღვთაებრივი. დადგება ჟამი, ლაპარაკსაც გადაეჩვევით, დაგავიწყდებათ სიტყვა, ღვთის საჩუქარი. უენო პირუტყვივით მორთავთ ბღავილს და კბილებით გამოაღადრავთ კისრებს ერთმანეთს..."

ხალხმა მოიყარა თავი ქადაგად დაცემული იოანეს ირგვლივ — ვინ არისო, ერთმანეთს ეკითხებოდნენ. ზოგიერთებმა იცნეს იგი, ღვთის მადიდებელი კაცია, უდაბნოს მკვიდრიაო, სხვებს აუხსნეს. იოანეს გარეგნული იერი, ჩამომხმარი სხეული, მეტად უბრალო ტყავის კვართი, ადასტურებდა ყოველივე ამას. აოცებდათ მისი ნილბისებური სახე და მეტად თვინიერი თვალები. ეჩვენებოდათ, თითქოს სულ სხვა ვიღაცა ლანძღავდა და ათრევდა მათ. იოანე მხოლოდ აღასრულებდა მის ნებას.

ბოლოს მეტისმეტად ემწვავათ, ისეთი სუსხიანი სიტყვები დაანთხია მათ თავზე იოანემ; მყრალნი, გახრწნილნი და საძულველნი უწოდა.

„ასე რატომ გძულვართ, იოანე?" — შეჰბედა ვიღაცამ ღვთის კაცს.

„რომ მძულდე, მაშინ ქებას დაგიწყებდი". — შეაგება იოანემ პასუხი, სრულიად მშვიდი ხმით წარმოთქმული.

მერე ისევ შეიმაღლა ხმა.

„...მძიმეა და მყრალი თქვენი სული, საამური სუნი როდი დადგება მისი განკვეთისას. ყოველი თქვენგანი ზრუნავთ სხეულის სისუფთავისათვის, სულის სიმყრალეს ვერ გრძნობთ და არც გაწუხებთ იგი. მაგრამ არსება თქვენი არ მთავრდება მხოლოდ ამსოფლად, იგი გრძელდება ღვთის სამკვიდრებელში, მარადისობის წიაღში. მხოლოდ იქ შეიგრძნობთ თქვენი სულის სიმყრალეს, მხოლოდ იქ შეგაწუხებთ სიბილწე მისი..."

მერე იორდანეში ჩაიყვანა ხალხი, თავზე წყალი გადაავლო, ყოველი მათგანი მონათლა ღვთის და მესიის სახელით. „ეს არის წყალობა უფლისა, მოვლენილი ზეცით. იგი განწმენდს სულს, წარილებს ბიწს და სიმყრალეს. გაზიარებთ უფლის სამკვიდროს". ხალხი ადვილად დაემორჩილა იოანეს, ღვთის კაცად მიიღეს იგი. ისიც ხომ იცოდნენ, რომ წყალი ყოველგვარ ჭუჭყს წმენდდა. იქნებ ჩვენი სულის ჭუჭყიც განგვაშოროსო.

როცა ნათლობის წესი აღასრულა, იოანემ ისევ უდაბნოსკენ ჰქნა პირი.

„გვიჩვენე გზა ღმერთისკენ", — სთხოვეს იოანეს ზოგიერთებმა, რომლებმაც ჭეშმარიტი ღვთის კაცი შეიცნეს მასში.

„მე ვერ გიჩვენებთ ღმერთის გზას. მოვა მესია, მას გაჰყევით".

დაუგდო ეს სიტყვები და ისევ უდაბნოს მიაშურა. რამდენიმე დღის განმავლობაში მიმოდიოდა უდაბნოს ერთი კუთხიდან მეორემდე, პირქუში, კრიჭაშეკრული და უტყვი. უდაბნოს მდუმარებით ცდილობდა თითქოს გადაერეცხა ადამიანური ყოფისაგან წამოღებული ამაოება და ჭუჭყი.

მერე ისევ მიაშურა მდინარე იორდანეს, ჩამოუარა ადამიანთა საცხოვრისებს, წინანდელზე უარესი ლანძღვა დაანთხია თავზე. ხალხის მოზრდილი გუნდი აედევნა წმინდანს, რამდენადმე შეცბუნებულნი და თანაც მორჩილნი უგდებდნენ ყურს მის სიტყვებს. ხარობდნენ, როცა ხედავდნენ, რომ არავის ეპუებოდა იოანე. ერი თუ ბერი, ახალგაზრდა თუ მოხუცი, მდიდარი თუ ღარიბი, სრულიად განურჩეველი იყო მისთვის. ყველასათვის ერთნაირად ჟღერდა მისი სიტყვა, სუსხიანი და მართალი.

იუდეის მეფის, ჰეროდეს ეტლი შემოეყარა გზად. იუდეის მეფეს საშინელი სუსხი დაანთხია იოანემ, მისმა ხმამ აქ კიდევ უფრო მეტი მჭექარება და სიმკაცრე შეიძინა... „განიწმინდე ჭუჭყისა და ბიწისაგან, რომელიც ყელამდე მოგდგომია და ვერ კი გრძნობ. განაგდე ჰეროდეა, ღვიძლი ძმის ცოლყოფილი, დიდად ამძიმებს შენს სულს მისი თანაყოფნა..." მოურიდებლად დააყარა იოანემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტლში მჯდარ მეფეს. ჰეროდემ ზვიადად მიაბრუნა თავი. მძიმე გვირგვინით შემკული· იოანესთვის თითქოს ზედაც არ შეუხედავს, როგორც ერთი ვინმე ჭკუანაკლებისათვის· ჰეროდიამ მხარიღლივ გამოხედა, სიბრაზისაგან აელვებული თვალები.

უზომო სიამოვნება დაეტყო სახეზე იოანეს ადევნებულ ხალხს, მოეწონათ, თვით მეფესაც რომ არ ეპუებოდა იგი. იწამეს, რომ მართლა ჭეშმარიტად წინასწარმეტყველი იყო. ჩვეულებრივი მოკვდავი ვერ გაბედავდა ამას...

შემდეგ ისევ მდინარე იორდანეს მიაშურა იოანემ. ხალხის ნათლობა იწყო. „მიიღეთ ნათელი უფლისა“, — ამბობდა და ნახევრად დახრილი ქუთუთოებიდან თვალმახვილად უჭვრეტდა ნათლის მომლოდინე ადამიანებს. შეუწყვეტლივ მოედინებოდა ხალხის ნაკადი. ვინ აღარ მოვიდა იოანესთან ნათლის მისაღებად, მისი სუსხიანი სიტყვების მოსასმენად. ყველასათვის ერთნაირად ჟღერდა იოანეს სიტყვები, ყველასთვის ერთი ჰქონდა სათქმელი. ღვთის ძალას და რწმენას შეახსენებდა მათ· „ღმერთის რწმენა ისე მიუძღვის წინ, როგორც სხივთა კონა ამომავალ მზეს. ვინც ხედავს მზის სხივებს. იგი დაინახავს თვით მზესაც. ვინც იწამებს ღმერთს, იგი დაივანებს მასში, შეიცნობს მის ძალმოსილებას. იწამეთ ღმერთი, ძალი მისი, იგი დაივანებს თქვენში და თქვენც იცხოვრებთ მის წიაღში“. — მოძღვრავდა მათ იოანე მშვიდი, დინჯი ხმით, სუსხიანი, მჭექარე სიტყვებიდან მეყსეულად გადადიოდა კეთილმოუბარი მოძღვრის კილოზე. ეს ძალიან მოსწონდა ხალხს.

ღარიბულად ჩაცმული ბავშვიანი ქალი მოვიდა ერთხელ იოანესთან, ჭიქით თაფლი მიართვა. გაგონილი ექნებოდა, უდაბნოში ველური თაფლით ტრაპეზობსო წინასწარმეტყველი... მიართვა თაფლი და ბავშვის დალოცვა სთხოვა იოანეს სახელით· იოანემ გამოართვა ფიჭა და ბავშვს მისცა ხელში.

„მიიღე ღმერთის ნობათი და ყური უგდე მის სიტყვას“, — უთხრა ბალღს და მის თვს ზემოთ მარჯვენა აღმართა დალოცვის ნიშნად.—ჭეშმარიტად, ღვთის კაცი ხარ შენ, — ცრემლმორეული ხმით უთხრა ქალმა და მადლიერი თვალები შეანათა.

ორი ძმა შეხვდა ერთმანეთს მდინარე იორდანზე იოანეს თვალწინ, სამკვდროსასიცოცხლოდ გადაკიდებულნი და მოძულენი. მათ არ მიიღეს ნათელი ერთმანეთის გვერდით, ერთ-ერთი მათგანი განზე გადგა და რისხვის აღვსილი თვალებით უმზერდა, თუ როდის მონათლავდა წინასწარმეტყველი მის საძულველ ძმას. თავის მხრივ, მეორე ძმაც მრისხანედ აელვებდა თვალებს. იოანემ შეწყვიტა ნათლობა, ხმა დაიდაბლა და კეთილმოუბარი კილოთი ამეტყველდა მათ გასაგონად: „ხარობდა ხე, მწვანე რტოებით უხვად დაბურული. ერთ ძირზე იყო ამოზრდილი რტოები და მით უფრო განილტვოდნენ ერთმანეთისაგან, რამეთუ ასე მოუხმობდა მათ ბუნება· ყველა მათგანს სადღაც განზე გაეწვდინა კენწერო. ისე ჩანდა, თითქოს სძულდათ ერთმანეთი და სხვა ხეთა რტოებს მიელტვოდნენ. მაგრამ ანაზდად ამოვარდა ქარიშხალი. მაშინვე კენწეროები შეატყუპეს რტოებმა, ერთად დუდგნენ ქარს, რათა მის ქროლვას არ წარეხოცა რომელიმე მათგანი. თურმე სრულიად მცდარი ყოფილა გარედან მჭვრეტელთა ხილვა, თითქოსდა ერთმანეთისაგან ილტვოდნენ რტოები. მათ ვითომდა ურთიერთსიძულვილს კი სულ სხვა სახელი — სიყვარული ერქვა. და ეს არ უწყოდნენ არც მჭევრმეტყველებმა, არც თვითონ იმათ, მწვანე რტოებმა“.

იოანემ ორივე ხელით მოუხმო ძმებს, ერთად მონათლა ორივე, „სიყვარულის სახელით, ანუ რაც იგივეა, ღმერთის სახელით“. — მორცხვად იდგნენ ძმები, ერთმანეთს თვალს არიდებდნენ.

ყოველთვის მშვიდნი არ ყოფილან იოანესთან მოსული ადამიანები, მისი ხელიდნ ნათელის მომლოდინენი. ახალგაზრდა ქალი მივიდა ერთხელ იოანესთან, დაჭრილი ვეფხვივით გამძვინვარებული. „არაფრად მიღირს ღვთის სახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, — გაჰკიოდა ტირილისაგან ჩახლეჩილი, ბოხი ხმით. — გულისსწორი წამართვა, რჩეული ვაჟკაცი, მოყვარული ჩემი, კეთილშობილი. ღმერთს მუდამ ვავედრებდი ჩემს ბედნიერებას, ვლოცულობდი, სანთელს ვუნთებდი. არად ჩააგდო ჩემი ვედრება, მოწყალე კალთა არ გადააფარა ჩემს სიხარულს და ბედნიერებას, წყეულიმც იყოს მისი სახელი, ლაფის გარდა, აღარაფერი მემეტება მისთვის..." და ქალმა ლაფი ორივე ხელით, ესროლა იოანეს, როგორც წინასწარმეტყველს ღმერთისას. ლაფი მკერდზე გადაელობა იოანეს. ხელიც არ გაუტოკებია მოსაწმენდად, გამძვინვარებული ქალისკენ მიმართა მარჯვენა.

„შენ საყვედურობ ღმერთს, გულისსწორი რომ წაგართვა, — მიმართა დარდისაგან გონებაწართმეულ, გააფთრებულ ქალს. — მაგრამ გაიხსენე, მადლი თუ მოახსენე ოდესმე, სიყვარულის უნარით რომ დაგასაჩუქრა..."

ქალი წამით შეჩერდა, სახეზე დაფიქრება დაეტყო, გონებაში ეძიებდა, უთხრა თუ არა ღმერთს მადლი, სიყვარულის ნიჭი რომ მოიღო მასზე...

იოანემ კი კეთილმოუბარი ხმით გააგრძელა:

„როდესაც კვდება სიყვარული, რჩება სხეული, რომელიც მძიმე და ჭუჭყიანი გვეჩვენება. როდესაც კვდება სხეული, რჩება სიყვარული, რომელიც კვლავ ღმერთის წიაღს უბრუნდება. სწორედ მას ხვდება შენი ხელიდან გამოსული ლაფი. შენ შეურაცხყოფ შენს სიყვარულს, რომელიც ღმერთის სხეულად იქცა".

ქალი მოკრძალებით მიუახლოვდა იოანეს, ლაფი ჩამოსწმინდა მკერდიდან. მერე პირქვე დაემხო, შენდობა სთხოვა.

„ჩემთან ნუ ეძებ შენდობას. — უთხრა იოანემ. — წადი, ემსახურე ღმერთს და ნურარ დაივიწყებ, რომ ღმერთი თავად სიყვარულია. ეცადე ჩამოირეცხო ლაფი, შენი ხელიდან ნასროლი.

ქალმა საკუთარ თავზე დაიდო ლაფი და ისე განერიდა იქაურობას. ახლა სხვამ მიმართა იოანეს, მასზე არანაკლებ შეჭირვებულმა... და მრავალნი იყვნენე ისინი, იოანე კი მარტო იყო, მაგრამ ყველასთვის მოეძებნებოდა ნუგეშის სიტყვა, არც სუსხიან სიტყვებს აკლებდა მათ, როცა ამის საჭიროებას იგრძნობდა. არ იღლებოდა, მდინარე იორდანეს ნაპირას ფეხზე მდგარი მთელი დღე, უსმელ-უჭმელი, სულ ერთიანად ჩამომხმარი განუშორებელი არგანივით. ნახევრად დახრილი ქუთუთოებიდან სათითაოდ უჭვრეტდა ყველას. უმეტესად მათ შუბლს შეჰყურებდა თვალხარბად... ზუსტად ისე, როგორც ქვიშაზე აღბეჭდილი გამოუცნობ ნაკვალევს დაჰყურებდა ხოლმე უდაბნოში ხეტიალისას.

გამოუცნობი გოლიათის ულმობელი, დაღარული შუბლი, მუდამ თვალწინ ედგა იოანეს. ყოველ ადამიანში იმავე გოლიათის შუბლს ჭვრეტდა, უბრალო მწყემსი იქნებოდა თუ ოქროს გვირგვინით თავდამძიმებული მეფე. იდუმალი გოლიათი გამოეცხადა და პური უწილადა ვარდისფრად აყვავებულ უდაბნოში. იმავე გოლიათის დაღარულ შუბლს ხედავდა ყველა მათგანში, ვინც მოსანათლად მოიდრეკდა თავს მის წინაშე. ულმობლობა, შეუვალი, საზარელი, უდაბნოსმიერი ულმობლობა ცხადად ეწერა ყოველ მათგანს. მაგრამ მის გვერდით ღვთის ნაკვალევიც ყვაოდა უცხო ყვავილივით, ზეციურ ნამს ელოდა, რათა ვარდისფრად ანთებულიყო.

და იოანე დაუცხრომლად დაეძებდა ერთ-ერთ მათგანს, რომელიც აუცილებლად გამოერეოდა მათ შორის... ვინ იქნებოდა იგი... ალბათ, ნაკლებად ულმობელი, სხვებზე მეტად მწყურვალე ღვთიურ მოწყალებისა... ელოდა იოანე, უკვე ჰაერში რიალებდა სიტყვები, რომლებიც უნდა წარმოეთქვა მისი პოვნისას: „...აგერ, კრავი უფლისა, მხსნელი თქვენი, მას გაჰყევით..."

* * *

„შენ თვითონ რატომ არ გაჰყევი იესოს, თუ იგი ჭეშმარიტი ღმერთია?" — ჰკითხა ჰეროდემ იოანეს.

ბიბლიოთეკა

„ღმერთის და ადამიანის გზები ცოტა ხნით თუ თანხვდებიან. შემდეგ აუცილებლად უნდა გაიყარონ". — მიუგო იოანემ.

„კი მაგრამ, მას მოწაფეები გაუჩენია, რიცხვით თორმეტი კაცი, რომლებიც მუდამ თან დასდევენ", — თქვა ჰეროდემ.

„მათი გზებიც მალე გაიყრება, ყოველივეს თავისი დრო აქვს".

ჰეროდემ გეზად აათვალიერა იოანე, თითქოს თვალით მისი გზის გაზომვას ცდილობსო. ქუთუთოები მასაც ნახევრად დახრილი ჰქონდა. ეს გარემოება ძალიან ეხმარებოდა, თვალღიას წაეძინა მოხელეების მომაბეზრებელი ყბედობის დროს. ჰეროდე დარწმუნებული იყო, გონების თვალით ცხადად შეეძლო იმ გზის დანახვა, რაც იოანეს შეიძლებოდა გაევლო, სანამ მის საპატიმროში ამოჰყოფდა თავს. უდაბნოში მოხეტიალე წინასწარმეტყველი სხვაც მრავალი ენახა, თუმცა ისინი აგრერიგად როდი უბედავდნენ ლანძღვას და თრევას. გავიდა დრო და დარწმუნდა იუდეის მეფე, რომ ჩვეულებრივ წინასწარმეტყველთან არ ჰქონდა საქმე.

არ აპირებდა ჰეროდე მის შეპყრობას, მაგრამ მეტისმეტად გააბეზრა იმ გაუთავებელმა ლანძღვამ და თრევამ, იოანე რომ ატეხდა თავს ყოველი შეხვედრისას. შიშმა შეიპყრო, ჩემს სამეფო ძლიერებას რაიმე საფრთხე არ შეუქმნასო. ცხადად ხედავდა იმ გესლიან, ნიშნისმომგებ ღიმილს, რომელიც მისი ლანძღვის შემსწრე სახეებზე აღიბეჭდებოდა ხოლმე. ჰეროდია ცალკე უკიდებდა ცეცხლს, წინასწარმეტყველის სამაგალითოდ მკაცრად დასჯას მოითხოვდა, რათა სხვებსაც არ გაებედათ რამე მსგავსი. ამიტომაც ბრძანა ერთ მშვენიერ დღეს იოანეს შეპყრობა და საკანში ჩამწყვდევა. ჰეროდიამ მაშინვე მისი მოკვდინება მოითხოვა, მაგრამ ყურად არ იღო ჰეროდემ, რაიმე მითქმა-მოთქმა არ გამოიწვიოსო ერთხნს სატუსაღოში ვამყოფებ, ხალხს ნელ-ნელა გადაავიწყდება იგი, მერე კი ყოველივეს მოევლებაო. ჰეროდიაც, სხვა რა გზა იყო, დათანხმდა.

მაგრამ უცნაური ის იყო, აქაც არ იშლიდა იოანე იუდეის მეფის და მისი თანამეცხედრის ხმამაღლა განქიქებას. ყოველდღე გაისმოდა მისი მჭექარე, ხაფი ხმა, ჰეროდეს ყოველდღე სეტყვასავით აცვივოდა თავზე პირშუშხასავით მწარე სიტყვათა ნიაღვარი. და ეს ნიაღვარი არც აპირებდა შეწყვეტას, პირიც ისეთი უჩანდა.

როცა პირველად ინახულა ჰეროდემ იოანე, მიზნად ის ჰქონდა, იქნებ როგორმე ხმა ჩავაკმენდინოო. ბევრი რამ არ ეჭაშნიკა ამ სტუმრობიდან იუდეის მეფეს. უპირეველს ყოვლისა, იგი განაცვიფრა იმ სრულმა განურჩევლობამ, რითაც წინასწარმეტყველი შეეგება. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იოანესთვის, მეფე მივიდოდა მის საკანთან თუ ვინმე მსახურთაგანი. მას სრულებით არ ეშინოდა სიკვდილისა, თითქოს სხეული აღარც კი ჰქონდა. ეს ცხადად დაინახა ჰეროდემ და იმთავითვე შეუძლებლად მიიჩნია მისი მოკვდინება. როგორღა მოჰკლავდა უსხეულოს?

და მაშინვე ასე გადაწყვიტა ჰეროდემ, წინასწარმეტყველს მუდმივად საკანში ვამყოფებო. ხალხის ყურს აღარ მისწვდებოდა მისი ლანძღვა და თრევა, ჯალათები და მცველები სათვალავში ჩასაგდები არ იყვნენ, არც მისი ერთგული მსახურები, თვითონ მას კი დიდად არც ანაღვლებდა ეს განქიქება. „რაო, განა ცოდვილნი არა ვართ?" ასეთი პასუხი გასცა ერთხელ გაკაპასებულ ჰეროდეას, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა წინასწარმეტყველის დასჯას.

შემდგომში კი, თვითონაც ვერ გაიგო იუდეის მეფემ, ისე შეეჩვია იოანესთან მუსაიფს. ასაკი წამოსწეოდა ჰეროდეს, ახლა არა მარტო მოხელეების მოსაბეზრებელი ყბედობისას, უფრო საამურ გარემოშიც ეყვინთებოდა თვალღიას. ჩრდილები გაწვნენ მისი ცხოვრების გზაზე, მათ შორის სიკვდილის ჩრდილი გმოირჩეოდა, ფრიად საშიშარი შესახედად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანესთან საუბრისას კი, თავის თავს შეატყო ჰეროდემ, ისე აღარ ეშინოდა სიკვდილისა. სულ უბრალო რამედ წარმოუდგებოდა ხოლმე, როგორც ერთი ოთახიდან მეორეში გასვლა.

„ნუთუ სიკვდილის არ გეშინია?" — გაოცებით ეკითხებოდა იგი წინასწარმეტყველს.

„გეშინოდეს სიკვდილისა, ეს იგივეა, გეშინოდეს სიცოცხლისა, —პასუხობდა იოანე. — შენ სიცოცხლით ჭვრეტ სიკვდილს და ამიტომ გაძრწუნებს იგი. ასევე შეძრწუნდებოდი მაშინაც, სიკვდილის თვალებით რომ დაგენახა სიცოცხლე.

„დავიჯერო, არასოდეს გტკივა რმე?"

„ტკივილი სხეულის თვისებაა. როცა სხეულს გადააბიჯებ, ტკივილიც მასთან დარჩება.

ამის წარმოდგენა კი ძალზე უმძიმდა ჰეროდეს. „სხეულზე გადაბიჯება", ცარიელი სიტყვები იყო მისთვის. გაოცება ველარ დამალა, როცა იოანეს ტრაპეზს შეესწრო. იჭვნეულად უთვალთვალებდა, თუ როგორ ფხვნიდა პურის ნატეხს მისი ტუსაღი, ხელისგულზე დაიყრიდა და ისე გადაუძახებდა ხოლმე პირში. წყალსაც არასოდეს მოსვამდა თითო ყლუპზე მეტს. გაგონილი ჰქონდა ჰეროდეს, უდაბნოში კალიებით რომ იკვებებოდა იოანე და მიუხედა, თუ რატომ იქცეოდა ასე. სულ ერთი იყო წინასწარმეტყველისათვის, პურის ნამცეცებს გადაყლაპავდა თუ მუჭით მოხვეტილ კალიებს. გემო არ უნდა გაეგო, ისე უნდა ეჭამა საჭმელი. წყალიც ყლუპ-ყლუპად უნდა ესვა, რათა სხეული არ გალაღებულიყო და ზედმეტი არ მოეთხოვა.

თვითონ ჰეროდე კი, დიაღაც რომ ალაღებდა საკუთარ სხეულს. უყვარდა იგი, უვლიდა, ანათუთებდა, ტკივილს არიდებდა, სიამოვნებას ეძებდა. მოსწონდა საკუთარი უფლებამოსილება, სიამოვნებით უსმენდა თავის ხმას ბრძანებების გაცემის დროს. მოსწონდა ირგვლივ მყოფთა მოწიწება. ნებიერ ცხოვრებას ბოლომდე გაუგო გემო. უყვარდა გემრიელი სმა-ჭამა, გულით ლხინობდა სამეფო ნადიმზე. მათრობელა სასმელს შეფრუპავდა და ნეტარებას ეძლეოდა, ოქროს ტახტზე ნებივრად მიწოლილი. ყველა უგემრიელესი კერძი მისი იყო უპირველესად. ყველა მას შესციცინებდა თვალებში. არა, ჰეროდეს არ შეეძლო ყველაფერ ამის დათმობა. ასეთ წუთებში ვერც კი წარმოედგინა, თუ სადმე არსებობდა სიდუხჭირე და სიკვდილი.

სამაგიეროდ, როცა კვლავ მოეძალებოდა სიკვდილის და წაწყმენდის შიში, უკვე სხვა თვალით ჭვრეტდა ყველაფერს, მათ შორის საკუთარ ღონობა-განცხრომასაც. სრულ ამაოებად წარმოუდგებოდა ყველაფერი. ასეთ დროს იოანეს მიაკითხავდა ხოლმე, რათა მისი უზრუნველობით თავადაც გაექარვებინა სიკვდილის შიში. იოანესთან საუბარი თითქოს ცათა კარიბჭეს უხსნიდა, დიდ სიმაღლეზე აიტაცებდა ცოდვებში ყელთამდე ჩაფლულ მეფეს, სრულიად უქარვებდა სიკვდილის შიშს. გარდაუვალ, ბუნებრივ აუცილებლობად დაუსახავდა. ამის გამო ჰეროდე დიდად მადლიერი იყო იოანესი.

ამას გარდა, იყო ერთი გარემოებაც, რის გამოც ასევე ემადლიერებოდა ჰეროდე იოანეს, ოღონდ ისე, რომ არავის არაფერს უმხელდა, თვით საკუთარ თავსაც კი. ეს იყო ჰეროდეას განქიქება. ეს დედაკაცი რახანია, ნამდვილ ურჩხულად იქცა ჰეროდესათვის. ვერაფრით გაეგო, თუ რა ცეცხლი შემოენთო მაშინ, ლვიძლი ძმის ცოლი დედოფლად რომ დაისვა. ის ცეცხლი რახანია განელდა. ხელში შერჩა უგულო, ულმობელი და თავკერძა დედაკაცი, რომელსაც სხვა საზრუნავი არაფერი ჰქონდა, გარდა საკუთარი თავისა, თანაც რა ასპიტისებური ეშმაკობა და მოქნილობა გამოამჟღავნა; ისარგებლა ჰეროდეს კეთილგანწყობით, ბევრი ისეთი რამ გამოსტყუა, რასაც მეფე შემდგომ მუდამ მწარედ ნანობდა. სამეფო საქმეთა ყველა სადავე ხელთ იგდო. ერთი მხრივ, კარგიც იყო, ნამდვილი ვაჟკაცივით ედგა მხარში. სა-

ბიბლიოთეკა

ლომეასაც არ აკლებდა მზრუნველობას. ყვავილივით გაიფურჩქნა სალომეა. სამეფო კარისთვის აუცილებელი ბევრი რამ შეისწავლა... მაგრამ, მეორე მხრივ, სულს უხუთავდა ჰეროდეს ამ დედაკაცის უგულობა და სულის სიმყრალე. თვითონ ბევრს ვერაფერს უბედავდა, ამიტომ ხარობდა, როცა იოანე იწყებდა ჰეროდიას განქიქებას. გარეგნულად არას იმჩნევდა, მაგრამ გულში იცინოდა, როცა ხედავდა სიბრაზისაგან სახეგამწვანებულ დედოფალს. ესდა იყო ჰეროდეს შურისძიება;

და, როგორც წესი, ყველა შეხვედრისას მაცხოვარსაც გაიხსენებდნენ მეფე და მისი ტუსაღი. იოანესთან საუბარში გამოარკვია იუდეის მეფემ, სამეფო გვირგვინი არ აინტერესებდა ამ უცნაურ მოძღვარს. რაკი ამ მხრივ გული დაიარხეინა, ინტერესით ადევნებდა თვალყურს მის ნაბიჯებს. მაცხოვარი ხომ იოანეს მიერ იყო ხელდასმული, ეს უკვე თავისთავად სდებდა მას პატივს ჰეროდეს თვალში. ამას გარდა, იესოს შესახებ ხალხში დიდი მითქმამოთქმა იყო ატეხილი. ნამდვილი ღმერთიაო, ამბობდნენ, სასწაულებს ახდენსო. „ჩემი თვალით ვნახე, მკვდარი აღადგინა“, — ამბობდა დილეგის დამგელი, „მე კიდევ ნამდვილად ვიცი, წყალზე ისე გაიარა, როგორც მიწაზე“, — დასძენდა მცველი.

იოანე სრულიად უმეტყველო, ნიღბისებური სახით უსმენდა ამ მითქმამოთქმას, რაც საკმაოდ ხშირად იმართებოდა მისი საკნის ირგვლივ. კაცს შეიძლებოდა ისიც ეფიქრა, თითქოს არც არაფერი ესმის, რასაც მაცხოვრის შესახებ ამბობენ, ანდა სულაც არ აინტერესებსო.

მზემ საშუადღეოს მიაღწია, ჰეროდე კი ისევ იოანეს საკანთან იჯდა. როგორღაც ძალიან გაუგრძელდა მასთან მუსაიფი. ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, რკინის ცხაურის სხვადასხვა მხარეს. იოანეს თავის ნარზე მოეკეცა, სარკმლიდან შემოჭრილი მზის სხივების ათინათი აქლემის ტყავზე ციგლიგებდა. ჰეროდე რბილ საკარცხულზე იჯდა ბუნდოვნად განათებულ გასასვლელში. თუმცა კეთილგანწყობით და სიმშვიდით საუბრობდა ჰეროდე, რიდიც ეტყობოდა წინასწარმეტყველისა, ამპარტავნული თავდაჯერება და განუკითხავი სიხარბე მაინც ეწერა სახეზე.

„ჩემი სამეფო...“ — ზვიადად წამოიწყებდა ჰეროდე, თან მარჯვენა ხელს მეფური თავდაჯერებით, ამაყად შემართავდა ხოლმე.

„შენი არაფერი არაა, ჰეროდე. — წყნარად შენიშნავდა წინასწარმეტყველი. — შენი სხეული დღეს ის აღარაა, რაც გუშინ იყო. ხვალ ის აღარ იქნება, რაც დღეს არის. ბოლოს სრულიად დაკარგავ მას. ჰოდა, როგორ შეიძლება მთელი სამეფო გეკუთვნოდეს, როცა საკუთარი სხეულიც კი არაა შენი?“

ჰეროდე წამით დაფიქრდებოდა და მერე ცდილობდა, აღარ ეთქვა ეს ორი სიტყვა. ხოლო თუ აუცილებელი იყო, უფრო ფრთხილად წარმოეთქვა.

ბოლო სიტყვა ისევ მაცხოვარზე ჩამოვარდა.

„თუ იერუსალიმში შევიდა, აუცილებლად მოკლავენ“, — ამბობდა ჰეროდე.

„მაცხოვარი არ მოკვდება, სანამ მე ცოცხლებში ვიქნები. მე ვუჩვენე გზა სიცოცხლით, სიკვდილის გზაზეც მე უნდა გავუძღვე...“

იჩქითად გაისმა მსუბუქი ნაბიჯების ხმა. სალომეამ მოირბინა ბავშვობაშერეული ქალიშვილის ნაბიჯით. ჰეროდიას, გამოეგზავნა იგი. დიდად საპატიო სტუმრის მობრძანება აუწყა ჰეროდეს, თან ამ დროს იოანეს შეავლო უზრუნველი მზერა.

ჰეროდე წამოდგა, დინჯად გაიმართა წელში და მობრუნდა, რათა კვალში მიჰყოლოდა სალომეას.

წამით შეჩერდა, ისევ მოხედა იოანეს.

„კინაღამ დამავიწყდა, ბოლომდე არ მითქვამს ჩემი სიზმარი. სამეფო გვირგვინი გეხურა, მაგრამ მე მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს ვხედავდი შენსას, სხეული არ გქონდა".

იოანეს სახე არ შეცვლია, ცოტა ხნით შეყოვნდა.

„ჩანს, დადგა ჟამი". — ჩაილაპარაკა ჩვეულებრივზე ხმადაბლა, ტუჩები სულ ოდნავ შეატოკა ამ დროს.

ჰეროდემ ვერ გაიგონა იოანეს სიტყვები, ათიოდე ნაბიჯით დაცილებული იყო მის საკანს. მისი შეყოვნებაც თავისებურად განმარტა, ალბათ, დავდალეთ წინასწარმეტყველი. სალომეაც იქვე იდგა, ელოდა. ჰეროდემაც სხვა დროისთვის გადადო სიზმრის ბოლომდე ახსნა. მიბრუნდა და მორჩილად მიჰყვა სალომეას.

* * *

კარგა ხანი იყო, ასე არ მოულხენია ჰეროდეს. დიდად გაახარა სიყრმის მეგობრის სტუმრობამ. ბალღობა გაიხსენეს, ჩიტის ბუდეების ძებნა და მისთანანი. ბალღური სიხარულით აუციაგდა თვალები იუდეის მეფეს.

საზეიმო სუფრამაც დიდი სიხარული მოჰგვარა. მაგიდა იზნიქებოდა ნაირნაირი საჭმელ-სასმელით. ყოველივე ნუგბარი იყო, საგანგებოდ შერჩეული. ჰეროდე მოოქროვილ სავარძელში იჯდა საპატიო ადგილას. მაძღარი, კმაყოფილი სახეები შემოსჯაროდნენ სუფრას, ყველას მეფისკენ გამოურბოდა თვალი. მაამებლურად შესციცინებდნენ, თან მსუქანი ნაჭრების დათრევაც არ ავიწყდებოდათ. გემრიელად მიირთვა ჰეროდემ საჭმელი, მათრობელა სასმელიც დააყოლა. სახე აუჟინჟლილდა, თვალები აუელვარდა. ამ წუთებში ნამდვილი მეფე იყო ჰეროდე, მპყრობელი თავისი ქვეყნისა. ზვიადად ჟღერდა მისი ხმა, როცა წარმოთქვამდა: „ჩემი სამეფო..." აქ ყოველივე მისი საკუთრება იყო, ყველა მის ნებას აღასრულებდა. უღიმოდნენ, ცდილობდნენ ეამებინათ. ლაღობდა ჰეროდე, ალაღებდა და ანებივრებდა საკუთარ სხეულს, აღარც კი ახსოვდა იოანეს არსებობა.

ჰეროდიას მძიმედ დაეხარა ოქროს გვირგვინით შემკული შუბლი, თაღარიგს აძლევდა მსახურებს. მასაც მხიარულება ეწერა სახეზე, ლხინობდა დედოფალი, მაგრამ მის თვალს არაფერი გამოეპარებოდა, არც არაფერი ავიწყდებოდა. არც იოანეს არსებობა ავიწყდებოდა, ახლაც ეძებდა მიზეზს მისი მოკვდინებისათვის. შესანიშნავად ესმოდა, რომ ეს წუთები, როცა ჰეროდე ასე მოლხენილი იყო, ზედგამოჭრილი იყო საამისოდ.

მესაკრავეებმაც მალე მოიმარჯვეს თავიანთი საკრავები, საცეკვაო მუსიკა დაუკრეს. იცეკვეს გამხიარულებულმა სტუმრებმა, მჭვრეტელნიც გაახარეს და საკუთარი თავიც. სალომეამაც იცეკვა, მისი ცეკვა ყველას ძალიან მოეწონა. სრულიად ახალგაზრდა იყო სალომეა, ბავშვური ხიბლი ახლდა ჯერაც. და მეტად საამური იყო საცქერლად მისი ბავშვური მიხრა-მოხრა, ოღონდ ქალის სხეულით შესრულებული. სილამაზე და მოქნილობაც ჭარბად მიემადლებინა მისთვის ბუნებას. თვითონაც გრძნობდა საკუთარ მომხიბვლელობას სალომეა. უფრო ლაღი და თამამი იყო, მიმზიდველობა და სიმსუბუქეც მით უფრო ემატებოდა.

გულმხურვალე ტაში და აღტაცებული შეძახილები შეაწიეს, როცა სალომეა მორჩა ცეკვას. მოჯადოებულებივით შეჰყურებდნენ, ყველას აღფრთოვანებით უელავდა თვალი. განსაკუთრებით ჰეროდე იყო მოხიბლული, ამაყად ასწია ზვიადი შუბლი.

„მთხოვე, რაც გინდა", — უთხრა სიამოვნებისაგან სახეგაბრწყინებულმა სალომეას.

ჰეროდეამ ორიოდე ნაბიჯი გადადგა, უკან ამოუდგა სალომეას.

„იოანეს თავი მოითხოვე", — წასჩურჩულა.

სალომეას უზრუნველი ღიმილი არ სცილდებოდა სახიდან. იგი დიდად ასიამოვნა საკუთარმა წარმატებამ, კმაყოფილებით მიიღო მჭვრეტელთა აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაცებული ტაში, მთვრალი იყო საკუთარი თავით.

ამავე უზრუნველი ღიმილით მოითხოვა იოანეს თავი.

ჰეროდეს სახეს ნელ-ნელ გასცილდა მოზეიმე იერი, ვერ გაიაზრა, თუ რას მოითხოვდა სალომეა.

„ეს რამ მოგაფიქრა! — შესძახა გაოცებით და იქვე დაუმატა: — არა. სხვა რამ მოითხოვე.“

„მეფური სიტყვა!“ — გაისმა ჰეროდეას შეძახილი.

„მეფური სიტყვა, მეფური სიტყვა“. — მაშინვე აიტაცეს თანამეინახეებმა. თვალები უჩვეულო ძალით აუელვარდათ. სახეები ისე გამოუცოცხლდათ, თითქოს რაღაც უჩვეულო, ფრიად საინტერესო რამ დაინახესო.

„მეფური სიტყვა“! — თქვა სალომეამაც. იგი ისევ უზრუნველად იღიმებოდა. გრძნობდა თავის ძალას. გრძნობდა, ამიტომ უხვად, უზრუნველად ფანტავდა მას და ამით ტკბებოდა.

ჰეროდემაც ველარ გაუძლო. „მეფური სიტყვა, მეფური სიტყვა“... — „ჩაესმოდა ყოველი მხრიდან. ხოლო რასაც „მეფური“ ერქვა, დიდად ღირებული იყო იუდეის მეფისთვის. ამას გარდა, თვით სიკვდილიც მეტად უმნიშვნელო რამედ მოეჩვენა ნეტარების მორევში ჩაძირულ, მათრობელა სასმელით გაბრუებულ ჰეროდეს. ხელის ისეთი მოძრაობით მისცა თანხმობა წინასწარმეტყველის თავის მოკვეთაზე, თითქოს ქინქლა მოიგერიაო.

* * *

„ადექი და მომყევი, იოანე!“

თვალები მაშინვე გაახილა იოანემ. ჩირაღდნიანი მცველი ადგა თავზე, წამომყევით, ხელითაც ანიშნა.

იოანემ უთქმელად წამოკრიბა ტანფეხი ნარიდან. წამოდგა და მიჰყვა ჩირაღდნიან მცველს. ღამის სიწყნარეში მკაფიოდ მოისმოდა მხიარული ხმები. ოცდაათიოდე ნაბიჯი გაიარა ჩირაღდანის ადევნებულმა იოანემ. ბოლოს იგრძნო, ქვიშაზე რომ მიაბიჯებდა.

მცველმა ჩირაღდანი კედელში ჩაამაგრა, იოანემ კუნძი დაინახა მის მობარბაცე შუქზე, კუნძზე ალესილი ნაჯახი იდო. ირგვლივ ქვიშა მიმოებნიათ უხვად. კუნძის მეორე მხარეს შავი ნაჭრით პირახვეული მრუმე ჩრდილი აღმართულიყო ვიღაც ღიპიანი, სქელი კაცისა.

ყოველივე ამას ერთი წამით გადაავლო თვალი იოანემ. ხმაც არ გაუღია. ყველაფერი ცხადი გახდა მისთვის.

თავის ნაფეხურებს დახედა იოანემ, კუნძის ირგვლივ მიმობნეულ ქვიშაზე ბარაქიანად აღბეჭდილს, რომელთაც საკმაოდ მკაფიოდ ანათებდა ჩირაღდნის შუქი. ეს ხომ ისეთივე ნაფეხურები იყო, ყვავილოვან სამოთხეში რომ შეიყვანეს უდაბნოში ხეტიალისას ახლა კი ჯალათის კუნძთან მიიყვანეს. აქაც და იქაც ერთნაირი ნაფეხურები აჩნია ქვიშას. ნაფეხურები, ანაზდად რომ წყდება...

ჯალათმა ნაბიჯი წინ წადგა, ნაჯახი აიღო კუნძიდან. იოანემ დაიჩოქა, სხვებს არ მისცა ამის თქმის საშუალება. ჯალათმა მაღლა აღმართა ნაჯახი.

სანამ კუნძზე მოიდრეკდა კისერს, წამიერად შეყოყმანდა იოანე. მზერა აარიდა ჯალათს და მის კუნძს, სულ სხვა ხილვებისკენ მიაპყრო თვალი. ახლა იგი შეჰყურებდა ტანმაღალ, თეთრი კვართით შემოსილი მოძღვრის სახეს, წინ რომ მიუძღოდა თორმეტ მოციქულს. ხედავდა ღვთაებრივ ნაკვალევს, იდუმალ ნიშანს მის შუბლზე, უხვად რომ დაფრქვეოდა წყალობა ღვთისა. და ისეთივე სინათლით გაბრწყინებულიყო, როგორითაც უდაბნოს ქვიშა აენთება დიდი წვიმის შემდეგ.

ჯალათმაც შეაყოვნა ნაჯახი, რაც უნდა სასწრაფო ყოფილიყო ბრძანება წინასწარმეტყველის თავის მოკვეთისა, მაინც დაიცადა, სიკვდილისწინა ლოცვის საშუალება მისცა სიკვდილმისჯილს. ოღონდ გულში გაივლო, თუ დიდხანს გააგრძელა ლოცვა, აუცილებლად შევაწყვეტინებო.

მოლოდინი გაუწბილა ჯალათს იოა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნემ, არ გაუგრძელებია ლოცვა აღსასრულის წინ.

„მომიტევე, უფალო. მხოლოდ ერთ ადამიანში გიპოვე. მეტის ძალი მე არ მქონია“.

საკმაოდ ხმამაღლა თქვა ეს სიტყვები და მაშინვე მოიდრიკა თავი კუნძზე. არც კი შერხეულა იოანეს მრავალნაგვემი სხეული, მორჩილებას შეჩვეული. უდრტვინველად შეეგება სიკვდილს.

კიდევ ერთი აჩრდილი გამოეყო ბნელს, იგი არ ჩნდა აქამდე. დაასწრო ყველას, როგორც ერთგულ მსახურს შეეფერება. დასწვდა იოანეს თავს და ოქროს ლანგარზე მოათავსა.

* * *

მხიარულებამ თავის მწვერვალს მიაღწია ჰეროდეს სასახლეში. მოწყენილს ვერავის ნახავდი, ყველანი უზომოდ კმაყოფილები იყვნენ. სიხარულით განათებული სახეებით შემოხვეოდნენ უხვად გაწყობილ სუფრას, ელოდნენ იოანეს თავს. ამასლა ელოდნენ, ყელთამდე მაძღრები. გულში ეჭვობდნენ კი, ვაითუ, მოლოდინი გაგვიცრუვდესო...

და მოართვეს მათ თავი იოანესი, ოქროს ლანგარზე დასვენებული. შუა მაგიდაზე მოათავსა იგი საზეიმო სამოსელში გამოწყობილმა მარჯვე მსახურმა. ერთსულოვნად აყიჟინდა ყველა, თვალებით ხარბად ჩააფრინდნენ იოანეს თავს, თითქოს ყველა ისევ დაიმშაო. ჰეროდეას ზეიმით უბრწყინავდა სახე, ერთიანად ალისფერმა გადაუარა, თითქოს მთლიანად მას შეეწოვა სისხლი იოანესი. სალომეა უზრუნველი მხიარულებით კისკისებდა. მასაც მოზეიმე ნაპერწკლები უელავდა თვალებში. ეს ხომ მისი პირველი გამარჯვება იყო. კიდევ ბევრს მოელოდა, რაც ჯერჯერობით არ შეეძლო გაეცნობიერებინა, მაგრამ გუმანით ცხადად გრძნობდა... და ზეიმობდა სული მისი...

ერთადერთი, იოანეს სახე იყო ნიღაბივით უძრავი, ამდენ მოზეიმე სახეებს შორის მოქცეული. ეს იგივე სახე იყო, რაც სიცოცხლეშივე ჰქონდა. სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთისაგან არ გაირჩეოდა ამ სახეზე. ქუთუთოები ახლაც ნახევრად ღია ჰქონდა...

...და კიდევ ჰეროდე... ჰეროდეს სახეც ნიღაბივით უძრავი იყო, ოქროს ლანგრის მოპირდაპირე მხარეს დახრილი, ჩასძინებოდა ხანდაზმულ მეფეს, თვითონაც ვერ გაეგო, ისე წამოჰპარვოდა რული, მათრობელა სასმელით გაბრუებულს. ქუთუთოები მასაც ნახევრად ღია ჰქონდა. ეს ორი უძრავი სახე, მაგიდის სხვადასხვა მხრიდან მისჩერებოდა ერთმანეთს.

არავის ეცალა ჰეროდესთვის. არავის გაუგია, თუ როგორ ჩაეძინა მათ მოწყალე მეფეს. ჰეროდეასაც კი გამოეპარა ეს ამბავი, იოანეს თავს ველარ აცილებდა მოზეიმე თვალებს. ამდენად, არც რაიმე ჩრდილი მისდგომია იუდეის მეფის სასახლეში გამართულ ნადიმს. ისევ გრძელდებოდა დროსტარება, ზეიმი მაძღართა და მხიარულთა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## თოთია გიგაური

### შარეოფა

მოვიდა ერთი გაზაფხულიც,
ზამთარი შემოადნა ხელებში.
მე აღარა მაქვს შენი გული.
შემეშვი, გაზაფხულო, შემეშვი!

დავეძებ ხანდახან ხმალს და ხანჯალს,
ღამე კრული და ხენეში,
მე შენთვის გული აღარ დამრჩა,
შემეშვი, სიყვარულო, შემეშვი!

მე მიჩაღებდი გულში კოცონს,
იქნება სხვებსაც კი კოცნიდი.
დღეს არაფერი აღარ მომწონს,
მომცილდი, ქალშავავ, მომცილდი!

მივდივარ, გარშემო ქარია,
ქარია და ქართან დროც მიდის·
ჩემი გზა მთის ნისლმა არია,
მომცილდი, მთის ნისლო, მომცილდი!

იმათთან ყოფნა აღარ მინდა
ვინაც რომ ტრაბახობს ოქროთი.
ცერზე დგას სიცოცხლე, ამ ღამიდან,
მომშორდი, ღამეო, მომშორდი!

აღარც ტირიხარ და აღარც მღერი,
იქნება იქ წასვლის დროც მოდის.
აღარ მჭირდება არაფერი,
ავსულნო, ყველანი მომშორდით!

### სიცარიელე და ლოდინი

ლოდინი, უაზრო ლოდინი,
დუმილი, ეჭვი და დარდი.
ცხელ გულზე კვლავ მაძევს ლოდივით
ყოველი რაც იყო ცხადი.

ფიქრები, ცეცხლივით ფიქრები,
დაჭრილი ფრთები და ლტოლვა.
შენ სადაც არა ხარ, იქ ვქრები,
ნეტა თუ შენამდე მოვალ?

კედლები, დაცლილი კედლები
და თოვლით დაღლილი მხრები·
ვაიმე, რა უცებ ვბერდები,
ვაიმე, რა უცებ ვკვდები.

სანთლები ჩამქრალი სანთლები,
კედლებზე შემხმარი ლოცვა.
წყაროსთან შენ აღარ დამხვდები.
და ნატვრად წამყვება კოცნა.

ცრემლები, დაღვრილი ცრემლები,
ღრუბლებად ქცეულნი შემდეგ·
ოდესღაც ნუ დაიწყევლები,
ვინც მწყევლა არ ამცდა დღემდე.

მამშვიდებ? სიზმარში მამშვიდებ,
ჩავსცქერი შენს მტირალ თვალებს,
მე უნდა წავიდე, დაგცილდე:
რომ ბავშვად დავბრუნდე ხვალე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთ წამში

უკანასკნელი მიცდის კარეტა,
ცივი დუმილით დაჭრილ კარებთან.
შორით მანახეს სიტურფე შენი,
შენს ბაგეს არვინ გამაკარებდა.

ათასი წელი გეძახდი, მოდი!
ათასი წელი სხვასთან დაჰყავი.
შეჩვეულია ჩემს მუდმივ ლოდინს
შენი გულივით ცივი საფლავი.

თითქოს ათასი შრიალებს ფარდა,
ღამე ძაღლივით მიღრინავს კართან.
მიჩვეული ვარ სიცივეს მუდმივს,
მთელი სიცოცხლე ვსწავლობდი
ზამთარს.

ათასი წელი ერთ სიტყვას გთხოვდი,
ათასი წელი ის სიტყვა ვერ თქვი,
ათასი წელი გეძახდი; მოდი!
ათასი წელი ვკვდებოდი შენთვის.

## რა უფლებით

დაჭიმული ნაკვთები,
სახე მსგავსი ფითრის.
ჯერ იქნება არ ვკვდები,
კუბოს რისთვის მითლი.

დედას ისეც ვაკლდები,
დღეებს ნულარ მითვლი.
ჯერ იქნება არ ვკვდები,
საფლავს რატომ მითხრი.

ქვითინებენ ზვირთები,
ოხრავს ბუჩქი მაყვლის.
მგონი ისევ გჭირდები,
მიწას გულზე მაყრი.

გმინავს ღამე უკუნი,
სდუმს გუმბათი ტაძრის.
თვითონ რომ ხარ უგულო,
გულს იმიტომ მაცლი.

სალოცავი ვილოცე,
დასათმობი დავთმე.
ხვთის მოცემულ სიცოცხლეს
რა უფლებით მართმევ.

## გულ-გატეხილი

ვიღაც საკუთარ გაგებით მზომავს,
ვიღაც მიცქერის თვალებით მგელის...
არც ამნაირი წერილი მოვა —
ოღონდ ჩამოდი, მიყვარხარ, გელი.

განაბულია ღამე მწყერივით,
ის დრო სხვა იყო... ახლაა სხვა დრო.
არც ამნაირი მოვა წერილი —
მე შენ, ძვირფასო, ყოველთვის გნატრობ,

ქარში ირხევა ალუბლის ტოტი,
სარკმელთან მთვარე ჩაივლის მორცხვი.
არც ამნაირი წერილი მოდის —
კარგად იყავი, ნახვამდის, გკოცნი.

## თედო ბექიშვილის ხსოვნას

ჭრილობა უკვე იქცა ნაპრალად,
ხოლო ნაპრალი უფსკრულად იქცა.
რა ჰქვია ასე უცებ გაპარვას,
თუ ნაღვარევის გეძახდა მიწა?

ირემლებიან ყვითელი ხენი,
ოხრავს სამარე, გორაზე ობლად.
ჩათავდნენ ტანჯვით უენო დღენი
და შენი დედის ლოდინი სოფლად.

მძიმედ ღაგვწყვიტე გულები წასვლით,
გულში მრავალჯერ თვითონ დაჭრილო,
რომ შენი კარგად გაგვეგო ფასი,
თურმე სიკვდილი იყო საჭირო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მერაბ შათირიშვილი

# მოთხრობები

## უკანასკნელი როლი

ქალბატონი ოლღა დილიდანვე ცუდად გრძნობდა თავს. ამ ბოლო ხანს ხშირად ემართებოდა ასე: ხან გულიო, ხან წნევაო, ხან კიდევ თირკმელებიო, დღენიადაგ წუწუნებდა და თავადაც ხვდებოდა, ზედმეტი რომ მოსდიოდა.

ეეჰ, ის დროც იყო, გაჭენებულ ცხენიდან გულუშიშრად რომ ხტებოდა. ნახტომი სწორედ ისეთი უნდა გამოსულიყო, კინორეჟისორის ფანტაზიას რომ დააკმაყოფილებდა. სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ორმოცი წელი ისე გაატარა, თავი არ წამოსკტივნია, ყოველ შემთხვევაში, მისი დაჩივლება არავის გაუგია.

ოლღა არაჩვეულებრივი სილამაზის ქალი იყო. რუსთაველის გამზირზე რომ ჩაივლიდა, თაყვანისცემლები აგორებულ ტალღასავით დაედევნებოდნენ. ქუჩაში ჭაბუკები მათდაუნებურად ჩერდებოდნენ და, ნახე რა ქალიაო, — მორიდებით ჩურჩულებდნენ.

ამ ხუთი წლის უკან, სამოცი წლის იუბილე რომ გადაუხადეს, მთელი საქართველო დადგა ფეხზე. საიდან არ მიიღო გულთბილი სურვილებით გამსჭვალული ბარათები — სამახსოვრო სუვენირები. ეს დღე, მთელი მისი შემოქმედების, მოღვაწეობისა და დიდების მწვერვალად იქცა.

ქალბატონმა ოლღა ქუთელიამ, ამ ღირსშესანიშნავი საღამოს შემდეგ, ორი წელი დაჰყო კიდევ სამსახიობო სამყაროში. მართალია, მას ჩვეული სითბოთი და სიყვარულით ეპყრობოდნენ, მაგრამ, თავად ისურვა დიდების მწვერვალიდან დაშვება. მანამ უნდა წახვიდე სცენიდან, სანამ სტვენას არ დაგიწყებენო, — ხშირად იტყოდა ხოლმე.

მას შემდეგ სამმა თეატრალურმა სეზონმა განვლო. სცენის ყოფილი ჯადოქარი ოჯახური მყუდროების მორჩილი ბინადარი გახდა. სიძე და ერთადერთი ქალიშვილი მასთან ცხოვრობდა. ამ ოჯახში, ალბათ, ზედმეტი ბარგი ვარო, ხშირად გაივლებდა გულში. სინამდვილეში ბუნება ჰქონდა ასეთი, თორემ, სიძე-ქალიშვილი ცივ ნიავს არ აკარებდა.

თინიკოს მეუღლე საკუთარი შვილივით მიიღო ჭერქვეშ. თორმეტი წლის ჯვარდაწერილ ცოლ-ქმარს პირმშო ჯერაც არ ჰყავდა. ქალბატონი ოლღა ძალზე განიცდიდა ამ ამბავს და ხშირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისტკივილსაც გამოხატავდა. გოგის გულწრფელად უყვარდა სიდედრი და დიდად აფასებდა.

— დედი! გუშინ საქალაქთაშორისოდან პარიზს ველაპარაკე, გოგიმ, ათ დღეში ჩამოვალო, მომიკითხეო, დე, გესმის?.. — დღის პირველ საათზე გამოსძახა აბაზანიდან დედის, ამდილანდელი დუმილით გაკვირვებულმა თინამ და რეცხვა შეწყვიტა. ყური მიუგდო, რას მეტყვისო. მოხუცის ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. „რა ჭირს, ნეტავ“, — გაიფიქრა შვილმა და გასაპნული ხელები თბილი წყლით გადაიბანა.

ქალბატონი ოლღას ოთახის კარი რომ შეაღო, შვებით ამოისუნთქა.

— რა დაგემართა, დედა? გვიან რომ გიყვარს ადგომა, მეც იმიტომ შევრჩი საქმეს და ყურადღება ვერ მოგაქციე. ახლახანს რომ გელაპარაკებოდი, პასუხს რატომ არ მცემდი?!

— ცოტა შეუძლოდ ვარ, შენ შემოგევლოს დედა! ოფლი მაყრის და ტანშიც მაციებს, ალბათ, წნევა თუა!

შვილი დაიხარა და მოხუცს ენის წვერით შეეხო შუბლზე, სიცხე ხომ არ აქვსო. მერე ფრთხილად ეამბორა სველ ადგილს და დაიმედებით მიუგო:

— სიცხე რომ არა გაქვს, დედი?

— არ ვიცი შვილო, რაღაც კარგად რომ ვერ ვარ, ამას კი ვგრძნობ და, რა გითხრა!

თინა ყურადღებით დააკვირდა მშობელს, მისი სახის ფერი არ მოეწონა, უჩვეულოდ ფერმკრთალი ეჩვენა იგი. ცოტა ხანს შეყოვნდა, ნერვიულად გადაისვა თმაზე ხელი, წინსაფრის მოხდას შეუდგა და ერთდროულად ოთახიდანაც გავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, ნაუცბათევად გადაცმული შემოვიდა ავადმყოფთან და, ეხლავე ექიმს მოგიყვანო, დაამშვიდა.

— დღეს ხომ კვირაა, თინიკო?

— არა უშავს, დედა, ვინმეს ვნახავ! — მიაძახა შვილმა და სახლის კარი გაიხურა.

„კოპიო მამამისია“, გაიფიქრა მარტოდ დარჩენილმა ოლღამ და რაღაცნაირი სინანულით ამოიოხრა.

გაახსენდა, ერთხელ, მისმა ცხონებულმა ქმარმა ძმაკაცები საქეიფოდ რომ აუყვანა წყნეთში. ქალი სუფრის გაწყობის თადარიგს შეუდგა. სტუმრებმა კი ვერანდაზე ნარდის თამაში გააჩაღეს. სხვენზე ავიდა, პამიდვრიანი ქილის ჩამოსატანად. უცებ კიბეზე ფეხი დაუცურდა და მიწაზე მოადინა ზღართანი, თვალთ დაუბნელდა. ეს რომ დაინახა ქმარმა, სათამაშოდ გაწყობილ ნარდს ზედ გადაევლო და ძირს გართხმულ მეუღლეს მივარდა: ოლიკო! ჩემო ოლიკო! რამე ხომ არ დაიშავეო? სასოწარკვეთილი გაიძახოდა. წყნეთის ცენტრამდე ხელში ატატებული ატარა, იქიდან კი ვილაცის მანქანით თბილისში ჩამოიყვანა. განთქმულმა ექიმებმა, მარჯვენა კოჭის ნაღრძობობა დაასკვნეს და, ღვთით, იმ შემთხვევამ მშვიდობიანად ჩაიარა, მხოლოდ, ოლღას გულს დააშთა სამუდამოდ მეუღლის შეშფოთებული თვალებისა და „საოცრად“ ძლიერი მკლავების სითბო, რომლის მოგონებაც ტკბილნარევი სინანულის გრძნობას ბადებდა მასში.

ოთახში ტელეფონის ზარი აწკრიალდა. მიხვდა, მისი ქალიშვილი რომ რეკავდა. ხელი გაიწვდინა და იქვე, თაროზე მდგარი ტელეფონის ყურმილი აიღო — ძლივს მიიტანა ყურთან.

— დე!... დედა! — ნახევარ საათში მანდ ვიქნები. პროფესორი მომყავს, იცოდე! — ნაჩქარევად ისმოდა მისი სიტყვები.

— ჰო, კარგი, შვილო! შენ გენაცვალოს დედა!

— თუ შეგიძლია, როგორმე მოწესრიგდი ცოტა, სულ გადამავიწყდა ამ სიჩქარეში! — თხოვა ქალიშვილმა და ყურმილი დაკიდა.

ქალბატონი ოლღა ნებისყოფის ძალუმი მოხმობით, ნელ-ნელა წამოდგა საწოლიდან. გარდერობამდე ძლივს მიაღწია. კარადა გამოაღო და სუფთად დაკეცილი თეთრეული გადმოალაგა. საწოლის გაწყობას რომ მორჩა, ფანჯარა შეაღო და სავარძელში ჩაჯდა. მის წინ ოვალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმის სარკე იდგა — კიდეებმოჩუქრთმებული, რომლის რაფაზე რამდენიმე ცალი მინიატურული კოლოფი იდო. ხოლო შიგ ლამაზად ელაგა სახის ნელსაცხებლები, თვალის სალებავები, სუნამოები თუ სხვადასხვა ფერის პომადები. რა ხანია, ხელი აღარ ეხლო მათთვის. ზოგჯერ თინიკომ იცოდა ოთახში შემოლიღინება და დედის თანდასწრებით მათით წასარგებლება. ხშირად ეტყოდა ხოლმე შვილს, აიღე, რომელიც მოგწონს და თავისუფლად იხმარეო. არა, დედი, მსიამოვნებს შენს ნივთებს რომ ვეხები, თორემ, ამის მეტი რა მაქვსო, მიუგებდა შვილი.

ქალბატონი ოლღა, როცა სარკეში თავის თავს წააწყდებოდა და წარმოსახვით მასთან გატარებულ ბედნიერ წუთებს იხსენებდა, ხოლო ახლა დაბეჩავებულ, უძლურ ქალს რომ შესცქეროდა, გული უკვდებოდა, ცრემლი ემალებოდა.

„ეჰ, მწარეა მოხუცებულობა!“ — დანანებით გაიფიქრა მან და თოვლივით თეთრ თმაზე ზანტად გადაისვა ხელი, აწეწილ თმასა და ბეჭებზე მოხურულ ხალათს ალმაცერად შეავლო თვალი.

„ყოფილა ოდესმე ოლღა ქუთელიას წესრიგში არ მოეყვანა თავი, ანდა ურიგოდ ჩაცმული ენახოს ვინმეს?!.

სავარძელში მოხერხებულად მოკალათდა, ფეხებით იატაკს დააწვა და ფრთხილი ბიძგებით სარკესთან მიჩოჩდა.

თმის ვარცხნის დროს რაღაცნაირი გამოცოცხლება დაეტყო. თანდათან ხალისი მოემატა. ნელსაცხებელი აიღო და ნაოჭებით დაღარული კანი დაიზილა. პირვანდელი მოძრაობით გარდერობთან გადაინაცვლა, საიდანაც თურქული ხალათი გამოიღო, ჭეშმარიტად „ხათუნების“ საკადრისი (რამდენიმე წლის უკან სტამბოლში აჩუქეს გასტროლებზე ყოფნის დროს) ხალათი წვალებით ჩაიცვა და იმავე ხერხით კვლავ სარკეს დაუბრუნდა. კისერი და გულ-მკერდი უცხოური სუნამოთი დაინამა.

შეისვენა, მერე საკუთარ თავს დააცქერდა დ სევდიანად ჩაიღიმა, თან ცხვირსახოცით თვალზე მომდგარ ცრემლებს იკავებდა.

„ესეც ასე! ხომ მითხარი, მოწესრიგდიო, სირცხვილიაო, ჰოდა, ოლღა ქუთელიას სხვაგვარად არც შეჰფერის.“

შუბლი სიმწრის ოფლით დაეწინწკლა, კიდევ კარგი, ენერგია დაზოგა და თავის მოწესრიგება ფეხზე აუდგომლად შეძლო, თორემ, ამდენი მოძრაობის შემდეგ, უსათუოდ გული წაუვიდოდა, დაღლილობა მაინც იგრძნო, მკერდზე მიიდო ხელი და შეშინებული თვალებით მიმოიხედა. ერთი სული ჰქონდა, ქალიშვილის დაბრუნებამდე.

— „რა მრჯიდა, რა დროს ჩემი ხუშტურებია. ახლა რომ სული გამძვრეს, რას იტყვის ხალხი: სასაცილოდ არ ვეყოფი, ალბათ: ოლღა ბებია სარკესთან კეკლუცობამ იმსხვერპლაო, — აყვედრიდა თავს.

მალე დერეფნის კარი გაიღო, — მერე კი სასტუმრო ოთახში შემავალი.

— აქეთ მობრძანდით, ბატონო, თუ შეიძლება, დიდხანს არ დაგაყოვნებთ, ეხლავე შეგიყვანთ ავადმყოფთან, — ეპატიჟებოდა თინიკო ვიღაცას.

როცა შვილი დედის ოთახში შევიდა, გაოცდა: რა ხდებოდა მის თავს, ვერ მიხვდა, დარცხვენილი ღიმილით მომზირალ მოხუცს რომ კარგად დააკვირდა, აზრზე მოვიდა: ხელი ხელს შემოჰკრა და მოგუდული ხმით გადაიკისკისა, სავარძელთან მივიდა, დაიხარა და დედას თავზე ემბორა, ძვრიფასი ხალათის საყელო რუდუნებით გაუსწორა. ჩემო ლამაზო დედიკო! პატარა ბავშვივით მიეალერსა.

ოლღა უხერხულად შეიშმუშნა და თვალებით ანიშნა, კარგი, გეყოფა, სირცხვილიაო.

— რომ იცოდე, ვინ მოგიყვანე? მხცოვანი პროფესორი, იცი, დე, მაგ კაცს რომ მთელი ქვეყანა იცნობს და პატივს სცემს, როგორც ბრწყინვალე სპეციალისტს? ვახტანგ გაგნიძე, გსმენია, არა? — იკითხა თინამ და კარისკენ წავიდა. ვიდრე ოთახიდან გავიდოდა, დედის პასუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის ნაცვლად, სავარძლის უადგილო ჭრაჭუნი მოესმა, რაც მოხუცის მკვეთრმა მოძრაობამ გამოიწვია. მისკენ მობრუნდა და სახის გამომეტყველებით ჰკითხა, ხომ არაფერი გინდაო.

ქალბატონი ოლღა გაურკვეველი მზერით მისჩერებოდა თინას. მარჯვენა ხელი ინსტინქტურად სამეგრელოს დედოფალივით მაღლა აეწია, რაც იმას ნიშნავდა: მოითმინე, ექიმი ჯერ არ შემომიყვანოო. მერე, აწეული ხელი და ქვედა ტუჩი ერთდროულად ჩამოუშვა დაბლა და გადიო, თავით ანიშნა.

შვილმა დედის უცნაური საქციელი მის სულიერ გატეხილობას მიაწერა: ეშინია, ალბათ, ექიმმა ცუდი დიაგნოზი არ დამისვასო, დანანებით გააქნია თავი და პროფესორთან გავიდა, სანამ დამშვიდდებოდეს, სტუმარს მაინც შევიქცევო.

— ვახტანგ გაგნიძე! — თავისთვის ჩაიჩურჩულა ოლღამ და მოგონების ბურუსში გაეხვია.

●

დრამატული თეატრი ათას ცხრაას ორმოცდათორმეტი წლის მთელი სეზონის გახმაურებაში გაცხოველებით მუშაობდა უილიამ შექსპირის „ჰამლეტზე“. გენერალური რეპეტიცია დეკემბრის ოცდახუთში ჩატარდა, ხოლო, ახალ წლამდე, ორი დღით ადრე, პრემიერა იყო დანიშნული. პიესის ხელმძღვანელები ღელავდნენ — მსახიობები, მით უმეტეს.

ოცდაათში, დილით, მთავარი რეჟისორი, კაკო ბახტაძე გამწარებული შემოვარდა თეატრის შენობაში: დასს ფრიად არასასიამოვნო ამბავი აუწყა: „დეზდემონას“ როლის შემსრულებელს, ნატო ფანჩვიძეს, ღამის ორ საათზე მეუღლე გარდაცვლოდა ინფარქტით. შექმნა ერთი აურზაური, გადარევა-გადმორევა. სპექტაკლის ჩავარდნაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თითქმის ყველა ბილეთი წინასწარ იყო გაყიდული.

— ვინ, ვინ დავაყენოთ ნატოს მაგივრად?! — გაიძახოდა მთავარი რეჟისორი და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა.

ერთადერთი იმედი „დეზდემონას“ დუბლიორი იყო, მაგრამ, როცა ეს უკანასკნელი მოიხმეს და მისგან სასტიკი უარი მიიღეს, საგონებელში ჩავარდნენ.

კანდიდატურებიც დასახელდა, მაგრამ, რეჟისორს არცერთი არ მოუვიდა თვალში, ზოგმა ტექსტი არ იცოდა კარგად, ზოგიერთი კი, პერსონაჟს გარეგნულად არ მიესადაგებოდა.

ბოლოს, მართალია, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ, საკმაოდ ცნობილმა მსახიობმა ბესიკ კოვზირიძემ, ოლღა ქუთელია წარუდგინა რეჟისურას, იგი იმხანად ოცდასამი წლის ყმაწვილი ქალი იყო.

თავად ბესო ამ სპექტაკლში „ოტელოს“ როლს თამაშობდა, ბატონ აკაკის, მოულოდნელობისაგან დამფრთხალი გოგონა ნახვისთანავე მოეწონა. სახელდახელოდ გამართეს რეპეტიცია და რამდენიმე ეპიზოდი გაითამაშეს. აღმოჩნდა, რომ მთავარი რეჟისორი და მხატვრული ხელმძღვანელი, მარჯი, ოლიკოს სილამაზით კი არ მოხიბლულიყო, არამედ, მისი მისწრაფებით, უსაზღვრო ინტერესით როლისადმი, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ დებიუტანტმა ზეპირად იცოდა მთელი ტექსტი. რეჟისორის შეკითხვას, თუ საიდან და როგორ მოახერხა ყოველივე ეს, დამწყებმა მსახიობმა მხრების აჩეჩითა და მორცხვი ღიმილით უპასუხა. ასეთი მნიშვნელოვანი როლის თამაში მისი ოცნება იყო. ხოლო ათას ცხრაას ორმოცდათორმეტი წლის თითქმის ყველა ღამე, დაწოლის წინ, სარკესთან, დეზდემონას ტრაგიკული ცხოვრების განსახიერებითა და დაუმსახურებელი „სიკვდილით“ მთავრდებოდა.

თეატრში ზუსტად ერთი წლის მისული იყო და ორ-სამ სპექტაკლში უმნიშვნელო როლი ჰქონდა ნათამაში. სპექტაკლის დასასრულს, მაყურებელთა აპლოდისმენტების ხმაურში, წინა ხაზზე განლაგებულ მსახიობებს ამოეფარებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლმე, რცხვენოდა, მართალია, მოლუღუნე მტრედებივით წამოსული ტაში მის პატივმოყვარეობასაც ელამუნებოდა, მაგრამ, ამ დამსახურებიდან მისი წილი რომ მალზე ცოტა იყო, ამას ნათლად გრძნობდა.

ერთხელ, ვიღაც დრაფისკოსტუმიანმა ვაჟმა „ბრავო, მეეზოვეო“ დაუძახა (იმ სპექტაკლში მეეზოვის როლი ჰქონდა, ორიოდ წუთით უნდა გასულიყო სცენაზე ცოცხით ხელში და სანამ ეზოში, ხესთან შეყვარებული წყვილი ერთმანეთს კოცნიდა, იქაურობა უნდა დაეგავა) რაღაც ხელით ანიშნა და, მოწონების ნიშნად, თავი დაუკრა, „მეეზოვეს“ იმ წუთში მიწა რომ გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ის ერჩივნა, ამ დროს მის ფეხებთან ცოცხალი ყვავილების შეკვრა დაეცა, რომელშიც ბარათი იდო... „მარად თქვენი თაყვანისმცემელი“, — ეწერა შიგ.

დღეს კი აგერ, დეზდემონას როლი შესთავაზეს!

ბესიკ კოვზირიძე მის მიერ შერჩეულ დებიუტანტს მიუახლოვდა და გამამხნევებლად ჩაუკრა თვალი. როგორც ტოლმა-ტოლს.

ოლიკომ უსაზღვრო მადლიერების ნიშნად, თბილად გაუღიმა ბესოს და ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს, მისი კანონიერი მეუღლის, მბრძანებლისა და მასზე უსაზღვროდ უფლებამოსილ „ოტელოს“ წინაშე იდგა.

ის დღე დასრულდა და სპექტაკლიც დაიწყო, რა აღწერს იმ წარმატებასა თუ სიხარულს, რაც მაშინ დრამატული თეატრის მსახიობებს ხვდათ წილად. ისეთი ოვაციები და „ბრავოს“ შეძახილები იყო, გეგონებოდათ, სადაცაა ჭერი ჩამოინგრევაო. ოლიკო ქუთელიას გამოჩენაზე მაყურებელთა აღტაცებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მსახიობს სცენიდან აღარ უშვებდნენ. იგი ყვავილების ზღვაში ცურავდა. ეს დებიუტი მისი აღიარებით დაგვირგვინდა. „დეზდემონა“ ესე იგი, ოლღა ქუთელია, როგორც მსახიობი, იმ დღეს დაიბადა.

თეატრის კოლექტივმა შემოქმედებითი წარმატება შამპანურებით აღნიშნა, მსახიობებმა გვიანობამდე იმხიარულეს: ოლიკო ბესიკ კოვზირიძესთან ერთად გამოვიდა თეატრის შენობიდან: ის იყო, წყვილი „პობედაში“ უნდა ჩამჯდარიყო, რომ მათ გვერდით ახალგაზრდა კაცის მორიდებული ჩახველება გაისმა. უცნობისკენ შემობრუნებულმა ოლღამ „მარად მისი თაყვანისმცემელი“ შეიცნო, რომელიც ოდნავ შეზარხოშებული ჩანდა. ქალი, ჭაბუკის სითამამემ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, მაგრამ, არ გაბრაზებულა, პირიქით, გულში ესიამოვნა კიდეც.

— გისმენთ, გენაცვალე! — თქვა მან და ბესოს მკლავზე დიდი ხნის მეგობარივით მიეკრა.

— მინდა, გულითა და სულით წარმატება მოგილოცოთ!..

— გმადლობთ, ჩემო ბატონო!—

„თაყვანისმცემელი“ დაიბნა, თავი დახარა და თეატრის აფიშას უაზროდ მიაჩერდა, სახეზე წამოჭარხლებულმა, ძლივს ამოილუღლუღა.

— იმედია, მიცანით?..

— ვერა, ვერ გიცანით, მოკლედ მოუჭრა „დეზდემონამ“ და გაკვირვებული უცნობი ქალის როლი გაითამაშა.

— რატომღაც ვერ ვიხსენებ, ინსტიტუტიდან ხომ არ გეცნობით?!

— არა, მე სამედიცინო ფაკულტეტი დავამთავრე, თქვენ კი, ალბათ, თეატრალური. მეგონა... სულ დაიბნა ახალბედა ექიმი.

— ოლიკო, გენაცვალე, დაუჩქარე, თორემ ამ კაცს არ აქვს ამდენი დრო, მერე კი ველარაფერს დავიჭერთ, — უთხრა ბესომ უცნობის მოუხერხებლობით შეწუხებულ მანდილოსანს და მანქანის უკანა კარი გამოაღო.

მთელი გზა „დეზდემონას“ ხმა არ გაუღია. „ოტელოც“ ნერვების მომშლელად დუმდა.

„რა დამთხვეული ვინმე ყოფილა ეს ახალგაზრდა ექიმი! ხომ შეეძლო, კულტურულად გავეხმე გვედრზე და თუ რამ სათქმელი ჰქონდა, თავისუფლად ეთქვა? „მე მეგონა“... — დამცინავად იმეორებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლღა და გაბრაზებული იხდიდა ტანსაცმელს.

არც ერთი სპექტაკლი ისე არ ჩაივლიდა, ოლიკოს რომ უცნობი ექიმისაგან ყვავილები არ მიეღო ბარათთან ერთად, რომელშიც სამად სამი სიტყვა ეწერა: „მარად თქვენი თაყვანისმცემელი“.

მსახიობი ქალი ისე შეეჩვია ამ სიტყვებს, ისეთი მახლობელი გახდა ისინი მისთვის, თამაშის, ბოლოს სცენიდან წასვლა სხვაგვარად ვერც კი წარმოედგინა: თითქოს, მისი შემოქმედების ფასი ამ სასიამოვნო სიტყვებით განისაზღვრებოდა.

სპექტაკლის მიმდინარეობის დროს, თვალები დარბაზისკენ გაურბოდა. მისდა უნებურად „მას“ ეძებდა. გრძნობდა, სადღაც, შორიახლო რომ იჯდა და საოცრად თბილი თვალებით შემოსცქეროდა.

სპექტაკლის შემდეგ მუდამ ბესიკი აცილებდა. კოლეგის ამ ჩვეულ ყურადღებას დიდ მნიშვნელობას არც ანიჭებდა, მსგავს შემთხვევებს, მსახიობის ცხოვრებისეულ ნიუანსებად თვლიდა.

რამდენჯერ შეუნიშნავს თეატრის სვეტებთან ატუზული თაყვანისმცემელი ოცნებით რომ უმზერდა. ოლიკო ამ დროს ნერვიულად იმშუშნებოდა, შინაგანად ღიზიანდებოდა. ბოლოს და ბოლოს, როგორ არ შესწევს ამ ბიჭს იმის უნარი, მოიფიქროს და იმავე ბარათით შემატყობინოს: სპექტაკლის შემდეგ თქვენის ნებართვით, თუ შეიძლება, მე გაგაცილებთ! — ჯავრობდა გულში, ხოლო მის დასანახად, კვლავ გულგრილი ქალის როლს თამაშობდა.

იმ ზაფხულს, ოლღამ ბესიკთან და კიდევ რამდენიმე მსახიობთან ერთად, კასპის რაიონში, ფილმის გადაღებაზე გაატარა, კინორეჟისორზე ამ შემთხვევაშიც ბესოს ავტორიტეტმა იმოქმედა და ოლღა ქუთელია დედოფლის როლზე იქნა მიწვეული.

ერთ შაბათ დღეს, მთელმა გადამღებმა ჯგუფმა და კასპის რჩეული საზოგადოების ზოგიერთმა წარმომადგენელმა, რაიკომის პირველი მდივნის „ბრძანებით“ გაწყობილ სუფრაზე მოიყარეს თავი.

მომლხენთა შთაგონების წყარო, სტიმულისა და ხალისის მიმცემი სტუმარმანდილოსანთა შორის ოლღა ქუთელია იყო. ვინ მოთვლის, იმ ღამით რამდენი ხელზე ამბორი, პირადი სადღეგრძელო თუ ექსპრომტად დაწერილი ლექსი მიიღო.

სუფრაზე ახალგაზრდა ექიმიც იყო, საიდან მოხვდა იმ წვეულებაზე, კაცმა არ იცის, იგი ნელ-ნელა წრუპავდა ღვინოს და თაყვანისცემის ტრიუმფში მყოფ ოლღას დაჟინებით უცქერდა.

ქალი გრძნობდა მისკენ მიმართულ მწველ მზერას და სახეზე ალმური ედებოდა. მთელს ტანში სასიამოვნო ჟრუანტელი უვლიდა.

პირველად, სწორედ ამ სუფრაზე გამოუტყდა თავს. „მარად მის თაყვანისმცემელზე“, მისდა უნებურად, გული რომ შევარდნოდა. ამას რომ მიხვდა, სახეზე წამოჭარხლდა, დამცირებულად იგრძნო თავი. იქნებ, ამ ვაჟბატონს, სრულიადაც არ ადარდებს ეს ამბავიო, — იფიქრა.

საშინლად მოუნდა შური ეძია. გაეგულისებინა, მოთმინებიდან გამოეყვანა იგი.

ღვინოს მიეძალა. ეს რომ სუფრის წევრებმა დაინახეს, გამოცოცხლდნენ. ქალის იგრვლივ მოიყარეს თავი და მსმელი შეათამამეს.

სასმელი მალე მოეკიდა. ხშირად იხრებოდა მის გვერდით მჯდომ ბესიკ კოვზირიძისკენ და მხარზე მჭიდროდ ეკვროდა. მის მიმართ სხვანაირი გრძნობით შეპყრობილი ქალის როლს თამაშობდა.

ისე ბრწყინვალედ შეასრულა ოლღამ იმ ღამით ეს როლი, ბესიკმა, სასტუმროსკენ რომ მიაცილებდა, გულისნადები გაუმხილა, სიგიჟემდე მიყვარხარო უთხრა და გაოგნებულ ქალს ტუჩებზე დაეკონა.

მას შემდეგ, მსახიობი ქალის თვალთახედვის ჰორიზონტიდან სამუდამოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქრა „მარად მისი თაყვანისმცემელი“, მისმა სიშორემ, ხოლო ბესიკის სიახლოვემ — ერთის მიმართ გულგრილის, ხოლო მეორისადმი შეყვარებული ქალის როლის თამაშმა, ის შედეგი გამოიღო, რომ ოლღა ბესიკ კოვზირიძის კანონიერი მეუღლე გახდა.

მხოლოდ ერთხელ, რამდენიმე წლის შემდეგ, შუა ასაკში რომ იყო, ვიღაც უცნობი მამაკაცისგან გამოგზავნილი ვარდები მიართვეს. მასში ბარათი იდო, რომელმაც ქალის ყმაწვილობისდროინდელი პირველი გატაცების სამუდამოდ დასამარება ამცნო — ოღონდ ფრიად უცნაური და სასიამოვნო:

სიყვარული დარჩა ჩემს გულში,
მხოლოდ ჩემს გულში არვისთან თქმული,
და ის დარჩება ვით გაზაფხულზე,
ია უმანკო, არ შელახული.

მარად თქვენი თაყვანისმცემელი ვახტანგ გაგნიძე, — ეწერა შიგ.

ოლღამ ბარათი უკვალოდ მოსპო. ხოლო ეს სიტყვები დიდი მოწიწებით დაიმარხა გულის სიღრმეში.

●

— დედი, შეიძლება? — გაისმა ოთახში ნახევრად შემოსული თინიკოს ხმა, რომელიც წელში საგრძნობლად მოხრილ, კოხტად ჩაცმულ, ხანდაზმულ პროფესორს შემოუძღვა.

ოლღა სიზმარიდან გამოსულივით შეცბა. დაბნეული თვალებით მიმოიხედა ირგვლივ, მერე პროფესორს დააკვირდა. იცნო. „კი, ნამდვილად ის არის — მისი შორეული გენსახიერებაა. ღმერთო ჩემო! ისევ ის თვალები! ნუთუ ამ კაცში არაფერი შეცვლილა?!.“

პროფესორმაც იცნო ოლღა. რომ არ შეემჩნია, თავი დაუკრა და უგერგილოდ გაუღიმა.

— ბატონო პროფესორო, ამ [illegible] შეუძლოდ იგრძნო თავი, სიცხე, მე [illegible] ნი, არა აქვს. ალბათ, წნევა თუა, აბა, სხვა რა უნდა იყოს?! — აუხსნა თინამ.

დიახ, შესაძლებელია! — დაემოწმა პროფესორი გაგნიძე და წნევის აპარატი მოიმარჯვა.

ავადმყოფი მოულოდნელად ფეხზე წამოდგა, შვილს ყალბი ღიმილით მიუბრუნდა და მშვიდად უთხრა:

— ვისზეა საუბარი, გენაცვალე?! მართალია, მამაშენი დილიდანვე ვერ იყო კარგად, მაგრამ, წარმოიდგინეთ, — ამ დროს მან პროფესორს მიმართა: — უეცრად გამოკეთდა და ახლა ეზოში ჭადრაკს თამაშობს.

— კი მაგრამ, დედ...

— ხოლო, რაც შეეხება, პატივცემულ პროფესორს, ჩვენთან მობრძანებისათვის დიდ მადლობას ვუხდით. სამწუხაროა, ტყუილუბრალოდ რომ შევაწუხეთ!

როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, არა უშავს... მაგრამ, მე მითხრეს, რომ შეუძლოდ ბრძანდებით! — არ შეეპუა პროფესორი ავადმყოფს და პირდაპირ თვალებში შეხედა.

ვინ მოგახსენათ, ბატონო პროფესორო! თავს ძალზე კარგად ვგრძნობ და, როგორც ხედავთ, არავის დახმარებას არ ვსაჭიროებ. თინიკო, გააცილე სტუმარი! — ზვიადად მიუგო მან ერთ ადგილზე გაქვავებულ ქალიშვილს და თავით პროფესორზე ანიშნა.

— რა გაეწყობა, თუ ასეა... კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო ოლღა!

— იცოცხლეთ... — გაისმა ქალის ხმადაკარგული პასუხი.

პროფესორი ვახტანგ გაგნიძე ლიფტით რომ ეშვებოდა დაბლა, თავისთვის სულელივით იმეორებდა: „ღმერთო ჩემო! მაგას ხომ მეუღლე დიდი ხნის გარდაცვლილი ჰყავს... ნეტა, რაში დასჭირდა...“

ხოლო როცა თინიკო მობრუნდა, დედის ოთახი ფრთხილად შეაღო და სავარძლის ზურგზე მისვენებული ოლღა [illegible], მიხვდა, ეს რომ [illegible] უკანასკნელი როლი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუხა

**ნაცვლიშვილების** კარ-მიდამო სოფლის განაპირას იყო. მერე ნანამქრალებით დაღარული ბორცვიანი აღმართი იწყებოდა. მესრით შემოღობილი ეზო გატიალებულ ფერდობს თითქმის ტყის პირამდე გასდევდა. საცალფეხო გზა კი ბორცვებს შორის გველივით მიიკლაკნებოდა. ზევით, ღობის თავთან, მკვეთრად უხვევდა და ხშირ ტყეში უჩინარდებოდა. ხშირი-მეთქი, სიტყვამ მოიტანა, თორემ, კაი ხანია ამ ტყეს გამეჩხერებისა და გატიალების ჭია რომ შეჩენოდა.

ღობის თავსა და ტყეს შორის ერთ დროს ვეებერთელა მუხა იდგა. ზებედე „უკულმართის" ხეაო ეგ, ამბობდნენ სოფელში. მის პაპას, კალისტრატე ნაცვლიშვილს, ასე უთქვამს პატარა ზებედესთვის, როცა ამქვეყნად გაჩნდი, იმ დღეს დავრგეო ეს მუხა შენს სახელზე. ასე რომ მუხა და ზებედე თანშეზრდილები იყვნენ.

დღე არ იყო, სოფლის მცხოვრებლებს ამ მუხასთან რომ არ გაევლოთ. გაღმა სოფელშიც ამ გზით უნდა გასულიყვნენ, მთის კორტოხზე საქონელი ტყის ავლით უნდა გაერეკათ და უსათუოდ, აქ უნდა მოხვედრილიყვნენ. მოჭრილი ხე, თუ ზამთრისთვის დამზადებული შეშა, აქ უნდა ჩამოეყარათ და, ერთი სიტყვით, ამ ადგილსა და სოფელს ბევრი რამ აკავშირებდა ერთმანეთთან.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ზებედე ნაცვლიშვილმა ზრდა შეწყვიტა, ხოლო მუხამ კვლავ გააგრძელა, ტანი აიყარა და კენწერო საშიშ სიმაღლემდე აზიდა. ყოველივე ეს ბუნების კანონი იყო და, მუხაც და ადამიანიც ზედმიწევნით იცავდნენ ამ წესს. ზებედე ზრდადასრულებამდე მუდამ ამ მუხის ძირას თამაშობდა. [illegible] მცენარეს ალაგეზე ფრთხილად გადმოტანილ წყალს უსხამდა, სიცხისაგან გახურებულ ფესვებს უგრილებდა.

ყმაწვილბიჭობაში იყო და, პირველი ალტყინების წუთებს მასთან ეზიარა, მოჭარბებულ გრძნობას აქ ამოსდო ლაგამი. გეგუჩაძეების გოგო, სალომე, შეღამებისას ხესთან მიიტყუა და მის ტოტებ ქვეშ ახადა ნამუსი. შემდეგ, თითქმის, ყოველდღე ხვდებოდა ავხორცული ჟინით შეპყრობილი ქალ-ვაჟი მუხის ძირას და გვიან ღამემდე მოპარული ტრფობით ტკბებოდნენ, ზებედე ცოლობას აღუთქვამდა და ყურში ცრუ დაპირებებს ჩასჩურჩულებდა. ხის იდუმალი ფოთოლთ შრიალი, თავგზააბნეულ გოგოს, ვაჟის სიტყვების დასტურად ესახებოდა და თავს ბედნიერად გრძნობდა.

ამ უზნეო საქციელს მანამ ფარავდა მუხის ჩრდილი, ვიდრე მახათაძეების ბიჭი თავს წაადგა ურცხვად გაშიშვლებულ მოსაქმე წყვილს და ეს ფაქტი მთელ სოფელს მოსდო.

კოლექტივიზაცია რომ დაიწყო და კომკავშირი გააქტიურდა, ზებედემ ჭეშმარიტი კომკავშირელის ფიცი აქტივისტთა კრებაზე კი არ დადო, არამედ, მუხასთან მოდრიკა ქედი. ქვეყნის მტრებს, ასე გავულეტო, ზიზღით გამოსცრა და იქვე ამოწვერილ გვიმრას ფეხით წააცალა თავი.

მართლაც, დიდი დრო არც გასულა, საწყალი მახათაძის ბიჭი, კოლმეურნეობის სიმინდის ქურდობაში ამხილა თუ ცილი დასწამა, ერთმა ღმერთმა უწყის, კომკავშირის სახელით მუხის ხესთან მიახვრიტა.

ოცდაჩვიდმეტში, აქტივისტებმა რომ სოფლის ეკლესია გაძარცვეს. ზებედემ მეირაფსი ლითონისაგან ნაკეთი ზარი ჩაიგდო ხელში და მუხის ძირას დაფლა, მანამ მალავდა, სანამ, ვიღაც გადამთიელ ვაჭარს კონტრაბანდაში არ გადაუცვალა.

მუხას ერთ მხარეს თანშეზრდილი როკი ჰქონდა, რომლის ამოღებისას ხის შიგნით კაი მოზრდილი ღრმული ჩნდებოდა. სწორედ ამ ღრმულში ათავსებდა იგი უცხოურ საქონელს და მერე მამასისხლად ყიდდა.

საბრალო ხე ბევრი შემზარავი გეგმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსწრე გამხდარა. ზებედესა და მის თანამზრახველებს, თითქმის სოფლის ყველა „წურბელას“, ბედი მისი ტოტების ქვეშ გადუწყვეტიათ. მუხას ფოთლების შრიალითა და კიდურების ჭრიალით გამოუთქვამს პროტესტი: ნუ შვრები, ამ ავს საქმესო, ზებედე! მაგრამ, ესმოდათ კია მისი?

სამამულო ომის დაწყებამდე, ზებედე კოლმეურნეობის თავმჯდომარის სავარძელზე აცოცდა და სოფლის ვაჟკაცები, ფრონტზე რომ ღვრიდნენ სისხლს, იგი მომჭირნეობით მცხოვრებ მარტოხელა ქალებს მუხის ქვეშ იბარებდა და „ხუთწლედის გეგმას“ წარმატებით ასრულებინებდა. თავბერიძის ქვრივმა წინააღმდეგობა რომ შებედა, გზა მომეცი, თორემ, მთელ სოფელს შევყრიო, რომ დაემუქრა: თმით დაითრია და საცოდავ ქალს მუხაზე არტყმევინა თავი. ცემისგან გონწასული დედაკაცი იქვე მიაწვინა და მხეცურად დაეუფლა. ამ სურათის შემყურე მუხას ტანში უსიამოდ გააჟრჟოლა და თავი დანანებით გადააქნია. მისგან დაცვენილ რკოსაც არ თქვლეფდნენ ღორები ისე, როგორც ეს კაცი, ამ უბედურ ქალს.

ზებედემ, დასრულდა თუ არა ომი, უკვე დროაო და, ცოლი შეირთო, ქალი მეზობელი სოფლის მცხოვრები იყო. პატარძალი პირველ ღამესვე ტყისკენ გაასეირნა და მისი საყვარელი მუხა წარუდგინა. პაპმისის ღვაწლზე უამბო, გვარის ტრადიციასა და მის პირნათლად შესრულებაზე ამაყად ესაუბრა, ბუნების სიყვარულსა და მის ავკარგიანობაზე მთელი საათი ეჭუკჭუკა. მხოლოდ ერთხელ აკოცა, ისიც მოკრძალებით, და ხელკავით უკანვე გამოაბრუნა.

დილამდე ქირქილებდა მუხა და შიგადაშიგ მწარედ ოხრავდა.

ზებედე რომ თავმჯდომარეობიდან გადააყენეს, ერთხანს, კირილე მიმინოშვილივით იწყო აღმა-დაღმა ხეტიალი, უხომო ქეიფსა და დროსტარებას მიჰყო ხელი. ერთხელ, ცოლის ბიძასთან მოხვდა სუფრაზე, მოილხინა და კაიძალი შარბათივით ღვინო სვა. წამოსვლისას, ვერცხლის ძველებური ქამარ-ხანჯალი გამოაყოლა ხელს. სად დამალავდა, თუ არა მუხის ფუღუროში. ქამარ-ხანჯალი რომ წაიღო, ეხლა ვიღაცის ძვირადღირებული უნაგირი მოიტანა, მუხის შუა წელზე მიათოკა და მანამ ინახავდა იქ, სანამ ვიღაცისავე თეთრი შავრა არ მოათოხარიკა და ზედ არ დაადგა. შეკაზმული ბედაური სამი სოფლის იქეთ გადაიყვანა და ვიღაც ლეკს ცეცხლის ფასად მიჰყიდა.

თანდათან მთელმა სოფელმა შეიძულა მუხა. გამვლელ-გამომვლელი, ქალი თუ კაცი, ყველა ერიდებოდა ამ ხეს და შორი გზით უვლიდა გვერდს. მიმავალი მგზავრი ალმაცერად გახედავდა ტოტებგაშლილ ხეს და, „ფუი ეშმაკსო“, იტყოდა.

მუხას სირცხვილისაგან კანი ეწვოდა. გული ეთანაღრებოდა. რა ექნა არ იცოდა, ზებედესგან საშველი არ იყო. ვერ იქნა და ვერ დაიხსნა თავი საძრახისი საქმეების მკეთებელი კაცისგან.

როგორც ჩანს, მობეზრდა ამგვარი ყოფა და, ერთ მშვენიერ დღეს, მთლიანად შეიბერტყა, ფოთლები სულ გაიცვინა და ურცხვი დედაკაცივით გატიტვლდა. ტოტები გაიხმო და ზოგიერთი ძირსაც კი ჩამოყარა. მხოლოდ ტანი იდგა ურყევად. ზამთარში, დიდთოვლობას, ისიც, მოფამფალდა და ტყისკენ საგრძნობლად გადაიზნიქა, ფესვები ნერვიულად დაებჯგრა და ერთ მხარეზე მიწა ამოხეთქა. იქნებ, ასე სჯობდეს. ველარ დაფარავს თავის შავბნელ საქმეებსო ზებედე. ფიქრობდა მუხა.

ხე მალე დარწმუნდა, მწარედ რომ ცდებოდა. ზებედემ უფრო მოუხშირა მასთან სიარულს. ყოველდღე ეწვეოდა ხოლმე გოდორით. მის გამხმარ ტოტებს ულმობლად აჭუცმაცებდა და გოდორში ყრიდა. მერე ხის ძირას მხარ-თეძოზე წამოწვებოდა და ყალიონს გამართავდა. მოწევას რომ მორჩებოდა, ჩიბუხის ტარს სიმებივით დაჭიმულ ფესვებზე დაფერთხავდა და ზედ ხრინწით ამოღებულ ნახველსაც მიაფოლებდა. მუხას ფესვები ეწვოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ წელიწადს, გაღმა სოფელში, სამანქანო გზა უნდა გაეყვანათ. ინჟინერმა, ეს მუხა უნდა მოიჭრასო, ბრძანა. ე, ბიჭო! მეშველოსო იქნებ, გაიფიქრა ხემ და კმაყოფილებით შეარხია ტანი, მაგრამ, ზებედე ცოცხალი თავით ამის უფლებას მისცემდა ვინმეს?

შეიტყო თუ არ ეს ამბავი, ორლესული ნაჯახი დაითრია და აღმართი ქოშინით აირბინა. სანამ მაგ მუხას მოჭრიდეთ, მანამ თქვენს თავებს მის ძირში გაგორებულებს ვიხილავო, გაცოფებული გაიძახოდა იგი. რაიკომის მდივანთან ჩავალ და ამ ხის მოჭრას მაინც არ დაგანებებთო.

რა ექნათ, ადგნენ და მთელი სამშენებლო ტექნიკა იქაურობას მოაშორეს. გიჟია ვიღაცაა და ცოტა ხანს მოვითმინოთო.

მუხას მოთმინების ფიალა აევსო, ნერვიულად შეარხია კენწერო და ერთი ხმელი ტოტი მოწყვეტით დაუშვა, პირდაპირ თავში დაუმიზნა პირზე დუჟმომდგარ ზებედეს, საუბედუროდ, ააცდინა. გულით წყევლა-კრულვა გაუგზავნა ბერიკაცს და ცისკენ აშვერილი ორი გამხმარი ტოტით ბუნების შემქმნელს შეევედრა: მიხსენ ამ სატანისაგანო!

სიკვდილი მოუნდა ხეს — მხოლოდ ბუნებრივი, კაცთჩაუხიარებელი.

სიკვდილის მოახლოება იგრძნო ზებედემაც. ერთ დღეს ნაჯახი აიღო და წელში მოკაკული აღმართს შეუყვა. ორი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ჩორკნიდა ძირში მოჭრილ მუხას. წარსულს იგონებდა და ხეს შიგადაშიგ ეალერსებოდა ხოლმე. რაღაცას ემადლიერებოდა.

საღამოს პირას, ჭიშკარს რომ ფეხი ჰკრა და ეზოში ბაწრით გათოკილი მუხის კუბო შეიტანა, მისმა უკბილო დედაკაცმა კივილი მორთო. ღამის ლოყები დაიკაწრა.

მოკვდა ზებედე, აილეს და მისივე ხელით შეკრულ კუბოში ჩაასვენეს, კაცი სამუდამოდ დუმდა და სახეზე რაღაცნაირი კმაყოფილება ეხატა. დაკრძალვის დღეს ხალხმა მისი შესანდობარი დალია და მუხის კუბო სასაფლაოსკენ ტაატით წაიღო.

ეს ვის გადავეყარეო, ფიქრობდა კუბო, ხოლო როცა ირგვლივ ყველაფერი წყვდიადმა მოიცვა, ზევიდან ქვა-ღორღი რახარუხით წამოვიდა გვერდები შეულეწა, ერთი ღრმად ამოიოხრა და მარადიულ ძილს მისცა თავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ცისანა უტარაშვილი

### შენს ხსოვნას

სიზმარში გამოისახე,
გეპყრა სამოცი სანთელი,
დახრილი გქონდა პირსახე,
გადაგფენოდა ნათელი!

სულში ქარებმა იწივლა,
ცაც ლურჯი იყო ბიბინა,
ღიმილმა შენმა ლამაზმა
ჩემს თვალწინ გადაირბინა.

### თვითონ მოვა უშენოდ

თვითონ მოვა უშენოდ
გაზაფხულის ჩანჩქერი
და თბილ ხელებს დამისვამს
თავზე დიდი გამჩენი.
თვითონ შემოგიჩნდება
სიყვარულის ნექტარი,
სულ უბრალოდ დიადი,
ლამაზი და ნეტარი.

ფიქრს გაგიჩენს ათასგვარს
შენი ბედის მწერელი,
გეტკინება სხეულში
ჭნება მოურჩენელი...
იწრიალებს სიცოცხლე,
მშვენიერი ფანტომი
და გახდები არაფრის
მქონე-ყოვლის პატრონი!

●

შემხვდი, დავუყვევი თავქვე,
გადმოვაპირქვავე გული,
გული სევდით მქონდა სავსე,
შენი ხილვით გასარკული.
მზე თუ შეეჩვია ლაჟვარდს,
მთვარე — ვარსკვლავების ციალს,

ტანჯვას შეეჩვიე, ტანჯვას,
ბედის უმოწყალოდ ტრიალს...
შემხვდი, დავუყვევი თავქვე,
გადმოვაპირქვავე გული,
გული ყველა ტკივილს დასძლევს,
დასძლევს სიყვარულის წყურვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## თამაზ ყარყარაშვილი

# ზღაპრები

### ზარების ქვეყანა

სადაც მოგითხრობთ, თუ რა გადახდათ ჩვენს მოგზაურებს ზარების ქვეყანაში.

თითქოსდა ჩვენი მოგზაურების ტანჯვა-წამებას ბოლო მოეღო. უდაბნოს ცხელი სამყარო გასრულდა და სადღაც შორს, რაღაც დასახლების მსგავსს მოჰკრეს თვალი. უწყლობასა და შიმშილს ლამის ძალ-ღონე და ცნობიერება წაერთმია მათთვის. დანახვიდან მხოლოდ მეორე დილას მიადგნენ ქალაქის გალავანს, რომელიც თხელი, წითელი აგურით ნაშენი იყო და ყოველ ჩატანებულ სათოფურში ზარები ეკიდა. გალავნს დიდი შესასვლელი კარი ჰქონდა დატანებული, რომლის თავზეც შენიშნავდით აგურითვე გამოყვანილ სიტყვებს „ზარების ქვეყანა". დაღლილ-დასავათებულები ზედ შესასვლელთან დაეყარნენ, თანაც მეფის ცხვირიც სწორედ იქ გაჩერდა. გამოლაპარაკებაც ვერ მოასწრეს, რომ ზემოდან რაღაც არეული ხმაური ჩამოესმათ, ყური კარგად მიუგდეს და მიხვდნენ, რომ ზარების ხმა იყო. მღვდელმა პირჯვარი გადაიწერა და, ის იყო, ღვთისათვის რაღაცის თქმას აპირებდა, რომ მოულოდნელად ცხვირმა ისევ იწყო დაგრძელება, გალავნის კედელი შეანგრია და ქალაქის ბაზრის დახლებს შორის გველივით გაძვრა. ხალხმა, ვინც კი ამ სანახაობას შეესწრო, ყვირილითა და ერთი ამბით იწყო მიმოფანტვა; რა ძალი იყო და, ჩვენი მოგზაურებიც შევიდნენ ქალაქში. შესვლისთანავე ერთმა გარემოებამ მიიპყრო მათი ყურადღება: მთელს ქალაქში განუწყვეტლივ რეკდა ზარები. დიდს თუ პატარას, დაწყებული წარჩინებული პირიდან, მათხოვრით დამთავრებული, თითქმის ყველას, ხელში ეჭირა თავისი ზარი. ძალიან გაუკვირდათ ჩვენს მგზავრებს ეს ამბავი. ზარების რეკვაც არის და ზარების რეკვაც, მაგრამ ასეთი უთავბოლო ჟღრიალი კაცს ტვინს ულაყებდა. ბოლოს, მღვდელი ბაზრის დახლთან მდგომ ვაჭარს შეეკითხა: — ვერ მეტყვი, შვილო ჩემო, ეს რომელი ქვეყანაა და რა რჯულის ხალხი ცხოვრობს? გაგონილა ზარების ასეთი უთავბოლო რეკვა? ლამის ჭკუიდან შევიშალო ამხნის კაცი.

— გეტყობათ, აქაური არ ბრძანდებით, მამაო,—გაიცინა ვაჭარმა,—ალბათ, პირველად ხართ ამ ქალაქში, თორემ იმას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც არ შემეკითხებოდით, რა რჯულის ხალხია აქაო. გეტყვით: — აქ ჩვენ ყველანი ქრისტიანები ვართ, უნდა ვთქვა, რომ ვიყავით ერთ დროს, რა გითხრა, იცი, აქ, ჩვენში ნოყიერი მიწებია და პური და მოსავალი ყოველთვის იყო, არაფერი გვაკლდა, ხილ-ბალჩეულობა გინდა თუ ნადირ-ფრინველი, ამის წყალობით, ისეთი ცხოვრება გვქონდა, ხელის გაუნძრევლად ცვიოდა ყველაფერი პირში, ოღონდ კი პირის გაღება არ დაგზარებოდა კაცს, ჰოდა, რა მოხდა ბოლოს, ხალხს ყველაფრის ინტერესი გაუნელდა, ყოველგვარ საქმეს თავი anebes, მიჰყვნენ მარტო სმასა და ჭამას. მერე კი იქამდე მივიდა საქმე, რომ არავინ აღარაფერს აკეთებდა. ამასობაში ზოგი თანდათან გადაგვარდა, ზოგმაც სულ ხელი აიღო სარწმუნოებაზე. ჰოდა, აბა, როგორ გითხრათ, ყველა თავისთვის მიეცა ცხოვრებას და არავის აღარავინ ახსოვდა. ერთმანეთში ნდობაც დაიკარგა და პატივისცემაც. ბოლოს, თვითონ ჩვენი მეფე ჩაერია ამ საქმეში. ბრძანება გამოსცა: — ყველამ იქონიოს თავისთვის პირადი ზარიო. ვინ იქნება ეს სულ ერთია: ვაჭარი, ქურდი თუ მეკუზოვეო, ყველამ, ვინც რა საქმეს აკეთებს, ვინც რა საქმეს იწყებს თუ მოათავებს, ზარის შემოკვრით ამცნოს თავისი ამბავიო. ამით მეფეს უნდოდა გამოეაშკარავებინა, ვინ რას აკეთებდა, ვინც ზარს არ იხმარდა, უსაქმურად ჩათვლიდა, ხორცმეტად და ქვეყნიდან გააძევებდა.

— მერედა, თუ გაამართლა ამან — შეეკითხა მწყემსი ღვთისა, რომელიც ამ ამბავს დიდის გულისყურით ისმენდა.

— როგორ არა, ყმაწვილო, — მიუგო ვაჭარმა სიცილით. — გაამართლა რომელია, სულ ვიცით, ვინ რა დროს, რას აპირებს. ბოდიში და, კაცს რომ უჭირს და გამწარებული გარბის ზარის რეკვით, რათა ხალხს ამცნობს, რაზეც მიედინება, ამ დროს შენ რომ ძილი გენებოს, რა ჭკუაზე დადგები, ერთი მითხარი, ჰა?

— თუ გვყავთ ისეთი ვინმე ქალაქში, მეფის ამ ბრძანებას რომ არ ასრულებს? — შეეკითხა დაინტერესებული ჯალათი თავ-ფეხება.

ვაჭარმა ამ დროს თავის ზარს შემოჰკრა, რადგან ერთი დიდი საზამთრო გაყიდა კარგ ფასად და ამის შემდეგ მიუბრუნდა ჩვენს მოგზაურებს: — რაო? რომელიღაცამ თქვით, მგონი, ვინმე თუ გყავთ ისეთი, მეფის ამ ბრძანებას რომ არ ასრულებდესო? — გვყავს, როგორ არა, ერთი გიჟია აქაური, საცოდავი ვინმეა, ყველას გვეცოდება და სადამოობით სამადლოდ ვაჭმევთ ხოლმე, როცა რამე მოგვრჩება. თუმცა, რა მალაპარაკებს, აგერ აქეთკენ მოდის, — თქვა ვაჭარმა და ხელი ზარს წამოავლო, რადგან ერთი მყიდველი საზამთროს ირჩევდა საყიდლად.

ყველამ იქით გაიხედა, საითაც ვაჭარმა მიანიშნა. ჩვენს მოგზაურებს თვალმოჭუტული მიუახლოვდა ვიღაც კაცი და გაშტერებული კარგა ხანს უმზერდა მათ. ღვთისამ ვერ გაუძლო მის ასეთ დაჟინებულ მზერას და გვერდზე გაიხედა, თვალი მოარიდა.

— გიყურებთ და ვერა გცნობთ, — დაილაპარაკა გიჟმა, რაღაც აქაურებს არა ჰგავხართ. — მას თეთრი ანაფორის მსგავსი რაღაც ეცვა, თავზე წითელი ხილაბანდი წაეკრა, ფეხშიშველა იყო. — ჰო, რა იყო, რას მომშტერებიხართ? ჯერ გიჟი არ გინახავთ? აი, ამ ხალხმა გამაგიჟა მე, — თქვა და თითი ირგვლივ მოავლო. — აი, ამათ და კიდევ აი, ამ ზარმა, — გიჟმა უბიდან პატარა ზარი ამოაძვრინა, ზიზღით შეათამაშა ხელში და კვლავ უბეში მიუჩინა ადგილი. — მაგრამ ეს ზარი მე ვერაფერს მაკლებს, იმიტომ, რომ არ ვხმარობ. აი! ეს ვეყეჩები კი ხმარობენ და ვითომ მართლა საქმეს აკეთებენო, მთელ დღეს ზარებს აჟღრიალებენ. მაგათ გამაგიჟეს მე, — უეცრად საშინლად დაიღრიჯა და ჩალურჯებული ღრძილებიდან ერთადერთი კბილი გამოუჩნდა, ტიროდა საწყალი, მთელი ტანი უცახცახებდა. — ჰო, რა იყო, ამ ხალხმა გამაგიჟა, ამათ, ვაიმე დედა, როგორ მტკივა ეს თავი, არც კი იცით თქვენ, არა მეტი აღარ შემიძლია,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ ქალაქში დიდხანს ველარ გავჩერდები, ცაში ვაპირებ გაფრენას. აი იქ, ზემოთ, იქ წყნარად ვიქნები. ჩემთვის, არავინ შემაწუხებს, აქ სუყველა მაწუხებს, თავიანთი ზარების რეკვით, ვაიმე დედა, გასკდა თავი! არა, მეტი აღარ შემიძლია, ზეცაში უნდა გავფრინდე. თქვენც გირჩევთ, უცხოელებო, დროზე წაზვიდეთ აქედან, თორემ თქვენც გეტკინებათ თავები. ვაიმე დედა! ვეუბნები ამ ჭკვიან ხალხს: — ხალხო, ყველა რომ თქვენთვის რეკავთ ამ ზარებს, ამას არ სჯობია, თქვენს საქმეს რომ მორჩებით და გააკეთებთ, მერე ყველამ ერთიანად ისე დარეკოთ და ააგუგუნოთ, რომ ამ ხმაზე კაცმა იცეკვოს და იმხიარულოს-მეთქი, მაგრამ გაგონილა? იცით, რას მეუბნებიან, გიჟი ხარო. ჰო მართლა გიჟი ვარ, არა? აბა, კარგად დამაკვირდით, ვაიმე დედა! თავი! არა მეტი აღარ შემიძლია, უნდა გავფრინდე, მაგრამ სანამ გავფრინდები, ახლოს მოიწით, კიდევ ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილოთ; იცით, ჩვენს მეფეს თავის საძილე ოთახში დატანებული ფანჯრები ამოუშენებია, თურმე ზარის ხმას ვერ იტანს. მაგრამ ამას თქვენ გეუბნებით, თქვენ კი ნურავის ეტყვით, სანამ მე არ გავფრინდები. ვაიმე დედა! თავი ძალიან მტკივა, მეტი აღარ შემიძლია, — კიდევ ერთხელ წამოიყვირა გიჟმა და ასე თავზეხელებშემოწყობილი გაეცალა იქაურობას.

— ჰა, რას იტყვით, სტუმრებო, გატყობთ, ძალიან დაგაინტერესათ ჩვენმა სულელმა, — თქვა სიცილით ვაჭარმა და ერთ დიდ საზამთროს წამოავლო ხელი, რომელიც ღვთისას გადმოაწოდა და მობოშიდებით უთხრა, — მაპატიეთ, სხვა ვერაფრით რომ ვერ გიმასპინძლდებით, სტუმრები ხართ და, მეტი გვ[illegible]თვნოდათო. ამაზე ღვთისამ დიდი მადლობა მოახსენა ყველას სახელით და ის იყო, წასვლა დააპირეს, რომ ანაზდად მაინც შეეკითხა:

— ეს საზამთრო რომ მოგვეცი, რატომ ზარი არ ჩამოჰკარიო?

— მე ხომ ამაში ფული არ გამომირთმევია თქვენთვის, ისე გაჩუქეთ, ჰოდა, ეს პირადი პატივისცემა არ ითვლება ჩვენში საქმედ, ეს საქმე და პატივისცემა ჩემთვის საზარალო იყო და იმიტომ არ ჩამოვკარი ზარს ხელი, — ნაღვლიანი ღიმილით თქვა ვაჭარმა.

— ეგ როგორ, — ჰკითხა ღვთისამ. — თუ ვინმე საქმეს აკეთებს, ისეთ საქმეს, თქვენ რომ გვეცით პატივი, განა ეს არ ღირს ზარის ერთ ჩამოკვრად? ესე იგი, თუ კაცი სხვას პატივს სცემ და საქმეს გაუკეთებ, თუნდაც ამისათვის პატარა ზარალი ნახო, მორჩა და გათავდა, ზარს ხელი არ უნდა ჩამოჰკრა და ხალხს უნდა დაუმალო ეს ამბავი?

— არა, მთლად ეგრეც არ არის, — უპასუხა ვაჭარმა. — არიან ისეთებიც, რომლებიც თავიანთი საქმიანობით, არათუ ზარალდებიან, პირიქით, ბევრ ფულს შოულობენ და მდიდრდებიან კიდეც, ეს ყოველივე საქმის კეთებაშიც ეთვლებათ და ზარებსაც არა რეკენ.

ამ სიტყვებზე არსაითამ გაკვირვებით ასწია წარბები.

— ჰო, ასეა, — თქვა ვაჭარმა. — ამ ბაზრის იქითა გასასვლელში ერთი კაცი ზის. რაც ის ფულს აკეთებს, ნურავინ დაიკვეხოს, მეფის ხაზინაშიც არ იქნება იმდენი და იმის ხელებს ჯერ ზარი არა სჭერიათ. ისიც თქვენსავით უცხოელია. უფრო სწორად, იყო, იმიტომ, რომ დიდი ხანია უკვე აქა ცხოვრობს. ის რომ აქ ჩამოვიდა, ხმა დაირხა, ფულისმკეთებელხელებიანი კაცი ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდაო. ვისაც ის ხელს ჩამოართმევს და იმისი ხელი ხელში ეკავება. იმ სხვასაც გაუხდება ფულისმკეთებელი ხელიო. ის დღეა და, იმას ხალხი არ გამოლევია. ნეტავი განახათ, რამხელა რიგი უდგას, ვილა არ ნატრობს იმისი ხელის ხელზე შეხებას. იმას რა ენაღვლება, ყველას ფულს ართმევს ამაში. ვისი ხელიც უფრო დიდხანს უჭირავს, იმის მიხედვით უფრო მეტ ფულს ართმევს, უფრო ზუსტად, ერთი საათი, ათი ოქრო ღირს და ვისაც რამდენი ოქრო აქვს, იმის მიხედვით, იმდენ ხანს უჭირავს იმისი ხელი. თანაც უტიფრად აცხადებს ხალხში, მე არ მეკუთვნის ზარის ჩამოკვრა, რადგანაც ჩემი ხელის ძალა სხვისაში გადამაქვს, სხვას ვუნაწილებ, ამით ვზარალდები, და, დაზარალებულს, რაღა მეზარებაო.

გაოგნებულები უსმენდნენ ვაჭარს ჩვენი მოგზაურები. ბოლოს მადლობა გადაუხადეს ყველაფრისათვის და, ის იყო, კიდევ ერთხელ უნდა დამშვიდობებოდნენ, რომ მღვდელმა კიდევ ერთი შეკითხვა მისცა ვაჭარს:

— მერედა, ხალხი ვერ ამჩნევს, რომ ამ თავიანთი გადაგდებული ფულით იმ კაცს ამდიდრებენ?

— ვერ გეტყვით, რას ფიქრობს ეს ხალხი. მაგრამ ის კი ვიცი, რომ ზოგი თავის უკანასკნელ კაპიკსა სდებს და შიმშილით სულს იძრობს. ის კაცი ჭკუით ატყუებს ხალხს, თვითონ კი იმ მოტყუებით აურაცხელი ქონება უგროვდება და ფულისმკეთებელხელებიანი კაცის სახელი აქვს. მაგრამ რა ვიცი, ამ ხალხს რას შეასმენ, როცა ვერა გრძნობენ, იმ ფულისმკეთებელ ხელში ვის ხელიდან ჩადის ფული.

საბოლოოდ გამოემშვიდობნენ ჩვენი მოგზაურები ამ ვაჭარს და გაემართნენ ბაზრის გასასვლელისაკენ, საითაც გვერდით კედელში გაგრძელებულ ცხვირს ხვრელი გაეკეთებინა და გარეთ გასულიყო. გასასვლელში ჯგუფად შეყრილ ხალხისკენ არც კი გაუხედავთ, ისევე დაადგნენ დაგრძელებული ცხვირის მიერ ნაჩვენებ გზას.



## სადაც მოგითხრობთ, თუ რა გადახდათ ჩვენს მოგზაურებს მოხუცთა ქვეყანაში

დიდი ხანია მიემართებოდნენ ცხვირს აღევნებული ჩვენი მოგზაურები. ქანცგაწყვეტილებს, მეტყველების უნარიც წართმეოდათ. რა ხანია, თავიანთ ქვეყანას მოცილებულნი, მხოლოდ ერთსღა ფიქრობდნენ, ყოველივე ამას ბოლო მოღებოდა და დროზე დასრულებულიყო. მრავალი ზღვა და ხმელეთი გადაიარეს თავიანთ საბედისწერო ცხვირთან ერთად. სიამოვნებით მოსცილდებოდნენ ამ ბოროტების საზომს და მონახავდნენ თავიანთ გზას თავისუფლებისაკენ, მაგრამ, საუბედუროდ, სწორედ ამ ცხვირის გზა იყო მათთვის ძალზე საჭირო და კიდევ ერთი, რომ სწორედ ამ ცხვირის მეშვეობით ლახავდნენ ზღვის თუ ხმელეთის უკიდეგანო სივრცეებს. სწორედ მისი ცხვირის უგრძნობლობა იყო მათი გზამკვლევი. იგი ოდნავ გადუხრელად იჭრებოდა პირდაპირ და არ ეპუებოდა არც მთებსა და არც ღრანტეებს, არც ზღვებსა და არც უდაბნოებს. მრავალი ქვეყანა გადაიარეს ასე. მრავალ საოცრებასა და საკვირველებას აწყდებოდნენ გზად. მარტო ერთი ფანატიზმით შეპყრობილთა ქვეყანაში გადახდენილი სასწაულების მოყოლა რადა ღირს ან თუნდაც შავადმოსილთა ქვეყნისა, დაბადებიდან რომ გლოვობდნენ თავიანთ სიცოცხლეს იმ ქვეყნისანი. მრავალ ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანაში შედგეს ფეხი, მაგრამ მოხუცთა ქვეყნის ხილვამ ისე აალელვა ჩვენი მოგზაურები, რომ ცოდვაა ამ ამბავზე უთქმელობა და დუმილი.

— არა, მეტი აღარ შემიძლია, მირჩევნია, აქ მოვკვდე, ვდირე წინ ვიარო, — დაიჩივლა მღვდელმა და, ღონემიხდილი მიწაზე ჩაიკეცა. ღვთისამ და არსაითამ, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენოდათ ძალ-ღონე, წამოაყენეს მღვდელი და ასე ხელიხელგაყრილებმა წაიყოლიეს გზად. მეორე დღე ბედნიერი გამოდგა მათთვის და სიხარულის ყიჟინა, ისევ მღვდელს აღმოხდა პირიდან. ეს არც მირაჟი იყო და არც სიზმარი, ისინი ხედავდნენ ყოველივე ცოცხალსა და ნამდვილს. ნამდვილ შენობებს, ნამდვილ ეკლესიასა და ნამდვილ ხეებს. ერთი სიტყვით, რომელიღაც ქალაქში მოხვდნენ, სადაც მათ სიცოცხლე და ენერგია კვლავ დაუბრუნდებოდათ.

როცა ერთ იქაურ დუქანში სული მოითქვეს და თვალში სინათლე ჩაიყენეს, ის იყო იქიდან გამოსვლას აპირებდნენ, რომ ჯგუფად მიმავალი ხალხი, სულ ახალგაზრდობა, დაინახეს. მხოლოდ ერთი მოხუცი თეთრწვერა ბერიკაცი ჩაეყენებინათ შუაში და მუჯლუგუნის კვრით აიძულებდნენ მათთან ერთად გადაედგა ნაბიჯი. საწყალ მოხუცს, ქაღალდივით გათეთრებულს, სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა სახეზე.

— რა არის, ეს რა ხდება? — ჰკითხა ამ ამბით გაოცებულმა ღვთისამ იქვე მდგომ მედუქნეს. — რა დაუშავებია იმ მოხუცს ასეთი, რომ ახალგაზრდები არ ინდობენ და ცემით მიათრევენ...

— ეჰ, რა გითხრა იცი, შვილო, — ამოიოხრა მედუქნემ, — გეტყობათ უცხოელები ხართ და არ იცნობთ, ჩვენებურ წესებს. აქ ვინც გინდა იყოს, როგორც კი სამოცი წელი შეუსრულდება, მაშინვე კლავენ. მოხუცის შენახვა, ყველაფრით ძვირი ჯდებაო, ასე ანგარიშობენ ახლანდელები. ეჰ, შვილს ვზრდიდე და ვიცოდე, რომ იმის ხელით უნდა მოვკვდე, სისულელეა ყველაფერი, — ხელი ჩაიქნია მედუქნემ.

— მერე, მერე, ძვირი ჯდებაო, როგორ ამბობენ ახალგაზრდები? — შეაწყვეტინა მღვდელმა.

— როგორ ამბობენ და, ეგრე ამბობენ, კარგა ხანიაა ეს კანონი არსებობს ჩვენში. კაცი, რომელიც სამოცი წლისა ხდება, უნდა მოკვდეს, იმის იქით მის სიცოცხლეს აზრი აღარა აქვსო, აი ასე ამბობენ. დრო იყო ასე ვამბობდი მეც ჩემს მშობლებზე და ჩემი შვილებისაგანაც ამასვე ველი ათი წლის მერე.

— რატომ, ვითომ, სამოცი წლის მერე რატომ არ უნდა იცოცხლოს კაცმა? რას აშავებს ასეთს, რომ ასე იმეტებს მას ახალგაზრდობა?

— რატომ და, სამოცი წლის მერე, კაცი კაცად აღარ ვარგა. ჭამის მეტი, სხვა არაფრის კეთება აღარ შეუძლია. აღარც ახალს მოიგონებს რამეს და აღარც შექმნის. აი, ამიტომ, გენაცვალე...

— თქვენ მაგას ამბობთ, ამ ხნის კაცი! — აღშფოთდა ღვთისა. — როცა კაცს სიცოცხლე უტკბება, მაშინ გიხოციათ ერთმანეთი და ეგ არის, — აღარ დალოდებია მედუქნის პასუხს და გავიდა, მიჰყვა ახალგაზრდების ბრბოს. ოთხივენი გაჰყვნენ პროცესიას ერთ მოედნამდე, რომლის შუაგულშიც საზრჩობელა აღემართათ.

განწირული მოხუცი, რომელსაც სულ მალე სასიკვდილოდ გაიმეტებდნენ, ამჟამად მხნედ გამოიყურებოდა და ცივი ღიმილით კი გადაჰკრავდა სახეზე. მოხუცი სამოცდაათი წლისა აღმოჩნდა. ის იყო, მისი განაჩენი წაიკითხეს და საზრჩობელასკენ უბიძგეს, რომ ღვთისა ხალხის წინ წასრდგა სიტყვიერი თხოვნით. გვერდით მღვდელი ედგა. არსაითა ხალხს შერეოდა, მხოლოდ ჯალათს ვერ ჰკიდეს თვალი:

— ხალხნო! მაპატიეთ, როგორც უცხოელს, სხვა კუთხიდან, ჩემი სითამამე და სიკვდილის წინ ამ მოხუცთან მხოლოდ ერთი სიტყვა მათქმევინეთ.

ხალხმა ნება დართო.

მაშინ ღვთისა მიუბრუნდა მოხუცსა და ჰკითხა: — მითხარი, პაპაჩემო, როგორც ახლა გავიგეთ, შენ სამოცდაათი წლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილხარ და სხვებზე მეტი გიცოცხლია, ანდა როგორ მოახერხე, რომ სამოცი წლის მერე ასე შეუმჩნეველი დარჩი ხალხს?

— ეჰ, შვილო, რა ვთქვა, რა გითხრა, — ამოიოხრა მოხუცმა. — სული ტკბილია! აქამდე თუ მიცოცხლია, მხოლოდ იმიტომ, რომ სამოცი წლიდან სულ ვიმალებოდი ჩემს ძველ სადრაფში, რომლის არსებობაც არამცთუ სხვამ, ჩემმა შვილებმაც კი არ იცოდნენ. მათ ამ არემარედან გადაკარგული ვეგონე. სანამ სამოცის გავხდებოდი, მანამდე დავიკარგე თვალსა და ხელს შუა. თავი ხილით გამქონდა, ისიც, ღამით გამოვდიოდი და მაშინ ვშოულობდი ხოლმე ბაზარში მონარჩენებს, ახლა კი, რომ დავუძლურდი და სარდაფიდან ველარ გავდიოდი, კვნესა ამტეხოდა თურმე. მაშინ გაეგოთ ჩემი ხმა, მომნახეს ჩემმა შვილებმა და აი სად მომიყვანეს.

— განა ამნაირად, ძაღლურად და უპატრონოდ სიცოცხლეს, სიკვდილი არა სჯობდა? — დამწუხრდა ღვთისა.

— სჯობდა, შვილო, როგორ არა სჯობდა, — წამოიძახა მოხუცმა, — მაგრამ რა მექნა, სული ძალიან ტკბილი ყოფილა. შენც მოგყაროს ღმერთმა სამოცისა და ნახავ, თუ გული შეგეცვალოს. ბავშვობიდან, ყრმობიდან მოგვდგამს, შვილო, სიცოცხლის სიყვარული, თორემ მე რომ ორმოცი-ორმოცდაათი წლის კაცის გრძნობით გავჩენილიყავი ამქვეყნად, მაშინ ხომ ჩემივე ხელით მოვიკლავდი თავს.

სამწუხარო ამბავი იყო, კაცს გუნებას მოუშხამავდა, ისეთი. ღვთისა ჩაფიქრებული იდგა რამდენიმე ხანს. თვალები სივრცისათვის გაეშტერებინა. გრძნობდა, რომ აქ ყოფნა შეუძლებელი იქნებოდა. მოგზაურები უხმოდ დაადგნენ გზას.

წამოსვლიდან კიდევ დიდხანს უწიოდა ღვთისას მხუცის სიტყვები ყურში: „მე რომ ორმოცი-ორმოცდაათი წლის კაცის გრძნობით გავჩენილიყავი ამქვეყნად, მაშინ ხომ ჩემივე ხელით მოვიკლავდი თავს“.



## სადაც მოგითხრობთ, თუ რა გადახდათ ჩვენს მოგზაურებს მხატვართა ქვეყანაში

დიდი ხანია ჩვენი მოგზაურები მიჰყვებოდნენ თავიანთ მეგზურს, „გრძელ ცხვირს“. ერთი რწმენა, იმედს ულვივებდათ, რომ ეს ცხვირი, ისევ თავიანთ ქვეყანაში მიიყვანდათ.

რამდენი უდაბნო, ზღვა და მთა-ბარი გადაიარეს, ვერც კი იტყოდნენ. ბოლო ხანებში ერთ რამეს მიაქციეს ყურადღება. ცხვირი კარგა ხანია ღამით იწყებდა დაგრძელებას და არა დღისით, როგორც აქამდე ხდებოდა ხოლმე.

— რით უნდა ავხსნათ, ღვთისავ, ეს ამბავი, რატომ ხდება, რომ ეს ცხვირი ეხლა სულ ღამით მოძრაობს და არა დღისით, როგორც ადრე ხდებოდა ხოლმე? — ჰკითხა ერთ დილით არსაითამ, როცა, ის იყო გასამგზავრებლად ემზადებოდნენ.

— ეს იმით უნდა აიხსნას, ძვირფასო, რომ ჩვენთან როცა ღამეა, იქ, ჩვენს ქვეყანაში ამ დროს დღე არის. ეტყობა, დედამიწის ნახევარი და მეტიც კი გაიარეთ. განა ცოტა ხანია, რაც ამ წყეულ ცხვირს მოვდევთ? ვინ იცის, მერამდენე წელია უკვე. ჰოდა, შენ უფრო კარგად მოგეხსენება, რომ მეფე ღამით იძინებს ხოლმე და დღისით სჩადის იმას, რამაც ასეთ დღეში ჩაგვაგდო. იმიტომ არის, რომ ეს ცხვირი აქ, ჩვენთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამით მოძრაობს და არა დღისით, როგორც ადრე, გაიგე ახლა? — უთხრა ღვთისამ.

— ვაჟიცეთ, როგორ არა, ამოიოხრა მღვდელმა, რომელიც ამ ხანგრძლივ მგზავრობას ძალზე მოეტეხა.

ამ საუბრიდან რამდენიმე ხნის მერე, დაღლილ-გასავათებულებმა, შორს, ერთი სამრეკლო და მწვანედ ატყორცნილი მაღალი ხეები შენიშნეს. ამის დანახვა ბედის წყალობით მიიღეს, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბეს და ლასლასით მიაღწიეს დასახლებას.

— „მხატვართა ქვეყანა“, — ამოიკითხეს მათ ქალაქის შესასვლელში.

საოცარნი იყვნენ ამ ქალაქის მცხოვრებნი და უცნაური იყო მათი ქცევა და მოქმედება. ყველას ქაღალდი ეჭირა ხელში და სადაც მოუხდებოდათ, იქ იწყებდნენ ხატვას. ჩვენმა მოგზაურებმა გადაწყვიტეს, რამდენიმე დღით ამ ქალაქში დარჩენილიყვნენ.

— რაც უფრო მეტად შევყოვნდებით, უკეთესი იქნება, ჩვენი ცხვარი თავის პატრონს თავგაპობილს დაგვახვედრებს, — საცილით შენიშნა თავ-ფეხებამ.

— ეშმაკსაც გაჰყოლია ეს ცხვარი, საითაც უნდა, იქით წასულა. მე კი აქ ვაპირებ ცოტა ხნით დარჩენას. წყნარი ადგილი ჩანს, — გადაწყვიტა მღვდელმა.

— ერთ კარგ დუქანში წახემსება არ გვაწყენდა, — განაცხადა არსაითამ. — გვეყო, რაც ამ ცხვრის დევნაში ვიმარხულეთ, ახლა მაინც მოვილხინეროდეთ, რა ვიცი, შემდეგში კიდევ რა მოგველის.

ამ ლაპარაკში, დაბურულ ხეივნებს შორის, სადაც ჩიტები გალობდნენ და გრძელი სკამები იდგა, შენიშნეს ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ლასლასით უახლოვდებოდა მათ. ხელში ფანქარი და ქაღალდი ეჭირა. მელოცნებე ლურჯი თვალები ზემოთ, ხეებზე მოჟღურტულე ჩიტებისათვის მიეპყრო და ასე წყნარად მაყალი უსმენდა მათ გალობას.

— გამარჯობა, მეგობარო, — მიესალმა ღვთისა, როგორც კი იმდენად დაუახლოვდნენ, რომ კარგად შეეთვალიერებინათ. ამ სიტყვებმა თითქოს შეაკრთო ახალგაზრდა კაცი, მაგრამ მაინც დროზე დაუბრუნა პასუხი.

— გაგიმარჯოთ! — ისე წარმოთქვა ეს სიტყვა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნისო.

— გეტყობათ, ფიქრით იყავით გართული და ჩვენ ვერც კი შეგვამჩნიეთ, — გამოელაპარაკა თავ-ფეხება.

— ჰო! კი! დიახ! შეიძლება მართლაც ასე იყო, — თქვა დაბნეულად მხატვარმა და სახეზე სიმორცხვე გამოეხატა. — იცით, რა არის, ახლა შევყურებდი ამ ლამაზ ხეებს და ვფიქრობდი, ვინ იცის, რა ხნისაა თითოეული მათგანი-მეთქი. ამ ხეების კენწეროებში შემალული ჩიტების ჟივჟივი და გალობა კი როგორ აცოცხლებს და ახალგაზრდავებს ირგვლივ ყველაფერს. მინდოდა ეს ყველაფერი ზუსტად გადამეტანა ქაღალდზე. მსურდა ამ უძველესი ხეების წარსული და დღევანდელობა, ჩიტების გალობა და ჟივილი ერთმანეთთან დამეკავშირებინა, მაგრამ ეჰ, — ამოიოხრა მან. — მაინც არ გამოვიდა ისე, როგორც საჭირო იყო. აი, თვითონ შეხედეთ და ამაში დარწმუნდებით.

ჩვენი მოგზაურები ყურადღებით დააცქერდნენ ნახატს და იმის მაგივრად, რომ მხატვრის შენიშვნა მიელოთ, ძლიერ მოეწონათ.

— არა, შვილო, არ ამბობ მართალს. აქ ყველაფერი მშვენივრადა გაქვს გადმოცემული, — შენიშნა მღვდელმა. — რატომ ხარ უკმაყოფილო. შენ რომ ჩვენს ქვეყანაში გეცხოვრა, ალბათ, პირველი მხატვარი იქნებოდი.

— პირველი მხატვარი? — დაცინვა გამოკრთა მხატვრის ხმაში. — პირველი კი არა და, ლუკმაპურის ფული არა მაქვს, რომ შიმშილი მოვიკლა. აბა, სახეზე შემომხედეთ! ვერ მატყობთ, რა გამხდარი და ფერწასული ვარ? რას იზამთ, შიმშილის ბრალია ყველაფერი.

— მერედა, რა გაქვს საშიმშილო ასეთი ხელის პატრონს, — არ იშობდა სიტყვას მღვდელი. — სხვისა არ ვიცი, მაგრამ არა მგონია, ბევრი გჯობდეს ამ საქმეში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შეიძლება, მართალიც იყოთ,—მიუგო მხატვარმა, — მაგრამ ჯობნა სხვაა. ჩვენში ეგ არ არის მთავარი, უბრალოდ სხვების ნახატები უფრო მოსწონთ, ვიდრე ჩემი. ტყუილად ვწვალობ და ვფიქრობ ჩემთვის, არ ვიყავი ამ დროში გასაჩენი და ეგ არის, — მწარედ ამოიოხრა ახალგაზრდამ. იცით იმათი, იმ სხვებისა, რა მოსწონთ? ახალი გზა და ახალი მიმართულება, შენ რომ ხეებსა და ჩიტებს ხატავ, ასეთი ბევრი დახატულა და უკვე საინტერესო აღარ არისო. აი, ამას მეუბნებიან, მაგრამ მე მათ ვერ გამიგეს, — ცეცხლი გამოკრთა მხატვრის თვალებში. — დიახ, ვერ გამიგეს იმათ. ვერ გამიგეს ის, რომ ადრე ხეებს ხატავდნენ როგორც ხეებს, ჩიტებსაც როგორც ჩიტებს, მეტი არაფერი, მაგრამ მათ შორის ისაა საერთო, რომ ამ უძველეს ხეებს დღევანდელი ჩიტების ჟღურტული და გალობა აცოცხლებს და ახალისებს, ეგ აღარავის აინტერესებს, ან უბრალოდ, არ უნდათ რომ გაიგონ.

მაინც, რა მოსწონთ სხვების ასეთი? — ჰკითხა არსაითამ, — განა რას ქმნიან ისეთს, ახალს, რაც აქამდის არ ნახულა?

— ალბათ, ქმნიან, არ ვიცი, რა გიპასუხოთ, — ღელავდა მხატვარი. — თუმცა, იცით რა, აი, აქ საქაღალდეში მაქვს ჩემი ყოფილი მეგობრის ერთი ნახატი, უფრო სწორად, მეფის ოჯახი ჰყავს დახატული. თემით, სტილითა და მიმართულებით სრულიად ახალი და განსხვავებულია, როგორც ისინი თვლიან. ხოლო ის, რაც მე აქა მაქვს შენახული, იმ ნახატიდან გადაღებული პირია. მრავლად გავრცელდა ქალაქში, თითქმის ყველა ოჯახში ჰკიდია, ყველა ცდილობს, მიბაძოს ამ სტილს და როგორმე მოიხვეჭოს სახელი, როგორც დღევანდელობის დიდი მხატვრისა. მე თუ თან ვატარებ ამ სურათს, მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველ დახედვაზე ჩემი ყოფილი მეგობარი მოვიგონო ხოლმე. ყოფილს რომ ვამბობ, არ გეუცნაუროთ, სანამ ამ სურათს დახატავდა, მანამ ვმეგობრობდით. ახლა, როცა ამ სურათმა მეფის კარზე სახელი და დიდება მოუტანა, მე სრულებით დამივიწყა.

— გვაჩვენეთ ერთი, ისეთი რა არის, მთელი თქვენი ქვეყანა რომ დღეს მაგით ცხოვრობს, — სთხოვა ღვთისამ.

— გაჩვენებთ, რატომაც არა, — უთხრა მხატვარმა. — ჯერ ხომ მეფე არ გამოცვლილა, რომ ნახვა აიკრძალოს. აი, ბატონებო, დახედეთ და დატკბით მეფის ოჯახის სურათით.

ამ სიტყვებზე მხატვარმა მათ წინ ნახატი გაშალა, სადაც მხოლოდ სამი სწორი ხაზი იყო გამოსახული.



ეჰე, ეს რა ოხრობაა, — დაიფრუტუნა თავ-ფეხებამ, რომელიც სიცილს ძლივს იკავებდა. — ალბათ, შეგეშალათ და სხვა რაღაც გვაჩვენეთ, მხატვარო.

— არა, არ შემშლია, ეს არის რაზედაც გელაპარაკებოდით, — უთხრა მხატვარმა.

— ეგ, კარგი, მჯერა, მაგრამ ეს სწორი ჯოხები რა არის? თუ ზოგიერთი სწორი არც არის. რა ვიცი, ვერაფერი გავიგე, სურათია თუ რაღაც ოხრობა, — ბურტყუნებდა თავისთვის მღვდელი.

— სურათია, მხოლოდ კარგად დააკვირდით. ახლავე აგიხსნით, რასაც ნიშნავს ეს ჯოხები. ამის დამხატავმა ასე გადაწყვიტა მეფის ოჯახის წევრების გამოსახვა — და მხატვარმა დაიწყო ამ ჯოხების მნიშვნელობის ახსნა:

შუაში, ყველაზე გრძელი ხაზი, მეფეა ჩვენი. მაგ ხაზის მარცხნივ, მაპატიეთ და, მეფისგან მარცხნივ, ოდნავ მოკლე ხაზი — დედოფალი, ხოლო მეფისგან ანუ გრძელი ხაზისგან მარჯვნივ, — უფლისწულია, მომავალი მემკვიდრე ტახტისა. თუ აკვირდებით, ხაზი შუიდან წყვეტილით გრძელდება, როგორც მომავალი და პერსპექტიული პიროვნება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ მეფე. აი, ეს არის სულ ამ სურათის მთელი ღირსება, ახლებური და განსხვავებული, — დაამთავრა ახსნა მხატვარმა და ნახატი ისევ საგულდაგულოდ შეინახა.

— მაინც, ვერაფერი გავიგე, — ამოიხვნეშა მღვდელმა. — ახალი? რა არის ეს ახალი, ვერაფერი გავიგე.

— რა ქნას ამან, ამ მხატვარმა, რა მისი ბრალია. ასე ყოფილა აქ ცხოვრება მოწყობილი და ეგ არის. არა უშავს, ყველაფერი ხდება ხოლმე. მაგრამ ახლა ისე სჯობია, სადმე დავნაყრდეთ ხეირიანად, — თქვა არსაითამ.

— აბა, ყმაწვილო, შენ აქაური ხარ და გეცოდინება ისეთი ადგილი, სადაც შეიძლება კაცმა კუჭი გამოიძღოს, — უთხა მღვდელმა.

— ვიცი, როგორ არა, — მიუგო მხატვარმა. — აქვე ახლოს არის მშიერთა უბანი, სადაც შეიძლება კაცი კარგად დანაყრდეს. მშიერთა უბანი ჩვენ დავარქვით, ჩემნაირმა მშიერმა მხატვრებმა, რადგან იმ დუქანში ხშირად ნისიად გვაჭმევენ ხოლმე.

— ჰოდა, წავიდეთ იქ, — უთხრა არსაითამ. — ნუ გედარდება, დღეს ნისიად აღარ მოგიხდება ჭამა-სმა. სამაგისოდ საკმარისი ოქრო გვაქვს. შენისთანა კეთილ კაცთან ყოფნასა და ლუკმის გატეხას არაფერი სჯობს.

ცოტა ხანში ჩვენი მგზავრები, მხატვართან ერთად, უხვად გაწყობილ სუფრას მიუსხდნენ. მოხარშულ ცხვრის ხორცს ნება-ნება აყოლებდნენ მედუქნისაგან საგანგებოდ გადანახულ ძველისძველ მაგარ ღვინოს. ცოტა სული რომ მოითქვეს და ლაპარაკის ხასიათზე დადგნენ, ლვთისა მხატვარს შეეკითხა:

— მეგობარო! ვხედავ, ტანთ შავები გაცვია. თუ ნებას მომცემ, გკითხავ, მიზეზს შავების ტარებისა. ალბათ, ოჯახის ახლობელი დაგეღუპა? თუ ასეა, მაშინ მისი შესანდობარი დავლიოთ!

— არა! არა! — წამოიძახა ჩაფიქრებით მხატვარმა, ახლობელი და ნათესავი არა ყოფილა, მაგრამ არც ნაკლებია, მეგობარი იყო. საწყალს, ერთი უცნაური ამბავი გადახდა თავს. ბოლოს კი მისი სიკვდილით დასრულდა ყველაფერი.

—მაინც, რა მოუხდა ასეთი? — ჩაეკითხა მღვდელი.

— გიამბობთ, ის მეგობარი, ისიც მხატვარი, ჩემთვის ძალიან კეთილი და ახლობელი იყო. მის მეზობლად ერთი მემავი ქალი ცხოვრობდა, რომლის მთელი ოცნება და ფიქრი მხოლოდ ის იყო, თუ სად და როგორ ეტარებინა დრო, რითი ესიამოვნა და რითი ეხალისა. დღეს თუ ერთთან იყო, ხვალ სხვასთან ატარებდა დროს. და აი, ამ ქალს შემდგომში რაღაცნაირად დასჩემდა შიში იმისა, ნეტავი, რამდენი ხნის სიცოცხლე დამრჩა კიდევო. ნეტავი, თუ ვიცოცხლებთ იმდენ ხანს, რომ რაც ჩემს გულს სწადია, ყველა ის სურვილი ავისრულოო. ამაზე ფიქრს იმდენ ხანს უწვალებია და გონებაში ისე ჩასჭედია, რომ მთელი ღამეები უძილოდ უტარებია. ერთხელაც, ამაზე ფიქრში ჩაძინებულს, ერთი ღრმად მოხუცი ქალი გამოსცხადებია. იმ ქალს უთქვამს, რას იტანჯავ თავს ამაზე ფიქრით, რაში გაინტერესებს, თუ რამდენი ხნის სიცოცხლე დაგრჩენიაო. რაც აქამდე გიარსებია ან ამ სიცოცხლეს რა აზრი ჰქონდაო. თუ მაინც ძალიან გაინტერესებს, იმას გეტყვი, რომ გაიღვიძებ თუ არა, გვერდში ჩვილი ყრმა დაგიხვდება დაწვენილი იცოცხლე და დაიხსომე, იმდენ ხანს იცოცხლებ, რამდენსაც პატარა ბავშვიო. გამოღვიძებია იმ ბედუკუღმართ ქალს, შეშინებულს დაუხედავს გვერდზე და ანგელოზივით ბავშვი უნახავს მწოლიარე. აი, განგებამ რა მყოო, უთქვამს თავისთვის, ეს ყოფილა ჩემი სიცოცხლის საზომიო და დაუწყია ამ ბავშვის მოვლა და აღზრდა. უფიქრია, თუ მოვუვლი და ჯანმრთელად ვამყოფებ, ესეც დიდხანს იცოცხლებს და მეც დიდხანს და ტკბილად გავატარებ დროსაო. მაგრამ სინამდვილეში საქმე სულ სხვანაირად დატრიალებულა. ამ ბავშვის გაზრდაში სულ დავიწყებია თავის თავზე ფიქრი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიამოვნებანი. რაც ადამიანური გრძნობა ჰქონია დარჩენილი, სულ ამ ბავშვის სიყვარულზე გადაუტანია. თურმე ისე დაჰკანკალებდა ზედ, რომ მხოლოდ იმას ფიქრობდა, ეს იყოს ბედნიერი და ჩემი თავი იხრად დარჩენილაო. ასე გაგრძელდა მათი ყოფა, მანამ ბავშვი არ წამოიზარდა და გარეთ, ტოლ-ამხანაგებში თამაში დაიწყო.

ერთ ნავსიან დღესაც, ამ უბედური ქალის ოჯახშიც შეუხედავს სიკვდილის მოციქულს. ბიჭი გარეთ ყოფილა სათამაშოდ გასული და, სხვებთან ერთად მდინარეში ჩასულა საბანაოდ. აჩქარებულ მდინარეს ბიჭი გაუტაცნია და დაუხრჩვია. ეს ამბავი რომ ამ უბედურ ქალს გაუგია. მწუხარება ველარ აუტანია და ბიჭის დარდს გადაჰყოლია. საწყალს, იმ სიზმარში მოსმენილი სიტყვები ზუსტად ახდენია.

— ჰოდა, რაზე გითხარით ეს ყველაფერი, — განაგრძობდა მხატვარი. — ჩემს კეთილ მეგობარს, რომელსაც ადრე დასანახავად ეზარებოდა ეს ქალი, მისმა ჩადენილმა საქციელმა ფუნჯი აღებინა და ის ქალი დაახატვინა იმ თავის პატარა ბავშვთან ერთად. მერე მისდგა ხალხი მას და ამ სურათის გამო ლანძღეს და აგინეს, როგორ გაბედე მეძავის დახატვაო. ჩემი მეგობარი კი ამტკიცებდა: ხალხნო, ის ქალი ადრე იყო მეძავი, ბოლოს კი, მასში გაღვიძებული დედობრივი გრძნობა დავინახე და ის დავხატე, ის გადმოვეცი ჩემს სურათშიო. მაგრამ ხალხს გაგონებაც კი არ სურდა ამისა და ბოლოს ისე გაუხადეს საქმე საწყალ კაცს, რომ თავი მოაკვლევინეს. აი, ასე დამეკარგა ერთგული და საყვარელი მეგობარი, — დაასრულა ამბავი მხატვარმა. რამდენიმე ხანს ყველანი მდუმარედ ისხდნენ.

— აუჰ! საცოდავი, — წამოიძახა ბოლოს მღვდელმა, — გაგონილა ასეთი რამ. არ ვამტყუნებ იმ ბიჭს, არა, რა არის იმაში ცუდი, რომ დაუხატავს ის ქალი, ხომ სულგაწმენდილი დაუხატავს უმანკო ბავშვთან ერთად. არა, ეს უსამართლობაა, რის გულისათვის, რატომ? ან მხატვარი არაფერშაც არ ყოფილა დამნაშავე. ეჰ, მე იმ ბიჭის, ქალისა და ბავშვის შესანდობარს დავლევ და სხვისა კი არ ვიცი, — ამ სიტყვებზე წამოდგა მღვდელი და მაგიდის ყველა წევრიც უხმოდ აჰყვა, სიტყვა არავის დაუძრავს, ისე გამოცალეს სასმისები. დუქნიდან გამოსვლისთანავე დაადგეს იმ მხარე, სადაც რამდენიმე ხანს აპირებდნენ დარჩენა-დასვენებას.

## სადაც მოგვითხრობთ, თუ რა გადახდათ ჩვენს მოგზაურებს სამართალდაკარგულთა ქვეყანაში

ხუთი წლის, თუ მეტი არა, მოგზაურობას თავისი დაღი დაესვა ყოველი მათგანისათვის. მღვდელი ისე მოეტეხა ამ შორეულ მგზავრობას, რომ საეჭვოც კი იყო მისი სიცოცხლე. არსაათა, ეს ბუმბერაზი, ოდესღაც დიდი ძალღონის პატრონი, მხრებში მოხრილიყო და თვალებში სევდა ჩასდგომოდა. ყოფილ ჯალათს, თავ-ფეხებას ის ცბიერი თუ ეშმაკური სახე, პატარა, ჭირვეული ბავშვის სახეს დამსგავსებოდა, შაქარს რომ მიაწვდი და მაშინვე შუბლს გაგიხსნის. ახლა მისი ქცევა ბედს შერჩეული, კეთილ შემისმჭრელისა იყო. ოღონდ კი ღვთისას ეთხოვნა რამე და იმწამსვე მზად იქნებოდა ყოველგვარი საქმისათვის. ამ დროისათვის ღვთისას ჭაბუკურ სახეს ვაჟკაცობისა და მამაცობის იერი დასდებოდა.

— ეს რომელიღაა, ვის ქვეყანას მივადექით, ჩვენსას არა ჰგავს, — წამოიძახა მღვდელმა და იქვე გზის ნაპირზე ფართო ხის ძირას ჩამოჯდა.

— აი, მივალთ და გავიგებთ კიდეც, ვისია და ვის ეკუთვნის. ჩვენი ქვეყნისა კი ნამდვილად არა სცხია რა, — უპასუხა ღვთისამ და იმანაც მღვდელს მიჰბაძა, ხის ჩრდილს შეეფარა.

საღამოს ნიავმა ააგრილა ველ-მინდვრები, როდესაც ჩვენი მგზავრები შევიდნენ და ამ დიდსა და საკმაოდ ულამაზო ქვეყანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ლაემართათ ასეთი რამ, რაც აქამდე არც ერთ ქვეყანაში შესვლისას არ შემთხვევიათ, თითქოსდა იცოდნენ მათი მოგზაურობის ამბავიო, რამდენიმე ცხენოსანი ჭენებით მიუახლოვდა მათ და პირდაპირ განუცხადეს, ახლავე მეფესთან გამოცხადდითო.

— მაინც, რა სურს მეფეს ჩვენგან, ან საიდან შეიტყო ჩვენი აქ მოსვლის ამბავი? — საკმაოდ მკვახედ შეეპასუხა არსაითა ცხენოსნებს.

— მაგას იქ გაარკვევენ. ჩვენ მეტი დრო არა გვაქვს და გიბრძანებთ, ახლავე წარსდგეთ მეფესთან.

მეტი გზა არ იყო და ჩვენი დაღლილდაქანცული მოგზაურები სულ მალე წარსდგნენ მეფის წინაშე.

რაც მისვლისას უთხრეს, სულ მართალი ყოფილაყო. მის ქალივით მკივანა ხმაში ის უსუსური სიძულვილი გამოსჭვიოდა, რაც ადამიანს თვითონვე აწუხებს და სურს, რომ ყველა ასეთი იყოს. უშნოდ გაწვნიკულ სახეზე გაფშეკილი ულვაშები და ნიკაპზე ალაგ-ალაგ მიშვებული წვერი ბრიყვულ და ამავე დროს ეგოისტურ გამომეტყველებას აძლევდა.

— თქენ უცხოელები ხართ, არა? — თქვენ ისინი ხართ, ვინც ჩემი ქალაქი ჟაწრიალა რაღაც ეშმაკისეული მანქანით, ყველაფერი გახვრიტა და მილეწმოლეწა? — ეს იყო მისი პირველი სიტყვები მისალმების მაგიერ რომ შეაგება ჩვენს მოგზაურებს. დოინჯშემოყრილი ულვაშებს აცმაცუნებდა და პასუხის მოლოდინში მარცხენა მუხლი უკანკალებდა. ეტყობოდა, ასე სჩვეოდა.

ღვთისამ, მიუხედავად დაღლილობისა, არჩია დამშვიდებით გაეცა პასუხი.

— მოწყალეო ხელმწიფევ, — უპასუხა მან. — დამშვიდდით და გთხოვთ მოისმინოთ ჩვენი ამბავი, ჩვენ ხომ ისეთი არაფერი დაგვიშავებია, რომ თქვენი ასეთი რისხვა გამოგვეწვია.

— რისხვა, რისხვა!.. — შეაგება მეფემ, — რომელ რისხვაზე მელაპარაკები შე, შე, მურტალო შენა! შენთან რა საქმე უნდა მქონდეს, მე რომ განვრისხდე და ავფორიაქდე. შენ ვერც ჩემს ხასიათს გამოიცნობ და ვერც შემაცვლევინებ, შე, შე, ბინძურო, შენა!

მიხვდნენ ვისთანაც ჰქონდათ საქმე. მაგრამ იცოდნენ, ასეთთან შეპასუხება არ ღირდა და დუმილი ამჯობინეს. მხოლოდ მაშინ, როცა ღვთისას ასეთი სიტყვებით ლანძღავდა, არსაითამ ვერ მოითმინა და მეფისკენ გაიწია. ეს დროზე შენიშნა მღვდელმა, ხელზე ხელის მოჭერით აგრძნობინა, წყნარად იყავიო.

ამ ლაპარაკში, თითქოს მეფის თავზე ცა მოიწმინდა, ერთბაშად გარდაიქმნა და სხვა კილოზე განაგრძო საუბარი.

— ჰო, რაც იყო, იყო, მოვრჩეთ ამაზე. მეფე ვარ და მიყვარს განრისხება. ნეტავი იცოდეთ, ჩემი ხალხი როგორ მოვდრიკე წელში. — თქვა მან და სალოკი თითი მოკაკვა. — აი ასე, აი, შეხედეთ, ვარ მართლა მეფე თუ არა? — ეშმაკურად მოჭუტა თვალები.

ჩვენმა მგზავრებმა უხმოდ გადახედეს ერთმანეთს.

— მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს სტუმარი არ მიყვარდეს. თანაც, უცხო ქვეყნიდან მოსული, რაც გინდა იყოს, მე ხომ მეფე ვარ და, თანაც ქრისტიანი, არა გჯერათ, არა? — აბა ამას შეხედეთ და უეცრად ხელი გვირგვინზე წაივლო. — ამას ხედავთ? აბა, ახლა ეს ნახეთ და უბიდან ოქროს მძიმე ჯვარი ამოაძვრინა. ამის ძალას ვენაცვალე. ჩემთვის ესაა ყველაფერი. მორწმუნე ვარ და მწამს ყველაფერი აქაურიც და იქაურიც.

უეცრად გაჩუმდა, წამით მის წინ მდგარ მგზავრებს გადაავლო თვალი და ტაში შემოჰკრა. ტაშის ხმაზე დარბაზის კარი გაიღო და ოთხზე მხოხავი მსახური გამოჩნდა. იმის წყლიან თვალებში იმ ერთგულებას ამოიკითხავდით, ქუჩის ძაღლს რომ გამვლელი პურის ნატეხს გადაუგდებს.

— შენ ეი, გესმის! ყოველივე სწრაფად! — დასჭყივლა მეფემ და ჩვენმა მგზავრებმა კვლავ შეამჩნიეს მარცხენა მუხლის კანკალი.

დაბალ, მრგვალ მაგიდას ათასნაირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასმელ-საჭმელი ამშვენებდა, მაგრამ ჭამის ხალისი არც ერთს არა ჰქონდა. ყველას გონება მხოლოდ აქედან დროზე გაღწევის ფიქრს მოეცვა. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ზრდილობა სუფრასთან ბოლომდე ჯდომას მოითხოვდა.

მეფემ მისავე მოთხოვნით, სულ მალე შეიტყო მათი მოგზაურობის საქმე და მიზანი. შეიტყო ისიც, რომ ის „ეშმაკისეული მანქანა", როგორც მას მოახსენეს, სხვა არა იყო რა, ამათი მეფის დაგრძელებული ცხვირის გარდა. ყურადღებით მოისმინა, თავდაპირველად ვინ როგორი რწმენით მოჰყვებოდა ამ ცხვირს და ახლა უკვე ყველანი, ერთი სასიკეთო რწმენით გამსჭვალულნი, როგორ ესწრაფოდნენ ამ საქმის დასასრულს. მღვდელმა საუბარში აღნიშნა, მისმა ნანახმა სიზმარმა როგორ იმოქმედა ყოველ მათგანზე, მათ აზრსა და გონებაზე. როგორ იხილეს ამ შორ გზაზე, მრავალი ქვეყნის სხვადასხვა ხალხთა ყოფა-ცხოვრება. ნეტავი, ადრევე გამოგვეცადა ყოველივე ეს ჩვენს თავზე, — წაიდუდღუნა ჯალათმა და მწყრალად გადახედა არსაითას.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ, — შენიშნა უცებ მეფემ. — ამ თქვენმა ნათქვამმა ძალიან დამაფიქრა, აი, თითქმის ოცი წელია, მეფე ვარ და არა მგონია, ასეთი სასტიკი ვყოფილიყავი ჩემი ხალხისთვის, როგორც ის თქვენი მეფე ყოფილა. ვაიმე, მეც ხომ ტყუილს არ ვამბობ, — და უეცრად ცხვირზე იტაცა ხელი. შემდეგ თავისთვის ჩაიცინა და დაუმატა, — აი, ხომ გჯერათ, რომ მართალი ვარ და ცუდსა და ავს გულში არ გავივლებ. ისე კი, თქვენი მღვდლის მოყოლილმა სიზმარმა დამაფიქრა ძალიან. აქამდეც მჯეროდა იმ ქვეყნისა, მაგრამ თქვენმა ნათქვამმა ეს რწმენა უფრო განმიმტკიცა. არ გჯერათ, რომ ასეა? მე რა, ურწმუნო კი ნუ გგონივართ. თქვენ რა იცით ჩემი. ეს რწმენა მაკეთებინებს იმას, რომ ჩემს ყველა ხელქვეითს ცემით ლამის სულს ვხდი-ხოლმე. ახლა მეტყვით, რისთვის სცემო. მაგასაც მოგახსენებთ. ბავშვობიდან მასწავლეს და მჯერა კიდეც, რომ სიკვდილის მერე იმქვეყნად ყველა ღარიბი და უქონელი, ყველა მონა და მომთმენი, სამოთხეში ხვდება და ნეტარებით აგრძელებს ცხოვრებას. ხოლო ვინც ამქვეყნად ხორციელ ნეტარებაშია და არაფერს აკლებს სიამოვნებისათვის, იმქვეყნად ტანჯვასა და წამებაში აგრძელებს ცხოვრებასო. აი, ამიტომ არის, რომ ჩემს ყველა მონასა და მორჩილს, აქა ვხდი ცემით სულს და თითქოს ჩემს ჯიბრზე ითმენენ ყოველივეს. კაცი, რომ ყველა ესენი იმქვეყნად ჩემზე ბედნიერად და კეთილად გააგრძელებენ ცხოვრებას. რაც ამქვეყნად აკლიათ, ღმერთი იმქვეყნად მიაგებს. ჰოდა, რა ვქნა, სანამ მეფე ვარ მინდა, გული ამათი ცემით მაინც მოვიოხო. ცემით თორემ, მათ სიკვდილს ნამდვილად ვერ გავივლებ გულში. ეგ არაფერი, იმისი უფრო მეშინია, რომ იმქვეყნად საშინლად დამტანჯავენ ესენი. რა ვქნა, მონები არიან და ცხოვრებაში კარგი არაფერი უნახავთ. იქ კი ყველაფერი, სიკეთე და სიუხვე, თავგზას აუბნევს მათ და მაშინ ნახეთ ჩემი ტანჯვა მაგათ ხელში. ეჰ, ცემით აღარ ამოვხდიდი სულს მათ, პირიქით, კეთილად მოვექცეოდი, რომ ვიცოდე, არაფერს დამიშავებენ...

— აბა, რა გითხრათ ამ თქვენს ნათქვამზე, — უპასუხა ლვთისამ. — თქვენ ისეთი რამის გშინებიათ, რაც არც კი იცით, ნამდვილად ასეა თუ არა. დღეს ეგენი აქ თქვენი მონები არიან და, რასაც გინდათ, იმას უზამთ. ხოლო ის, რომ თითქოს ისინი იმქვეყნად თქვენზე ჯავრს იყრიან, არა მგონია, სწორი იყოს. არ ვიცი, რაღა გითხრათ ამაზე. ერთს კი გეტყვით, რომ სჯობია, მათ ამქვეყნად კეთილად მოექცეთ და მართალი იყოთ მათ წინაშე. თუ თქვენ აქ მართალი იქნებით და ისინი მაინც თქვენს ტანჯვას დაიწყებენ იმქვეყნად, როგორც ფიქრობთ, ღმერთი არ შეარჩენს იმათ ამ ამბავს. მაგრამ, რას გეტყვით იცით? საქმე ის არის, რომ თქვენ უკვე იმდენი ცოდვა გქონიათ ჩადენილი, რომ ეხლა, ასე თუ ისე, იმქვეყნად ამ თქვენი ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანჯი ხალხისაგან მაინც არ აგცდებათ ერთი კარგი გრძელი ჯოხი.

არავის შემოუკრავს ტაში მოსამსახურის დასაძახებლად, — სტუმრები გააცილეო. ისე დატოვეს მეფის დარბაზი ჩვენმა მოგზაურებმა, არც კი დამშვიდობებიან მეფეს.

სანამ ამ ქალაქს გასცილდებოდნენ, დიდი ციხე უნდა გაევლოთ.

— მოდით და ერთი აქაც შევიაროთ. უარს არ გვეტყვიან ნახვაზე, თქვა ჯალათმა, რომელიც დაინტერესებულიყო აქაური პატიმრების ბედით.

— არც მე ვარ წინააღმდეგი, — წამოიძახა ღვთისამ. — საინტერესოა, რისთვის და როგორ სჯიან აქ ხალხს.

როგორც უხცო მგზავრები და ამ ქალაქზე გამვლელნი, თავაზიანად მიიღეს და ციხის დათვალიერების ნება დართეს. გაოცდნენ ჩვენი მგზავრები, უმეტესწილად ხნიერი პატიმრები რომ იხილეს ციხის საკნებში გამომწყვდეულნი. კითხვის პასუხად, მათ ასე აუხსნეს: ახალგაზრდების დაჭერას, საერთოდ, ვერიდებით, ახალგაზრდა მაინც ახალგაზრდაა და ეპატიება დანაშაული, ხოლო როცა კაცი ასაკში შედის და ბრძენდება, მას კი უკვე აღარ ეპატიება ცუდი საქმის ჩადენაო.

— ეგ კარგი, მაგრამ თუ აქ ახალგაზრდებს ყოველგვარ დანაშაულს პატიობთ და თვალს ხუჭავთ, როც ის ასაკში შევა, მერე გვიანი არ იქნება იმისი ისე გამოსწორება, რომ ცუდი საქმე აღარ ჩაიდინოს? — იკითხა ღვთისამ.

— რას ვიზამთ, ბატონო, კანონი კანონია, — თქვა ციხის უფროსმა.

ნახვით ჩვენს მგზავრებს იმდენად საინტერესო არაფერი უნახავთ, რამდენადაც საკვირველი.

მათ ციხის საკანში ერთი ღრმად მოხუცებული ნახეს. თეთრწვერა მოხუცს თავისთვის, იქვე, ქოთნებში ყვავილები გაეხარებინა.

— ჯალათმა პატიმრობის მიზეზი ჰკითხა.

— ეჰ, ამოიოხრა მოხუცმა, — აბა, რა უნდა გითხრათ! რისთვისა ვზივარ აქ? ან თქვენ რამ შემოგიყვანათ ნეტავ, ვიცოდე. ჩემს ამბავს რადგან კითხულობთ, გეტყვით კიდეც. მე მეფის მებაღე ვიყავი. კარგა დიდხანს ვემსახურებოდი მას. ერთხელაც მოხდა, რომ ყველანი მეფესთან დაგვიბარეს, ვინც კი მასთან სამსახურში ვიყავით, რაღაცაზე გვეთათბირა, არც კი მახსოვს, რაზე. იმას უყვარს ხოლმე ამისთანა რამეები, როცა თავისი სიტყვა დაამთავრა და ხალხმაც ერთგულების ნიშნად, ყიჟინა და ტაში დასცხო, მე უბედურს, ჩემდა ჭირად, ამ დროს ჩამძინებოდა. ძალიან დაღლილი ვიყავი მთელი დღის მუშაობით, ტაში აღარ დამიკრავს. მეფემ ეს შემამჩნია და მყისვე გადმომძახა: რაო, მებაღევ, რა არ მოგეწონა ჩემს სიტყვაში ისეთი, რომ აქ მომინდომე ძილი და ტაშიც არ დაუკარიო. მე წარვდექი მის წინაშე და მორიდებით მოვახსენე, არა, ბატონო, ჩაძინება მაპატიეთ და, რომც მღვიძებოდა, ტაშს მაინც ვერ დავუკრავდი-მეთქი, ამ სიტყვებზე დავანახვე ჩემი ხელები, ბარის ხმარებისაგან რომ მქონდა გადატყავებული. მაგრამ, გაგონილა, არ დამიჯერა, შენ ორმაგად შეურაცხმყავი მეო, ერთი კი შევკადრე ბოლოს; თქვენს სამსახურში მუშაობით ვარ ამ დღეში და არ დამიმსახურებია თქვენგან ასეთი უსამართლობა-მეთქი. ეგ იყო და ეგ, მას მერე ბარე ოთხი წელია და ჯერაც არავინ დაინტერესებულა ჩემი აქ ყოფნით, — დაასრულა თავისი ნაღვლიანი ამბავი მებაღემ.

თავს ძალა დაატანეს და სხვა საკანშიც შეიხედეს ჩვენმა მგზავრებმა. ერთი ხნიერი პატიმარი ინახულეს, სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. თვალებს გიჟივით აცეცებდა. ჰკითხეს მასაც, რისთვის და რატომა ხარ აქაო?

რისთვისა ვარ აქა, რომ ვიცოდე, ჩემთვისაც კარგი იქნებოდა ეგაო, — უთხრა მათ პასუხად ამ ნახევრად შეშლილმა, საცოდავმა ადამიანმა.

— როგორ თუ არ იცი, კაცო! — თანაგრძნობით შეხედა მღვდელმა, — ამბობენ, უმიზეზოდ ხიდან ფოთოლიც კი არ ჩამოვარდებაო.

ბიბლიოთეკა

— ხიდან ფოთლის ჩამოვარდნაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ, ამ ჩემს პატიმრობას ნამდვილად არა აქვს მიზეზი, — უთხრა პასუხად კაცმა.

— მაინც, რა ჩაიდინე ისეთი, რომ დარჩენილი სიცოცხლის დღეები აქ უნდა გაატაროო, — ახლა ღვთისამ ჰკითხა.

— რა იყო, ჩემო შვილო და, გასულ წელს მოხდა ესა. შარშან, ჩემი სოფლიდან ბავშვებისათვის საყიდლებზე ქალაქს წაველი. სანამ ბაზარში შევიდოდი, ხალხი განზე გადგა და ვხედავ, გზა დაუთმეს ცხენოსნებს. თურმე მეფის პირველი ვეზირი მიდიოდა სანადიროდ. უამრავი მწევარი მიუძღოდა წინ. ერთი მწევარი, არ ვიცი სუნი იკრა თუ რა, მე რომ სოფლიდან ვიყავი, ჩემთან მოვარდა და ყნოსვა დამიწყო. რა ვიცოდი მაშინ, მე უბედურმა, თუ მეძებარი ძაღლი არ იკბინებოდა, შევშინდი, არ დამგლიჯოს-მეთქი, ავდექი და ხელი გავკარი, იმანაც შემომიტია, ეს იყო და ესა, ერთი ამბავი შეიქმნა ამაზე. თურმე ეს მწევარი ვეზირის ყველაზე საყვარელი ძაღლი ყოფილა. როგორც კი დაინახა, ვეზირმა რაც იქ მოხდა, ჯერ იქვე დამიწყო ცემა მათრახით, მერე კი ამ ციხეში მიკრა თავი. სასამართლო გამიმართეს, როგორც ძაღლის შეურაცხმყოფელსა და მკვლელს. მკვლელობა, საქმის დასამძიმებლად, თვითონ დამიმატეს. მოსამართლემ ერთი სქელი კანონთა წიგნი ჩამოიღო, სადაც ეწერა, თუ რომელი ცხოველის მოკვლასა და ავად მოპყრობაზე, რა სასჯელი ეკუთვნის კაცს. რახან ვეზირის საყვარელი ძაღლი იყო ის დასალუპავი, ამიტომ ორმაგად მომცეს სასჯელი, რაც ათ წელს უდრიდა. ხომ გითხარით, ერთი სქელი წიგნი ჰქონდათ, სადაც ყოველგვარი ჯიშის ცხოველისა თუ ფირნველის მოკვლა-მოპყრობაზე იყო აღნიშნული სასჯელები. ჰოდა, რაკი ხელი ჩამავლეს, აღარ გამიშვეს ამ წყეულებმა. დაიწყეს ცრუ მოწმეების მოყვანა და ჩვენება, ვითომდა, სად, რამდენი რა ცხოველი და ფრინველი მყავდა მოკლული.

ერთი მოწმე, იმასაც კი ამტკიცებდა, ვითომდა მის თვალწინ ერთ წუთში, ერთი ხელის დაკვრით, მორიელი მომეკლას. მაგრამ რადგან მორიელის მოკვლაზე, კანონით, პირიქით, ჯილდოც ყოფილა დაწესებული, იმ წუთშივე ამოიღეს ეს ჩვენება საქმიდან. ის მოწმეც აღარ დამინახავს მას მერე. მაგრამ ეს ერთი იყო ეგრე, თორემ ნამდვილი საქმე მერე დაიწყო. ყველაფერი სულ ჩემს საწინააღმდეგოდ შეთითხნეს. სასამართლოზე ზოგიერთი იმასაც ამბობდა, სამჯერ ძლიერი დატრყმით, მძვინვარე ვეფხვი მოკლაო. ერთმა ისიცა თქვა, როგორ ვტაცე სპილოს ხორთუმში ხელი და ისე დავაწკვერტე მიწაზე, რომ ხორთუმი მე შემრჩა ხელში, სპილომ კი იქით დალია სული. უნდა გენახათ, რა სიცილ-ხარხარი ჰქონდა ხალხს ამის მოსმენაზე. ეს იმიტომ უნდოდათ, რომ ამ საქმეში ყოფილიყო ჩართული სპილო, როგორც უშველებელი და იშვიათი ცხოველი, რაზედაც დიდი სასჯელი მეკუთვნოდა. ერთი ახალგაზრდა ქალიც მოიყვანეს მოწმედ, თითქოსდა დაენახოს, ჩემს ბავშვობაში, როგორ წავუკიდე ჭიანჭველების ბუდეს ცეცხლი. არადა, ის ქალი ხნოვანებით თითქმის შვილად მეკუთვნოდა. ეგეც არაფერი. ციხიდანაც რომ გავეშვი, სახლში აღარც შემიშვებდნენ იმის შიშით, რაც იქ ჩემზე ილაპარაკეს. ჰოდა, ამ ცრუ მოწმეების ჩვენებით დაიანგარიშეს პატივცემულმა მოსამართლეებმა და საერთო ჯამში ოთხმოცი წელი გამომიყვანეს პატიმრობის დრო. არადა, შეხედეთ ერთი, ვიცოცხლებ კი ოთხმოც წელს? საწყალ მოხუცს თვალები ცრემლებით აევსო.

კიდევ მრავალი პატიმარი ინახულეს ჩვენმა მგზავრებმა. ყველანი რაღაც უცნაურად იყვნენ დასჯილები. ერთი თეთრწვერა მოხუცი შენიშნეს, კუთხეში მიმჯდარიყო და თავისთვის ჩუმად ტიროდა. მისი შემხედვარე თავ-ფეხება განზე გადგა, ველარ უყურებდა მოხუცის მწუხარებას.

— ამ უბედურს რაღა დაუშავებია, აქ რომ ჩაგისვამთ? — მიუბრუნდა მღვდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ციხის უფროსს, რომელიც მათ ფეხდაფეხ დაყვებოდა.

— რა გითხრათ, აბა, რა ვიცი, მხრები აიჩეჩა ციხის უფროსმა, — მეფის ყოფილ მწერალთან ცხოვრობდა ეს მოხუცი. მსახურების შერჩევის დროს მწერალს ამაზე დაუდგამს თვალი. იმასთან დაუხასიათებიათ, ბავშვობიდანვე უიღბლო კაცი არისო. ჰოდა, ხომ იცით მწერლების ამბავი, იმდენს წერენ სხვაზე, რომ ყოველ წამს ცუდს ელიან ვიღაცისგან. იმ მწერალსაც უფიქრია, აი, ასეთი კაცი მჭირდება სწორედ მეო და აყუვანია თავისთან ხელზე მოსამსახურედ. როცა კი სადილს ან სასმელს მიართმევენ იმ მწერალს, ისიც, ყოველი თავისი კერძიდან თითო ლუკმას ასინჯებდა ამას, ფიქრობდა, ბევრი მტერი მყავს და, თუ ვინიცობაა მოწამლული რამ შემომაპარეს, პირველ რიგში, ამ უიღბლოს მოუღებს ბოლოსო. ერთხელაც ხილი შეუტანიათ, ერთი ვაშლი ამ საცოდავისთვის შეუჭმევია და არაფერი, აულია მწერალს სხვა ვაშლი და ჩაუკბეჩია, ვაშლი მოწამლული გამომდგარა, გაფშიკა ფეხები იმ მწერალმა. მეფესაც ძალიან მოაკლდა იმისი ხელი, მისი კაცი იყო. ამ უბედურს კი, რას ვიზამთ, აქ უკრეს თავი, სხვათა შორის, ვინ მოწამლა ის ვაშლი არც კი გამოუძიებიათ. უფრო იმასაც სჩიოდნენ, თუ ეს კაცი მართლა უიღბლო და ბედნავსიანი იყო, რატომ ამას არ შეხვდა ის ვაშლიო. იმის მერე აქა ზის ეს საცოდავი, ესა, — მართლაცდა უიღბლო, — დაასრულა ციხის უფროსმა.

მღვდელს უნდოდა, ორიოდე სიტყვით გამოლაპარაკებოდა იმ უბედურს, მაგრამ ღვთისა უკვე გასასვლელში ელოდებოდა. ველარ აეტანა ამ უბედურთა ცქერა.

მალე, ეს ქვეყანაც შორს დარჩათ ჩვენს მოგზაურებს.

## სადაც მოგითხრობთ, თუ როგორ აღესრულა გრძელცხვირა მეფე და ეს ზღაპარიც როგორ დასრულდა

ღვთისა მიწაზე გართხმულიყო და ხარბად ისუნთქავდა მის სურნელებას, თურმე რა ტკბილი ყოფილა სამშობლოს მიწა. მღვდელი თავისთვის გამდგარიყო განზე და მალიმალ ჩურჩულებდა: „ღმერთო, შენ გწირავ მადლობას, რომ ჩემს სამშობლომდე მომაღწევინე. ახლა თუნდაც სული ამომრთმევია, აღარა ვჩივი ამას". ჯალათი თავ-ფეხებაც გზის პირას, ქვაზე ჩამომჯდარიყო, ხელები ულონოდ ჩამოეშვა და დაღლილი სახით დასცქეროდა მიწას. არა სჯეროდა ყოველივე ეს. არსაითაც ღვთისას გვერდით გულაღმა მიწოლილიყო ბალახზე და თვალები მოეხუჭა. საფეთქლები უფეთქავდა გულისცემისაგან, ეტყობოდა, დაღლილობას ერთბაშად ემძლავრა. ბოლოს წამოიწია და ღვთისას ფრთხილად დაადო მხარზე ხელი.

— ადექი, ღვთისავ, გენაცვალე, მოვრჩეთ და დროზე მოვითავოთ ეს საქმე. არ გაინტერესებს, როგორ მოელება მეფეს ბოლო? რა ხანია, რაც ცხვირმა გაგვასწრო და წინ წავიდა. არ მინდა, რომ უჩვენოდ მოხდეს ეს საქმე. ღვთისა არც განძრეულა, ისე უპასუხა: — სწორედ მაგას ვერიდები, ჩემო არსაითავ, და მიტომ ვყოვნდები აქ. მაგრამ თუ ასე ძალიან გინდა, ამ ამბავს შეესწრო, წავიდეთ, უარს არა ვარ.

ქალაქში შესულებმა, შორიდანვე ჰკიდეს თვალი ერთად შეყრილ ხალხს, მეფის სასახლესთან რომ გაუდიოდა ზუზუნი სკასავით. ცხვირის ბოლო სასახლის კედელთან შეჩერებულიყო. ირგვლივ ყველა მას შემოხვეოდა და ყურადღებით ათვალიერებდნენ. განსაკუთრებით ბავშვები იჩენდნენ დიდ ინტერესს, ნაძლევებს სდებდნენ ერთმანეთში, ვინ უფრო სწორად გაირბენდა ამ ლარივით გასწორებულ ცხვირზე.

სასახლეს მიახლოებულები, ხალხმა ისინი იცნო და ყველა გარს შემოეხვია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისას. ცოცხალი ხარ, ბიჭო, ისევ დაგვიბრუნდი? ზლუქუნებდნენ მოხუცები და გულში იკრავდნენ. ღვთისა უყურებდა ხალხს და ბევრ ნაცნობ სახეს ველარ პოულობდა მათში, შავებში ჩაცმულნი უფრო მომრავლებულიყვნენ. გრძნობდა ღვთისა, რომ ამ დროში ბევრი რამ შეცვლილიყო მის ქვეყანაში. მღვდელი, არსაითა და ჯალათი განზე გამდგარიყვნენ ხალხისგან, ხალხს ზედაც არ შეუხედავს მათთვის, იმხელა ზიზღს შეეპყრო ყველა. ღვთისამ ეს შეამჩნია და უხმო მათ ახლოს მოსულიყვნენ, შემდეგ, იქვე ჩამომჯდარმა უამბო მთელი მოგზაურობის ამბავი და ბოლოს დასძინა: გთხოვთ სუყველას, დაივიწყოთ ამათი წარსული და სულ სხვა გრძნობით განიმსჭვალოთ მათდამი. მიუხედავად ზოგიერთის მიერ წარმოთქმული საყვედურისა, ხალხმა მაინც მიიღო ისინი. არსაითა ამ ამბავმა ისე აალელვა, რომ ყველას ხელზე ჰკოცნიდა და მადლობას სწირავდა. მღვდელმა ეს რომ დაინახა, თვალები ცრემლით აევსო. თავს ველარ ერეოდა. ამ წუთებში ერთბაშად, ერთიორად უფრო მოტყდა და მოხუცდა. ჯალათი განზე გასულიყო, მაინც ვერ ბედავდა ხალხთან მიკარებას. ღვთისასაც არ დაუტანებია ძალა, იყოს ასე ცოტა ხანს, დაწყნარდება და თავისით მოვაო. ამ ამაღელვებელი წუთებისა და განცდების ნიშნად, არსაითამ ხალხს შეჰკადრა:

— ხალხნო, ავიდეთ ზემოთ, სასახლეში, ვნახოთ მეფე, ალბათ, ძალიან გაეხარდება ჩვენ რომ დაგვინახავს ყველას იქ, საინტერესოა, სიკვდილის წინ რა ჭკუაზე იმყოფებაო.

ამაზე ხალხმა უპასუხა: — დღეს დილიდან ვცდილობთ შესვლას მასთან, მაგრამ ვერაფრით მოგვიხერხებია, ყველა კარი აუკეტია ყურშა მაბეზღარას და მეფეს ფეხებთან მოკუნტული უზისო.

— მაშ კარები ვერ გაგიღიათ, არა? — ჩაეღიმა მღვდელს. — აი, მაგის გასაღები ხალხნო! მეორე ცალი, მე შევინახე, ვფიქრობდი, გამომადგება-მეთქი.

ცოტა ხნის შემდეგ კარიც გაიღეს, ხალხმა იხუვლა და მღვდელს ფეხდაფეხ შეჰყვა.

ამაღელვებელი და ერთობ შემაძრწუნებელი სურათი წარმოუდგათ თვალწინ; მეფე ჯერ ტახტზე მჯდარი, თვალებგადმოკარკლული, ბოლოკავით გაწითლებულიყო და, გამწარებული, ძლივსღა სუნთქავდა. ეტყობოდა, ცხვირმა შეაწუხა. ყურშა მისჯდომოდა ფეხებთან და რჩევა-დარიგებას აძლევდა მეფეს:

— მეფეო, ჩემი თხოვნაა, — ეუბნებოდა ის, — ჯერჯერობით ნურას იტყვით წარგზავნილებზე, შეიკავეთ ცოტა ხნით თავი, თქვენი ცხვირის წვერი რა ხანია შევამჩნიე და გთხოვთ შეინარჩუნოთ ეს მდგომარეობა, ხოლო ისინი, როგორც კი გამოჩნდებიან, მე მოვუვლი, ოღონდ ახლა კი... — ამ სიტყვებზე ყურშა მკვეთრად შემობრუნდა შეჯგუფული ხალხისაკენ. ნირი წაუხდა, ამდენ ხალხთან ერთად, ღვთისა, ჯალათი, არსაითა და მღვდელიც რომ დაინახა. არ ელოდა მათ აქ შემოსვლას.

მეფე და ყურშა კარგა ხანია, აღარა თვლიდნენ საჭიროდ მოგზაურების ცოცხლად დაბრუნებას, პირიქით, მათ გამოჩენაზე ფიქრი გუნებას უმხამავდა ორივეს, ახლა ისინი რომ დაბრუნდებიან, მგზავრობისათვის გასამრჯელოს მოითხოვენო, მაგრამ გასამრჯელო მეფისათვის და ყურშასათვის არავის მიუთხოვია. როგორც კი ყურშამ ხალხში ცოცხლად დაბრუნებულებიც შენიშნა, მეფეს მიაძახა:

— საით იყურებით, მეფეო, შეხე, ესენი ცოცხლები ყოფილან და ისევ დაბრუნებულანო.

მათ დანახვაზე მეფეს თვალები გაუფართოვდა, ეცადა ტახტიდან წამოწევას, მაგრამ ვერ შეძლო, ამაზე სულ მთლად გაცეცხლდა.

— ყურშავ, ძაღლიშვილო, რადას უდგეხარ, — ღრიალებდა ის, — აჰა, მახვილი და ბოლო მოუღე მაგათ.

მაგრამ უკვე ყველაფერი გვიანი იყო, ამ სიტყვებისთანავე მეფის ცხვირმა კედელი შემოანგრია და კეფაში გაუარა

პარლამენტის ბიბლიოთეკა

თავისივე პატრონს. მეფემ ზედ ტახტზე იმავე მდგომარეობაში დალია სული.

ამის დანახვაზე, ხალხმა მხიარული ყიჟინა დასცხო, მღვდელმა იქვე აკურთხა ღვთისა მეფედ. აქამდე მიტოვებული და ყველასგან მივიწყებული მეფის ასული, ბედისა, სასახლის ერთ პატარა, განმარტოებულ ოთახში იპოვა არსაითამ, მოჰკიდა მას ხელი, აუხსნა ყველაფერი, რაც მოხდა და მოჰგვარა ღვთისას. მღვდელმა ჯვარი დასწერა მათ. ერთი კვირა მხიარულობდა მთელი ქალაქი. ბედნიერი გამოდგა ეს ქორწინება ღვთისასათვის, მისი მეფობა კი — ხალხისათვის.

რა ქნეს, რა მოუვიდათ მღვდელს, ჯალათსა და არსაითას? იკითხავს, ალბათ, მკითხველი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე კეთილად დასრულდა, მღვდელი ისე მოეტეხა ამ მოგზაურობას, რომ ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. ჯალათი თავ-ფეხები კი ქვეყნის მთავარ მოსამართლედ დაინიშნა, იმის მერე აღარავინ ჩაუსვამთ ციხეში და აღარც საჭირო იყო. ოდესღაც მეომრად წოდებული არსაითა ისე შეცვლილიყო ამ მოგზაურობის მერე, რომ მიუხედავად დიდი თხოვნისა, ქვეყნის ჯარს ჩასდგომოდა სათავეში, მან მაინც, საბოლოოდ, ბავშვებთან სკოლაში ცეკვის მასწავლებლობა ირჩია.

ღვთისას და ბედისას ათი შვილი შეეძინათ, — ათივე ვაჟი და, განაგებდა ღვთისა ქვეყანას, თავისი ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით გარემოსილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმირ ნაბოკოვი

# ლოლიტა

## რომანი

„ბრაისლანდში სადილობისას ვიქნებით, — მივუგე მე — ხვალ კი ლეპინგველს ვეწვევით. როგორი იყო გუშინდელი ექსკურსია? ბანაკში მხიარულად ატარებდი დროს?"

„მაშ".

„არ გინდოდა წამოსვლა?"

„უნგ-უნგ".

„ილაპარაკე, ლო, ნუ დრუტუნებ. მომიყევი რამე".

„მაინც, რა, მა-მი-ლო?" (უკანასკნელი სიტყვა ირონიულად დამარცვლა).

„სულ ერთია, რა".

„შეიძლება, შენობით მოგმართოთ და მამა გიწოდოთ?" (თვალებმოჭუტული ლოლიტა გზას გაჰყურებდა).

„შეიძლება".

„რა სასაცილოა! როდის ჩაიწვით დედაჩემში?"

„დადგება დრო, ჩემო კარგო ლო, როდესაც ჩასწვდები ბევრი გრძნობისა და მდგომარეობის არსს, მაგალითად, წმინდა სულიერი ურთიერთობების ჰარმონიასა და სილამაზეს".

„ვერ მოგართვეს!" — შემესიტყვა უხეში ნიმფეტი.

დიალოგში ჩამოვარდა გაურკვეველი პაუზა, რომელიც წარმტაცმა შემოგარენმა შეავსო.

„შეხედე, ლო, რამდენი ძროხაა იმ ფერდობზე!"

„მგონი, გული ამერევა, თუ კიდევ ერთ ძროხას დავინახავ".

„იცი, ლო, ძალზე მენატრებოდი".

„მე კი არ მენატრებოდი. მეტიც — საშინლად გღალატობდი, მაგრამ ეს არაფერია, შენ ხომ მაინც სულ აღარ გახსენდები. მაგრად კი მიქრიხართ ბატონო. გაცილებით სწრაფად, ვიდრე — დედაჩემი".

სამოცდაათი მილის ბრმა სიჩქარიდან ორმოცდაათი მილის ნახევრად ბრმა სიჩქარეზე გადავედი.

„რატომ გგონია, რომ არ მახსენდები?"

„უპირველეს ყოვლისა, ჯერ არ გიკოცნია ჩემთვის".

შინაგანად გარინდულმა, გულშეღონებულმა, პუნდოვნად თვალი მოვკარი შედარებით ფართო გზისპირს. მანქანა რხევით და ხტუნვით გადავიყვანე ბალა-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ციskari" № 7, გ. 9–10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხზე. გახსოვდეს, რომ ის ბავშვია, გახსოვდეს, რომ ის...

მანქანის შეჩერება ძლივს მოვასწარი, რომ ლოლიტა ჩემს მკლავებში შემოფრინდა. ვერ გავბედე, ვერ გავბედე, გავკადნიერებულიყავი და შემეგნო, რომ სწორედ ეს (ტკბილი სისველე, მთრთოლვარე ცეცხლი) იყო იმ საზღაპრო ცხოვრების დასაწყისი, რომელსაც ნებისყოფის დამაბვისა და ბედის მარჯვე დახმარების მეშვეობით ხორცი შევასხი — ვერ გავბედე, მართლაც მეკოცნა და მის მხურვალე, გადახსნილ ბაგეებს უდიდესი მოწიწებით შევეხე, ყლუპ-ყლუპად დავეწაფე — ო, სრულიად უცოდველად! მაგრამ ლოლიტა მოუთმენლად შეტოკდა პირი ისე მაგრად შემაწება, რომ გოგონას მსხვილი წინა კბილები შევიგრძენი და მისი ნერწყვის პიტნისებურ გემოს ვეზიარე. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ეს მხოლოდ მოზარდის უმანკო თამაში, ანცობა იყო, მდარე რომანის ყალბი ეპიზოდის მიბაძვა. ბავშვების სულიერი მოძღვრები (აგრეთვე — ისინი ვინც მათი გახრწნით იქცევს თავს) დაგვიდასტურებენ, რომ ამ თამაშების საზღვრები და წესები ბუნდოვანი და იმდენად მერყევია, რომ მოზრდილი პარტნიორი მათ ვერ ჩასწვდება. მეშინოდა, შორს არ შემეტოპა და ლოლიტას, ძრწოლითა და ზიზღით, უკან არ დაეხია. მძაფრად, მტანჯველად ვილტვოდი, ჩემი კალთის ქვეშ დამალული ლოლიტა სასწრაფოდ შემეპარებინა „მოჯადოებული მონადირეების" ჰერმეტულ განმარტოებაში (იქამდე კი ოთხმოცი მილი იყო). კურთხეულმა ზეშთაგონებამ მიკარნახა, წამის მეოთხედით უფრო ადრე შემეწყვიტა ხვევნა, ვიდრე საგზაო პოლიციის ავტომობილი ჩვენს შორიახლოს შეჩერდებოდა.

მისი სახელაქლაჟა, სქელწარბა მძღოლი ჩვენ მოუვაშტერდა.

„მითხარით, გზაჯვარედინთან ლურჯმა „სედანმა" ხომ არ გაგასწროთ? თქვენი მანქანის ფირმისაა, არ შეგიმჩნევიათ?"

„არ გვინახავს, — თქვა ლომ, სწრაფად, თავაზიანად გადაიხარა მისკენ, უმანკო ხელები მუხლებზე დაძადო; — მაგრამ თქვენ სრულიად დარწმუნებული ხართ, რომ ის ლურჯია, იმიტომ რომ..."

პატრულმა (ჩვენს რომელ აჩრდილს მისდევდა?) პატარა ლამაზმანს თავისი საუკეთესო ღიმილით დააჯილდოვა და მანქანა მიატრიალა.

გზა გავაგრძელეთ.

„რა რეგვენია! — წამოიძახა ლომ. — შენ უნდა დაეჭირე".

„კი მაგრამ, რატომ — მე?"

„იმიტომ, რომ ამ სულელურ შტატში უკიდურესი სიჩქარე საათში სულ ორმოცდაათი მილია, ჩვენ კი — არა, არა, სვლა ნუ შეანელე, შენც სულელი ხარ, ის ხომ შორსაა".

„წინ ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს", — ვუთხარი მე, — და მინდა, სიბნელის ჩამოწოლამდე მოვასწროთ. ახლა ისე მოიქეცი, როგორც კარგ გოგონას შეეფერება".

„ცუდ, ცუდ გოგონას, — მშვიდად წაიდუდუნა ლომ. — სიწრფელისა და მიმზიდველობის მიუხედავად, ეს მცირეწლოვანი დამნაშავეა. შუქი კი წითელი იყო. ასე სიარული სად გაგიგონია".

მდუმარე ქალაქი მდუმარედ გავიარეთ.

„უჰ, როგორ გაცოფდება დედაჩემი, თუ ჩვენი გამიჯნურების ამბავი გაიგო".

„ღმერთო ჩემო, ლოლიტა, როგორ ამბობ ამას?"

„კი მაგრამ, ჩვენ ხომ მართლაც მიჯნურები ვართ, არა?"

„სულაც არა. ამინდი კვლავ ფუჭდება. მომიყევი, როგორ ცელქობდი ბანაკში".

„რაღაც ძალიან მწიგნობრულად მეტყველებ, საყვარელო მამილო".

„შენი განცვიფრება ადვილია?"

„არა. მითხარი".

„დაბეჯითებით მოვითხოვ, მიპასუხო".

„მოდი, წყნარ გზაზე გადავუხვიოთ და მოგიყვები".

„ლო, სერიოზულად გთხოვ, ნუ სულელობ. აბა?"

„აბა და, — აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი ბანაკის ცხოვრებაში. ან-

ბიბლიოთეკა

სუიტ, მასწავლიდნენ, როგორ მეცხოვრა ჯგუფური, ბედნიერი და სრულყოფილი ცხოვრებით და, ამასთან, როგორ განმევითარებინა ჩემი ჰარმონიული პიროვნება. ერთი სიტყვით, დამჯერი ვიყავი".

„ჰო, რაღაც ასეთი წავიკითხე თქვენს ბროშურაში".

„გვიყვარდა საგუნდო სიმღერების შესრულება ბუხართან ან ვარსკვლავებით მოჭედილი ქეციანი ცის ქვეშ, და თითოეულ ჩვენთაგანში საკუთარი ბედნიერების ჟღერა ერწყმოდა ჯგუფის ხმას".

„ციტატები შესანიშნავად გახსოვს, ლო, მაგრამ გთხოვ, თავი შეიკავო უგვანო გამოთქმებისგან".

„გერლ-სკაუტების დევიზი, — აღტაცებით განაგრძო ლოლიტამ, — ჩემი დევიზიცაა. ცხოვრებას ღირსეულ საქმიანობაში ვატარებ, როგორიც, მაგალითად — არა, სჯობს, მაგალითებს თავი დავანებო. ჩემი მოვალეობაა, კეთილი ვიყო. მამრობითი სქესის ყველა ცხოველის მეგობარი გახლავარ. მათ ყოველგვარ წადილს ვასრულებ. ყოველთვის კარგი განწყობილება მაქვს. აი, პოლიციის კიდევ ერთმა მანქანამ გაიარა. მომჭირნე ვარ და ყოველთვის ვცოდავ აზრით, სიტყვითა და საქმით".

„ვიმედოვნებ, რომ სულ ესაა, ჩემო გონებამახვილო გოგონა".

„დიახ. სულ ესაა. თუმცა, აი კიდევ რა: რეფლექტორიან მზის ქურაზე ღვეზელებს ვაცხობდით. რა საინტერესოა, არა?"

„რა თქმა უნდა, საინტერესოა".

„ამ ხნის განმავლობაში ბევრმილიონი თეფში გავრეცხეთ. ბევრმილიონი — მასწავლებელთა ენაჩლექია დიალექტზე — ნიშნავს ბევრი-ბევრი-ბევრი. ჰო, მართლა, კინაღამ ყველაზე მთავარი დამავიწყდა (დედაჩემისა არ იყოს). რენტგენის სურათებს ვიღებდით, ითვლებოდა, რომ ეს ძალზე სასაცილო რამ იყო".

„დაამთავრე?"

„დიახ, მაგრამ ერთ პატარა რაღაცაზე ისე ვერ მოგიყვები, მთლად რომ არ გავწითლდე".

„მერე მომიყვები?"

„კი — სიბნელეში და ჩურჩულით. შენ რა — ისევ მარტო გძინავს თუ ერთად ყრიხართ?"

„ძველებურად მარტო მძინავს. დედაშენს, ალბათ, ძალზე სერიოზული ოპერაცია უნდა გაუკეთონ, ლო".

„რძის ბართან შეჩერდი", — მიბრძანა ლომ.

მაღალ ტაბურეტზე მჯდარ ლოლიტას შიშველ ყავისფერ ხელზე ნათელ ზოლად აჩნდა მზის სხივი; მან შეუკვეთა მთელი კოშკი სხვადასხვანაირი ნაყინისა, რომელსაც სინთეტური სიროფი ჰქონდა მოსხმული. ეს კოშკი ააგო და ლოლიტას მიართვა ბუგრიანმა, ჩასხმულმა ყმაწვილმა, რომელსაც კისერზე გაქონილი ჰალსტუხი-ბაბთა ეკეთა. ის ურცხვი, ავხორცული მზერით დააშტერდა ჩემს ნატიფ, შილიფად ჩაცმულ გოგონას. ბრაისლანდში, „მოჯადოებულ მონადირეთა თავშესაფარში" მოხვედრის გაუსაძლისმა სურვილმა შემიპყრო. საბედნიეროდ, ლოლიტამ, ჩვეულებისამებრ, სწრაფად გადასანსლა ნაყინი.

ვკითხე, ხურდა ფული თუ გაქვს-მეთქი.

„ერთი გროშიც არა მაქვს", — მიპასუხა მან, წარბები ნაღვლიანად აწკიპა და ცარიელი საფულე მიჩვენა.

„ამას გამოვასწორებთ, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს, — ვუთხარი მალალფარდოვნად. — აბა, წავიდეთ?"

„მისმინე, საპირფარეში სადაა?"

„იქ არ გაგიშვებ. ეს უეჭველად ბინძური სორო იქნება. წავიდეთ!"

ლოლიტა, არსებითად, დამჯერი გოგუცუნა იყო. ამიტომ ვერ მოვითმინე და, ავტომობილში ჩასხდომისას, კისერზე ვაკოცე.

„როგორ ბედავ! — წამოიძახა მან და გულწრფელი გაოცებით შემომხედა. — ვერ ვიტან, როდესაც მლოშნიან. საზიზღარო სალახანავ!"

და კისერი მხარს შეაწმინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაპატიე, — წავიბურტყუნე, — ძალიან შეგეთვისე, ეს არის და ეს“.

მოქუფრული ცის ქვეშ კლაკნილ აღმართს დავადექით, შემდეგ კი თავქვე დავეშვით.

„რა მოხდა, მგონი, მეც შეგეთვისე“, — მითხრა ლოლიტამ დინჯი, ალერსიანი კილოთი და, მგონი, თითქოს ამოიოხრა და, მგონი, თითქოს ჩემკენ გადმოიხარა.

(ო. ჩემო ლოლიტა ასე ვერასოდეს ჩავალთ ბრაისლანდში)

მწუხრი უკვე დაეშვა მშვენიერ პატარა ბრაისლანდზე, მის ცრუკოლონიური სტილის არქიტექტურასა, სუვენირების მაღაზიებსა და ევროპულ ცაცხვებზე, როდესაც ქალაქის მკრთალად განათებულ ქუჩებში „მოჯადოებული თავშესაფრის“ ძებნა დავიწყეთ. თბილ, მწვანე ჰაერში ნელი წვიმის წვეთები მძივებად იყო მიმობნეული. ბღლვრიალა ფერადი შუქით გაჩახჩახებული კინემატოგრაფის სალაროს წინ უკვე რიგი გაჭიმულიყო, ძირითადად ბავშვები და მოხუცები შევამჩნიე.

„ოჰ, როგორ მინდა ამ ფილმის ნახვა! როგორც კი ვისადილებთ, აქ მოვიდეთ, გეხვეწები, მოვიდეთ!“

„რატომაც არა, შეიძლება“, — აუჩქარებლად წარმოთქვა ჰუმბერტმა, თუმცა ამ მზაკვარმა, ვნებააშლილმა ეშმაკმა კარგად იცოდა, რომ საღამოს ცხრა საათისთვის (ჰუმბერტის საკუთარი წარმოდგენის დაწყებისას) ლოლიტას მკვდარივით ჩაეძინებოდა მის მკლავებში

„ფრთხილად!“ — წამოიძახა ლომ და წინ გადავარდა, როდესაც წყეულმა სატვირთო მანქანამ უკანა კარბუნკულები ააციმციმა და გზაჯვარედინზე შეჩერდა.

გავიფიქრე, თუ სასწრაფოდ არ მოვძებნი სასტუმროს (ახლავე, საწაულებრივად, უახლოესი შენობის კუთხეში), ჰეიზების ურმის მართვას ველარ შევძლებ-მეთქი (უმოძრაო მინასაწმენდები და გადარეული მუხრუჭები ჰქონდა) სამწუხაროდ გამვლელები არ იცნობდნენ ქალაქს, ან შუბლს იჭმუხნიდნენ და მეკითხებოდნენ: „მოჯადოებულ...“ თითქოს გიჟი ვიყავი; ან კიდ[illegible]ბულ-მოკიბულ განმარტებებს იძლეოდნენ, რომელთაც გეომეტრიულ ჟესტებს, გეოგრაფიულ მსჯელობებს ურთავდნენ და წმინდა ადგილობრივი ხასიათის ნიშნებს უთითებდნენ... (შემდეგ... სასამართლოს შენობამდე მიხვალთ... სამხრეთისკენ მოუხვევთ...). ამ კეთილმოსურნეობით გამსჭვალული აბდაუბდის ლაბირინთში გზა აუცილებლად უნდა ამბნეოდა. ლოლიტა, რომლის თვალწარმტაცმა ნაირფერადმა შიგნეულობამ უკვე მოინელა მირთმეული სასუსნავი, წინასწარ ტკბებოდა მაძღრისი სადილის მოლოდინში და ცმუტავდა. მე კი კარგა ხნის წინ შევურიგდი იმ აზრს, რომ არსებობს მეორეული ბედისწერა. მას განაგებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაკ-ფატუმის ნავსი მდივანი ქალი, წვრილმანებით გულს რომ გვიწყალებს და ხელს უშლის მისი სულგრძელი უფროსის გრანდიოზულ გეგმებს. მიუხედავად ამისა, მანქანის ღრჭიალი, ბრაისლანდის ბულვარებზე განუწყვეტელი შეჩერებები და ალალბედზე ხეტიალი, ალბათ, ყველაზე საშინელი განსაცდელი იყო, რაც კი ცხოვრებაში შემხვედრია. შემდგომში მეცინებოდა ჩემს მიამიტობაზე — როგორი ბავშვური სიჯერპით ვლამობდი სწორედ ამ სასტუმროს პოვნას, რომელსაც უჩვეულო სახელწოდება ჰქონდა — მაშინ როდესაც მთელი ჩვენი გზის გასწვრივ უთვალავი მოტელის ნეონის წარწერები გვთავაზობდნენ თავისუფალ ოთახებს და მზად იყვნენ, მიეღოთ ყველა — კომივოიაჟორები, გაქცეული კატორღელები, იმპოტენტები, მრავალრიცხოვანი ოჯახები, აგრეთვე — მრუში და უძლები წყვილები. ეს კეთილმოწყობილი თავშესაფრები რომ ყოველგვარი პიგმენტაციისგან განიძარცვოს და მინის ზარდახშების გამჭვირვალება შეიძინოს, ზაფხულის ღამის წყვდიადში სადღაც მიმავალი მშვიდობიანი ავტომობილისტები ავხორცობის რა გამოვლინებებს იხილავდნენ სრულიად გლუვი გზატკეცილიდან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანუკვარი სასწაული მაინც განხორციელდა. წვიმით დაცვარული ხის ძირას მდგარ ჩაბნელებულ ავტომობილში მეტ-ნაკლებად ურთიერთგადაჭდობილმა ქალ-ვაჟმა გვაუწყა, რომ ქალაქის პარკის შუაგულში ვიმყოფებოდით და, მომდევნო შუქნიშანთან მარცხნივ გახვევისას, მიზანს მივაღწევდით... ვერავითარი შუქნიშანი ვერ ვიპოვეთ — პარკი იმ შეცოდებასავით ბნელი იყო, თავად რომ ფარავდა — მაგრამ მალე მარჯვნივ დაგეგმილი მოსახვევის ნარნარი ხიბლით მონუსხულებმა, ნისლში მოკიაფე შუქი შევამჩნიეთ, შემდეგ კი ტბის დამეულ ციმციმს მოვკარით თვალი. და აი, აჩრდილისებრი ხეების თავზე, ზემოთ, სადაც ხრეშმოყრილი გზა მთავრდებოდა, „მოჯადოებული მონადირეების“ თეთრი, მშვენიერი და გარდუვალი სრასასახლეც წარმოგვიდგა.

თავდაპირველად მომეჩვენა, თითქოს გობთან ჩარიგებული ღორებივით გვერდიგვერდ მიყენებულ ავტომობილებს შორის მისადგომ ადგილს ვერ ვიპოვიდი. მაგრამ უეცრად, რაღაც ჯადოსნობით, შუქით გასხივოსნებულ წვიმაში ალუბლისფრად მოლაპლაპე ვეებერთელა ღია მანქანა დაიძრა. ის ენერგიულად გამოაგორა მხარბეჭიანმა ვაჟბატონმა. ჩვენ მადლიერებით აღვივსეთ და გამოთავისუფლებულ სივრცეში შევსრიალდით. იმავ წამს ვინანე, რომ ვიჩქარე — ჩემმა წინამორბედმა მძღოლმა ისარგებლა გარაჟისმაგვარი ფარდულით, სადაც მეორე მანქანაც დაეტეოდა. მოუთმენლობის გამო ვერ მივბაძე მის მაგალითს.

„რა ხოშიანია!“ — შენიშნა ჩემმა ვულგარულმა მზეთუნახავმა და მოჭუტული თვალებით შეათვალიერა ჩუქურთმებით შემკული ფასადი. ის ავტომობილიდან წვრილი წვიმის შრიალში გამოვიდა და პატარა ხელით გაისწორა კაბა, რომელიც ატმის ორ ნახევარს შორის (თუ რობერტ ბრაუნინგის პერიფრაზირებას მივმართავთ) ჩარჩენილიყო. ფრონტონზე დაღვრილი სინათლით გასხივოსნებულ თეთრ სვეტებზე წაბლის ფოთლების გიგანტური სილუეტები ირწეოდა. საბარგული გავხსენი; ლივრეის მსგავს ტანისამოსში ჩაცმულმა კუზიანმა ჭაღარა ზანგმა ჩვენი ჩემოდნები მაზიდაზე დააწყო და დინჯად გააგორა ჰოლისკენ. რომელიც უამრავი მოხუცი მანდილოსნითა და მღვდლებით იყო გაჭედილი. ლოლიტა ჩაცუცქდა, რათა მოეფერებოდა კოკერ-სპანიელს, რომელსაც ლურჯად დაწინწკლული, მკრთალი ფერის თავი და დაკიდული ყურები ჰქონდა. ხალიჩის ფლორაზე მდგარი ძაღლი გოგონას პირდაპირ ხელში ჩაადნა — ან ვინ არ ჩაადნებოდა ო, ჩემო ბედკრულო გულო...

ჩავახველე და ხალხში გზა გავიკვლიე სასტუმროს კანტორისაკენ. იქ მელოტმა, გოჭისმაგვარმა ხნიერმა კაცმა — ამ ხნიერ სასტუმროში ყველა ხნიერი იყო, — თავაზიანი ღიმილით შემათვალიერა (საეჭვო გარეგნობის შევგვრემანი კაცი), შემდეგ აუჩქარებლად მონახა ჩემი (დამახინჯებული) ტელეგრამა, ბნელი ეჭვები ვერ დასძლია, მიტრიალდა. რათა კედლის საათისთვის თვალი შეევლო, და, ბოლოს, მითხრა, რომ დიდ ბოდიშს იხდის — საღამოს შვიდის ნახევრამდე ინახავდა ორსაწოლიან ოთახს, ახლა კი ის გაქირავებულია: ბრაისლანდში გამართული სამღვდელოების ყრილობა დაემთხვა ყვავილთა გამოფენას.

„ჩემი სახელი, — ცივად შევაწყვეტინე, — ჰუმბერგი როდია, არც ჰამბურგერი, არამედ — ჰერბერტი, ესე იგი, მაპატიეთ, ჰუმბერტი და ჩემთვის სულ ერთია, მომეცით ერთადგილიანი ნომერი, მაგრამ დაუდგით საწოლი ჩემს პატარა ქალიშვილს. ის ათი წლისაა და ძლიერ დაიღალა“.

ვარდისფერმა ბერიკაცმა გულკეთილად შეათვალიერა ჩაცუცქული ლოლიტა, გოგონას პირი ოდნავ დაეღო და ცალი ყურით უსმენდა კრეტონგადაკრულ სავარძელში მჯდარ იისფერეუალიან დედაბერს.

ჩემი არიული ვარდის დანახვისთანავე ამ არამზადას ეჭვები გაუფანტა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითხრა, რომ, ალბათ მოიძებნებოდა რაიმე, ჰო — ორმაგსაწოლიანი ნომერი. რაც შეეხება პატარა საწოლს —

„მისტერ ვატკინს, მოვახერხებთ თუ არა დამატებითი პატარა საწოლის..." მისტერ ვატკინსი, რომელიც ასევე ვარდისფერი და მელოტი იყო, ხოლო ყურები და სხვა ფისოები თეთრი ბალნით ჰქონდა დაფარული, მივიდა და გაესაუბრა, მე კი უკვე გავხსენი მუდმივი კალამი. სულწასული ჰუმბერტი!

„ჩვენი ორმაგი საწოლები, არსებითად, სამმაგია, — ამბობდა ვატკინსი თავაზიანად და მამა-შვილს დასაძინებლად აწვენდა. — მახსოვს, განსაკუთრებული ხალხმრავლობისას ერთ საწოლში სამი ქალბატონი და თქვენი ქალიშვილისტოლა გოგონა ჩავაწვინეთ. მგონი, ერთერთი ქალბატონი გადაცმული მამაკაცი იყო (ჩემი გამონაგონია). თუმცა, ორმოცდამეცხრე ნომერში ზედმეტი საწოლი დგას, არა, მისტერ შვაინ?"

„ვშიშობ, რომ ისინი ლორნების ოჯახს მისცეს", თქვა შვაინმა, პირველმა მასხარამ (ამ ორთაგან).

„რაიმეს მოვიფიქრებთ, — ვუთხარი მე. — მოგვიანებით, შესაძლოა, ჩემი ცოლიც შემოგვიერთდეს — მაგრამ, ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაშიც როგორმე მოვეწყობით".

ამ დროისათვის ორივე ვარდისფერ ღრუტუნას უკვე დაავიწყდა თავისი ჰუმბერტოფობია. ბოროტმოქმედის ნელი და მკაფიო ხელწერით გამოვიყვანე: დოქტორი ედგარ ჰ. ჰუმბერტი ქალიშვილითურთ, 342, ლოუნ სტრიტი, რამზდელი. გასაღები (ნომერი 342!) წამით მიჩვენეს (ასე გვიჩვენებს ხოლმე მეფოკუსე მონეტას, რომლის გაქრობასაც აპირებს) და მაშინვე გადასცეს ბიძია თომას. ლოლიტამ ძაღლს თავი გაანება (მეც ასე გამანებებს თავს) და წამოდგა; შარლოტას სამარეს წვიმის წვეთი დაეცა; ციდან ჩამოსულმა სანდომიანმა ზანგმა ქალმა ლიფტის კარი შიგნიდან გააღო და შეუშვა განწირული ბავშვი, რომელსაც ხველებ-ხველებით შეჰყვა მამამისი, შემდეგ კი — გაფარჩხული კიბორჩხალას მსგავსი ბიძია თომა.

სასტუმროს დერეფნის პაროდია. სიჩუმისა და სიკვდილის პაროდია.

„შეხე, ეს ხომ ჩვენი სახლის ნომერია", — მხიარულად წამოიძახა ლოლიტამ.

ორადგილიანი საწოლი, სარკე, სარკეში არეკლილი ორადგილიანი საწოლი, მელნისფერ-ლურჯი ფანჯარა, მასში არეკლილი საწოლი, კარადის სარკეში არეკლილი იგივე საწოლი, ორი სავარძელი, ერთი მინადაფარებული და ორი პატარა მაგიდა, პატარა მაგიდებს შორის — ორადგილიანი საწოლი: უფრო ზუსტად, გაპრიალებული ხის დიდი საწოლი, ალისფერი ხავერდოვანი გადასაფარებლითა და წითელაბაჟურიანი ორი ნათურით.

ძალიან მინდოდა, ხუთდოლარიანი ჩამედო მკრთალ-ყავისფერ ხელისგულში; ამასთან, შემეშინდა, რომ ასეთ სიუხვეს ბიძია თომა არასწორად გაიგებდა, ამიტომ ოცდახუთცენტიანი მივეცი. კიდევ ერთი დავუმატე. ის წავიდა. ტკაც. ბოლოს და ბოლოს მარტონი დავრჩით .

„როგორ, ერთ ოთახში დავიძინებთ?' — იკითხა ლოლიტამ დინამიური გრიმასებით. ამას ადრეც აკეთებდა ხოლმე ბრაზისა და ზიზღის გარეშე (თუმცა ამ გრძნობების ზღვარზე), სწორედ რომ დინამიურად დასმული კითხვების მნიშვნელობის ხაზგასასმელად.

„დამატებითი საწოლი ვითხოვე, რომელზეც, თუ გინდა, მე დავწვები".

„ჭკუიდან შეიშალე?" — მითხრა ლოლიტამ.

„რატომ, ჩემო ძვირფასო?"

„იმიტომ, ძვირ-ფა-სო, რომ თუ ძვირფა-სი დედა გაიგებს ამის შესახებ, შენ გაგეყრება, მე კი დამახრჩობს".

უბრალოდ — დინამიურად; არასერიოზულად.

„ყური დამიგდე, — ვუთხარი და დავჯექი; გოგონა ჩემგან ორიოდე ნაბიჯზე იდგა, სიამოვნებით უცქერდა თავის ანარეკლს და საკუთარი ვარდისფერი შუქით აცისკროვნებდა კარადის კარის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცებულსა და კმაყოფილ სარკეს „მისმინე, ლოლიტა მოდი ერთ რამეზე შევთანხმდეთ წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით მე მამაშენი ვარ ძალიან მიყვარხარ. როდესაც დედა არ გახლავს, შენს კეთილდღეობაზე მე ვაგებ პასუხს: მდიდრები არა ვართ და, რადგან ერთად ვმოგზაურობთ, იძულებულნი ვიქნებით — იძულებულნი ვიქნებით, ხშირად ვიყოთ ერთად. როდესაც ორნი ერთ ოთახში ცხოვრობენ, გარდუვალია — როგორ გითხრა? გარდუვალია გარკვეული...“

„სისხლის აღრევა“, მიკარნახა ლოლიტამ — და კარადაში შევიდა, და ნორჩი, წკრიალა კისკისით იქიდან გამოვიდა, გვერდითი კარი შეაღო, წინდახედულად შეიხედა იქ თავისი უცნაური, დაბინდული თვალებით, რომ კვლავ არ შეშლოდა, და სააბაზანოში შევიდა.

ფანჯარა გამოვაღე, ოფლით გაჟღენთილი პერანგი გავიხადე, გადავიცვი, შევამოწმე, მედო თუ არა აბები პიჯაკის ჯიბეში და ჩემოდანი გავხსენი.

ლოლიტა სააბაზანოდან გამოგოგმანდა. ვცადე, მოვხვეოდი, ისე, უცაბედად, ალერსის ერთი წვეთი სადილის წინ.

მითხრა: „წინადადებას ვიძლევი, კოცნაობა შევწყვიტოთ და ჩავცეცხლოთ“.

სწორედ მაშინ ვაახლე სიურპრიზი.

ოჰ, ჩემო ოცნებათა ოცნებავ! გოგონა ისე გაემართა გადახსნილი ჩემოდნისკენ, თითქოს შორიდან ნადავლს უთვალთვალებდა (შენელებული კინემატოგრაფის მსგავსად) და სადგარზე შედგმულ ამ შორეულ საუნჯეს აკვირდებოდა (გავიფიქრე რა დაემართა-მეთქი მის თვალებს ამ დიდრონ ნაცრისფერ თვალებს იქნებ ორივენი ერთი და იგივე მოჯადოებული ნისლით ვიყავით გარემოცულნი?). ის მიუახლოვდა ჩემოდანს, საკმაოდ მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით შემოსილ ფეხებს მაღლა სწევდა, მომხიბვლელ ბიჭურ მუხლებს ისე ნელა ხრიდა ამ გახალვათებულ სივრცეში თითქოს წყალქვეშ მოძრაობდა ან უწონადობის სიზმარეულ სამყაროში იმყოფებოდა. შემდეგ სახელოებიჟ ამოსწია ლამაზი ძალზე ძვირად ღირებული ქანგისფერი მოკლემკლავა კოფთა ასევე დინჯად და მდუმარედ გაასწორა; უჩვეულო ფრინველის დანახვით სულშეგუბებულ გაშეშებულ მონადირეს ჰგავდა. ეს ფრინველი თითქოს ალისფერი ...ების ბოლოებით ეკავა მერე ბრჭყვიალა ქამრის ხვეული გველი ამოაცოცა (სანამ მე ვიდექი და ველოდებოდი) და მოიზომა.

სახეგაბრწყინებული გულაჩვილებული ლოლიტა მის მომლოდინე მკლავებში შემორონინდა. ნაზი იდუმალი, ბიწიერი, უნდილი, დაბინდული მზერით მელაციცებოდა — ზედგამოჭრილი ბანალური როსკიპი გახლდათ. აი, ვის ბაძავენ ნიმფეტები — სანამ ჩვენ ვგმინავთ და ვიფერფლებით.

„რით არ მოგეჭონა კოჩნა?“ — ჩავბუტბუტე მის თმას (სიტყვებს ველარ ვიმორჩილებდი).

„თუ მართალი გინდა იცოდე“, — თქვა მან, — ისე არ იქცევი როგორც საჭიროა“.

„მიჩვენე როგორ მოვიქცე“.

„თავის დროზე გიჩვენებ“, მიპასუხა ჩემი ენაბრგვილობის მიზეზმა. Seva ascendes, pulsata, brulans, kitzelans, dementissima. Elevator clatterans, pausa, clatterans, populus in corridoro. Hanc nisi mors mihi adimet neimo! Iuncea puellula, jo pensavo fondissime, nobserva nihil quidquam რა თქმა უნდა, მომდევნო წუთს კინაღამ საშინელი შეცდომა ჩავიდინე; საბედნიეროდ, ლოლიტა თავის საუნჯეს დაუბრუნდა.

სააბაზანოდან სადაც საკმაოდ გამოჭირდა მცირე მოთხოვნილებაზე გადართვა, მესმოდა (ვიდექი მიზანს ვაცდენდი, სუნთქვა მეკვროდა) გოგონას ალტაცების გამომხატველი წამოძახილები

ხელები მხოლოდ იმიტომ დაიბანა, რომ სასტუმროს სანიმუშო პატარა საპონი მოეწონა

„წასვლის დროა, ჩემო კარგო; ვფიქრობ შენ ჩემსავით მშიერი ხარ“.

ლიფტისკენ გავემართეთ; ჩემი ქალიშვილი თავის ძველ თეთრ ჩანთას მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქნევდა. მამამისი კი ერთი ნაბიჯით უსწრებდა (nota bene არასოდეს არ უნდა გაუშვა წინ, ის ხომ მანდილოსანი არაა) სანამ ვიდექით (ახლა უკვე გვერდიგვერდ) და ლიფტს ველოდებოდით, ლოლიტამ თავი უკან გადააგდო, დაამთქნარა და კულულები შეარხია.

„ბანაკში რომელ საათზე გაღვიძებდნენ?“

„შვიდის — ხელახალი მთქნარება შეიკავა — ნახევარზე“ მთქნარება დაასრულა და მთელი სხეულით შეტოკდა. „ნახევარზე“, გაიმეორა და ყელი კვლავ ნელ-ნელა გაევსო.

სასტუმროს რესტორანი შემწვარი ცხიმის სურნელითა და უსიცოცხლო ღიმილით შეგვხვდა. ეს იყო ვრცელი, კეკლუცი ფრესკებით მოხატული პრეტენზიული დარბაზი. ფრესკებზე გამოსახული იყო უინტერესო ცხოველებს, დრიადებსა და ხეებს შორის სხვადასხვა მდგომარეობაში გაშეშებული მრავალი მოჯადოებული მონადირე. დარბაზში მიმობნეული რამდენიმე მოხუცი მანდილოსანი, ორი მღვდელი და უჯრედებიან პიჯაკში გამოწყობილი მხარბეჭიანი ვაჟბატონი სადილობას ამთავრებდნენ. რესტორანი ცხრა საათზე იკეტებოდა და მწვანე ფორმაკაბებში ჩაცმული სახეგაყინული მიმტანები ძალზე ესწრაფოდნენ — ჩემდა საბედნიეროდ — ჩვენს თავიდან მოშორებას.

„შეხე, როგორ ჰგავს, რა საოცრად ჰგავს კუილტის“, — ხმადაბლა წაილაპარაკა ლოლიტამ და წვეტიანი გარუჯული იდაყვით კი არ მიმითითა, არამედ სცადა მიეთითებინა დარბაზის შორეულ კუთხეში მჯდარ სპორტულ პიჯაკში გამოწყობილ ვაჟბატონზე.

„ვის — ჩვენს მსუქან დანტისტს?“

ლოლიტამ წყლის ყლუპი პირში შეაჩერა და აცეკვებული ჭიქა მაგიდაზე დადგა. „რა სისულელეა, — მითხრა და სიცილისგან წამოახველა. — იმ მწერალზე ვლაპარაკობ, პაპიროსის რეკლამებზე რომ არის გამოსახული“

ო, სახელმოხვეჭილობა! ო, ქალებო!

როდესაც მაგიდაზე ტორტი დაგვიდეს — ქალიშვილს ალუბლის ტორტის უშველებელი ნაჭერი, ხოლო მის მეურვეს — ნაღების ნაყინის ულუფა (რომლის უმეტესი ნაწილი ლოლიტამ დაუფიქრებლად მიამატა თავის ტორტს), ჯიბიდან ამოვიღე მ ა მ ი კ ო ს ა ბ ე ბ ი ა ნ ი წამლის შუშა. იმ ულიმლამო ფრესკებისა და უცნაური, შემზარავი წამის გახსენებისას ჩემი მაშინდელი მოქმედება უჰაერო სივრცეში მექანიკურ მოძრაობად წარმომიდგება, რაც ჭკუანაღრძობი კაცის სიზმრებს ახასიათებს. ამასთან, იმ წამს ყველაფერი სრულიად მარტივი და გარდუვალი მეგონა. დარბაზს გადავხედე, დავრწმუნდი, რომ უკანასკნელი სტუმარი წასულიყო, შუშას თავი მოვხადე და უდიდესი სიმშვიდით გადმოვაპირქვავე ხელისგულზე. სარკის წინ არაერთხელ გამიმეორებია ეს ჟესტი: ცარიელი პეშვი მიმქონდა პირთან და მასში გადავუძახებდი ხოლმე არარსებულ აბს. ლოლიტამ ჩემი მოლოდინი გაამართლა და ეცა შუშას, რომელშიც მძინარე მზეთუნახავის ბანგით გავსებული მსხვილი, მაცდური, წითელი აბები ეწყო.

„ლურჯები! — წამოიძახა მან. — იისფერ-ლურჯები. რისგანაა დამზადებული?“

„ზაფხულის ცისგან, — მივუგე მე — და კიდევ — ქლიავის, ლეღვისა და მეფეთა სისხლისგან, რომელიც ყურძნის წვენითაა გაჯერებული“.

„არა, სერიოზულად... გეხვეწები!“

„ოჰ, ეს, უბრალოდ, იაკაფსულებია. ვიტამინი იქსი. ისეთი ღონიერი ხდები, როგორც ხა-რი ან სა-რი. გინდა გასინჯო?“

ლოლიტამ თავი ენერგიულად დააქნია და ხელი გამოიწოდა.

ვიმედოვნებდი, რომ ბანგი მალე იმოქმედებდა. მან ელვისებური სისწრაფით იმოქმედა. ხანგრძლივი დღე უკან ჩამოვიტოვეთ: დილას ლოლიტამ ნავით ისეირნა ბარბარასთან ერ-

 

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად (ამ გოგონას და წყლის სპორტს განაგებდა. რის შესახებაც ჩემმა დამათრობლად თვინიერმა ნიმფეტმა მიამბო. მთქნარებისგან სასა ეხეოდა) და კიდევ რაღაც-რაღაცები მოიმოქმედა. იმ დროისთვის. როდესაც ლიფტიდან გამოვედით. კინოში წასვლის ბუნდოვანი სურვილი. რა თქმა უნდა. გადაავიწყდა. ლიფტში მომეყრდნო. ოდნავ გაიღიმა („მოგიყვე. რას ვაკეთებდი?“) და ჩამუქებული ქუთუთოები მილულა. „ალბათ, გეძინება?“ ჰკითხა ბიძია თომამ, რომელიც ლიფტს მართავდა და ფრანკო-ირლანდიური წარმომავლობის წყნარი ჯენტლმენი და მისი ქალიშვილი ზემოთ აჰყავდა. ლიფტში იმყოფებოდა აგრეთვე ორი დამჭკნარი ქალი (ვარდების სპეციალისტები). ისინი თანაგრძნობით უცქეროდნენ ჩემს ნაზ. მზემოკიდებულ. ვარდისფერ, გაბრუებულ თვალისჩინს, რომელსაც ფეხზე დგომის ძალა აღარ შესწევდა და ტორტმანებდა. თითქმის ხელში აატებული ლოლიტა ნომერში შევიყვანე. გოგონა ლოგინის კიდეზე ჩამოჯდა. ქანაობდა და ულიმღამო გაჭიანურებული კილოთი ბუტბუტებდა.

„თუკი გიამბობ... თუკი გიამბობ, დამპირდი (ძილი მოერია! თავს აკანტურებს თვალებს ბლიტავს...) დამპირდი, რომ ბანაკს არ უჩივლებ“.

„მერე. ლოლიტა. ახლა დაწექი. მარტო დაგტოვებ, რომ დაწვე. ათ წუთს გაძლევ“.

„ოჰ, რა ცუდი ვიყავი, — განაგრძო მან და კულულები შეარხია. და ნელი თითებით შავი ხავერდის ლენტი მოიძრო. — მოდი გიამბობ“.

„ხვალ, ლოლიტა. დაწექი. დაწექი. გთხოვ, დაწექი“.

გასაღები ჯიბეში ჩავიდე და კიბეზე დავეშვი.

28

მოწყალეო ქალბატონო მსაჯულნო! მოთმინებით აღიჭურვეთ! ნება მიბოძეთ, წაგართვათ ძვირფასი დროის მცირე ნაწილი! ამგვარად, დადგა დიადი წამი. დავტოვე რულმორეული ლოლიტა, რომელიც ჯერ კიდევ უძირო ლოგინის კიდეზე იჯდა და ზანტად აცოდვილებდა ფეხსაცმლის თასმებს. ფეხი მაღლა აეწია. ბარძაყის ქვედა ნაწილი და საცვლის ნაწიბური უჩანდა — ის ყოველთვის უცნაური გულმავიწყობით თუ ურცხვობით (ან ორივეთი ერთად) ეკიდებოდა ამგვარ გამიშვლებას. ასეთი იყო მისი სანუკვარი ხატება, როდესაც გოგონა ოთახში ჩავკეტე, თან კარი წინასწარ შევამოწმე, შიდა ურდული ხომ არ ჰქონდა. გასაღებზე ხის ჩუქურთმიანი ბურთულა ეკიდა, რომელზეც ოთახის ნომერი იყო აღნიშნული. ის მყისვე გადაიქცა მძიმე „სეზამ, გაიღე“-დ, ანუ ზღაპრულ სალებელად, რომელსაც ნეტარი და საზარელი მომავლის კარი უნდა გაეღო. გასაღები ჩემი იყო, ჩემი, ცხელი, ბანჯგვლიანი მუშტის ნაწილს წარმოადგენდა. რამდენიმე წუთის — ვთქვათ, ოცი წუთის ან ნახევარი საათის შემდეგ 342-ე ნომრის კარს გავაღებ და ბროლის სიზმრით შეპყრობილ ჩემს ნიმფეტს, ჩემს მშვენებას. ჩემს პატარძალს ვიხილავ. მსაჯულნო! აღტაცებას ხმა რომ ჰქონოდა, ამ ბურჟუაზიულ სასტუმროს გამაყრუებელი ბღავილი შეაზანზარებდა. ახლა მწარედ ვნანობ, რომ შვეიცარს მდუმარედ არ დავუტოვე 342-ე ნომრის გასაღები და იმავე ღამეს არ დავტოვე ეს ქალაქი, ქვეყანა, მატერიკი, ნახევარსფერო და მთელი დედამიწა.

ნება მიბოძეთ. აგიხსნათ. ლოლიტას მომხიბვლელმა ქარაგმებმა არც ისე შემაშფოთა. ჯერ კიდევ მტკიცედ მქონდა განზრახული მისი სიწმინდის გაფრთხილება; ვაპირებდი, მხოლოდ და მხოლოდ ღამის საფარქვეშ მემუშავა ნარკოზით გაბრუებულ შიშველ პაწაწა გოგონაზე. „თავშეკავება და მოწიწება“, — ასეთი იყო ჩემი უცვლელი დევიზი და ამ დევიზის ერთგულებას ვლამობდი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სიწმინდე (რომელიც. სხვათა შორის, საფუძვლიანად გააბიაბრუა თანამედროვე მეცნიერებამ) ოდნავ შებღალული იყო ბავშვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა (ალბათ, ჰომოსექსუალური ხასიათის) ეროტიული განცდით მის ამ საძაგელ ზანაკში, რა თქმა უნდა, მე, ჟან-ჟაკ ჰუმბერტს, ძველმოდური, ევროპული შეხედულებები მქონდა. ამიტომ ლოლიტას დანახვისთანავე (ორნახევარი თვის წინ) დავიჯერე, რომ ის ისევე უბიწო იყო, „ნორმალურ ბავშვს“ რომ შეეფერება. მას შემდეგ, რაც დასრულდა დაუვიწყარი ანტიკური სამყარო მისი წარმტაცი ჩვეულებებით, ჩვენს განათლებულ დროში გარშემორტყმული არავართ პაწია მონებით, ამ ნაზი ყვავილებით, რომელთაც რომში აბანოს გასახდელ ოთახში წყვეტდნენ ხოლმე; არც დიადი აღმოსავლეთის კიდევ უფრო ნებიერ ეპოქებს ვბაძავთ — არ ვეფერებით თავაზიან ბავშვებს ცხვრის ხორცის მირთმევის შემდეგ და ვარდისფერი შარბათის დალევამდე. საქმე ისაა, რომ მოზრდილთა სამყაროსა და ბავშვების გამაერთიანებელი ძველი რგოლი ახალმა ჩვეულებებმა და კანონებმა მოშალა. თუმცა ერთ დროს ფსიქიატრია და საზოგადოებრივი მეურვეობა მაინტერესებდა, მაგრამ, არსებითად, ბავშვების შესახებ არაფერი ვიცოდი. ბოლოს და ბოლოს ლოლიტა ხომ მხოლოდ თორმეტი წლისა იყო და გარემოსა და ეპოქის თავისებურებების (სასკოლო ასაკის ამერიკელი ბავშვების აღვირახსნილობის) მიუხედავად, მეგონა, რომ ამ ანცი მოზარდების გარყვნილი თამაშობები მაინც შედარებით უფრო გვიან (და სხვაგვარ ვითარებაში) იწყებოდა. ამიტომ (კვლავ განვაგრძობ მსჯელობას) ჩემი „მე“-ს ერთ-ერთი წარმომადგენელი — მორალისტი გვერდს უვლიდა ამ საკითხს და ეპოტინებოდა პირობით შეხედულებებს თორმეტი წლის გოგონების შესახებ. ჩემი „მე“-ს მეორე ნაწილი — ბავშვთა ფსიქიატრი (შარლატანი, როგორც მათი უმრავლესობა, მაგრამ ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს) ახალფროიდისტულ გულიაშს ცოხნიდა და მეოცნებე, ეგზალტირებულ ლოლიტას ქალწულობის „ლატენტურ“ ფაზაში წარმოისახავდა. ბოლოს, ჩემი არსების მესამე ნაწილი — სექსუალისტი (ვეება, შლეგი ურჩხული) წინააღმდეგი არ იყო იმისა, რომ მისი მსხვერპლი ოდნავ ბიწიერი ყოფილიყო. მაგრამ იქ, სადღაც, მთვარეული ბედნიერების მიღმა დაბნეული აჩრდილები ბჭობდნენ — და როგორ ვნანობ, რომ მათ არ დავუჯერე! ხალხო, მისმინეთ! უნდა მივმხვდარიყავი, რომ ლოლიტა უ კ ვ ე სრულიად განსხვავდებოდა უმანკო ანაბელასგან და რომ იდუმალი ტკბობისთვის განკუთვნილი მოჯადოებული გოგონას ყოველი ფორიდან ნიმფური უკეთურება იფრქვეოდა. ამიტომ საიდუმლო აუხდენელი იყო, ტკბობა კი სიკვდილს მიქადდა. უნდა მივმხვდარიყავი (იმ ნიშნების მიხედვით, რომელთაც ლოლიტას არსებაში მყოფი ვიღაც მაწვდიდა, — ეს იყო ნამდვილი, ბალღური ბუნების ლოლიტა ან მის ზურგს უკან მიმალული ღონემიხდილი ანგელოზი), რომ მომავალი განცხრომაა მხოლოდ წამებასა და ძრწოლას მომიტანდა. ო, ფრთიანო უვალო მსაჯულნო!

ის ჩემია, ჩემი! გასაღები მუჭში მაქვს ჩაბღუჯული, მუშტი ჯიბეში მიდევს. ის ჩემია! ჩხიბვასა და გამოთვლებს ამდენი უძილობა მივუძღვენი და მოვახერხე, სურათისთვის თანდათანობით მომეცილებინა ზედმეტი ლექი. შემდეგ ის გამჭვირვალე საღებავებით გავაფერადე და დავასრულე. ამ სურათზე ლოლიტა შიშველი იყო, ცალი წინდისა და ბრელოკებიანი სამაჯურის გარდა, არაფერი ემოსა ტანთ; იქ გაშოტილიყო, სადაც ჩემმა ჯადოსნურმა ბანგმა წააქცია; პაწაწინა ხელში ხავერდის ლენტი ეჭირა; გარუჯულ სხეულზე მოკლე საბანაო ტრუსი თეთრ ნეგატივად აღბეჭდილიყო. მკრთალ ნორჩ კერტებს მიჩვენებდა; ლამპის ვარდისფერ შუქზე მსუქანი ბორცვის პირველი ღინღლი აბრეშუმივით უბზინავდა. კაკლის ხის ბურთულიანი უზარმაზარი გასაღები ჯიბეში მედო.

დარბაზებში დავხეტიალებდი. შინაგანად გასხივოსნებულს, გარეგნულად პირქუში შეხედულება მქონდა: ვნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ ყოველთვის პირქუშია; ჟინმორეული კაცი გამუდმებით შიშობს (მამანაც კი, რომელსაც სათუთი მსხვერპლი ციხესიმაგრეში ჰყავს ჩაკეტილი), რომელიმე კონკურენტმა-ეშმაკმა ან გავლენიანმა ღვთაებამ არ გააუქმოს მისთვის მომზადებული დღესასწაული· ყოფითი ენით რომ ვთქვათ, უნდა დამელია. მაგრამ აშმორებული ფილისტერებითა და სტილიზებული ნივთებით გავსებულ ამ ძველ, დარბაისლურ სასტუმროში ბარი ვერ ვიპოვე.

მამაკაცთა საპირფარეშოში მოვხვდი. მისმა უკანასკნელმა სტუმარმა, შავ კლერიკალურ კოსტიუმში გამოწყობილმა გულღია კაცმა შარვლის შესაკრავი მოისინჯა (ვენელი ბრძენკაცის აზრით, ამ ჟესტით ადამიანი ამოწმებს, ყველაფერი აკრიფა თუ არა) და მკითხა, პასტორ ვაჟის ლექცია თუ მოგეწონათო. გაოცებით შემომხედა, როდესაც ვუთხარი, ვაჟი კარგი ვაჟბატონია-მეთქი. შემდეგ ქაღალდის ხელსახოცით თითის წვერები გავიმშრალე (ძალზე მგრძნობიარე თითები მაქვს), ქაღალდი ბაკში მარჯვედ გადავისროლე და ჰოლში გავედი. იდაყვებით მოხერხებულად დავეყრდენი კანტორულას და მისტერ ვატკინსს ვკითხე, დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ ჩემს ცოლს არ დაურეკავს-მეთქი; გარდა ამისა, დავინტერესდი, საწოლი თუ იშოვეს. მან მიპასუხა, რომ არავის დაურეკავს (განსვენებული, რა თქმა უნდა, ვერ დარეკავდა) და, თუკი სასტუმროში დავრჩებოდით, საწოლს ხვალ დადგამდენ. დიდი, ხალხმრავალი ოთახის კარზე ეწერა: „მონადირეთა დარბაზი“· იქიდან ხმების გუგუნი მოისმოდა — მებაღეობაზე მსჯელობდნენ ან სულის უკვდავების საკითხს იხილავდნენ. მეორე — „მეწამულ“ — ოთახში დადგმული მაგიდები ნათურების კაშკაშა სხივებში ლაპლაპებდა. ერთ გრძელ მაგიდაზე მორსი და ბისკვიტები დაეწყოთ· დარბაზში მხოლოდ სასტუმროს დიასახლისი იმყოფებოდა· ეს იყო დამჭკნარი ქალი, რომელსაც სასტუმროს დიასახლისების დამახასიათებელი უსიცოცხლო ღიმილი და ლაპარაკის [illegible] ლოტასებრი მანერა სჩვეოდა. ქალი ჩემთან მოვიდა, ღიმილი შემომაფრქვია და იკითხა, ბატონი ბრადოკი ხომ არ ხართო, და თუ ასეა, მისის წვერი სწორედ თქვენ გეძებთო. „რა ქალის შესაფერი გვარია“, შევნიშნე ამაზე და აუჩქარებლად გამოვედი.

ნაირფერადი სისხლი მიჩქროლავდა. გადავწყვიტე, ათის ნახევრამდე მომეცადა. ჰოლში დაბრუნებისას შეცვლილი ვითარება დამხვდა. ჭრელი აბრეშუმით ან შავი მაუდით შემოსილი ადამიანები ცალკეულ მცირერიცხოვან ჯგუფებად გაერთიანებულიყვნენ და შემთხვევით ელფმა ჩემი მზერა დაატკბო ლოლიტას ასაკის მშვენიერი ბავშვით. მას ლოლიტას კაბის მსგავსი (მაგრამ თეთრი) კაბა ეცვა, ხოლო შავი თმა თეთრი ლენტით ჰქონდა შეკრული. განსაკუთრებული სილამაზით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ნიმფეტი გახლდათ. მისმა შიშველმა, ფერმკრთალმა, ფაიფურის ფეხებმა და ქათქათა კისერმა ერთ დაუვიწყარ წამს ძალზე საამო ანტიფონისი (თუკი შეიძლება, ზურგის ტვინში წარმოქმნილი შეგრძნება გამოვხატო მუსიკალური ტერმინის მეშვეობით) შეუერთა იმ წყურვილს, რომლითაც ვილტვოდი ლოყებლაჟღაჟა და გარუჯული, აღგზნებული და წაბილწული ლოლიტას მიმართ. ფერმკრთალმა გოგონამ იგრძნო ჩემი (სრულიად გულგრილი და სათნო) მზერა. მეტისმეტად კდემამოსილი იყო და ძალზე დაიმორცხვა; თვალები გადაატრიალა, ხელის ზურგი ლოყაზე მიიდო, კაბა გაისწორა, ბოლოს მოძრავი, გამხდარი ბეჭები მომიტრიალა და თავის ჩაგოდრებულ დედას განზრახ გაუბა ლაპარაკი.

ხმაურიანი ჰოლიდან გამოვედი. რამდენიმე ხანს თეთრ საფეხურებზე ვიდექი და ვუმზერდი მოთეთრო პეპლების კარუსელს — ისინი მოლივლივე მშფოთვარე ღამის ნესტით გაჟღენთილ წყვდიადში ფარნის გარშემო ტრიალებდნენ. გავიფიქრე, რომ ყოველივე, რასაც მოვიმოქმედებდი და რაზეც ვაკადნიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდებოდი, არსებითად უმნიშვნელო რამ იყო... ანაზდად ვიგრძენი, რომ ბინდბუნდში, ჩემს მახლობლად, ვიღაც იმყოფებოდა — ბაქნის სვეტებს შორის დადგმულ ერთ-ერთ სავარძელში ვიღაც იჯდა. სიბნელეში ვერავინ დავინახე, მაგრამ გავიგონე მათარის გახსნის ხმა; შემდეგ მორიდებული ბუყბუყი და სახურავის ჩახრახნის ხმაური მომესმა. უკვე გაცლას ვაპირებდი, როდესაც უცნობმა მომმართა:

„ეგ გოგონა რად გილირს?“

„მაპატიეთ?“

„მგონი, აღარ წვიმს-მეთქი“.

„დიახ, მგონი, ასეა“.

„ის სადღაც მინახავს“.

„ჩემი ქალიშვილია“.

„საეჭვო რამეა“.

„უკაცრავად?..“

„საუცხოო ღამეა-მეთქი. დედამისი სადაა?“

„გარდაიცვალა“.

„აი, თურმე რა. დასანანია. რას იტყვით, ხვალ ერთად ხომ არ გვესადილა სამივეს? იმ დროისთვის ყველა ეს არამზადა გაგვეცლება“.

„ჩვენ მივემგზავრებით. ღამე მშვიდობისა“.

„სამწუხაროა. მაგრად დავთვერი. ღამე მშვიდობისა. თქვენს გოგონას ბევრი ძილი სჭირდება. ძილი — ვარდია, როგორც სპარსეთში ამბობენ. პაპიროსი გინდათ?“

„გმადლობთ. ახლა არ მინდა“.

უცნობმა ასანთი გაჰკრა. იმიტომ, რომ მთვრალი იყო (ან იმიტომ, რომ ქარი იყო მთვრალი), ალმა ის კი არ გაანათა, არამედ ვიღაც ღრმად მოხუცებული კაცი (ერთი იმათგანი, ვინც სიცოცხლის დარჩენილ ნაწილს ამგვარ ძველ სასტუმროებში ატარებს) და მისი თეთრი სარწეველა გამოჰგლიჯა სიბნელეს. ხმა არავინ ამოიღო და წყვდიადი თავის ადგილს დაუბრუნდა. შემდეგ გავიგონე, როგორ ჩაახველა და ხმამაღლა გადააწიტა სასტუმროს ძველმა მცხოვრებმა.

ვერანდიდან გავედი. ნახევარმა საათმა უკვე განვლო. რატომ არ ვთხოვე კაცს ერთი ყლუპი ვისკი! დაძაბულობამ თავი იჩინა. ვიოლინოს სიმივით ვეწამებოდი. ამასთან, აჩქარება უზრდელობად ჩამეთვლებოდა. როდესაც ჰოლის ერთ კუთხეში გაშეშებული ადამიანების თახავარსკვლავედს მივარღვევდი, მაგნიუმმა დამაბრმავებლად გაიელვა და უკვდავყო გაღრეჭილი პასტორი ბრადოკი, ორი ქალბატონი-პატრონესა, რომელთაც მკერდზე აუცილებელი ორქიდეები ჰქონდათ მიბნეული, თეთრკაბიანი გოგონა და, ალბათ, კბილებდაკრეჭილი ჰუმბერტ ჰუმბერტი, რომელიც ცდილობდა, გვერდულად გაეღწია მოჯადოებულ მღვდელსა და ამ გოგონას შორის (მცირეწლოვან პატარძალს რომ ჰგავდა). ეს უკვდავყოფა პროვინციული პატარა გაზეთის ქაღალდსა და ტექსტს უნდა განეხორციელებია. ლიფტის მახლობლად მეორე მოტიტინე ჯგუფი იდგა და კიბით ასვლა ვამჯობინე. 342-ე ნომერი იმყოფებოდა მეორე, გარე კიბესთან, რომელიც ხანძრის შემთხვევაში თავის დასახსნელად იყო ნავარაუდევი. ჯერ კიდევ შემეძლო, თავი გადამერჩინა, მაგრამ — გასაღები კლიტეში გადატრიალდა და უკვე ოთახში შევდიოდი.

29.

განათებული სააბაზანო ოთახის კარი გამოღებული იყო; გარდა ამისა, ჟალუზში ქუჩის ფარნების (ჩონჩხისმაგვარი მოხაზულობის მქონე) შუქი ატანდა. ეს გადაჯვარედინებული სხივები საძინებლის წყვდიადში გარკვევის საშუალებას იძლეოდა.

ერთ-ერთ ძველ ღამის პერანგში ჩაცმული ლოლიტა ჩემკენ ზურგშექცევით იწვა ორადგილიანი საწოლის შუაგულში. მისი სხეული თხელ ქსოვილში გამოსჭვიოდა და მოკლე ზიგზაგს წარმოქმნიდა. თავქვეშ ორივე — თავისა და ჩემი — ბალიში ამოედო. კულულები გასწეწოდა. მკრთალი შუქის ზოლი მისი ზურგის ზედა ნაწილს კვეთდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანისამოსი გავიხადე და პიჟამა ფანტასტიკური სისწრაფით ჩავიცვი; რაც ასე დამაჯერებელია კინემატოგრაფიაში (გადაცმის სცენის გამოტოვებისას); ის იყო, საწოლის კიდეს მუხლით დავეყრდენი, რომ ზოლიანი ჩრდილის მიღმა გაწოლილმა ლოლიტამ უეცრად თავი მოაბრუნა და მომაშტერდა.

ახალმოსული ამას არ მოელოდა! დასაძინებელ აბთან დაკავშირებული ოინის (ჩვენ შორის რომ ვთქვათ, საძაგელი წამოწყების) მიზანი იყო იმდენად ღრმა ძილის მოგვრა, რომ გოგონა მთელ პოლკს ვერ უნდა გაეღვიძებინა, ის კი, შეხეთ, როგორ დამაცქერდა, ენას ძლივს ატრიალებს და ბარბარას მიწოდებს! პიჟამიანი ცრუ-ბარბარა კი გახევდა და მოლუღლუღე ბავშვის თავზე დაეკიდა. ნელა, უიმედო ოხვრით, ლოლი მატრიალდა და პირვანდელი მდგომარეობა მიიღო. ორიოდ წუთის განმავლობაში დაძაბული ვიდექი საწოლის კიდესთან. იმ პარიზელ თერძს ვგავდი, პარაშუტი რომ შეკერა და, ეიფელის კოშკზე მდგარი, გადასახტომად ემზადებოდა. ბოლოს და ბოლოს ლოგინის ჩემთვის დატოვებულ ვიწრო ნაწილზე მოვთავსდი; ფრთხილად მოვწიე ჩემი გაშეშებული, ცივი ქუსლების სამხრეთით გადაგდებული ზეწრების კიდეები; ლოლიტამ თავი ასწია და მომაჩერდა.

თავაზიანმა ფარმაცევტმა შემდგომ მაუწყა, რომ იისფერი აბი ბარბიტალური ნარკოტიკების მრავალრიცხოვან და ცნობილ ოჯახსაც კი არ განეკუთვნებოდა. ნევრასტენიკს, რომელიც მისი ზემოქმედების ძალას ირწმუნებდა, ის, ალბათ, დააძინებდა, მაგრამ წამალი ძალზე სუსტი იყო იმისთვის, რათა ხანგრძლივად გაებრუებინა ცქვიტი (თუმცა კი დაღლილი) ნიმფეტი. მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რამზდელელი ექიმი შარლატანი იყო თუ ცბიერი კაცი. არსებითი ის იყო, რომ მან მომატყუა. ლოლიტას გაღვიძებისთანავე მივხვდი, რომ ჩემ მიერ ნავარაუდევი უსაფრთხოება გამიქარწყლდა. გოგონა წყნარად მიტრიალდა და თავი ბალიშზე დაადო — იმ ბალიშზე, რომელიც უსამართლოდ წამართვა. უფსკრულის პირას გაუნძრევლად ვიწექი. ლოლიტას აწეწილ თმასა და ნიმფეტური სიშიშვლის ელვარებას ვაკვირდებოდი (იქ, სადაც ბუნდოვნად მოჩანდა მხრისა თუ ბარძაყის ნახევარი) და ვცდილობდი, გოგონას ძილის სიღრმე მისი სუნთქვის ტემპის მიხედვით განმესაზღვრა. გარკვეულმა დრომ განვლო; არაფერი შეცვლილა. გავბედე და გადავწყვიტე, ოდნავ მივახლოვებოდი ამ მშვენიერ, გამაოგნებელ ციმციმს. მაგრამ როგორც კი მის თბილ შემოგარენში გადავინაცვლე, თანაბარი სუნთქვა შეწყდა. დამებადა საზარელი ეჭვი, რომ პატარა დოლორესმა საბოლოოდ გაიღვიძა და მზად იყო, წივილ-კივილი აეტეხა, თუკი ჩემი უბადრუკი, მტკივანი სხეულის რომელიმე ნაწილით შევეხებოდი. მკითხველო, გთხოვ, რაც არ უნდა გაგაღიზიანოს ჩემი წიგნის გულკეთილმა, ავადმყოფურად მგრძნობიარე, უსაზღვროდ წინდახედულმა გმირმა, ნუ გამოტოვებ ამ მეტად მნიშვნელოვან ფურცლებს! წარმომიდგინე! ვერ ვიარსებებ, თუ არ წარმომიდგენ; შეეცადე, ჩემში განჭვრიტო შველი, რომელიც საკუთარი უკანონობის ტევრში ძრწოდა; მოდი, ოდნავ გავიღიმოთ კიდეც. მაგალითად — თავის მისადრეკი ადგილი არ მქონდა, საერთო უხერხულობას კი კუჭის საძაგელი წვა დაემატა (ქონში შემწვარი კარტოფილისგან, რომელსაც, რატომღაც, „ფრანგულს" უწოდებენ).

ჩემს ნიმფეტს კვლავ ღრმად ეძინა; მაგრამ ჯადოსნური მოგზაურობის დაწყება მაინც ვერ გავბედე. „მძინარე მზეთუნახავი, ანუ სასაცილო მიჯნური" (გრავიურის სახელწოდება). ხვალ იმ ძველ აბებს დავალევინებ, რომელთაგანაც დედამისი ასე საფუძვლიანად შეშდებოდა. სად შევინახე — ავტომობილის წინა კოლოფში თუ დიდ საკვოიაჟში? იქნებ ერთი საათიც მოვიცადო და შემდეგ კვლავ მივუჩოჩდე? ნიმფოლეფსიის მეცნიერება ზუსტი მეცნიერებაა. შეიძლება, ერთ წუთში მოასწრო, თუ ჩაეკონე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბი. ერთი მილიმეტრის მანძილზე ათი წამი დასჭირდება. დავიცადოთ.

ამერიკულ სასტუმროზე ხმაურიანი ამქვეყნად არაფერია, — ამასთან, ითვლებოდა, რომ ჩვენი ოტელი წყნარი, მყუდრო, ძველი ყაიდის, შინაური სავანე იყო და ყოფის სინატიფეც ახასიათებდა. ჩემი თავის ქალის ჩრდილოაღმოსავლეთით, ოცი ნაბიჯის დაშორებით ლიფტის კარის ჯახუნი გაისმოდა და ამ ხმას ისე მძაფრად აღვიქვამდი, თითქოს რკინის კარი ჩემს მარცხენა საფეთქელში ხმიანობდა; მას ენაცვლებოდა ლიფტის მანქანის სხვადასხვაგვარი მანევრებით გამოწვეული ღრჭიალი და ზრიალი, რამაც ნაშუაღამევს დიდხანს გასტანა. დროდადრო, ჩემი მარცხენა ყურისგან აღმოსავლეთით (გულაღმა ვიწექი და ვერ ვბედავდი, სხეულის ბილწი მხარე ჩემი თანამეცხედრის დაბინდული თეძოსკენ მიმეტრიალებინა), დერეფანი კიდით-კიდემდე ივსებოდა ხალისიანი, ხმამაღალი და უაზრო წამოძახილებით, რაც დამშვიდობების ბათქით მთავრდებოდა. როდესაც ყოველივე ეს ბოლოს და ბოლოს დასრულდა, ჩემი ნათხემიდან ჩრდილოეთის მიმართულებით ვიღაცის კლოზეტი ამუშავდა. ეს იყო მხნე, ენერგიული, ბოხხმიანი კლოზეტი, რომლითაც მრავალრიცხოვანი ოჯახი სარგებლობდა. მისი ბუყბუყის, სწრაფი ამონთხევებისა და ხანგრძლივი ბოლოსიტყვაობისგან ჩემს სასთუმალთან კედელი ზანზარებდა. შემდგომ, ჩემგან სამხრეთით, ვიღაცას წარმოუდგენლად აღებინებდა — ამ კაცმა ლამის სული ამოაყოლა ვისკისთან ერთად. ჩვენ გვერდით განლაგებული მისი სააბაზანოს უნიტაზი რამდენჯერმე ნამდვილი ნიაგარასავით ჩამოიქცა. ბოლოს, როდესაც ყველა ეს ჩანჩქერი დადუმდა და მოჯადოებულმა მონადირეებმა დაიძინეს, ჩემი უძილობის ფანჯრის ქვეშ, ჩემი სიფხიზლისგან დასავლეთით გაშენებული კეთილმოწყობილი, დიდებული, ხშირტოტებიანი ხეებით დამშვენებული ბულვარი (რომელიც არც ერთი სავაჭრო დაწესებულებით არ იყო შებღალული) გარდაისახა საძაგელ შუკად, სადაც წვიმიან-ქარიანი ღამის წყვდიადში უზარმაზარი სატვირთო მანქანები დაგრიალებდნენ.

ამავე დროს ჩემგან და ჩემი ალმოდებული სიცოცხლისგან ექვსიოდ გოჯის მანძილზე ნისლისფერი ლოლიტა იწვა! უძრავი სიფხიზლის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ კვლავ გავიწვდინე მისკენ საცეცები და ამჯერად ლეიბის ჭრიალმა ის არ გააღვიძა. მოვახერხე, მძიმე, ჟინმორეული სხეული ისე მიმეახლოებინა, რომ ლოყაზე, თბილი სუნთქვის მსგავსად, მისი შიშველი მხრის აურა მომლამუნებოდა. ლოლიტამ წამოიწია, ამოიოხრა, ბოლვითი სისწრაფით რაღაც წაიტიტინა ნავების შესახებ, ზეწარი მოქაჩა და კვლავ გადაეშვა თავის ბნელ, ნორჩ, უგრძნობელ წალკოტში. ძილის ამ უხვ ნაკადში გოგონა აწრიალდა და შიშველი, ყავისფერი ხელი, ახლა მთვარისფერი რომ დაჰკრავდა, ჩემს სახეზე მოწყვეტით დააგდო. ტყვე ქალი წამით შევიპყარი, მაგრამ მან თავი გაითავისუფლა ოდნავ მონიშნული ხვევნისგან. ამასთან, ეს შეგნებულად, ტლანქად, პირადი სიძულვილით კი არ ჩაიდინა, არამედ—უბრალოდ — ამ ბავშვის შესაბრალისი ბუტბუტით, მის კუთვნილ მოსვენებას რომ მოითხოვს და არავის მიმართ არაა მიმართული. შემდეგ კვლავ ძველი ვითარება აღდგა: გაზნექილი ზურგით ჰუმბერტისადმი შებრუნებული ლოლიტა; ჰუმბერტი, რომელსაც თავქვეშ ხელი ამოედო და ჟინითა და კუჭის წვით იტანჯებოდა.

იძულებული გავხდი, წყლის დასალევად სააბაზანოში გავსულიყავი. ჩემთვის ეს საუკეთესო წამალია (თუ რძენარევ ბოლოკს არ ჩავთვლით); შემდგომ ხელახლა შევაბიჯე საკვირველ, მკრთალზოლებიან დილეგში; თითქოს და მოტივტივე ავეჯზე ლოლიტას ძველი და ახალი ტანისამოსი სხვადასხვაგვარ მოჯადოებულ მდგომარეობაში იყო მიმოფანტული; ამ დროს ჩემმა აუტანელმა ქალიშვილმა თავი ასწია და მკაფიოდ გამოაცხადა, რომ მასაც სწყუროდა. გო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონამ ჩრდილოვანი ხელით გამომართვა ქაღალდის დრეკადი, ცივი ჭიქა, მის კიდეს გრძელი წამწამები შეუშვირა და სულმოუთქმელად დალია წყალი; შემდეგ ბავშვური მოძრაობით, რომელიც უფრო მომხიბვლელი იყო, ვიდრე ყველაზე ამო ალერსი, პაწია ლოლიტამ ტუჩები ჩემს მხარს შეაწმინდა, თავის ბალიშზე გადაწვა (სანამ სვამდა, ჩემი ამოვაცალე) და დაუყოვნებლივ დაიძინა.

ვერ გავბედე, საძინებელი წამლის მეორე დოზა შემეთავაზებინა მისთვის; გარდა ამისა, მაინც ვიმედოვნებდი, რომ ბოლოს და ბოლოს პირველი გააღრმავებდა გოგონას ძილს. თანდათან მივიწევდი მისკენ და ნებისმიერი შეურაცხყოფისთვის მზად ვიყავი. ვიცოდი, რომ დახანება სჯობდა, მაგრამ ველარ ვითმენდი. ბალიშს მისი თმის სურნელი ასდიოდა. ვუახლოვდებოდი ჩემს მოციმციმე მტრედს, მაგრამ მის ყოველ განძრევისთანავე ერთ ადგილას ვშეშდებოდი და ვიბუზებოდი. საკვირველებათა ქვეყნიდან მონაქროლმა ნიავმა უკვე იმოქმედა ჩემს აზრებზე; მეჩვენებოდა, რომ ისინი კურსივით იყო გამოყოფილი, ხოლო მათი ამრეკლავი ზედაპირი ამ მოჩვენებითი ქროლისგან ლივლივებდა. დროდადრო ჩემი ცნობიერება საპირისპირო მხარეს იხრებოდა; ზოგჯერ ჩემი სხეული ძილის სფეროში ექცეოდა, შემდეგ კი კვლავ უკან მოიხლაზნებოდა; ორჯერ ვიგრძენი, რომ მელანქოლიური ხვრინვა ამოვუშვი. სევდის მთებს სინაზის ნისლი ფარავდა. ხანდახან მეჩვენებოდა, თითქოს მოჯადოებული ნადავლი მზად იყო, შუაგზაზე დახვედროდა მოჯადოებულ მონადირეს; რომ მისი თეძო ჩემკენ მოიწევდა შორეული, სარაკო ნაპირის ფხვიერ ქვიშაში; მაგრამ ეს ნაჩვრეტიანი ნისლი უეცრად შეთრთოლდებოდა ხოლმე და ვხვდებოდა, რომ ლოლიტა ჩემგან კიდევ უფრო შორს იყო, ვიდრე ოდესმე.

იმ გარდასული ღამის ცახცახსა და მიპარვის ცდებს ასე დაწვრილებით იმიტომ აღვწერ, რომ დაგიმტკიცოთ — არასოდეს ვყოფილვარ (და არც შეიძლებოდა, ვყოფილიყავი) ბრუტალური არამზადა. ნაზი, საოცნებო მხარე, სადაც დავხეტიალებდი, პოეტთა სამკვიდრებელი იყო და არა ყაჩაღთა ბუნაგი. მიზნის მიღწევისას ჩემი აღტყინება მთლიანად შინაგან წვაზე თუ დაიყვანებოდა. ლოლიტას კიდეც რომ ეფხიზლა, თითქმის ვერ შეიგრძნობდა მის ნოტიო მხურვალებას. ამასთან, ჯერ კიდევ ვიმედოვნებდი, რომ ღრმად დაიძინებდა და მისი მოციმციმე სიშიშვლით ტკბობას არ დავჯერდებოდი. შერეული შეგრძნებები გოგონას მთვარის თვალებდაჭყეტილი ათინათების გროვად მისახავდა ან გაფოთლილ, აყვავებულ ბუჩქს ამგვანებდა; მესიზმრებოდა, რომ მეღვიძა, მესიზმრებოდა, რომ ვუსაფრდებოდი.

სასტუმროს მღვიძარე ცხოვრება გამთენიისას რამდენადმე მიყუჩდა. შემდეგ, დაახლოებით ოთხი საათისთვის, დერეფნის კლოზეტში წყლის ნაკადი ჩაქრიალდა და ვიღაცამ კარი გაიჯახუნა. ექვსის დასაწყისში შიდა ეზოდან თუ ავტომობილების სადგომიდან ხმამაღალი მონოლოგის რამდენიმე გამოშვება (თუ შეიძლება ასე ითქვას) მომესმა. ეს საკუთრივ მონოლოგი არ გახლდათ — მოლაპარაკე ყოველ რამდენიმე წამში დუმდებოდა, რათა ნავარაუდევი თანამოსაუბრისთვის მოესმინა. ამ უკანასკნელის ხმა ჩემამდე არ აღწევდა, რის შედეგადაც საუბრის ნახევრის ნამდვილი მნიშვნელობა ვერ აღვიქვი. მისმა ყოფითმა ინტონაციებმა გზა გაუკვალა რიჟრაჟს და ოთახი აიმღვრა იასამნისფერ-რუხი ლექით; ერთიმეორის მიყოლებით ამოქმედდა რამდენიმე გამრჯე საპირფარეშო, ლიფტი კი გრუხუნითა და ზუზუნით შეუდგა აღმა-დაღმა მოძრაობას; რამდენიმე წუთის განმავლობაში უხალისოდ ვთვლემდი, და შარლოტა მომწვანო აუზის მკვიდრი ალქაჯი იყო, და სადღაც, დერეფანში ადრე ამდგარმა პასტორმა ვიღაცას მსუყე ხმით უსურვა „დილა მშვიდობისა!“, და ჩიტები ფოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებში ფუსფუსებდნენ და აი — ლოლიტამ დაამთქნარა.

ქალწულებრივად გულგრილო ქალბატონო მსაჯულნო! მეგონა, რომ თვეები (ან წლები) გავიდოდა, სანამ პატარა დოლორეს ჰეიზს ჩემი გულისნადების გამხელას გავუბედავდი, მაგრამ ექვსი საათისთვის მან საბოლოოდ გაიღვიძა, შვიდის თხუთმეტ წუთზე კი ჩემი სატრფო გახდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ახლა უცნაურ ამბავს გაგანდობთ: მან თვითონ მაცდუნა.

როდესაც ლოლიტას პირველი მთქნარება მომესმა თავი მოვიმძინარე და მისკენ ლამაზი პროფილი შევაბრუნე. მართალი გითხრათ, არ ვიცოდი, რა მექნა ხომ არ აღშფოთდება, მის გვერდით რომ მიხილავს? რა იზამს — ტანისამოსს ხელს სტაცებს და სააბაზანოში ჩაიკეტება? მომთხოვს, რომ დაუყოვნებლივ რამზდელში წავიყვანო? დედამისთან, საავადმყოფოში? ბანაკში დავაბრუნო? მაგრამ ჩემი პაწია ლოლიტა ანცი გოგუცუნა იყო და როდესაც მისი შეკავებული, ესოდენ საყვარელი ფხუკუნი მომესმა, მივხვდი, რომ ცუღლუტი თვალებით მსინჯავდა; შემდეგ ის ჩემს მხარეს გადმოგორდა და თბილი ქერა კულულები მარჯვენა ლავიწზე გადმომაფინა. გალევიძება საკმაოდ უნიჭოდ განვასახიერე. თავდაპირველად წყნარად ვიწექით. წყნარად ვეფერებოდი თმაზე და წყნარად ვკოცნიდით ერთმანეთს. ნეტარებით და, ამასთან, უხერხულობის გრძნობით ამავსო იმან, რომ ლოლიტას კოცნა კომიკური დაზვეწილობით გამოირჩეოდა (მაძიებელი ნესტრის თრთოლის გამო). ალბათ, რომელიმე პატარა გარყვნილმა გოგონამ გაწვრთნა-მეთქი, დავასკვენი. ასე ვერავითარი ჩარლი ვერ გაწაფავდა. შემდეგ ის ოდნავ უკან გადაიხარა და დამაკვირდა, თითქოს ამოწმებდა, გული ამიმსუყდა თუ არა და კარგად თუ ავითვისე დაპირებული გაკვეთილი. ლოყები შევეფაკლა. ფაფუკი ქვედა ტუჩი ულაპლაპებდა. თავს ძლივს ვიკავებდი. უეცრად, ხულიგნური მხიარულებით (ნიმფეტის დამახასიათებელი ნიშანი!) ატაცებულმა, ტუჩები ყურზე მომადო — მაგრამ გონებამ დიდხანს ვერ შეძლო მისი ჩურჩულის დანაწევრება, და ის სიცილით დუმდებოდა, და კულულებს სახიდან იცილებდა, და კვლავ ჩურჩულებდა, და ნელ-ნელა მეუფლებოდა უცნაური გრძნობა, თითქოს ფანტასტიურ, ახლახან შექმნილ, გიჟურ სამყაროში ვიმყოფებოდი, სადაც ყველაფერი დასაშვები იყო. ვხვდებოდი, რასაც მთავაზობდა. ვუპასუხე, რომ არ ვიცოდი, რომელ თამაშს გულისხმობდა — „არ ვიცი, რას თამაშობდით შენ და ჩარლი"-მეთქი. „შენ გინდა, თქვა. რომ არასოდეს?" დაიწყო მან და დაჟინებით ჩამაცქერდა, თან სახეზე ზიზღი და უნდობლობა გამოეხატა. — „ესე იგი, შენ არასოდეს?" — კვლავ დაიწყო ლოლიტამ. შესვენებით ვისარგებლე და სახით მიველამუნე სხეულის სხვადასხვა ფაფუკ ნაკვთებზე. „თავი დამანებე", — დუდღუნით წამოიკივლა მან და ჩემი ტუჩები სწრაფად მოაცილა თავის ყავისფერ მხარს (კურიოზული იყო ის, რომ, ლოლიტას აზრით, — მას დიდხანს მიაჩნდა ასე — ყოველგვარი შეხება, ტუჩებში კოცნის ან უბრალო სქესობრივი აქტის გარდა, დორბლიანი რომანტიკა გახლდათ, ან კიდევ — პათოლოგია).

„ესე იგი, შენ არასოდეს, — ჯიუტად განაგრძო მან (ახლა მუხლებზე იდგა და ზემოდან დამცქეროდა)," — არასოდეს გაგიკეთებია ეს ბიჭობისას?"

„არასოდეს", — ვუთხარი სრულიად გულწრფელად.

„კეთილი". — თქვა ლოლიტამ. — შეხედე, როგორ კეთდება".

განსწავლულ მკითხველს თავს არ შევაწყენ ლოლიტას თავდაჯერების დაწვრილებითი აღწერით. საკმარისია, შევნიშნო, რომ სახედაბრეცილმა დამკვირვებელმა ზნეობრიობის ნასახიც კი ვერ შეამჩნია ამ კოპწია, ნორჩ გოგონაში, რომელიც საბოლოოდ გაერყვნა თანამედროვე ვაჟების ჩვევებს, ერთობლივ სწავლებას, გერლ-სკაუტების კოცონების მსგავს თაღლითურ წამოწყებებს და ასე შემდეგ. მისი შეხედულებით, წმა-

ნდა მექანიკური სქესობრივი აქტი მოზარდთა იდუმალი (მოწიფული ადამიანებისთვის მიუწვდომელი) სამყაროს განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა. როგორ იქცევიან მოზრდილები, რათა ბავშვები იყოლიონ, ეს მას სრულიად არ აინტერესებდა. ჩემი სიცოცხლის კვერთხს ლოლიტა არაჩვეულებრივად ენერგიულად და გულმოდგინედ განაგებდა, ისე, თითქოს ეს ჩემთან დაუკავშირებელი, უგრძნობელი რამ იყო. რა თქმა უნდა, ძალიან მონდომებული იყო, განვეცვიფრებინე მცირეწლოვანი ვიგინდარებისთვის ჩვეული თამამი ქცევით, მაგრამ ბავშვურ ზომებსა და ჩემს ზომას შორის განსხვავებას არ მოელოდა. მარტოოდენ თავმოყვარეობის კარნახით არ მიატოვა წამოწყებული საქმიანობა, რადგან მე ნამდვილ ბრიყვად მომქონდა თავი და სამოქმედო ასპარეზი მას დავუთმე (სანამ უმოქმედობის ატანა შემეძლო). ამასთან ყოველივე ზემოთქმული არ შეეხება საქმის ვითარებას; სქესის საკითხები არ მაინტერესებს. ყოველ ჩვენგანს შეუძლია, თვითონვე წარმოიდგინოს ჩვენი ცხოველური არსების ესა თუ ის გამოვლინება. სხვა, დიადი საქმე მიტაცებს: ერთხელ და სამუდამოდ აღვწერო ნიმფეტების დამღუპველი ხიბლი.

30.

ფეხაკრეფით უნდა ვიარო. ჩურჩულით უნდა ვილაპარაკო. სისხლის სამართლის საქმეთა დამსახურებულო რეპორტიორო, მოხუცო მედიდური სასამართლოს ბოქაულო, ცალკე საკანში მჯდარო, ოდესღაც ყველასთვის საყვარელო პოლიციელო (რამდენ ხანს ამშვენებდი სკოლის მახლობელ გზაჯვარედინს), შიშით შეპყრობილო გადამდგარო პროფესორო, ყრმა წამკითხველად რომ დაგიქირავებია! მართლაც ცუდი იქნებოდა, რომ ჩემ გამო გაგიჟებით შეგყვარებოდათ ჩემი ლოლიტა! „მოჯადოებულ მონადირეთა თავშესაფრის" დირექტორი ზაფხულის ერთ დღეს ჭკუიდან რომ გადამდგარიყო და მისი სასტუმროს რესტორანში ფრესკების გადაკეთება ჩემთვის (მხატვრისთვის) დაევალებია, აი, რას მოვიფიქრებდი (მხოლოდ ფრაგმენტებს აღვწერ):

დავხატავდი ტბას და თვალისმომჭრელი ყვავილების თალარს. დავუმატებდი ნატურალისტების დაკვირვებებს: ვეფხვი მისდევს სამოთხის ჩიტს, გველი კანგაცლილ მსუქან მთიხვზე გადაჭიმულა და იხრჩობა. დავხატავდი იუტანელი ტანჯვისგან სახედალმეჭილ სულთანს (ამ ტანჯვას გააქარწყლებდა მისი ალერსის სიმრგვალე), ლამაზგავიან პატარა მხევალს ონიქსის სვეტზე ასვლაში რომ ეხმარება. ფრესკას შევამკობდი სქესობრივი სიშმაგის თანმდევი კამკამა ბურთულებით, რომლებიც მუსიკალური ავტომატების ოპალის კედლებზე მიცოცავენ. აქვე იქნებოდა ყოველგვარი საბანკო გასართობები შუალედური ჯგუფისთვის — კაკაო, კრიკეტი, კოჭაობა, და კულულები ტბის მზიან ნაპირზე. დავხატავდი ალვებს, ვაშლებს და კვირადღის დილას გარეუბნის სახლში; დავხატავდი ცეცხლოვან ფერადქვას, რომელიც მრგვალ ჭავლში განზავდებოდა, აგრეთვე — უკანასკნელ ჟრუანტელს, სალებავის უკანასკნელს მონასმს, ალისფერ იარას, აქავებულ სივარდისფერეს, ოხვრას, ზურგშექცეულ ბალღს.

31.

იმისთვის არ ვწერ, რომ, სასოწარკვეთილმა, წარსული ხელახლა განვიცადო; მსურს, ნიმფოლეფსიის უჩვეულო ამაზრზენ, შეშლილ სამყაროში განვაცალკეო ჯოჯოხეთისა და სამოთხის ნიშნები. აქ საუცხოო და საზარელი მოვლენები ერთ წერტილში ერწყმოდა ურთიერთს; სწორედ ამ ზღვრის გამოკვეთა მწადია, მაგრამ საკუთარ უძლურებას ვგრძნობ. რატომ?

რომაული სამართლის თანახმად, მდედრობითი სქესის პირს შეუძლია, თორმეტი წლის ასაკში დაქორწინდეს; მოგვიანებით ეს კანონი ეკლესიამ მიიწონა და ამერიკის ზოგიერთ შტატში ას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქამდე მოქმედებს (გაუხმაურებლად). თხუთმეტი წლის ასაკში კი ქორწინება კანონით ყველგანაა დაშვებული. არაფერია უმსგავსო (უნისონში ამტკიცებს ორივე ნახევარსფერო) იმაში, კულტის მსახურის მიერ ნაკურთხმა ალკოჰოლისაგან გასივებულმა ორმოცი წლის მტარვალმა ოფლით მთლად გაჟღენთილი სადღესასწაულო ტანისამოსი რომ გაიძროს და სახელურამდე შეაღწიოს ნორჩ ცოლში. „ზომიერი სარტყლის ამგვარ მასტიმულირებელ კლიმატურ პირობებში (გვამცნობს ციხის ბიბლიოთეკის ძველი ჟურნალი), რომელიც შეიმჩნევა სენტ-ლუისში, ჩიკაგოსა და ცინცინატიში, ქალიშვილი სქესობრივ სიმწიფეს აღწევს სიცოცხლის მეთორმეტე წლის ბოლოს". დოლორეს ჰეიზი მასტიმულირებელი ცინცინატიდან სამასი მილის დაცილებით დაიბადა. მე მხოლოდ ბუნების კანონებს ვემორჩილები, ბუნების ერთგული ძაღლი ვარ. მაშ რატომ განვიცდი ამ ძრწოლას, რატომ ვერ ვახერხებ მის დაძლევას? გოგონას უმანკოება ხომ არ შემიბღალავს? მოწყალეო ქალბატონებო, მგრძნობიარე ქალბატონო მსაჯულნო! ლოლიტას პირველი სატრფო არ ვიყავი!

32.

მან მომითხრო, როგორ შეაცდინეს საწოლში მივირთმევდით უგემურ ბანანებს, დათუთქვილ ატმებსა და მეტად გემრიელ კარტოფილის ჩიფსებს, თან გოგონა ყოველივეს მიამბობდა. სიტყვამრავალ, მაგრამ აბნეულ თხრობას სასაცილო მანჭვას ურთავდა. ზემოთ, მგონი, უკვე შევნიშნე, რომ განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი ამგვარი გრიმასა, რომელიც ნაგულისხმევ „ი" ბგერას შეესაბამებოდა. ლოლიტა დიდტუჩა პირს დაბრეცდა და თვალებს გადაატრიალებდა ხოლმე, რაც ერთდროულად გამოხატავდა კომიკურ ზიზღს, მორჩილებასა და ახალგაზრდული შეცდომებისადმი შემწყნარებლურ დამოკიდებულებას.

ეს განსაცვიფრებელი ამბავი დაიწყო იმ მეგობრის მოხსენიებით, ლოლიტას თან რომ ცხოვრობდა კარავში, განუყრელ ზაფხულს. სხვა, „ბრწყინვალე" ბანაკში. ამ „ნამდვილმა უპატიოსნომ" „ნახევრადგიჟმა", მაგრამ „ყოჩაღმა" გოგომ დოლორესი სხვადასხვაგვარ მანიპულაციებში გაწაფა. თავდაპირველად ლოლიტ[illegible]

სახელება.

„ეს, ალბათ, გრაცია ანჯელი იყო?" — ვკითხე.

მან უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. „არა, სულ სხვა გოგონა. ბიბოლა მამა ჰყავს".

„მაშინ, შეიძლება, როზა კარმინი?"

„რა თქმა უნდა, არა. მამამისი —"

„აგნესა შერიდანი ხომ არა, შემთხვევით?"

მან ნერწყვი გადაყლაპა და თავი გაიქნია, — შემდეგ უეცრად გონს მოეგო.

„მისმინე, საიდან იცნობ ყველა ამ გოგონას?"

ავუხსენი.

„ერთი სიტყვით, ეს სხვა ვინმეა", თქვა მან. „ბევრი საძაგელი მოსწავლეა ჩვენს გიმნაზიაში, მაგრამ ასეთს ძნელად იპოვი. თუ ძალიან გინდა იცოდე, ელიზაბეტ ტალბოტია. მისი ძმები ჩვენთან სწავლობენ, თვითონ კი ძვირად ღირებულ კერძო სკოლაში გადავიდა, მამამისი რაღაცის დირექტორია".

გულში ჩხვლეტა ვიგრძენი და გამახსენდა, როგორ ტრაბახობდა ხოლმე საწყალი შარლოტა სტუმრად ყოფნისას: „ეს მაშინ იყო, როდესაც ჩემი ქალიშვილი პატარა ტალბოტთან ერთად ექსკურსიაზე წავიდა..."

ვკითხე, დედებმა თუ გაიგეს რამე ამ საფუძვლიანი შექცევის შესახებ-მეთქი.

„ოჰ, რას ამბობ", — ამოიოხრა ლოლიტამ, მოიბუზა და ვითომდა აკანკალებული ხელი თეთრ მკერდზე მიიდო, რათა შიში და შევება განესახიერებინა.

მე უფრო მეტად ჰეტეროსექსუალური თამაშები მაინტერესებდა. ის თერთმეტი წლისა იყო, როდესაც შუა დასავლეთიდან რამზდელში გადმოსახლების შემდეგ დედამისმა გიმნაზიაში შეიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავ, სახელდობრ, რას აკეთებდნენ მისი უნამუსო თანაკლასელი გოგონები და ბიჭები?

„კარგად იცი, რასაც... ტყუპებს, ანტონიუს და ვიოლა მირანდას ტყუილად კი არ ეძინათ ყოველთვის ერთ საწოლში. დონალდ სკოტი ყველაზე დიდი რეგვენი, ჰეზელ სმიტთან ერთად სჩადიოდა ამას ბიძამისის გარაჟში. სპორტსმენი კენეტ რაიტი კი ხელსაყრელსა და არახელსაყრელ სიტუაციებში ყველას აჩვენებდა თავის სარცხვინელს, ხოლო — ...“

„ბანაკ „კუ“-ში გადავფრინდეთ, — თქვა სპორტსმენმა ჰუმბერტმა, — მაგრამ ჯერ შევისვენოთ“. შესვენების შემდეგ ყველა დეტალი გავიგე.

ბარბარა ბერკი, ჩემს თვალისჩინზე ორი წლით უფროსი, ნასხმული, ქერა გოგონა, თავის არაჩვეულებრივ ბაიდარას ლოლიტასთან ერთად განაგებდა, „რადგან მხოლოდ მე შემეძლო ტირიფის კუნძულამდე მიცურვა“ (ვფიქრობ, ეს რაიმე სპორტული შეჯიბრება იყო). მთელი ივლისის განმავლობაში, ყოველ დილას ონიქსიდან ერიქსამდე (ეს ტყეში განლაგებული ორი პატარა ტბა იყო) ბაიდარის გადატანაში ბარბარასა და ლოლიტას ეხმარებოდა ცამეტი წლის ჩარლი ჰოლმსი, ბანაკის უფროსის ვაჟიშვილი და ორი-სამი მილის მანძილზე ერთადერთი მამაკაცი (თუ არ ჩავთვლით დაჩაჩანაკებულ, უწყინარ, ყრუ მოჯამაგირესა და მეზობელ ფერმერს. ეს უკანასკნელი ზოგჯერ ბანაკში მოდიოდა თავისი ძველი ფორდით, რათა, ფერმერების ჩვეულებისამებრ, კვერცხები გაესაღებინა); ყოველ დილას — ო, ჩემო მკითხველო! — ეს სამი მოზარდი გზას იმოკლებდა და ირიბად კვეთდა მშვენიერ, უბიწო ტევრს, სადაც უხვად იყო მიმობნეული ახალგაზრდობის ყველა ემბლემა, ნამი, მოცვი, ჩიტების ჟღურტული. უსიერ ტყეში ბარბარა და ბიჭი ლოლიტას ყარაულად აყენებდნენ, სანამ ბუჩქს მიღმა სიყვარულს ეძლეოდნენ.

თავდაპირველად ჩემს ლოლიტას არ სურდა, „მოესინჯა“, მაგრამ მალე ცნობისმოყვარეობამ და ამხანაგობის გრძნობამ სძლია. რამდენიმე ხნის შემდეგ ის და ბარბარა უკვე რიგრიგობით უწევბოდნენ სიტყვაძვირ, უხეშსა და სრულიად დაუდალავ ჩარლის, რომელიც (როგორც კავალერი) უმ სტაფილოზე მიმზიდველი როდი იყო. სამაგიეროდ, მას ჰქონდა პაწაწინა, გამჭვირვალე შალითების მთელი კოლექცია. ჩარლიმ ისინი მესამე ტბაში იპოვა. ამ ტბას „კლაიმაქსი“ ერქვა, მეზობელი საქარხნო ქალაქის სახელწოდების მიხედვით. რომელიც უკანასკნელ ხანებში სწრაფად გაიზარდა. ლოლიტა აღიარებდა, რომ „ეს, საერთოდ, სასაცილო რამ იყო“ და „სახეზე მუწუკებს სპობდა“, მაგრამ ჩარლის გონებასა და მანერებს უდიდესი დაცინვით ეკიდებოდა. დავუმატებ, რომ ამ წუწკმა არამზადამ კი არ გაალღვიძა, არამედ, პირიქით, გააბრუა ლოლიტაში ქალი.

უკვე თითქმის დილის ათი საათი იყო. ვნება ჩაცხრა და უბედურების საზარელი შეგრძნება ფერფლივით დამეყარა თავზე, რასაც ხელი შეუწყო მკრთალი, ნევრალგიური დღის უხალისო რეალურობამ (მან საფეთქლები ამატკივა). გარუჯულ, ტანკენარ, შიშველ ლოლიტას ვიწრო თეთრი გავა ჩემკენ მოებრუნებინა, ფეხები განზე გაედგა (ახალ ფლოსტებზე კატის ბეწვი ჰქონდა შემოვლებული) და კარში ჩატანებული მოღუშული სარკის წინ ცხვირს იჭმუხნიდა. შუბლზე კულულები დაჰფენოდა. დერეფნიდან შავკანიანი დამლაგებელი ქალების ლაპარაკი ისმოდა და ცოტა ხნის შემდეგ ჩემმა მქუხარე შეძახილმა შეაჩერა კარის გაღების შემპარავი ცდა. ლოლიტას ვუბრძანე, საბაზანოში შესულიყო და შხაპქვეშ კარგად გასაპნულიყო, რაც ძალზე სჭირდებოდა. ჩვენი ლოგინი წარმოუდგენლად იყო აქოთებული; ზედ კარტოფილის ჩიპსები ეყარა. გოგონამ მოიზომა ლურჯი შალის კოსტიუმი, შემდეგ — მეორე, რომელიც უსახელო ბლუზისა და ჰაეროვანი, უჯრედებიანი ქვედატანისგან შედგებოდა, მაგრამ პირველი მათგანი ევიწროვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე კი ძალზე სრული მოეჩვენა; როდესაც ვთხოვე, სწრაფად ჩაეცვა (მდგომარეობა უკვე მაშინებდა), მან გაბოროტებით მოისროლა ჩემი ლამაზი საჩუქრები და გუშინდელი კაბა ჩაიცვა. ბოლოს ხბოს ყალბი ტყავისგან დამზადებული შესანიშნავი ჩანთა მივეცი (შიგ ცენტების მთელი მუჭა და ორი ახალთახალი ათცენტიანი ჩავუდევი) და ვუთხარი, რომ შეეძლო, ჰოლში რაიმე ჟურნალი ეყიდა.

„ერთი წუთის შემდეგ ქვემოთ ვიქნები“, — დავუმატე, — და შენს ადგილას, გენაცვალე, უცხოებს არ დაველაპარაკებოდი“.

ჩემი უბადრუკი პატარა საჩუქრების გარდა, ჩასალაგებელი თითქმის არაფერი იყო; მაგრამ იძულებული გავხდი, გარკვეული დრო დამეთმო (ეს კი სახიფათო იყო — ლოლიტას ქვემოთ ათასი სისულელის ჩადენა შეეძლო) ლოგინის მილაგებისთვის. ჩვენი საწოლი ახლა ნერვული მამისა და მისი ანცი ქალიშვილის მიერ მიტოვებულ პატარა ბუდეს დაემსგავსა (და არა ყოფილი კატორღელისა და ორი მსუქანი, ბებერი როსკიპის ნათარეშალს). შემდეგ ჩავიცვი და მსახურს ვუბრძანე, ბარგი წაეღო.

ყველაფერი კარგად იყო, იქ, ჰოლში, ლოლიტა ღრმად ჩამჯდარიყო სისხლისფერ ტყავის სავარძელში და იაფფასიან კინემატოგრაფიულ ჟურნალში ჩაძირულიყო. მის პირდაპირ იჯდა ტვიდის პიჯაკში ჩაცმული ჩემი ასაკის ვაჟბატონი (ღამის განმავლობაში სასტუმროს ჟანრი ბრიტანული საკარმიდამო ყოფის საეჭვო ასლად შეცვლილიყო). ის გუშინდელი გაზეთისა და ჩამქრალი სიგარის მიღმა დაჟინებით ჩაშტერებოდა ჩემს გოგონას. ლოლიტას თითქმის სასკოლო ყაიდის თეთრი წინდები და ჭრელი ფეხსაცმელი ემოსა, ტანთ ხასხასა ჩითის ესოდენ ნაცნობი, კვადრატულად ამოჭრილი კაბა ეცვა; ლამპის მოყვითალო შუქზე მკაფიოდ ეტყობოდა ოქროსფერი ღინღლი, მზემოკიდებულ ხელ-ფეხს რომ უფარავდა. ცალი ფეხი მაღლა აეწია და ქარაფშუტულად გადაედო მეორეზე; უნდილ თვალებს სტრიქონებს გასწვრივ აცეცებდა და დროდადრო ახამხამებდა. ბილის ცოლი პირველ შეხვედრამდე დიდი ხნით ადრე თაყვანს სცემდა მას: იდუმალად შესტრფოდა ამ სახელგანთქმულ ახალგაზრდა კინომსახიობს, როდესაც ის შვაბის სააფთიაქო მაღაზიაში ნაყინს მიირთმევდა ხოლმე. რა უნდა ყოფილიყო უფრო ბალღური, ვიდრე ლოლიტას აპრეხილი ცხვირი, ჭორფლიანი პირისახე ან შიშველ კისერზე დაჩნეული იისფერი ლიბრი, რომელიც ზღაპრულ ვამპირს ახლახან ამოეწუწნა, ან უნებლიე მოძრაობა ენისა, რომელიც ვარდისფერ გამონაყარს სინჯავდა; არაფერი იყო იმაზე უცოდველი, ვიდრე ჯილის თავგადასავლის კითხვა — ეს ენერგიული სტარლეტი თვითონ იკერავს ტანსაცმელს და გულდასმით ეცნობა „სერიოზულ ლიტერატურას“; არაფერი იყო იმაზე უმანკო, ვიდრე მბზინვარე კულულების განაყოფი და აბრეშუმისებრი ელვარება საფეთქელთან; არაფერი იყო იმაზე მიამიტი... მაგრამ რა საშინელი შური აღემძროდა აგერ იმ დრუნჩა გარყვნილ კაცს (ის, სხვათა შორის, წააგავდა ჩემს შვეიცარიელ ბიძას — გუსტავს, რომელსაც აგრეთვე ძალიან უყვარდა შემთხვევით გაშიშვლებული სხეულის ჭვრეტა), თუკი გაიგებდა, რომ ჩემს თითოეულ, ნეტარებისგან თითქოს გაპოხილ ნერვს ჯერ კიდევ მჭიდროდ შემოტმასნოდა ლოლიტას სხეულის შეგრძნება. ეს იყო სხეული უკვდავი დემონისა, რომელიც პატარა გოგონას სახით მომევლინა.

აბსოლუტურად დარწმუნებულია თუ არა მისტერ შვაინი, რომ ჩემს ცოლს ჯერ არ დაურეკავს? დიახ — დარწმუნებულია. თუ ის დარეკავს, ხომ არ აუწყებს მისტერ შვაინი, რომ ჩვენ დეიდა კლერის ადგილსამყოფელისკენ გავემგზავრეთ? ო, რა თქმა უნდა, გადასცემს. ფული გადავიხადე, და ლოლიტას მივუბრუნდი. ვაიძულე, სავარძლიდან ამდგარიყო. სანამ ავტომობილისკენ მივდიოდით, კითხვა არ შეუწყვეტია. ქალაქგარეთ, კაფესკენ გავემგზავრეთ. ის კვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავ კითხულობდა. საუზმე კარგად მიირთვა, ვერაფერს ვუსაყვედურებდი; ასე გასინჯეთ, ჟურნალიც კი გვერდზე გადადო; ამასთან, ყოველთვის ეგზომ მხიარული გოგონა უჩვეულოდ დაღვრემილი იყო. ვიცოდი, რომ ლოლიტას შეეძლო, აუტანლად მომქცეოდა, ამიტომ ვცდილობდი თავი შემეკავებინა და მხნე ღიმილით ველოდი ქარიშხალს. არ მიბანავია, პირი არ გამიპარსავს, კუჭს არ უმოქმედია. გაღიზიანებული ვიყავი. არ მომწონდა, რომ ჩემი პატარა სატრფო მხრებს იჩეჩდა და ნესტოებს ბერავდა, როდესაც უწყინარი მასლაათით მის გართობას ვლამობდი. თავაზიანად ვკითხე, იცოდა თუ არა ფილის ჩატფილდმა (რომელიც ლოლიტაზე ადრე გაემგზავრა ბანაკიდან მენში მცხოვრებ მშობლებთან) ტყეში გართობის შესახებ? „მისმინე, — შემესიტყვა ლოლიტა და სატირლად დაიმანჭა, — მოდი, სალაპარაკოდ სხვა თემა შევარჩიოთ“. შემდეგ ვსინჯე — წარუმატებლად, თუმცა ენას გატაცებით ვაწკლაპუნებდი — საგზაო რუკით დამეინტერესებინა. გავკადნიერდები და შევახსენებ მომთმენ მკითხველს (რომლის ხასიათის მიბაძვა ლოლიტას არ აწყენდა!), რომ ჩვენი მოგზაურობის მიზანს წარმოადგენდა მხიარული ქალაქი ლეპინგვილი; ის ჰიპოთეტური ჰოსპიტლის მახლობლად მდებარეობდა. გეგმა საკმაოდ ნაუცბათევად შევიმუშავე (საუბედუროდ, ასეთივე აღმოჩნდა მოგზაურობის არაერთი წინასწარ მონიშნული მიზანი) და შიშით ვკანკალებდი, როდესაც თავს ვეკითხებოდი, რა მომემოქმედა, რომ გოგონას ეჭვი არ შეჰპარვოდა მთელ ამ წამოწყებაში; გარდა ამისა, როესაც ლეპინგვილის ყველა კინოდრამას ვნახავდით, რაიმე დამაჯერებელი მარშრუტი უნდა მომეფიქრებინა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰუმბერტს სულ უფრო მეტად ეუფლებოდა უგუნებობა. ეს შეგრძნება მეტად თავისებური იყო: მტანჯველი, ამაზრზენი შფოთვა — თითქოს ჩემს მიერ მოკლული პატარა არსების აჩრდილი მეჯდა გვერდით.

ავტომობილში ჩაჯდომისას ლოლიტას სახეზე ტკივილი აღიბეჭდა. ეს გამომეტყველება მრავალმნიშვნელოვანი გახდა, როდესაც გოგონა გვერდით მომიჯდა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მეორედ ეს განზრახ იქნა ჩადენილი. სულელურად ვკითხე, — რა მოხდა-მეთქი. „არაფერი, პირუტყვო“, — შემეპასუხა ის. ვერ გავიგე და ხელახლა ვკითხე. მან არაფერი მიპასუხა. „თქვენ გადიხართ ბრაისლანდიიდან“, ეწერა გზის თავზე გადაჭიმულ პლაკატზე. ენაწყლიანი ლოლიტა კი დუმდა. ჩემს ზურგზე ცივი ობობები დაცოცავდნენ. ობოლი. მარტოხელა, ბედის ანაბარად მიტოვებული ბავშვი, რომელთანაც წარმოსადეგმა, მყრალმა მამაკაცმა სამჯერ განახორციელა სქესობრივი აქტი ერთი დილის განმავლობაში. შესაძლოა, დიდი ხნის ნალოლიავებმა ოცნებამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა; მაგრამ, უფრო ზუსტად, ის მიზანს ასცდა — და საზარელ სიზმრად იქცა. წინდაუხედავად, ბრიყვულად, საზიზღრად მოვიქეცი. რაკი ყველაფერს ვაღიარებ, ისიც უნდა ვთქვა, რომ სადღაც, მრუმე მორევის ფსკერზე, კვლავ ვგრძნობდი ჟინის მომძლავრებას — რა საშინელი იყო ჩემი ლტოლვა ბედშავი ნიმფეტის მიმართ! სინდისის ქენჯნას დაემატა მტანჯველი შეგრძნება, რომ ლოლიტას უხალისო განწყობილება ხელს შემიშლიდა, კვლავ დავუფლებოდი მას რომელიმე სოფლის წყნარ შუკაზე. ერთი სიტყვით, საწყალი ჰუმბერტი ძალზე ეწამებოდა და სანამ ავტომობილი უსაზმნო გარდუვალობით უახლოვდებოდა ლეპინგვილს, მისი მძღოლი ამაოდ ცდილობდა, მოეფიქრებინა რაიმე არაკი, რომლის კპალუც საფარველქვეშ თანამგზავრისადმი მიმართვას გაბედავდა. თუმცა, ლოლიტამ თვითონ დაარღვია სიჩუმე:

„აჰ, — წამოიძახა მან. — გაჭყლეტილი ციყვი! როგორ მეცოდება...“

„დიახ, მართლაც“, — იჩქარა საუბრის გაბმა პირმოთნე, იმედებით აღსავსე ჰუმმა.

„ბენზინის მომდევნო სვეტთან შეაჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე, — განაგრძო ლოლიტამ. საპირფარეშო მჭირდება".

„სადაც გსურდეს, იქ შევჩერდეთ", ვუთხარი მე. ლამაზი, განმარტოებული, დიდებული ტყე (მუხნარი მეგონა — მაშინ სრულიად ვერ ვერკვეოდი ამერიკის ხეებში) მწვანე ექოთი გამოეხმაურა მანქანის გლუვ სრიალს. ანაზდად გვერდიდან ქვიშიანმა, გვიმრით მოარშიებულმა ბილიკმა გამოგვხედა, სანამ ტყეში შევძვრებოდა. შევთავაზე, რომ —

„არ შეჩერდე!" — მწივანა ხმით შემაწყვეტინა ლოლიტამ.

„მესმის. ნუ ბრაზობ" (კუშ, საბრალო ცხოველო, კუშ!).

ალმაცერად გადავხედე. მადლობა ღმერთს, იღიმებოდა!

„კრეტინო! — მითხრა მან ტკბილი ღიმილით, — სალახანავ! შეხე, როგორ მოექეცი ნორჩ ყვავილს. კაცმა რომ თქვას, პოლიცია უნდა გამომეძახა და მეთქვა, რომ გამაუპატიურე. წუნკალო, წუნკალო ბებრუცუნა!"

ლოლიტა არ ხუმრობდა. მის ხმაში ავის მომასწავებელი, ისტერიული ნოტი ჟღერდა. ცოტა ხნის შემდეგ შემომჩივლა (თან შიშინით სუნთქავდა), რომ იქ, შიგნით, ყველაფერი სტკიოდა, რომ ჯდომა აღარ ძალუძდა დ რაღაც დავუზიანე. კისერზე ოფლი ხვითქად ჩამომდიოდა და კინაღამ, რომელიღაც პატარა, კუდაბზეკილ ცხოველს — ეს ციყვი არ იყო — დავეჯახე (გზატკეცილზე გადარბოდა). ჩემმა თანამგზავრმა კვლავ სალახანა მიწოდა. როდესაც ბენზინის სვეტთან შევჩერდით, გოგონა უსიტყვოდ გამოძვრა და დიდხანს არ დაბრუნებულა. ცხვირგატეხილმა მოხუცმა მეგობარმა დინჯად, ალერსიანად გაწმინდა ჩემი მანქანის წინა მინა — ისინი ამას სხვადასხვანაირად სჩადიან ხოლმე და რას არ იყენებენ, ნატის ჩვრით დაწყებული და გასაპნული ჯაგრისით დამთავრებული: ამ კაცს ვარდისფერი ღრუბელი ეჭირა ხელში.

ბოლოს ლოლიტაც გამოჩნდა: „ყურა მიგდე, — მითხრა მან იმ ნეიტრალური კილოთი, რომელიც გულს მიკლავდა. — მომეცი რამდენიმე ათცენტიანი, მინდა, დედას დავურეკო საავადმყოფოში. რა ნომერია?"

„ავტომობილში ჩაჯექი, — ვუპასუხე მე. — იქ ვერ დარეკავ".

„რატომ?"

„ჩაჯექი და კარი მოიხურე".

ის ჩაჯდა და კარი მოიხურა. მოხუცმა გარაჟისტმა გულღიად გაუღიმა. გზაზე გამოვედით.

„რატომ ვერ დავურეკავ დედას, თუ კი მინდა?"

„იმიტომ, — მივუგე მე, — რომ დედაშენი მოკვდა".

33.

მხიარულ ქალაქ ლეპინგვილში ლოლიტას ვუყიდე კომიქსების ოთხი წიგნი, კანფეტების ერთი კოლოფი, ჰიგიენური პაკეტების ერთი კოლოფი, ორი ბოთლი კოკა-კოლა, მანიკიურისთვის საჭირო ხელსაწყოები, მანათობელციფერბლატიანი საგზაო საათი, ტოპაზიანი ბეჭედი, ტენისის ჩოგანი, გორგოლაჭიანი ციგურები, რომლებიც მაღალყელიან თეთრ ჩექმებზე იყო მიმაგრებული, დურბინდი, პორტატიული რადიოლა, საღეჭი რეზინი, გამჭვირვალე პლასტიკატის ლაბადა, მუქმინიანი სათვალე, ბევრი ტანისამოსი — მოდური სვიტერები, შარვლები, ყოველგვარი საზაფხულო კაბები.

იქაურ სასტუმროში ცალ-ცალკე მოვეწყვეთ, მაგრამ ღამით ატირებული გოგონა ჩემთან მოვიდა და წყნარად შევრიგდით. ხომ გესმით, მეტი ვერავისთან მიესვლებოდა.

თარგმნა **თამარ ლომიძემ**

**პირველი ნაწილის დასასრული**

**გაგრძელება იქნება**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## როსტომ ჩხეიძე

# შურისგება

ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის!

გალაკტიონი

### მიმართვა მკითხველს

— შევუნდო შემცოდეთა თუ შევაკვდე? — ეს უმწვავესი პრობლემა ალმართულა ალექსანდრე ყაზბეგისა და მისი გმირების წინაშე.

— შევუნდო თუ შევაკვდე? — ეს დილემა აშფოთებს კაცობრიობის გულსა და გონებას უხსოვარი დროიდან.

— შევუნდო თუ შევაკვდე? — ეს დილემა გვაღელვებს დღესაც და... ასე იქნება სამარადისოდ.

ეს არც შეიძლება ოდესმე გადაწყდეს, თუ არ ვიფიქრებთ, რომ ადამიანის ბუნება პირწმინდად შეიცვლება.

ამიტომ ნურც ჩვენ შევეცდებით ნურაფრის გადაწყვეტას.

ანკი რანაირად...

დავუკვირდეთ მხოლოდ, როგორ განსჯის ამ მარადიულსა და ტრაგიკულ კითხვას თანამედროვე ქართული მწერლობა, როგორ გაუაზრებიათ ჩვენსა უშუალო წინამორბედთ... მას შემდეგ, რაც ავცდით ქრისტიანულ მორალს; ამ სარწმუნოების გადასარჩენად მფარველის ძიებისას უარესი დღე გაგვითენდა... ოღონდ დავუკვირდეთ მსოფლიოს დიდ თუ თვალსაჩინო ქმნილებათა ფონზე: მეტად ფრაგმენტულად, გაკვრით, მაგრამ მაინც, რადგან მზერა რაც შეიძლება შორს განვდეს და უფრო გამახვილდეს; სურათიც უფრო სახიერი გამოჩნდეს. და ღრმა შინაგანი კავშირიც, დაფარული თუ შედარებით თვალნათლივი სიახლოვეც მკაფიოდ გამოიკვეთოს უცხოურ მწერლობასა და ჩვენს უ[illegible]ედურ ლიტერატურას შორის. თუმცა არაერთი პრობლემა სხვადასხვა გვაქვს, რადგან მოწყვეტილნი ვართ მათებურად, ადამიანურად ცხოვრებას, მაგრამ ეს ტკივილი საერთოა, ერთნაირად მღელვარე.

როცა პიროვნებას ან ლიტერატურულ გმირს ეს არჩევანი დაუდგება: სამაგიეროს მიზღვა თუ მიტევება — მის არსებას ერთბაშად შემოეძარცვება ყოველგვარი დოგმა, — ფილოსოფიურიც, ფსიქოლოგიურიც, რელიგიურიც, — და იგი, როგორც ბუნების შიშველი ქმნილება, ისე წარსდგება დილემის წინაშე, გულის კარნახს, პირველყოფილ ინსტინქტებს აყოლილი. ოღონდ ეგაა: განსხვავებით მართლაც პირველი თაობის ადამიანთაგან, პიროვნების გულში მძაფრად იჭრება სულ სხვა განცდებიც შურისძიების წადილის დასათრგუნად; და გულში ამტყდარი ჭიდილი ურთიერთსაპირისპირო გრძნობებისა აპოვნინებს ადამიანს... ოღონდ რას აპოვნინებს?!

* იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭეშმარიტებას? არა და არა — მხოლოდ მისეულ სიმართლეს, რომელიც არჩევანიც უნდა ამჯობინოს — სამაგიერო თუ მიტევება — ეს მისეული სიმართლე იქნება (თუკი სიმართლე იქნა) და არა ყველას — და ყოველგვარი თვალთახედვით — გასაზიარებელი.

ქრისტიანული მოძღვრებისათვის ასეთი არჩევანი წარმოუდგენელია და არც მის მიმდევართათვის, მართლმორწმუნეთათვის შეიძლება იყოს რაიმე ასარჩევი; შებრალება, მიტევება, შენდობა, მონანიება — ქადაგებს მაცხოვარი და ესაა ქრისტიანთათვის ერთადერთი გზა ჭეშმარიტი, წყარო ნუგეშისა და სულიერი ამაღლებისა. შურისგება უფალმა უნდა მიიღოს: მისია შურისგება და მან უნდა მიაგოს, ხოლო ადამიანმა ბოროტის წილ სიკეთე უნდა მიუზღას თავის შემცდარ მოყვასს... წინ არ აღუდგეს ბოროტების მოძალებას... და თუ მარჯვენა ყბაში გაარტყამენ, მარცხენა უნდა მიუშვიროს...

მაგრამ ქრისტიანული ზნეობა რომ იდეალური საზოგადოებრივი ცხოვრების მორალია, მის წარმოდგენათა და კანონების გამომხატველი და არა იმ ყოფისა, სადაც არსებობს კაცობრიობა?!

ეს იდეალი ისევაც შორეულია, ისევაც ნისლით შემობურვილი და მისკენ მისასვლელი ბილიკიც არსად ჩანს...

ნეტა არსებობს კი ასეთი ბილიკი?!

ესა თუ ის პიროვნება რაოდენ იდეალურადაც უნდა წარმოგვიდგებოდეს, თუნდ სრულქმნილების ნიმუშად ვაღიაროთ, ჯერ ერთი, ეს იდეალურობაც და სრულქმნილებაც მხოლოდ პირობითობა იქნება, სხვებთან შედარებით გამოჩნდებიან ასეთად და არა მართლაც უზენაესი სრულყოფილების ფონზე; და მეორეც, პიროვნება ვერ მოწყდება თავის გარემოს, ვერ განუდგება საზოგადოებასა და მის მიწიერ ვნებებს, თუ იქ დარჩენა სწადია და არა გარიყვა და გადაკარგვა. საზოგადოებრივ ცხოვრებას თავისი კანონები აქვს და არაფერს შეურიგდება, რაც ამ კანონებს არ დაემორჩილება.

საზოგადოება აჩენს ვნებებს, აქეზებს სიშმაგეს და, თუ ცოდვა დატრიალდა, დამნაშავის შენდობა თუ სამაგიეროს მიზღვა კერძო პიროვნების სულიერ ჭიდილს სცილდება და ნებაუნებლიეთ ვეება ასპარეზის შუაგულში მოექცევა, ეს ასპარეზი ხან თვალნათლივაა გადაშლილი, ხანაც გარეგნულად დაფარულია, მაგრამ ამით ვნებათა სიშმაგე ოდნავადაც არ არის დამცხრალი.

ეს გარემოებანი რომ არა, არც დილემა იარსებებდა.

კაცობრიობის ცხოვრების სათავეშივე ამოიხსნებოდა ერთხელ და სამუდამოდ.

რაც უფრო ჩავეძიებით, ეს მით უფრო დაბეჯითებით დადასტურდება.

და ჩვენც დარწმუნებით გვეცოდინებოდა: შეგვენდო შემცოდეთათვის თუ შევკვდომოდით.

●

ითქვა: დავუკვირდეთო...

მსჯელობისას ზოგიერთ შემთხვევაში ნუ შეგვაკრთობთ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ სახელთა გვერდიგვერდ მოხსენიება, განსხვავებული რანგის ნიმუშთა გვერდიგვერდ განხილვა... ლიტერატურული პრობლემის შესწავლისას ასეთი რამ გარდუვალია: ამ დროს უფრო მნიშვნელოვანია ჯერ რ ა და მერე — რ ო გ ო რ...

თუმცა შურისგება, როგორც ურთულესი ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური მოვლენა, ჩვენში პირველად ამ ცდისას უნდა წარმოსდგეს ასე საგანგებოდ, მაგრამ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობასა თუ კრიტიკაში რამდენჯერმე უკვე შეხებიან მის არსსა თუ ცალკეულ მხარეებს, შეხებიან ზოგადკაცობრიული თვალსაზრისით თუ იმ თავისებურებათა მისაგნებად, რაც უაღრესად ფასეული იქნება ქართული ეროვნული ხასიათის შეცნობის გზაზე (ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, გურამ ასათიანი, აკაკი ბაქრაძე, თამაზ ნატროშვილი, თამაზ ვასაძე...).

ნუთუ შესაძლოა, შურისგებისას ეროვნული თავისებურება, მისი რაიმე ელფერი გამჟღავნდეს?

არსებობს კია ამ მხრივ რაიმე თავისებურება?

და თუ არსებობს, რამდენადაა შესაძლებელი მისი შემჩნევა?

რეალურად ნაკლებმოსალოდნელია, მაგრამ ძიება მაინც აუცილებელია. რატომ? ძიებისას აქაც ისეთი დაფარული გარემოებანი თუ ნიუანსები ჩნდება, რაც სხვაგვარად უხილავი დარჩებოდა.

ის დაკვირვება, რომ: ქართველები შურისმაძიებლები არა ვართ და ქართველი კაცის მოწყალე ბუნება და შემწყნარებლობის უშრეტი ნიჭი მართლაც სასწაულს ჰგავს — ნუ შეიქმნება ჩვენთვის გზისმკვლევი, ჩავთვალოთ ოცნებად და არა რეალობად, რადგან სინამდვილე სხვას ღაღადებს, არ გამოგვაცალკევებს კაცობრიობის ცხოვრების წეს-კანონთაგან და ამიტომ ვერც ზოგიერთი კერძო შემთხვევა განზოგადდება.

საერთოდ: ეს ლიტერატურული ცდა დაწყებულის გაგრძელებაა, განმხნევებული იმ იმედოვნებით, რომ მისი ნაკლოვანებები გამოიწვევს უკეთესის შექმნის წყურვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი პირველი

# სისხლის ძიება

თავი I

## ადათი და სამართალი

კაცობრიობის ბედი იქ გადაწყდა, როცა კაენმა ველად გაიტყუა აბელი (დაბადება, 4,8).

ადამიანის გაჩენა სხვაგვარ არსებობას გულისხმობდა: სამოთხეში განცხრომით ყოფნასა და უკვდავებას. და როცა ადამიანმა დაკარგა სამოთხე და პირველად შეიგრძნო ღვთაებრივისაგან მოცილების სიმწარე, ეს ჯერ მაინც არ ნიშნავდა მისი ბედისწერის იმგვარ განსაზღვრას, რაც კაენის საქციელის მერე უნდა დასტეხოდა კაცობრიობას თავზე და სისხლის მორევში ჩაეთრია.

არ ნიშნავდა, მაგრამ როცა უხილავმა ძალამ კაენს აქეთ უბიძგა, შურისაგან გახელებულს ძმის მოკვლა შთააგონა, ის — ადამიანთა მოდგმის საბედისწეროდ — დაემორჩილა მის იდუმალ ხმას.

თავი თუ ემეტებოდა დასაწყევრად, კაცობრიობას რაღას ერჩოდა?!

რატომ არ ებრალებოდა?.. რატომ არ ენანებოდა?..

ეგონა: შემრჩებაო.

არც სასჯელს ელოდა და, ალბათ, არც ადამიანთა მოდგმის გახვევას ცოდვის ტრიალში.

და მაინც: კაენი გვევლინება სიმბოლურ სახედ კაცობრიობის ბედისა.

ხოლო აბელი — ადამიანის სულიერი ლტოლვისა და ოცნების სიმბოლოდ.

ღმერთმა მიანება ადამიანს საკუთარი ბედის არჩევა, თავისი თავის ანაბარა დატოვა და, რაც კაცობრიობას მოეწია, ვერავის დააბრალებს — თვითვე ირგუნა, თავისივე ნებით.

ბედი აბელის აღსასრულმა გადაწყვიტა და ამ ტრაგიკულმა შემთხვევამ ძალდაუტანებლად გამოამჟღავნა დაღვრილი სისხლისთვის სამაგიეროს მიზღვის აუცილებლობა.

კაენის მიერ ჩადენილ ცოდვას — ხელის აღმართვას ძმაზე — თვითონ უფალი განსჯის და მწარე სასჯელსაც არგუნებს — განდევნას მშობლიური მიწიდან, სამუდამო მოკვეთას... მერეც ალბათ ასევე უნდა გაგრძელებულიყო: ყოველი ასეთი თუ სხვაგვარი ცოდვა მხოლოდ უფალს განესაჯა და რამენაირად მოეწესრიგებინა გახელებული ვნებანი, რაც სულ უფრო და უფრო აღზევდებოდა და თვით ღმერთსაც არ შეეპუებოდა — მის დამხობასაც მოინდომებდა. ვნებათა უსაზღვროება სამყაროს უკიდეგანობას მოიცავდა. უფალი დაარღვევდა იმ ბაბილონის გოდოლს, რომლის აღმართვითაც პატივმოყვარეობით აღვსილი ადამიანი ზეცაში ახვლას მიელტვოდა (დაბადება, 11, 4-9). მაგრამ მსაჯულის უფლებანი კი ხელიდან გამოეცლებოდა და ადამიანი თვითონვე იტვირთებდა მსაჯულობასაც, რათა კიდევ უფრო დაემძიმებინა ცოდვილი სული. გარდუვალობის ჩიხში ისე მომწყვდეულიყო, ვეღარ გაეგო, ცოდვას ცოდვაზე რატომ ამატებდა; ვეღარც ის აეხსნა, როგორ მოეღო ბოლო სისხლიანი ჯაჭვისათვის და სხვა რა გზა დარჩენოდა — თავის მიერვე არჩეულ ბედს კვლავაც უდრტვინველად უნდა დამორჩილებოდა.

უდრტვინველ დამორჩილებად, ამაოებად, სისხლის მორევში ტრიალად მაშინ ითქმის, როცა გააცნობიერებდა: რას ჩავდივარ, რა დამმართნიაო, თორემ თავისი კანონ-სამართალი რომ დაუმკვიდრებია, სისხლის ძიება სამართლებრივ და ზნეობრივ ნორმად უღიარებია.

მერე ადამიანის მსოფლხედვაში რაღაც ცვლილება მოხდება.

გარკვეული, ოღონდ გადამწყვეტი ვერა.

დასჯისა თუ შეწყნარების უფლებებს სამოქალაქო სამართალი მოიქცევდა ხელთ და ადათობრივ სამართალს უშეღავათოდ დაუპირისპირდებოდა, ამიტომ სისხლის ძიებაც — რაც ადათობრივი სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ წეს-კანონს წარმოადგენს და ადამიანის სულიერი მიდრეკილებისთვისაც ყველაზე უფრო შესაფერისი იყო და არის — უპირველესად უნდა განედევნა თავისი კოდექსიდან; და თუმცა მისი აღმოფხვრა ადამიანის ფსიქიკიდან ყოვლად შეუძლებელია, შეკვეცით მაინც საგრძნობლად შეეკვეცებინა.

მთლად იოლად თვით სამოქალაქო კოდექსიდან განდევნაც ვერ ხერხდებოდა. და სავსებით მოსალოდნელი ჩანს, რომ ძველბაბილონურ ხანაში მეფე ხამურაბის კანონთა კრებულში გადმონაშთად გადმოყოლია თვითგასამართლების უფლება: დაზარალებულ პიროვნებას ენიჭებოდა უფლება თვითვე მიეზღო სასჯელი დამნაშავისთვის, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე — შეეძლოთ, თუ კაცს წაასწრებდნენ, სახლში შესაპარად ხვრელი გაუთხრიაო, იქვე მოეკლათ და ჩამოეკიდათ (მუხლი 21), თუ ცეცხლმოდებული სახლიდან ვინმე რაიმეს მოიპარავდა, შეეძლოთ ცეცხლში ჩაეგდოთ (მუხლი 25), ან თუ ქალს სხვა კაცთან შეუსწრებდნენ, შეეძლოთ ორივე შეეკრათ და წყალში გადაეყარათ (მუხლი 129).

თუმცა მკვლევარები ირწმუნებიან, ეს მუხლები შურისძიების უფლებას არ აკანონებდაო, მაგრამ რაღაცების ნებაც რომ არ დაერთოთ ადამიანებისათვის, ზოგიერთ შემთხვევაში თვალი არ მოეხუჭათ და თანდათანობით არ შეეგუებინათ ახალი სამართლებრივი ნორმებისათვის, ისინი ერთი ხელის აქნევით უარყოფდნენ მთელს კოდექსს.

ხამურაბის გამგებლობისას ჯერ ისიც ნაადრევი ჩანდა, რომ სასჯელი ყოველთვის დამნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავეს დაჰკისრებოდა — და თუ იგი გაქცევასა და მიმალვას მოახერხებდა, მისი ახლობელი არ შესწირვოდა სხვის ცოდვას: ყველა მხოლოდ საკუთარ საქციელზე ყოფილიყო პასუხისმგებელი და სრულიად უცოდველი ადამიანის სისხლი არ დაღვრილიყო მარტოდენ იმიტომ, დამნაშავის მოგვარედ ან თანატომელად რომ გაეჩინა ღმერთს.

ეს დიდი შემოტრიალება კაცობრიობის სულიერებასა და ცხოვრების წესში, — როცა შვილი სისხლით არ ზღავს მამის ცოდვას, მოგვარე და თანატომელი — მოგვარისას და თანატომელისას, — განმტკიცებული სამართლებრივი კანონებით, — ჯერ თავის დროს, თავის ეპოქას ელოდება; ეს ზნეობრივი მრწამსი ბიბლიურ სამყაროში უნდა ამოიზარდოს.

ამიტომ ხამურაბის კანონთა კოდექსში შვილი პასუხს აგებს მშობლის ცოდვისათვის, ოჯახი — ერთი წევრისათვის: ხოლო თუ დამნაშავის ან მის ახლობელთა შეპყრობა ვერ მოხერხდა, მთელი თემია მოვალე ზღოს მისი ცოდვა. მართალია, არა სისხლით, არამედ ურვადით, მაგრამ მაინც.

ყველაზე უცნაურად ეს ბოლო ნორმა — კოლექტიური პასუხისმგებლობა გამოიყურება, რასაც სამართლებრივი კოდექსიც ვერ გაექცა და, თუმც შერბილებულად, მაგრამ გარკვეულად მაინც შეინარჩუნა ადრეული წარმოდგენები; სახელდობრ, ის შეხედულება, რაც თანამედროვე ეპოქაშიც არანაკლები სიმწვავით იჩენს თავს, თუ იურიდიული კანონები (დაფუძნებული პიროვნების პასუხისმგებლობაზე) ფარატინა ქაღალდად გადაიქცევა და სიცოცხლეც გაუფასურდება... უკანონობის დამკვიდრება ულმობელი თანმიმდევრობით განაპირობებს უმძიმეს რეალობას: თუკი ერთი ადამიანის დადანაშაულება შეიძლება უმიზეზოდ, არც ადამიანთა კრებულის დადანაშაულებას დაუდგება რაიმე წინ.

თუმც რად გვინდა ხამურაბის ეპოქა, ხად მივიწევთ ჟამთა დასაბამისაკენ...

ეს ადათი, როგორც მტკიცე სამართლებრივი კანონი, თავისი სრულყოფილი სახით განა ჩვენს მთიანეთშიც უმძაფრესად არ ბრუნავდა და მოქმედებდა?.. განა ის არ განაგებდა ცხოვრების წესს?..

პირისუფალს თავისთავად ეკისრებოდა სისხლის აღება, მაგრამ თუკი მომაკვდავს მცირე ილაჯი მაინც შესწევდა, უთუოდ რიტუალური წესის აღსრულებით უნდა განემტკიცებინა შურისგების გარდუვალობა: გამოთხოვების სცენა ამ ჟინითა და გახელებით უნდა ყოფილიყო აღვსილი.

ამიტომ როგორც კი ხოგაიც დაატყობს (კონსტანტინე გამსახურდია, „ხოგაის მინდია"), აღარაფერი მეშველებაო, მაშინვე სანთელსა და ხმალს მოითხოვს. სულთმობრძავს მარცხენა მუჭში სანთელს ჩაუდებენ, მარჯვენაში — ხმალს, იმის თქმასაც მოასწრებს, „მაჰკალით!" — და თუმც თვითონ ვეღარ გაიგონებს ხმალგაშიშვლებული შვილების ფიცს — „მავკლავთ" და ამის მოსმენა აღარც სჭირდება — გზას საქონსაკენ ისედაც უნათებს რწმენა, რომ შვილები არ უმტყუნებენ და სისხლი სისხლით ჩამოიბანება.

ულმობელი იყო შურისგების, სისხლის ძიების ადათი, ულმობელი იყო ის ზნეობრივი მოთხოვნა, რაც არაფრისდიდებით არ დაანებებდა მოკლულის ახლობელს, თავი აერიდებინა სამაგიეროს მიზღვისაგან.

მას უფლება აღარ ჰქონდა, თავისი ნებით გადაეწვიტა, ეძია თუ არა შური.

იგი თავის თავს აღარ ეკუთვნოდა.

ადათი ავალებდა.

ხატი და სალოცავი ავალდებულებდა.

საზოგადოებრივი აზრი მოითხოვდა.

დაღუპულის სული აქეზებდა, დროდადრო საზიერად გამოცხადებული, სულეთიდან იმისთვის მოვლენილი, რათა საფლავში აწრიალებული ძვლების დამშვიდებას შევედრებოდა.

და გარშემომყოფთა მზერა ამ აზრით განიმსჭვალებოდა: არ დააყოვნო, არ გაბედო გადაფიქრება.

საზოგადოებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა ცეცხლი ტრიალებს, ვთქვათ, მინდიას — ანდა მისი სულიერი წყობის პიროვნებათა — გულში, როგორ გაურბის არამცთუ ადამიანის, არამედ ცხოველის სისხლსაც კი, როგორ გრძნობს მოჭრილი ტირიფის ცრემლებს და როგორ ეცხადება დროდადრო მზისფერი ხადიშათის სახება.

თემი თავისას მოითხოვს უშეღავათოდ: „გიჯობს, მინდი, გონთ მახვიდ, გონთ და მამის სისხლი აიღო. ხოგაის ხმალი არ იძინებს სამძიმარას, დედაშენს".

და მინდიამაც — თუმც ისეთი განცდა აქვს, თითქოს დავითფეროულმა [illegible] გადაუჭრაო, ბანზე დაეცემა და უმანკო, ბალღური ცრემლებით იტირებს — მახვილი უნდა აილოს ხელში.

სხვაგვარად თემიდან მოიკვეთებოდა: ზნეობრივად გაინაპირებდნენ ან სულაც განდევნიდნენ: ადათის შელახვას არ აპატიებდნენ; თვითონაც აღარ დაედგომებოდა იქ, არამცთუ თანამოძმენი, ოჯახის წევრებიც გაწირავდნენ.

„გირევის ყვავილში" (ადამ ბობლიაშვილის მოთხრობა) ექსპრესიულადაა გამოხატული ეს საერთო სულისკვეთება და განწყობილება დის მკაცრი მუნათითაც: „ცხვარი მტერმა წაგართვა, ძმაც მტერმა მოგიკლა, ნეტარ შინ რისადღა მოსდიოდი, საქალებო თუ დაგენატრა? კაცობადაკარგული ვერც საქალებოში ივარგებს. მონაი ყველგან მონაა! ეს თოფი აქ მომე, შენ აღარ დაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირდება. მატყლს თოფით არ სჩეჩავენ დიაცნი! ეგ ლეკურიც ვერაფერს გარგებს, მაგით წინდა არ იქსოვება! ეგენიც აქ მომე, დიაცის მკერდზე სავაქაცოებს რაი უნდა, მძივი დაიკიდე, მძივი...“ — დედის მოთქმითაც, მოკლულ ვაჟზე მეტად ცოცხლად დარჩენილ შვილს რომ გლოვობს, ვინც შურისძიება ვერ გაბედა და დედას გულიდან მოუგლეჯია: „ჯარჯი, დედის პატარა ბიჭო! ხედავ, მხრები დამალეწე, მაგრამ მაინც არ დაგტირი, ვაჟკაცად გამიზრდიხარ და იმად. მე სატირალი სხვა მაქვს, შენზე მეტად სხვა მიცეცხლებს ამ ქვადქცეულ გულს. ავაჰ, ბექურო, რად მუცელში არ გამიწყალდი!“

ეს გლოვა და წყევლა იმას არ გამოუწვევია, რომ ჯარჯი ქისტებთან შეტაკებაში დაღუპულა. ბექურს იგივე ბედი ელოდა, მისი ძმა ხევსურს რომ შემოკვდომოდა.

სისხლის ძიების ადათი არ განასხვავებდა ქისტსა და ხევსურს, შურისმაძიებლის თვალში ერთნაირად მოსისხლე მტერი იყო უცხოც და თავისიანიც, აწ სხვადქცეული. ხოგაის ვაჟები თუ ქისტ დოლაის ემუქრებიან, ახეთივე მუქარა ელიზბარს ხევსურთაგან ატყდება თავს (მიხეილ ჯავახიშვილი, „თეთრი საყელო“): „მოკალით“ — ამოიხრიალებს სულთმობრძავი დათვია ერთ მუჭში ხმლითა და მეორეში — ხანთლით, და ნათესავები მასაც ამ იმედით აცილებენ საიქიოსაკენ — „მავხკლავთ“.

რაკი ფიცი ითქმოდა, მისხით მისხამდე ჩამუყვებოდნენ.

ხევსურული ადათისა და მსოფლმხედველობისათვის უცხოა პიროვნული პასუხისმგებლობის განცდა: ამიტომ თუ მკვლელს ან მის შვილსა თუ ახლობელს ვერ მისწვდებოდნენ, არც შორეული დაინდობოდა.

და მკვლელი იძულებული იყო, დედაწულიანად აყრილიყო და გადაკარგულიყო.

თუ ვერ გაასწრებდა ან მარჯვედ ვერ დაიმალებოდა?

ცოდვა ცოდვას აებმებოდა, სისხლი სისხლს მოიყოლებდა — შურისძიების შემდგომ უკვე მოპირისპირენი შეიქნებოდნენ სამაგიეროს გადახდის მოვალენი. ამ ტრაგიკულ ჯაჭვზე ასხმული მკვლელობანი ახალ-ახალ რგოლებს შეიმატებდა და დაუსრულებლობის შემზარავ პერსპექტივას გადაშლიდა.

მკვლელის გადახვეწის გარდა ჯაჭვს ვერაფერი გაწყვეტდა. თუ არა მისი ოჯახისა და იქნებ ნათესაობის გაუჩუქვაც, რათა შურისმგებელი ვერ გადარჩენილიყო.

როცა ვაჟები გაწყდებოდნენ ან სისხლის ძიებას თემისაგან მოკვეთას არჩევდნენ, ქალები იღებდნენ მახვილს ხელში: ადათი მათ არა ხთხოვდა შურისძიებას, მაგრამ გვარის, ოჯახის შელახული ღირსების აღსადგენად, სულში ჩაგუბებული ბაღდამის ამოსაშრობად სხვა გზას ვერ ხედავდნენ.

მარიხის მძვინვარე მუნათხაც „გირევის ყვავილში“ ამიტომ მოსდევს შერცხვენილი ძმისათვის წართმეული იარაღის ასხმა და რძალთან ერთად მტრის დადევნება. გზად მოკლული ძმის ცხედართან რომ ჩაიმუხლებს, რათა მისი გასისხლიანებული ხანჯალი აიტაცოს, მკვლელისათვის ყველაზე საბედისწერო. მართალია, ქალზე საკმაოდ მძიმედ იმოქმედებს, რომ ქისტი, ვისაც მისი ტყვია და მერე ხანჯალი ბოლოს მოუღებს, ის კაცი აღმოჩნდება, ვისი სახებაც გულში ჩაჭროდა ქალწულს, სივრცეს გასცქეროდა და ქისტეთიდან თეთრცხენოსანი მხედრის მოლოდინით ღამეს ღამეზ ათენებდა „ქალს სხეული თითქო ზეზე გაეყინა, გული გამეტებით შეეკუმშა და იმ გულიდან ორი თვის წინათ ჩაგორებული მზის ნატეხი ამოვარდა, თებულოს სისხლიან მიწას დაენარცხა, ერთბაშად ჩაქრა და სიკვდილივით გაცივდა“), მაგრამ მდუღარე შურისძიება სძლევს და ჩაფერფლავს სიყვარულის ხანძარს („მტერ იყო, ჩემი ძმის მამკლავი“), რათა პირნათელი წარუდგეს ძმის ცხედარს, „...ჯავრს ნუ გაიყოლებ, ბიჭო, შენმა მოშუღარმა თავისი მიიღო და ძვლები ჩვენს მიწაზე გაწირა ყორნების საჯიჯგნად“.

შურისგება აღსრულებულია.

ოჯახის ღირსება მარიხმა დაიცვა.

ბექური? — უგზოუკვლოდ გადაიკარგა, იქ მაინც აღარ დაედგომებოდა.

თუ ქალს, ასაკის გამო, იმის ძალღონე არ შესწევდა, იარაღით შებმოდა თავისი სისხლხორცის მკვლელს, რაღაც სხვა გზას გამონახავდა.

როცა ანტუან სავერინს მოღალატურად მოკლავენ ჩხუბში დანით (გი დე მოპასანი, „ვენდეტა“), მას კი არც ძმა დარჩება, არც ნათესავი, ვინც სისხლს აიღებდა, შურისგებას დედა დაპირდება მის ცხედარს: „ნუ გეშინია, შენს სისხლს არ შევარჩენ შენს მკვლელს, იძინე, იძინე, შენს შურს ვიძიებ, ხომ გესმის? დედა გპირდება ამას! დედამ კი ნათქვამის ასრულება იცის, თორემ არ იცი მისი ამბავი?!.“

მთელი დღეები ფანჯარასთან მჯდარი იმ სოფლისკენ იცქირებოდა, სადაც მკვლელმა შეაფარა თავი, საკუთარ ვარემოს იძულებით გარიდებულმა, და შურისძიებაზე ფიქრობდა, მაგრამ როგორ უნდა ეძია შური ხნვის დაუხმარებლად, დაუძლურებულსა და სიკვდილს მიტანებულს, ერთგული ძაღლის მეტი რომ არავინ გააჩნდა? არც ფიცის დავიწყება შეიძლებოდა. სავერინის ქვრივს ღამეები არ ეძინა, დაკარგა შვება და მოსვენება, ვიდრე მართლა არ მიაგნო მარჯვე საშუალებას: საფრთხობელას კისერზე ძეხვს შემოახვევდა, და დამშეულ ძაღლს მიუქსევდა ხოლმე, ისე გაწაფა, როგორც კი ანიშნებდა, ძაღლი მაშინვე ყელში სწვდებოდა საფრთხობელას — ფლეთდა, გლეჯდა... და დიდაბერი კვლავ ძეხვით ასაჩუქრებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა დადგება გადამწყვეტი დღე, სავერინის ქვრივი აღსარების სათქმელად წავა და ეზიარება კიდეც დიდ სასოებით და გულმოდგინებით. მკვლელის გამეტება მისთვის ვენდეტას ადათისა და ქრისტიანული რწმენის თავისებური შერწყმაა, განწმენდის რიტუალი სისხლის აღების წინ... ეს ადათი და ქრისტიანული მორალი შეუთავსებელია? ასეა, მაგრამ რაკიღა კორსიკელთა შეგნებაში ამ ორი განსხვავებული მრწამსის შერწყმა, ურთიერთშევსება ბუნებრივი ჩანს, ქვრივს სინდისი უკვე დამშვიდებული აქვს, მათხოვრის სამოსელში გადაცმულს შეუძლია უდრტვინველად მიადგეს მკვლელის ადგილსამყოფელს და გარეთ რომ გამოიხმობს, დამშეული ძაღლი მიუშვას მასზე: „აბა, ეცი, დაგლიჯე, დაგლიჯე!“

რაოდენ შემზარავიც უნდა იყოს ნიკოლა რავოლატის აღსასრული — „გააფთრებული პირუტყვი მივარდა და პირდაპირ ყელში სწვდა. კაცმა ხელები გაშალა, მოხვია ძაღლს და ძირს გაგორდა. რამდენიმე წუთის განმავლობაში იკრუნჩხებოდა და იატაკზე ფეხებს ატყაპუნებდა: მერე მოძრაობა შესწყვიტა, ძაღლი კი ყელს არ ეშვებოდა ხორცს ნაფლეთ-ნაფლეთად აგლეჯდა“ — დედაბერს ეს ოდნავადაც არ აკრთობს, რადგან სამართლიანი საზღაური მიაგო მკვლელს და არც ადათი დაურღვევია... ამიტომაც სძინავს იმ ღამეს მოსვენებით... ანტუანის ძვლებმაც მოისვენეს... სავერინის ქვრივი სისხლს სხვა შემთხვევაშიც აიღებდა, მაგრამ ახლა მის შურისგებას განსაკუთრებით ახელებს ის, რომ შვილი მუხანათურად მოუკლეს.

ეს ეპიზოდები კიდევ რა არის: მდუღარე შურისგების განცდას ისეთი თავგანწირული საქციელისთვისაც წაუქეზებია ქალი, აბასაბადის ხიდთან ავლანთა მთელ რაზმს რომ გადაერეოდა ცხენდაცხენ ხმალშემართული და, ვიდრე ისინი გონს მოეგებოდნენ, ოც ავლანს გამოასალმებდა სიცოცხლეს.

ეს ისტორიული ეპიზოდი თამაზ ნატროშვილს აღუდგენია („მაშრიყით მაღრიბამდე“), როგორც მეტად კოლორიტული და გამაოგნებელი ამბავი ამორძალთა მსგავსი ქართველი ქალისა, ვინც უშორეს მხარეში დაღუპული მეუღლის სისხლს ეძიებდა, რათა თვითონაც იქვე ეპოვნა აღსასრული.

ასეთი თავზეხელაღებული საქციელი, მთელს ლაშქართან მარტოდმარტო შებმა ამგვარი თავგანწირვით ჩვენს მწერლობაში ვაჟას ჯოყოლამ („სტუმარ-მასპინძელი“), ალექსანდრე ყაზბეგის ელგუჯამ („ელგუჯა“), ნიკო ლორთქიფანიძის უსახელო ჭაბუკმა („ამაყი“) და გურამ დოჩანაშვილის წინამძღოლმა („სამოსელი პირველი“) გაბედეს და მათი რომანტიკული ბუნებისათვის სწორედ რომ ნიშანდობლივი და შესაფერისი გახლდათ ამ უჩვეულობის შუაგულში მოქცევა. და რადგანაც ამგვარი პიროვნული ხასიათის ყოველი შრე პოემაშიც და მოთხრობებშიც ღრმადაა წარმოსახული, მათ მიხედვით შესაძლებელია განვჭვრიტოთ იმ უცნობი ქალის სულიერი ყოფა.

ის მხნეობა და მეომრული ჟინი, რამაც ქალს ეს საარაკო საქციელი ჩაადენინა, მარტოდენ აბასაბადის ხიდთან და მარტოდენ ავლანთა წინააღმდეგ თუ აენთებოდა, თორემ აქ, ქართლში, ისიც დედა იყო და, თუ ქმარი შინ მშვიდობით დაუბრუნდებოდა, არავის — და არც თვითონ — ეცოდინებოდა, რა გახელება სცოდნია და შურისძიებასაც რარიგ შეეძლო მთელი მისი არსების განმსჭვალვა. არა, აქ ჯავრს ვერ ამოიყრიდა: ვინმეს მოკვლა ოსმალთაგან თუ ლეკთაგან, მაშინ ქართლში რომ დათარეშობდნენ, ვერც მისი ქმრის აჩრდილს დაამშვიდებდა და ვერც ქალის აბორგებულ სულს მოასვენებდა: მხოლოდ იქ და მათთვის უნდა გადახდილიყო სამაგიერო, სადაც და ვისაც ქართველი ვაჟკაცი ცხედრად ექციათ.

ამ ეპიზოდის მერე ვისი გახელება და ჟინი უნდა გაგვიკვირდეს.

უჩვეულოდ აღარც ის მოგვეჩვენება, თვით ხატშიაც რომ შეჰყოლიან მოსისხლეს და იქვე განუგმირავთ.

ხალხური ბალადა „ივანეური“ ამ ქარგაზეა აგებული და თუმც ზოგიერთი გარემოება ბუნდოვანია, ტრისტან მახაურის მიერ მოძიებული ცნობები ნათელყოფს, რომ ივანეური — ვინც ბედელში შევარდნამაც ვერ იხსნა — სისხლის აღებად წამოსულიყო ჭიმღადან. როგორც ჩანს მანამდე აყოვნებდა, და თმა-წვერს ცვენა რომ დაუწყია, უგუმანია, ეტყობა, ხატი მიწყრება, ამდენ ხანს შური რომ არ ვიძიეო. ხატმა შეაყენა საბედისწერო გზაზე, მაგრამ შურისგება რომ აღასრულა, მფარველად აღარ მოევლენია. უფრო ზუსტად: ხატის მფარველობა ისაა, რომ მასთან შეფარებულს ვერავინ უნდა შებედოს მისი განწყრომის შიშით. მაგრამ რისხვით აღვსილი ხოშურაული არაფერს დაერიდება და — თუმცა ხატის წინაშე ცოდვის შესამსუბუქებლად კელაპტარს მოიმარჯვებს — ივანეურს თავს გააგდებინებს, რითაც მთელს მის გვარს დაედება მოუცილებელი ცოდვა.

საგულისხმოა, რომ თეთრაულიძეთ (ივანეურის მოგვარეებს) სისხლი აღარ უძიებიათ, რადგან მიუჩნევიათ, ჩვენი მოძმის მკვლელს ხატი უფრო მკაცრად დასჯის და ნულა შევეცილებითო.

და ცოდვისაგან გამოსახსნელად ხოშურაულებს დაეკისრათ დანადები ცაბაურთის მთავარანგელოზის კარზე (დანადები, ძველი წესის თანახმად, ის სავალდებულო მსხვერპლია, რაც შერისხულს წლების მანძილზე უნდა ეწირა სალოცავისათვის, ვიდრე ხატი გულს არ მოიბრუნებდა).

საგანგებოდ უნდა დავუკვირდეთ იმ ვითარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზას, რომ სისხლის ძიების ჟინით ანთებული ივანეური არა უშუალოდ მოსისხლეს, არამედ სახელოვან ვაჟკაცს გადაუდგება და ჯავრს იმაზე ამოიყრის. და ეს ივანეურის პირადი გადაწყვეტილება კი არ გახლავთ, არამედ ძველი წესის შესრულება — შურისგება აღსრულებულად მაშინაც ითვლებოდა, თუ სახელოვან ვაჟკაცს გამოასალმებდნენ სიცოცხლეს, იმისდა მიუხედავად, ემართა თუ არა სისხლი.

აქ რაიმე ლოგიკის ძიებას ნუ შევუდგებით, მივიღოთ და ვაღიაროთ ისე, როგორც პარადოქსული სინამდვილე — როგორც ერთი ძველი წესთაგანი, სისხლის მღვრევში ჩათრეული უოფისათვის ნიშანდობლივი და ბუნებრივი გამოვლინება.

მხოლოდ ამგვარი ცხოვრების ყაიდით აიხსნება ისიც, რომ შურისმაძიებლისათვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ენიჭებოდა, თუ ვინ იყო ბრალეული: თუნდ მათ მოძმეს დაეშავებინა, შეურაცხყოფა მიეყენებინა ვინმესთვის, ანდა სულაც თავზე დასხმოდა, იმას კი ემარჯვა და მოგერიებისას შემოკვდომოდა თავდამსხმელი, ახლობლები მაინც მოვალენი იყვნენ სისხლის აღებისა, ასე სჯიდა მათი მორალი და საზოგადოებრივი შეგნება.

მერე რა, რომ „თეთრ საყელოში" ელიზბარი იძულებით გამოიწვია დათვიამ, მან კი პატიოსანი შერკინებისას დაჯაბნა მოქიშპე, — დათვიას სანათესაო ამას არ შეარჩენდა და არც შეურჩენიათ — მიპარვით ტყვია ესროლეს.

ანდა: როცა ძმები ტარბები ორჯერ მოსაკლავად დაესხმიან თავს არზაყან ზვამბაიას (კონსტანტინე გამსახურდია, „მთვარის მოტაცება") და ერთს თვითონ არზაყანი მოჰკლავს, ხოლო მეორეს — საშველად შემოსწრებული ძიძიშვილი თარაშ ემხვარი, თუ სვანეთში არ გადაიხვეწებოდნენ, შურისგება არ ასცდებოდა არც მათ და არც კაც ზვამბაიას.

შიოლასა და მთრეხელის ბალადა გემახსოვრებათ.

აქ კიდევ სხვა უცნაურობა (უცნაურობა თუ კანონზომიერება?) გამოტყვრება.

ეს ბალადა იქ წყდება, ლუდუშაურები შურს რომ იძიებენ და შიოლას დის ოჯახში თავშეფარებულ მთრეხელს სარკმლიდან დაჰკრავენ ისრებს:

თორმეტი მოხვდა მთრეხელსა,
დახვრიტეს როგორც ცხელია.

არც ამ გავეშებულ შურისმაძიებელთათვის ჰქონია არავითარი მნიშვნელობა, რომ მთრეხელი საკუთარ ღირსებას იცავდა გაბუდაყებულ შიოლასაგან, ვინც ცხენის წართმევასაც არ დასჯერდა და მშვილდ-ისარსაც წაეტანა. მოძალადისაგან თავის დაღწევა უსისხლოდ ველარ ხერხდებოდა და რისხვით აღვსილმა მთრეხელმაც ის ისარი შიოლას მკერდისაკენ მიმართა:

მშვილდი აღარ დამეთმობა,
ადგილს ვარ ნაპირისასა,
გადმოვილებ და გულსა გკრავ
ბატონსა აჩხოტისასა,
აქამდე ჭამე აჩხოტი,
ახლა მე გაჭმევ ქვიშასა.

ასე გადაეწნა ერთმანეთს პირადი და საზოგადო შეურაცხყოფა, ერთიმეორე გააზელა და შიოლამ თავისი ცხოვრებისათვის შესაფერისი აღსასრული ჰპოვა... მაგრამ ბალადის მთელი სიმძაფრე თურმე ჯერაც წინაა: და მთრეხელს ბედისწერა მაინცდამაინც შიოლას დის ოჯახში მიაგდებს („დაო, არ შამიფარებდი, მამკლავსა შენი ძმისასა!"), რათა ქალმა შეიფაროს შემოხვეწილი („შამოდი, შავო და ბნელო, თუ სულს ვაამებ მკვდრისასა") და ერთბაშად უმწვავესი კონფლიქტი იშვას: გაშიშვლდეს ადათთა შორის წამოჭრილი ღრმა წინააღმდეგობა.

შიოლას ძმები სისხლის აღების ადათს იცავენ.

შიოლას და — სტუმარმასპინძლობის ადათს.

ორივე მხარეს თავ-თავისი სიმართლე აქვს, რადგან ორივე ადათი ერთნაირად მოითხოვს დაცვას.

მხოლოდ გაიოლებული ახსნა იქნება, თუ რომელიმეს ამ ადათთაგან დრომოჭმულად მივიჩნევთ და ვიფიქრებთ, რომ ერთი მხარე შეცდა, როცა მეორის სიმართლეს ყური არ ათხოვა.

უბრალოდ, აქ ორი სიმართლე შეეხალა ერთმანეთს, შეეხალა ისევე, როგორც ვაჟას „სტუმარ-მასპინძელში": აქაც ხომ ადათთა შორის შეჯახებამ გადაჰკიდა ჯოყოლა მთელს თემს, რადგან მისი რწმენა—„ვის გაუყიდავ სტუმარი, ქისტეთს სად თქმულა ამბადა" — უნებლიეთ დაუპირისპირდა თანამოძმეთა რწმენას — „მთელი ქისტეთის ამომგდე სტუმრად რადა გყავ სახლშია"; და თუმც თემი გასტეხს მარტოკაცის წინააღმდეგობას და ძალდატანებით ჩამოიცილებს, მაგრამ რწმენას ვერ შეუცვლის, ისევე, როგორც ჯოყოლას თავგანწირვაც ვერ შეცვლის თემის რწმენას, ვერ დააოკებს შურისგებით აღვსილ ჟინს და ულმობელი შურისძიება მაინც აღსრულდება.

ჯოყოლა ხევსურთა ლაშქარს მარტოდმარტო იმიტომ შეება, რომ ქისტების თვალში დაკარგული ღირსების გრძნობა აღედგინა („მარტოკამ უნდა ვიომო, მთელმა ჯარეგამ ნახოსა, ვინ ვაჟკაცია, ვინ არა, ქვეყანამ დაინახოსა"), სტუმარმასპინძლობის ადათის დაცვა გაემართლებინა და თვითონაც თუ რამ შესცოდა (ბოლოს და ბოლოს, თანამოძმეთა მტერს, უშუალოდ მისი ძმის მკვლელს დაუდგა მფარველად) საკუთარი სიკვდილით ჩამოერეცხა.

ასე რომ: ჯოყოლას თავზეხელაღებული საქციელი (ერთი მხრივ, ქისტებს არ ეპუება, მეორე მხრივ, — ხევსურებს) სტუმარმასპინძლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადათის გაქელვამ და ადათთა შორის მოულოდნელად წარმოშობილმა შინაგანმა წინააღმდეგობამ გამოიწვია.

ელგუჯაც ამან გარია შურისმგებლად ყაზახრუსებში, ერთადერთი წადილით შეპყრობილი: სტუმარი მოუკლეს და ამისათვის სამაგიერო უნდა გადაეხადა, თუნდაც სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა. ამიტომ ამაოა ყოველგვარი შეგონება, ამაოა თანახოფლელთა მონდომება მის გამოსაბრუნებლად — „ნუ მიხვალ, შე ბეჩაო, შენა!.. იმდენ ხალხთან მარტო კაცი რაი გახდები! მაშ დაბრუნდი და ცხოვრივ მოუაროთ" — ელგუჯას გადაწყვეტილება ურყევია, „მაშ სტუმრის სისხლი შევარჩინო? თავი სალექსოდ გავიხადო!.. მომკვლენ და ალალი იყოს! კაცი ერთხელ დაიბადების და ერთხელ მოკვდების".

იგი მოკლული მეგობრის სისხლს სხვა შემთხვევაშიც უთუოდ აიღებდა, მაგრამ მაშინ ერთ რომელიმე ყაზახს დაადევნებდა მათიას სულს და ასეთი გაშმაგებით არ ეკვეთებოდა მტრის სიმრავლეს.

და როცა ელგუჯა თავშუაზედგაჩეხილი მათიას გვერდით დაეცემა, თუმც მწარედ წარმოუდგება დაობლებული ცოლ-შვილის ბედი, თავის საქციელს არაფრით არ ნანობს და კვდება დამშვიდებული მოვალეობის აღსრულების შეგნებით: „მათიაუ, ვერ მისაყვედურებ! მარტო არ დაგაგდე..."

ხოლო მთრეხელისა და შიოლას ბალადა თუმც იქ წყდება, იმ მძაფრი კონფლიქტის დასაწყისშივე, ორი სიმართლე რომ შეეჯახა ერთმანეთს და შიოლას დის მანდილის ღირსება შეიბღალა, მაგრამ ამირან არაბულის მიერ მოძიებული პროზაული გადმოცემანი კონფლიქტის უკიდურესობამდე გამწვავების, ცოდვის კალოს შემსწრეს გვხდიან.

შიოლას და (ერთი ლექსის ვარიანტით: დარეჯანი) არ დახჯერდება მთრეხელის დატირებას („სდიოდა ცრემლის ნაკადი, სიტყვა — გულთ გამამხრავია"), არც მისი ცხედრის გაცილებას სამთრეხლოს მთისაკენ და ნადირობიდან შინ დაბრუნებულ ქმარს თავისი ძმის მოკვლას დაავალებს: „ხალხში უქუდოდ სიარულს იქავ ძმის სიკვდილი მირჩევ". არც ტაბლას გაუშლის: „შინავ სტუმარ მაგიკლესავ წეედივ, მაკალივ მკვლელიც და პურსაც მეშრ გაჭმევავ..." და როცა ქერა იუარებს, ცოლისძმაზე ხელი როგორ აღვმართოო, ცოლი არაფრით არ მოეშვება, თუ არ მოგიკლავს, ცოცხალი თავით შენთან მცხოვრები აღარ ვარო... და ქერამაც ისრით მოკლა ცოლისძმა.

ანტიკური ტრაგედიები გაგახსენდება, სადაც ვნებათა სიშმაგისა და შურისგების აუცილებლობის წინაშე შემუსვრილია ნათესაური გრძნობები.

ქერას მიერ ჩადენილ მკვლელობას კიდევ ახალი და ახალი მსხვერპლი მოჰყვა: სამი ქერაშვილი და სამიც ღუდუშაური [illegible] სტუმრის მოკვლისათვის დატრიალებულ სისხლისღვრას ან უფრო ზუსტად: შიოლას გაბუდაყებას... თვითონ ქერა კი განგების მსხვერპლი შეიქმნა: „ამბობენ ჩამაქცევასა ახალცხოურის კლდისასა, თან ჩაყოლასა ამბობენ ქერბეღელაის ძისასა".

ეს ცალკეული ნიმუშები სისხლის აღების ჩვეულებისა მთელს ამ ადათს გადაწვდება და შთამბეჭდავ (თუმც შესაზარ) წარმოდგენას ქმნის მის არსზე, ოღონდ გაცილებით უფრო შემზარავი გამოჩნდებოდა, ამბავი ამბავზე რომ დახვავებულიყო... ჰუმანურობის ნიშან-წყალსაც ვეღარ ვპოვებდით... დაუსრულებელი და ულმობელი ქიშპი და მტრობა ახელებდა სისხლის წყურვილს და სასტიკ ინსტინქტებსაც აშიშვლებდა.

და მაინც: სისხლის ძიება, ამოზრდილი მთის საზოგადოებათა სამართლებრივი ნორმებიდან და ღრმად ჩაკირული მათ რჯულში, ის აუცილებლობა, მეტიც, ის შინაგანი კანონზომიერება გახლდათ, რასაც უნდა შეეკავებინა მკვლელობანი: კანონზომიერი და ყველაზე გამართლებული გზა.

არა, ეს ნამდვილად არ არის პარადოქსი.

შურისგების გარდუვალობის მუქარა თუ დააშოშმინებდა აზვირთებულ სისხლსა და სულს და დამშვიდებას უკარნახებდა: საკუთარი თუ შვილის, ძმისა თუ ნათესავის სიცოცხლის უთუო საფრთხეში ჩაგდების ანდა მშობლიური მიდამოდან სამუდამოდ აყრისა და გადახვეწის შიში დაუვლიდა მთელს სხეულში და, თუ აფექტი გონებას არ დააკარგვინებდა, მოყვასზე ხელის აღმართვას ეს შიში დაუშლიდა.

თუ მოსახდენი მაინც მოხდებოდა, ვინ იცის, რამდენი უდანაშაულო პიროვნება აღმოჩნდებოდა ჩათრეული ცოდვისტრიალში, მაგრამ თუ არა ეს ადათი, თუ არა ვნებათაღელვის რაღაც კალაპოტში მომაქცეველი ჩვეულება, სისხლისღვრას მართლაც არ ექნებოდა საზღვარი და ადამიანის სიცოცხლეც სრულიად გაუფასურდებოდა. ულმობელია შურისგების ადათი, მაგრამ როცა წარმოვიდგენთ, უიმისოდ რა მოხდებოდა, ძალდაუტანებლად ამიტომაც აღვიქვამთ მის წარმოშობას ბუნებრივ და კანონზომიერ წესჩვეულებად, ვიდრე სამოქალაქო მართლმსაჯულება შეცვლიდეს.

. . . . . . . .

## თავი III

# სისხლის წყურვილი

როცა ოდისევსი გადაწყვეტს მისან ტირეზიას ამკითხვინოს თავისი ბედი და ამისათვის შავეთში ჩასვლასაც არ დაერიდება (ჰომეროსი, „ოდისეა"), ცირცეს რჩევისამებრ, ორმოს პირას საკლავს რომ დაკლავს, სისხლის ოხშივარი

მიიზიდავს აჩრდილებს და ისინი ისეთი შემზარავი ვიშით მიაწყდებიან სისხლიან ორმოს, რომ ოდისევსს თავზარს დასცემენ.

ეს შავეთის ყოფაა, ეს აჩრდილთა მოქმედებაა, მაგრამ ამ სიმბოლურ სურათში მკაფიოდ ილანდება ამქვეყნიური ცხოვრებაც — ეგაა: ის, რაც შავეთის სიღრმიდან ხელშესახებად ამოიზიდა, წუთისოფელში შეფარულია და მძაფრ დაპირისპირებებში ნაგულისხმევი. და თუმც აქ შემზარავი ვიშით არავინ მიელტვის სისხლიან ორმოს, მაგრამ განა მკვლელობის ჟინით ალვსილს ასევე არ ათრობს სისხლის ოხშივარი?.. ანდა: შურისგების ჟინით ატანილს.

განა თვითონ ოდისევსმაც ულმობლად არ შემუსრა და სისხლის გუბეში არ ჩააწვინა სასიძოები, ვინც მისი ცოლისა და სამკვიდროს დაპატრონებას ლამობდნენ და გათამამებულნი არც ცის ბინადარ ღმერთებს ეპუებოდნენ და არც კაცთა შურისგებისა ეშინოდათ? ამიტომაც მოევლინათ განმკითხველი და შურისმგებელი რისხვად და სამართლიანობის აღმდგენელად.

ან აქილევსიც ასეთივე გაშმაგებით არ ეძიებს სისხლს (ჰომეროსი, „ილიადა“)? იგი მაშინაც უყოყმანოდ შეებმოდა ჰექტორს თავისი მეგობრის პატროკლეს მოკვლის გულისთვის, ჯადოსნურ წყალში რომც არ ყოფილიყო განბანილი, მაგრამ ახლა მწვავე ვითარებას განსაკუთრებული დრამატიზმით მუხტავს იმ საიდუმლოების გამჟღავნება, დედა რომ შეატყობინებს აქილევსს: ჰექტორს თუ მოკლავ, შენც უთუოდ სიკვდილი გელის, ჯადო ველარ დაგიფარავს, მხოლოდ ის გიხსნის, თუ შურისგებაზე ხელს აიღებ.

და სწორედ ამ საქციელით გაცხადდა აქილევსის ზნეობრივი მრწამსი და პიროვნული ხასიათი: შეუძლებელია დათანხმდეს მზის ქვეშ ყოფნას პატროკლეს ხსოვნის წინაშე ღალატის ფასად, შეუძლებელია ყურნი დაიხშოს და თვალნი დაიბრმავოს, თუ პატროკლეს სული, ჰადესიდან მოვლენილი, შურისგებისაკენ მოუწოდებს. არადა, წარმოუდგენელია ასე არ მოხდეს და პატროკლეს სული დამშვიდდეს, ვიდრე მკვლელსაც მის კვალს არ გაუყენებენ.

აქილევსი არც დაცლის ძმისსწორის სულს საიქიოდან გამოცხადებას — სასტიკ ორთაბრძოლაში სძლევს ჰექტორს და თვითონაც, არსებითად, იქ გაიწირება, თუმც ბედისწერა თავის განაჩენს მოგვიანებით აღასრულებს.

აქილევსი ისე აუტანია შურისძიების წადილს, ისე დაათრობს სისხლი, რომ არავითარ მოწიწებას არ იგრძნობს ჰექტორის წინაშე, მისი მხედრული სიმამაცე გულს ვერ შეუტოკებს და, თუმც ტროელი გმირი შეევედრება, ჩემს გვამს უპატიურად ნუ მოეპყრობიო, ეტლს გამოაბამს და ისე მიათრევს ბანაკში...

იმას თუ ვიტყვით: ჯადოსნურ წყალში რომ განბანილიყო და მისი სხეული მახვილმიუკარებელი შექმნილიყო, ყველა იაქილევსებდაო.

აქილევსი ხომ იმიტომ არ არის გმირი, რომ აურაცხელი ტროელი გამოასალმა სიცოცხლეს. ამას სხვაც ჩაიდენდა და ჩაუდენიათ კიდეც. მაგრამ ის სხვანი მითუფრო მოერიდებოდნენ ბედისწერასთან ასე გათამამებას და ის საიდუმლო თუ ეცოდინებოდათ, შურისგებას ჩვენი სიკვდილი მოჰყვებაო, მეგობრის ხსოვნას უღალატებდნენ და თავს ნამდვილად არ გაიმეტებდნენ.

შურისმაძიებელთა შორის ორესტე (ესქილე, „ორესტეა“) უთუოდ ყველაზე მწვავე დილემის წინაშე აღმოჩნდება: სისხლის აღებისათვის აქეზებს მოვალეობა მამის ხსოვნის წინაშე და უზენაესი სამართლიანობის აღსრულების აუცილებლობა; მაგრამ დაბრკოლებად აღმართვია მოვალეობა დედის წინაშე და დედის უფლების დამცველი ქალღმერთებისგან — ერინიებისგან — მოსალოდნელი შურისგება.

არადა, არც სხვა გამოსავალი ჩანს: ორესტეს დედამ, კლიტემნესტრამ, საკუთარი ხელით განგმირა ტროას ომიდან გამარჯვებით შემოქცეული და აბანოში ნეტარებით ჩათვლემილი ქმარი — მთავარსარდალი აგამემნონი და დაღვრილი სისხლი სამართალს ითხოვს.

აგამემნონის მკვლელობა იმან გამოიწვია, რომ შინ მარტოდ დარჩენილ კლიტემნესტრას ეგისთოსი შეუჩნდა და მოხიბლა. ქმარი რომ ილიონის კედლებთან დაღუპულიყო, შეყვარებულები იოლად მიაღწევდნენ გულისწადილს: დაქორწინებასა და ეგისთოსის გამეფებას არგოსში წინ ვერაფერი დაუდგებოდა, მაგრამ, რახან აგამემნონი მშვიდობით დაბრუნდა, მისი გზიდან ჩამოშორება განიზრახეს.

იციან: მეფის მუხანათურ გაწირვას მოქალაქეთა მღელვარება მოჰყვება და მათ დასაშოშმინებლად კლიტემნესტრაც და ეგისთოსიც ცდილობენ მისი სახელის გატეხვას, აგამემნონის წარმოსახვას გულბოროტ და ცოდვებით დამძიმებულ პიროვნებად („სწორედ მან, სურა ვინც ავსო ცოდვით და სისხლით, დაბრუნდა შინ და გამოსცალა ფსკერამდე იგი“) და თავიანთ საქციელს სამართლიანი შურისძიების მოტივით ხსნიან.

რომ გწადიათ სამშობლოდან გამაძევოთ და ხალხის წყევლა და ზიზღი დამატეხოთ — არ ეპუება მოქალაქეებს დედოფალი — თვითონ აგამემნონს რატომ არ დასდეთ მსჯავრი, როცა ჩვენი ასული იფიგენია მსხვერპლად შესწირა ღმერთს, თითქოს კრავი ყოფილიყოს, რათა ქარიშხლის მძვინვარება დაეცხროთ. უმანკო სისხლში გასვრილი ხელებისათვის რატომ არ გააძევეთ ქალაქიდან? და რაც თქვენ ვერ გაბედეთ, მე აღვასრულეო: „ჩემთან არს დიკე და შვილისთვის შურისმგებელი ერინიები — მათ შევწირე მეუღლე ჩემი“.

თითქოს კლიტემნესტრა მხოლოდ იარაღი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს შურისძიების ქალღმერთის ხელში, „მიზეზი თავის სიკვდილისა თავადვე გახლავთ“ — როცა ამტკიცებს — „ავი ქნა და ავიც მიეზღო“.

თითქოს ეგისთოსიც იარაღი იყოს განგების ხელში და შურისძიების ნანატრი დღე იმიტომ გაუთენა, რომ აგამემნონს წყევლამ უწია მამამისის მიერ ჩადენილი უსაშინლესი ცოდვისათვის: აგამემნონის მამას თავის ძმასთან თიესტესთან (ეგისთოსის მამა) ბრძოლა მოუხდა ძალაუფლებისათვის და ძლეული თიესტე ქალაქიდან გაიქცა. მერე ვითომდა შერიგდნენ ძმები და ატრევსმა თიესტე სტუმრად რომ მიიპატიჟა და სუფრა გაუშალა, წინასწარ ორი ვაჟი დაუხოცა და მათი ხორცის კერძი მიართვა უბედურს... და, აბა, ეს გაუგონარი ურჯულოება წყევლას როგორ გადაურჩებოდა ან ბოროტმოქმედის მემკვიდრე — სამართლიან სასჯელს... თიესტეს მესამე ვაჟი, ეგისთოსი, შეშინებულმა ოჯახმა, ამასაც არ მისწვდნენო, სასწრაფოდ გახიზნა უცხო მხარეში... დავაჟკაცებულსა და სიძულვილით აღვსილს აგამემნონის მიმართ ამიტომაც დაჰკისრებოდა უეჭველი სისხლის აღება:

იქ მზარდა დიკემ, დამაბრუნა კვლავ
სამშობლოში,
დიდხანს კარს უკან მიმალული ვუცდიდი
მტარვალს.
და ჰა, მზაკვრული ოსტატობით ავუგე წესი.
აწი სიკვდილსაც სიხარულად მივითვლი,
რაკი
სამართლიანად ხელფეხშეკრულს ვხედავ
მოსისხლეს.

მართალია, საკუთარი უდანაშაულობისა და აგამემნონის სიკვდილის გარდუვალობის მტკიცება კლიტემნესტრასაც და ეგისთოსსაც ხალხის დასაწყნარებლად და ძალაუფლების შესანარჩუნებლად სჭირდებათ, მაგრამ არაგულწრფელნიც არ არიან. არ ვიცით, როგორ წარიმართებოდა მათი ცხოვრება და იძიებდნენ თუ არა შურს, ბედს ერთმანეთთან რომ არ შეეხვედრებინა, მაგრამ, ასეა თუ ისე, შეხვედრამ გააღვივა და რეალობად აქცია გულში ჩამარხული ფარული ზრახვა.

სამართალი აღსრულდეს, ოღონდ უკვე ეშინიათ ცოდვის გამრავლებისა და მომავალი შურისძიების: რომ აგამემნონის მკვლელობაც არ დარჩება დაუსჯელი. ამიტომაც ივედრება კლიტემნესტრა ასე გულმხურვალედ, გაგვცილდეს სისხლიანი დემონი, ახლა სხვა ბილიკებს გაუყვეს, სხვა სასახლეებს მიაშუროსო: „მთელ ჩემს სიმდიდრეს შევწირავდი, ვიკმარებდი მარტოოდენ მცირეს ოღონდაც შეწყვეტილიყო ბრმა სიძულვილი და მკვლელობანი მოყვასთა შორის“.

მაგრამ თუ ორივეს მართლა ეწადა სისხლიანი ჯაჭვის დასრულება, სჯობდა საკუთარ გულშივე ჩაეცხროთ შურისგებისაკენ მისწრაფება, თორემ ახლა სისხლის ძიების აღკვეთა — მათ ხელთ უკვე აღარ არის და პირადი კეთილდღეობის სურვილით გამოწვეული მიმტევებლობის ქადაგება ამაო გარჯაა.

არგოსელები მუხანათობს ვერ პატიობენ: მითუმეტეს, რომ ასეთი უგვანი საქციელი — ღალატით მკვლელობა — გადამდებია და მთელი ქალაქის ცხოვრების წესს მოშლის: თანდათან გაქრება სიდარბაისლე, მოწიწება, თაყვანისცემა, რაც აღავსებდა ხალხის სულსა და გულს, და მთელი ქალაქი დაინთქმის პირადი გამორჩენის მორევში.

მოქალაქეთა გულისწყრომა და შეურიგებლობა უზურპატორთან ძალდაუტანებლად ითხოვს შურისძიებას, რაც, პირველ ყოვლისა, აგამემნონის ვაჟს ევალება, ჯერ ყმაწვილს და უცხო ადგილას გაზრდილს: და მის დავაჟკაცებასა და არგოსში მოსვლას მოელიან, როგორც სამართლიანობის აღდგენის ერთადერთ რეალურ გზას. და ეს მუქარა, ეგისთოსს რომ შეპკადრებენ, „მაგრამ ორესტე ცოცხალია ბედის განგებით, დადგება ჟამი, როცა იგი შინ მობრუნდება თქვენდა ჯალათად, უსასტიკეს შურისმგებელად“, ბედისწერის განჩინებად აღიქმება — ორესტეს ბედი ჯერ კიდევ იქ განისაზღვრა, როცა აგამემნონი ბაგაზე დაბმული ხარივით დაკლეს. მას აღარ შეუძლია გადაუხვიოს ამ გზას და მართლაც უსასტიკეს შურისმგებლად არ მოევლინოს მკვლელებს, თუ სურს, რომ სამუდამოდ არ მოიკვეთოს მშობლიური ქალაქიდან.

ასე დგება უმწვავესი დილემის წინაშე.

თუმც მისი მტკიცე ნებისყოფა, როგორც ანტიკური ტრაგედიის გმირისა, წინასწარ სულაც არ დრკება დედის გამეტების წინაშე, ეჭილე არ ულრმავდება ორესტეს შინაგან მღელვარებას და მხოლოდ მაშინ გაუღვიძებს სინდისის ქენჯნას, როცა უშუალოდ ჩასცემს დედას მახვილს; და მისთვის მამისადმი სიყვარული ზევრად და ზევრად აღემატება სიყვარულს დედისადმი, მაგრამ ამით დილემის სიმწვავე არა ცხრება.

რასაკვირველია, სიმტკიცის მიუხედავად, ორესტესათვის იოლი არ არის ასეთი უმძიმესი საქციელის ჩადენა, მით უფრო, რომ წინასწარვე იცის, რომ დედის მოკვლისათვის დატანჯავენ ერინიები და ამიტომ ევედრება ზერმესსაც, ზევსსაც და მამის საფლავსაც, ამიტომ უხმობს და ეძახის მამის აჩრდილს, რათა სისუსტემ არ გადასძლიოს და შინაგანი ძალით აღივსოს შურისძიებისათვის.

ორესტეს აქამდე არავინ არაფერს აყვედრის, რადგან აჩქარება სულაც არ არის აუცილებელი: „შურისგება კი აყოვნებს მანამ, სანამ ბოლომდე არ დამწიფდება ცოდვის ნაყოფი“ — ესეც თავისებური წესი ყოფილა. ახლა კი შესაფერისი ჟამი დამდგარა და აგამემნონის სულიც განსაკუთრებით ამიტომ აბორგებულა, არ ისვენებს და წყევლა-კრულვით დასტრიალებს მკვლელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინას; და შეძრწუნებული კლიტემნესტრა, სულის მოსალბობად აგამემნონის სამარეზე აგზავნის მხევლებს მსხვერპლშეწირვის რიტუალის შესასრულებლად და მათ შორისაა მისივე ასული ელექტრაც, ორესტესა და შურისგების ჟამის ყველაზე მეტად მომლოდინე, მაგრამ როცა მკვლელისათვის სამაგიეროს მიზღვას ივედრება, გრძნობს, რომ ერთდროულად ლოცულობს სიკეთისთვისაც და ბოროტებისთვისაც. სისხლის დაღვრა, ბუნებრივია, აკრთობს, მაგრამ გარდუვალობად მიიჩნევს, უფრო ნაკლებ ბოროტებად, ვიდრე ქალაქის ცხოვრების წესის მოშლაა, ადათის შებღალვაა. ეგ კია: ეძიებს ძალას, საკუთარ თავში, რათა თვითონაც არ აჰყვეს ბრმა სიძულვილს და კლიტემნესტრასავით სისხლით არ შეილებოს უმანკო და სპეტაკი ხელები. ის, რაც სამართლიანი იქნება ორესტესთვის, ელექტრას მძიმე და გამოუსყიდველ ცოდვად ჩაეთვლებოდა.

ფუჭია კლიტემნესტრას მცდელობანი: აგამემნონის სულის დამშვიდება და ორესტეს სწრაფვის დაოკება მკვლელთა სისხლის დაღვრას თუ შეუძლია — და ორესტე მოტყუებით კიდეც შეაღწევს სასახლეში, თითქოს უცხო მგზავრი იყოს და ორესტეს გარდაცვალების ამბავი მოჰქონდეს, შეურჩევს დროს და სიცოცხლეს გამოასალმებს ეგისთოსსაც და კლიტემნესტრასაც, ოღონდ, ცხადია, წამიერად შედრკება დედის წინაშე („ვაი, პილადე, მეძნელება დედის სიკვდილი“), მაგრამ მეგობარი ღმერთებისათვის მიცემულ ფიცს გაახსენებს და კლიტემნესტრას ვეღარ იხსნის [illegible] ვედრება.

მივეგოთ: სისხლი სისხლის წილ, ზევსიც არ განსჯის ამის ჩამდენს, რადგან სამართლიანი შურისგების მომხრეა: და ცხოვრებაც თავის ჩვეულ წესსა და რიტმს უნდა დაუბრუნდეს, რაკილა დაილეწა სასახლის მძიმე ბუნდები და ნათლის სვეტიც კვლავ ალიმართა.

მაგრამ დასრულდება კი ცოდვის ჯაჭვი? ვითომ შეწყდება სისხლიანი განჩინებანი?

მერე რა, რომ ორესტეს ღმერთიც ამართლებს და მოქალაქენიც — აქამდე იგი იყო შურისმაძიებელი და უსამართლოდ ჩაგრული, ახლა კი უკვე მასზე უნდა იძიონ შური, მას მოეთხოვება პასუხი ვინმეს წინაშე — თუ ასეთი ადამიანი არ გამოჩნდება, აგერ, ერინიების წინაშე, რომელთაც ვერსად დაემალება ძეხორციელი, თუნდაც მთელი დედამიწა შემოვლოს, თვალუწვდენელი ზღვა და ხმელეთი გადაიაროს, გინდ ციხე-ქალაქში შეაღწიოს, არ მოეშვებიან, ვიდრე ხარივით გაქაფულს ძირს არ დასცემენ.

სისხლი სისხლის წილ ახლა ორესტემ უნდა ზღოს. ამიტომაც უთხრა კლიტემნესტრას მოკვლის წინ: „შენ მოჰკალი — სცოდე, გკლავ და ვცოდავ სამაგიეროდ“.

[illegible] კლიტემნესტრას აჩრდილი დრტვინავს და ვერ მოუსვენია, რომ მის მკვლელს აქამდე ვერ მიეზღო სამაგიერო, ამუნათებს [illegible] ერინიებს, წყრომით მოაგონებს, ყველა ღმერთზე მეტად მათ მიმართ რომ ემეტებოდა შესაწირავი: „მუდამ გწირავდით შეურევნელ წმიდა საწირავს, განვამზადებდი კერიაზე ღამეულ ნადიმს მხოლოდრე თქვენთვის, სხვა ღმერთები აღარც მახსოვდა“. როგორც ჩანს, კლიტემნესტრა წინასწარვე იჭერდა თადარიგს ორესტესაგან მოსალოდნელი შურისგების წინააღმდეგ... მაგრამ ერინიებს ძილქუში დასწოლიათ და თავი ვერ წაურთმევიათ არა იმიტომ, რომ ან თავიანთ მოვალეობას ღალატობენ, ანდა უმადურობას იჩენენ, არამედ იმ მიზეზით, რომ აპოლონს მოუგვრია მათთვის ძილი.

რადგან ორესტეს საქციელს ზევსი ამართლებს, ხოლო ერინიები არ პატიობენ, თავისთავად წარმოისახება ამ ზნეობრივი მოვლენის — შურისგებისა და მიტევების — გადატანა კაცთა საუფლოდან ზეციურ საუფლოში: გადაწყვეტით იქ უნდა გადაწყდეს და ზეციური განაჩენი მხოლოდღა გათამაშდეს დედამიწაზე... და თუ რა ელის ორესტეს, ამას შესაფერის ჟამს მივუბრუნდეთ, ჯერ ჰამლეტის მამის აჩრდილის დრტვინვას მივუგდოთ ყური (უილიამ შექსპირი, „ჰამლეტ, დანიის პრინცი“).

ეს აჩრდილიც შურისძიებით აბორგებული სულია, რომელსაც სამარეში ვერ მოუსვენია, ვიდრე მის მკვლელს სამაგიერო არ მიეზღვება. ესაა მისი თხოვნა და დავალება, რის აღსრულებასაც შვილს დააკისრებს. ჰამლეტს ისედაც ვალად სძევს სამაგიეროს გადახდა, ოღონდ აქამდე — თუმც ბუნდოვან ეჭვებს შეუპყრია — რეალური საბუთი არ მოეძევება მამამისის მკვლელის (თავისივე ბიძის — ამ მუხანათური საქციელით ძმის მეუღლე და გვირგვინი რომ მიიტაცა) გამოსაამშკარავებლად.

ამიტომ ჩნდება განსვენებული მეფის აჩრდილი ელსინორის ტერასაზე, ამიტომ აზელებს დარაჯებს იდუმალი და შიშისმომგვრელი სახით, რომ ბოლოსდაბოლოს ჰამლეტის ყურს ჩაესმას მისი უჩვეულო მოვლინების ამბავი და თვითვე ეახლოს მიზეზთა ამოსახსნელად. და სიმართლის შეტყობამდე ჯერ ეს მოისმინოს, მოემზადოს შურისძიებად...

აჩრდილი აქეზებს შვილს სამაგიეროს გადასახდელად და დიდად მოუწონებს მტკიცე დაპირებას მის აღსასრულებლად:

მე მჯერა შენი, იმ ამბავს, რომ შენ არ
ალეხთე,
მაშინ იმ უმსგავს ბალახად არ ეღირებოდი,
რაც ქვესკნელს ლეთის ნაპირებზე
სიმსუქნით ლპება.

აქეზებს, თუმც აღიარებს, რომ „დიდი ცოდვაა კაცის მოკვლა...“ — მაშ ამ ცოდვისთვის რატომ იმეტებს? მარტოდენ მისთვის, რომ აბორგებული სული დაუმშვიდდეს და შვილი კი სატანჯველში გახვიოს? არა: აჩრდილისათვის ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურისძიება სამართლიანი აქტია, ადამიანის ხელით აღსრულებული, ოღონდ ღვთით მოვლენილი სასჯელი „უბუნებო, გასაოცარი“ მკვლელობის სამაგიეროდ... ოღონდ რაოდენ დამნაშავეც უნდა იყოს ჰამლეტის დედაც, ვინც შეურაცხყო ქმრის სარეცელი, აჩრდილი სთხოვს შვილს, მაინც არაფერი გაბედოს დედის წინააღმდეგ და ამით სული და გონება არ შეიბღალოს: „იგი თვით ზეცას მიანებე და მის სინიდისს; დეე, მათ სტანჯონ, მათ მოჰკითხონ...“ — ის, რაც ორესტემ ჩაიდინა, სრულიად წარმოუდგენელია ქრისტიანული ზნეობისათვის და მოუნანიებელ იარად აღებეჭდებოდა ჰამლეტის სინდისს — ასეთ შურისგებას ღმერთი აღარ იაბულებდა.

თუმც ჰამლეტის ბუნდოვანი ეჭვები შედარებით უფრო მკაფიოვდება, გრძნობს, როგორ მოუწოდებს შურისძიებად ზეცაც და ქვესკნელიც, მაგრამ ყოყმანით მაინც ყოყმანობს, რადგან სისხლის დაღვრა არ ეადვილება და იმ ეჭვს ებღაუჭება, იქნებ ის აჩრდილი, მე რომ ვიხილე, მამაჩემის სული კი არა, ეშმაკი იყო: „იქნებ იმან განიზრახა ჩემი დაღუპვა, რადგან ჩემებრივს სევდიან და სუსტ ქმნილებაზე მავნედ მოქმედებს ძლიერება ავი სულისა“. ამიტომ უფრო მტკიცე საბუთის მოსაპოვებლად, ვიდრე აჩრდილის ხილვაა, მოიფიქრებს ახალი ხელმწიფის წინაშე მსახიობებს გაათამაშებინოს მამა-ჰამლეტის მოკვლის მსგავსი სცენა და თვალი ადევნოს ბიძის გუნება-განწყობილებას. ეს ღრმა ფსიქოლოგიური ხერხი მარჯვე საშუალებაა სიმართლის გასარკვევად — თუ ხელმწიფეს ეცნო თავისი მოქმედება, სცენის ბოლომდე ყურებას ვერ შეძლებს.

კლავდიუსზე მართლაც მეტად მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენს მსახიობთა თამაში და უმალ მიატოვებს წარმოდგენას.

ხოლო ჰამლეტი — უკვე სავსებით დაჯერებული კლავდიუსის ბოროტმოქმედებაში — კვლავაც ყოყმანობს და თავს ამუნათებს სიმხდალეს, ეჩვენება, რომ ყველა და ყველაფერი მისგან შურისძიებას მოითხოვენ და ეს კიდევ უფრო ამძაფრებს მის სულიერ ჭიდილს: „თითქოს ყოველი შემთხვევა მე თვალწინ მესახვის, რომ დამაყვედროს, რად ვგვიანობ ჯავრის ამოყრას...“

განსხვავებით ორესტესაგან — ანტიკური და მონოლითური გმირისაგან — ერთი მხრივ, ქრისტიანული გარემო და აღზრდა და, მეორე მხრივ, რენესანსის ეპოქის ადამიანისათვის ნიშანდობლივი ეჭვები ორთოდოქსული დოგმებისადმი, ადუნებს ჰამლეტის გაბედულ სწრაფვას — და ეს სულიერი ჭვემა ამის ნაყოფია:

> მე რაღას ვლოდავარ? ამ ძილიდან რად არ
> მაღვიძებს
> ან მამის მოკვლა, ან შერცხვენა დედიჩემისა,
> ან გონების სჯა, ან მღელვარე სისხლის
> დუღილი?

ანტიკური ტრაგედია მარტოდენ [illegible]-ვების ნათელსაყოფად არ გამიხსენებია: „ჰამლეტის“ საერთო იერში, იმ მთავარ მოტივში, რაც მსჭვალავს მთელი ტრაგედიის ქარგას (საბედდობრ, აჩრდილი შემწყნარებლობას კი არ იჩენს, შურისძიებას მოითხოვს) საცნაურია ანტიკური ტრაგედიის სუნთქვა — ამიტომაც შეხლართვია ერთმანეთს გარდასულ და ახალ ეპოქათა წარმოდგენები: თუმც შექსპირმა დაარღვია ბერძნული ტრაგედიის მხატვრული პრინციპები და ყოველივე ახლებურად გაიაზრა, აქ ეს შორეული გამოძახილი მაინც გადარჩენილა.

ჰამლეტს კვლავ მოევლინება მამის აჩრდილი ნებისყოფის გასაძლიერებლად და მოვლენათა მსვლელობაც თვითვე დააჩქარებს მისი ფარული განზრახვის აღსრულებას — მის ხიცოცხლეს ხელმწიფისაგან სულ უფრო რეალურად ემუქრება საფრთხე და ჰამლეტი განგმირავს კლავდიუსს მოწამლული დაშნის ჩაცემით.

სულიერმა ჭიდილმა მაინც შურისგებისაკენ გადასწონა.

აი, მედეა კი არავითარ სულიერ გვემას არ განიცდის, როცა შურისძიებით აბობოქრებული საკუთარ შვილებს დახოცავს: ისიც ხომ ანტიკური ტრაგედიის გმირია (ევრიპიდე, „მედეა“).

ეს შემზარავი შემთხვევა — ბავშვების დახოცვა — სრულიად უცნობია ამ ლეგენდის ყველა ვერსიისათვის, რასაც ტრაგედიის კომპოზიციური ქარგა ეყრდნობა და — როგორც გამორკვეულია — ევრიპიდეს საგანგებოდ შეუთხზავს. ლეგენდის მიხედვით მედეას გულისწყრომა კორინთოს მეფეს კრეონტსა და მის ასულს ატყდებოდათ თავს, ხოლო შვილებს კრეონტის ნათესავები უბრალოვდნენ შურისგების მიზნით, რადგან თვითონ მედეა ათენში გაასწრებდათ და ის ულმობელი მკვლელობა, ჩადენილი მედეას სულიერი განადგურებისათვის — უმწეო, უმანკო ბავშვების გამეტება — ტრაგედიაში მოულოდნელად თვით მედეას მიეწერა. ევრიპიდეს ისედაც მკაცრად ამუნათებდნენ, ქალებისადმი სიძულვილით აღვსილია, ამიტომ მიაწერს ათასგვარ უმსგავსოებას და ზნედაცემულ, ბოროტ, ყოვლად უსიამოვნო პერსონაჟებად წარმოსახავს, რათა სახელი გაუტეხოსო. თითქოს ეს კერძო შემთხვევაც ამასვე ადასტურებს — ევრიპიდე ისეთნაირად ახვაფერებს ცნობილ მითოლოგიურ ლეგენდას, რომ ქალს, დედას ასეთ გაუგონარ ბოროტმოქმედებაში ჰხვევს...

მაგრამ ძველი ბერძენი ტრაგიკოსი — პირუთვნელი რეალისტი და ამიტომაც ათვალწუნებული თანამოქალაქეთაგან — ისტორიულ ქრონიკას ხომ არ თხზავდა, მარტოდენ ლეგენდის ვერსიებისეულ ცნობებს მიჰყოლოდა და მათი შეჯერებით, დაზუსტებითა და შევსებით ეცადა გარდასული რეალობის აღდგენა — იგი მხატვრულ სიმართლეს ჰქმნიდა, რომლის შინაგანმა ლოგიკამაც, — ლეგენდის არსის მიგნებისა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომზეურების წადილმა თავისთავად მოითხოვა ასეთი არსებითი ცვლილება ამბის ფინალში — ასე უკეთ გამოიკვეთებოდა მზაკვრულად მოტყუებული, ღირსებააყრილი და ფეხვეშგადაჭრილი ქალის უმძაფრესი სულიერი ტრაგედია; და ეს დაფარული სიმძაფრე უფრო შთამბეჭდავად როგორ უნდა ალექვა თვალს, თუ სულიერი ჭიდილი და ვნებათაღელვა გარეგნულადაც უმწვავესად არ წარმოსდგებოდა.

ბერძენ მაყურებელს მედეას მიერ ჩადენილი მკვლელობა ალბათ მაინცდამაინც არ შეაცბუნებდა და კოლხისთვის, როგორც ბარბაროსისათვის, იქნება ჩვეულებრივ საქციელადაც მიეჩნიათ, როგორც ველური ბუნების გამოვლენა, ყოველ შემთხვევაში, ისეთი ყვედრებით არ აავსებდნენ დრამატურგს, როგორც ბერძენ ქალთა სისუსტე-სიმდაბლეთა ხილვისას, მაგრამ იაზონის სრულიად განსხვავებული წარმოსახვა, ვიდრე მათი გონება შეხჩვეოდა, უთუოდ არ ეჭაშნიკებოდათ. დიდების შარავანდედით მოსილი გმირის ნაცვლად მათ თვალწინ მოქმედებდა მზაკვარი, ცრუ და ანგარებით შეპყრობილი პიროვნება, ვინც პირადი კეთილდღეობისათვის არავის და არაფერს დაერიდებოდა.

იაზონის ნამდვილი ბუნების გაშიშვლება ამაღლებულსა და რომანტიკულ ბრწყინვალებას აკლებდა არგონავტების ლაშქრობას კოლხეთში, მანამდე მითიურსა და ჰიპერბოლურ სახეებში რომ მოექციათ და მის მონაწილედ საუკეთესო ბერძენი გმირები დაესახათ, ოღონდ ამ ლაშქრობის მოთავის იაზონის განსაკუთრებული სიმამაცისა და სიმარჯვის წყალობით ხერხდებოდა ოქროს საწმისის დაბრუნება ელადაში. იდეოლოგიური საბურველი მალავდა ნამდვილ მიზნებს: თითქოს ბერძნები სხვას კი არ ეცილებოდნენ რაიმეს, სხვისი საკუთრების მიტაცება და მათი მიწა-წყლის დამორჩილება კი არ ეწადათ — ამ პირველი ექსპედიციით კოლხთა ხელმწიფის ქალისა და სამხედრო შესაძლებლობათა მოსინჯვას კი არ ცდილობდნენ — არამედ თავიანთ დაკარგულ ქონებას ვერ ელეოდნენ.

თუმც თქმულება ვერ ფარავდა, რომ მედეას დაუხმარებლად იაზონი ვერაფერს მიაღწევდა, და კოლხთა სამეფოს სიძლიერე — თუ ღალატით არ გაიცემოდა — არამარტო გაართულებდა, არამედ მთლად გააქარწყლებდა ბერძენთა მიზნებს, მაგრამ იმასაც გვარწმუნებდა, რომ კოლხთა მეფის ასულის მოხიბვლას ყველა ვერ შეძლებდა (აქი თანამოლაშქრეთაგან ვერც ვერავინ შეძლო) და განა იაზონის მიმართ გაჩენილი ცნობისწადილი და სიმპათია, სიყვარულში რომ გადაიზარდა, ბერძენმა გმირმა არ გამოიწვია თავისი იშვიათი ღირსებებით?

მედეამაც ასე დაიჯერა, იაზონის მომნუსხველ გავლენაში მოქცეულმა, ყველაზე დიად გრძნობას, ნამდვილ სიყვარულს ვეზიარეო, და თავისი ჯადოსნური უნარი ოქროს საწმისის მცველი დრაკონის დასაძინებლად გამოიყენა.

ეს ხომ მართლა — ან უფრო ზუსტად: მხოლოდ — ვერძის ტყავი არ ყოფილა, ოქროთი მოვარაყებული: საწმისი უკვე კოლხთა სამეფოს ძლიერებისა და გამძლეობის სიმბოლოდ ქცეულიყო, გამორჩეულ მადლად, სადაც შენივთებულიყო და დაუნჯებულიყო ერის სიმტკიცე და მისი დაკარგვა სამეფოს უთუო დაკნინებას მოასწავებდა... მედეამ უწყოდა, რასაც სჩადიოდა, მაგრამ სიყვარულით ანთებულმა დათმო და გაწირა კოლხეთი, გაწირა მამა, გაწირა ძმა, ვინც გაქცეულ არგონავტებს დაედევნა და კიდეც დაეწია, მაგრამ მედეასა და იაზონის მუხთლობით სასიკვდილოდ განიგმირა...

მედეასათვის სიყვარულის გრძნობა აღმოჩნდა ამქვეყნად ყველაფერზე აღმატებული და ამიტომაც მიენდო ასეთი თავდავიწყებით იაზონის სახით ხორცშესხმულს: ამიტომ მოიკვეთა დაუნანებლად ფესვები და უცხოტომელს, თავისი სამშობლოს მტერს გაჰყვა თან. მან ჯერ არ იცის, როგორ მწარედ მიეზღვის კოლხეთისა და თავისიანთა ღალატისათვის და ნეტარ ოცნებათაგან გამორკვეული რა სინამდვილეს იხილავს: სიყვარული თურმე მხოლოდ მაცდურება ყოფილა, გარეგნული და უგულო გრძნობა, ბრჭყვიალა არარაობა, საწადელის მიღწევის ერთ-ერთი მზაკვრული ხერხი; და როცა საწადელი მიღწეულია — ოქროს საწმისი მოპოვებული და კოლხეთის ძლიერებაც შერყეული, იაზონისათვის მედეა უკვე დაბრკოლებად ქცეულა. მას, კორინთოს სამეფოში თავშეფარებულს, ახალი მიზანი გაუჩნდა — ამ სამეფოს ტახტზე ასვლა: ამიტომ დაუნანებლად მიატოვებს ცოლს და კრეონტის ასულზე დაქორწინებას გადაწყვეტს. და როგორც თავისი ასულისათვის მაინც სახიფათო მეტოქეს, კრეონტი მედეას კორინთოდან გაძევებას მიუსჯის.

მედეა გოდებს თავის უნუგეშო და უმწეო ხვედრს და წყევლის უმადურ ქმარსა და შვილებსაც — აქ უკვე გაუცნობიერებლად კრთება მისი ულმობელი მსჯავრი, ბავშვებს რომ მალე უნდა დაატყდეთ. მედეა გრძნობს, რომ რახან მაცდური ყოფილა სიყვარული, მაცდურია მისი ნაყოფიც — შვილები; და რადგან დაიმსხვრა სიყვარულის საოცნებო სამყარო, მისი ნაყოფიც თან უნდა მიჰყვეს. იაზონთან შეხვედრა და მისი ცინიზმი კიდევ უფრო აშმაგებს მედეას და ამწიფებს მის გონებაში მკრთალად გაელვებულ ფიქრს.

„შენ სიყვარულის გულისათვის ჩაიდინე ეს ყოველივე და არა ჩემთვისო“, ისე ამუნათებს და ნიშნს უგებს იაზონი, თითქოს ეს გრძნობა სადღაც თავისთვის არსებობდეს და პიროვნებაში არ გამოიხატებოდეს. ასე აუფასურებს მედეას თავშეწირვას მისთვის, აბუჩად იგდებს და აღარც იმ სიცრუეს ერიდება, ჩემს თავზე კი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობ, მეფის ასულს რომ ვირთავ, შვილების მომავალი მაღელვებს და მათი კეთილდღეობისათვის ვზრუნავო.

ქორო მოხთქვამს მედეას სიყვარულის ასეთ სავალალო დასასრულს და მისი თავგადასავლის მაგალითზე ნათელყოფს სამშობლოს მოწყვეტილი პიროვნების განწირულებას. ეს მოთქმა, არსებითად, მედეას სულში დატრიალებული ქარიშხლის რეალური, ხელშესახები წარმოსახვაა, ისევე, როგორც ქოროს ის ვედრება, ნუ აღასრულებ საზარელ შურისგებასო. ეს მედეა ყოყმანობს, მის სულში ეხლება ერთმანეთს საპირისპირო ნაკადები გრძნობა-განცდათა, რადგან, რაოდენ დიდიც უნდა იყოს მძვინვარება, იოლი არ არის განზრახვის აღსრულება... მაგრამ ულმობელი გადაწყვეტილება აღარ იცვლება...

შვილების დახოცვა და კრეონტისა და მისი ასულის მოწამვლა ერთბაშად დაუმსხვრევს იაზონს საოცნებო მიზნებს: მას მომავალი კეთილს აღარაფერს უქადის და მორალურად განადგურებულს ისღა დარჩენია, სიცოცხლე ბედის გმობაში გალიოს...

ოღონდ ამდენი სისხლის დაღვრას იქნებ ხჯობდა მარტოდენ იაზონის მოკვლა? მაგრამ უშუალოდ ქმრის მიმართ აღსრულებული სასჯელი გამძვინვარებული მედეას თვალში გაცილებით იოლი საზღაური იქნებოდა: მაშინ იაზონს ერთბაშად მოეღებოდა ბოლო, ახლა კი უნდა იტანჯოს და თავის თავზე გამოსცადოს, რა მწარე ყოფილა იმედების დამსხვრევა.

მთავარი მაინც ის არის, რომ იაზონის მოკვლა დააკნინებდა, შემოზღუდავდა იმ დიდ ვნებათაღელვას, რაც „მედეაში" ტრიალებს; და ხიმძაფრე მოაკლდებოდა გმირი ქალის სულიერ ტრაგედიას, რადგან ეს სცენა წარმოგვიდგებოდა კერძო ოჯახურ კონფლიქტად და მისი ზნეობრივი და სოციალური ძირები დაფარული დარჩებოდა.

შვილის მოკვლა რომ უფრო სასტიკი და ბევრად უარესი შურისგებაა, ვიდრე შემცოდისა თუ დამნაშავის სისხლის დაღვრა იქნებოდა, საამისო ნიმუშები ბერძნული მითოლოგიიდანაც გაგვახსენდება, თვით ღმერთთა ცხოვრებიდან: აპოლონმა და არტემიდემ აკი დაუნდობლად დაუხოცეს შვილები ნიობეს იმ დაცინვისათვის, რითაც ნიობემ მათ დედას გულიატკინა და, შვილების გაჟლეტით განადგურებული ქალი, ტანჯვას რომ ვეღარ გაუძლო, კლდედ გადაიქცა; ფრანგული მწერლობიდანაც: ბარიჩინი ქუჩაზე შეცდება და კორსიკიდან გადახვეწილი და მარტოდდარჩენილი ისე იტანჯება, სიკვდილი მისთვის ბედნიერებაა — ასე მიეზღო, შვილების დახოცვით, გენერალ დელა რებიას გამეტებისათვის (პროსპერ მერიმე, „კოლომბა"); ჩვენი ლიტერატურიდანაც: ბატონიშვილმა მანუჩარმა, ისედაც შურით აღვსილმა თავისივე ნათესავის სვიმონ ბატონიშვილის ვა[illegible] გულადობით, შესახედაობითა და მკვირმეტყველებით, მისგან შეურაცხყოფა, დაცინვით ნათქვამი ფრაზა ვერა და ვერ გადახარშა და, თუმც გარეგნულად თავი მოთოკა, შურისძიებით შეპყრობილი დღედაღამ იმის ფიქრში იყო, როგორ მიეზღო სამაგიერო. და, აი, ყველაზე ულმობელი განაჩენი: მონასტერში მიბარებული მისი მცირეწლოვანი ვაჟი სტუმრად მოაყვანინა, თავი მოაკვეთა და სვიმონს მშვენიერი პატარა კოლოფით გაუგზავნა... და როცა გამწარებული სვიმონი — და მისი ცოდვით აღულებული უთვალავი ჯარი — მიწასთან გაასწორებს მანუჩარის ავლადიდებას, ცეცხლს მისცემს იმის სამფლობელოს და მაგარ ციხესაც დაუქცევს და გაფთრებული ხმლით მივარდება მანუჩარს — „უგვანო!.. მხეცო!.. ჩემზე ჯავრით მლეღავდი... უმანკოს, ნორჩ სიცოცხლეს რას ერჩოდი?.. ბოროტო!.." — ის სულის ამოხვლამდე ამის წამოძახებას მოასწრებს: „ხომ გაგამწარე!.. სიკვდილამდის გაგამწარე!.. სიცოცხლე აღარ მენანება!" (დავით კლდიაშვილი, „თავადი პეტრე"); განა დავითიც — თავისი გულბოროტობით მეზობლის უდანაშაულო ბიჭს გზა-კვალი რომ აუბნია — შეურაცხმყოფელის ხელით შვილების მოკვლამ არ დასცა სულიერად და გაახაცოდავა? სიმონა ცოლის შეურაცხმყოფელს — დავითის ერთ ვაჟს რომ გულს განუგმირავს და მის ძმასაც თან მიაყოლებს, საჭიროდ აღარ მიიჩნევს, რომ დავითიც მათთან ერთად გაისტუმროს საიქიოს, რადგან იცის, რომ იმ ბოროტ ბერიკაცს ასე უფრო გაამწარებს და სიცოცხლეს სატანჯველად გადაუქცევს (ეგნატე ნინოშვილი, „სიმონა")...

ან გულისვარდს რა დაგვავიწყებს (დანიელ ჭონქაძე, „სურამის ციხე"), უცოდველი ყმაწვილის ულმობლად გამწირველ გულისვარდს, ვისი შურისძიებაც — ნასაზრდოები ოცის წლის სიძულვილითა და გამძაფრებული მოთმინებით (სწორედ ეს, ერთი შეხედვით, შეუთავსებელი სიტყვათშეთანხმება გამოხატავს ცხადად ქალის სულის მოძრაობას) — იქ გადაწყდა, როცა განუდგა ღმერთს და უშუამავლოდ ეშმაკი აირჩია.

უეცარი ელდა ისეთი ძლიერი გამოდგა, ისე დაუმსხვრია ყოველგვარი იმედი, რასაც თან მიჰყვა ღვთის რწმენაც, რომ ქალის გონებაში უკვე არავითარი ცვლილება აღარ მომხდარა.

იგი არ ყაბულდება, ღმერთს მიანდოს შურისგება, ილოცოს, რათა უზენაესმა მიუზღოს სამაგიერო; თვითონვე უნდა გადაუხადოს მაგიერი, რათა დურმიშხანმა, ვინც გულისვარდის შემწეობით ცხოვრება მოიწყო და მერე დაუნანებლად მიატოვა, იცოდეს, ვინც დამართა ხიავე: ასე უფრო გამწარდება და გაიტანჯება.

„მეც ისე მოვუკლა იმას გული, როგორც იმან მომიკლა", ეს ოცნება ასულდგმულებს გუ-

ლისვარდს უმმას გზაზე შედგომისთანავე და ბოლოს და ბოლოს მისი აღსრულებით — „დურმიშხან, აბა შემომხედე! ვერ მიცნობ? შენ მომკვდრის, ამის ღვთიური დაურღვეველი..." — თავის ამქვეყნიურ ვალს მოხდილად ჩათვლის: აკი მის მიღწევას შეწირა ყველაფერი, ეს მიზანი რომ არა, სხვა ვერაფერი გააძლებინებდა..., და რადგან გულისწადილი უკვე შესრულებული აქვს და წუთისოფელში აღარაფერი დარჩენია, — მანუჩარისა არ იყოს, — ამიტომ ეგებება ასე მშვიდად სიკვდილს დურმიშხანის ხელიდან, თუმც არც იმას ივიწყებს, რომ მისთვის ხაძულველადქცეული კაციც არ დატოვოს ცოცხალი. სახტიკი შურისგების გარეშე კი მარტო ლურმიშხანის სიკვდილი ძალიან ეცოტავებოდა.

„ახლა გავსწორდით" — ზეიმობს გულისვარდი, რადგან, როგორიც ძვირფასი და სანუკვარიც იყო მისთვის სიყვარული, იხეთივე ძვირფასი და სანუკვარი იყო დურმიშხანისათვის ზურაბი და სხვა ვერაფერი გაამწარებდა ისე, რომ ცხოვრებისაგან გალაღებულს სიცოცხლეზე ხელი ჩაექნია, სხვა ვერაფერი ანატრებინებდა, „რატომ არ უთხარი, რომ მოხუცებული მამაშენი მოეკლათ, შენთან რა უნდოდათ, ჩემო თვალის სინათლე!"

მხოლოდ ეს უნგრევს დურმიშხანს ყოველგვარ იმედებს და როგორც გულისვარდისათვის შეიქნა ღვთის სახელის ხსენება ფუჭი, ისე ეხეც განუდგა ღმერთს: არც იგლოვა ვაჟი, არც ხაყდარში წასულა, არც აწირვინა... ისიც ისევეა შეპყრობილი მარტოდენ შურისგების წადილით, როგორც გულისვარდი...

მათი აღსასრულიც ამიტომ დამგვანებია ერთმანეთს: არც ერთი არ ცდილობს სიკვდილის არიდებას.

რადგან გულისვარდის არსებაში აღარ ღვთის უფლის რწმენა, ამიტომაც არ დაუდგება თვალწინ მის მიერ დაღუპული ჭაბუკის ლანდი და სულს არ უშფოთებს მისი ვედრება — „რა დავაშავე, რისთვის დამმარხე ცოცხალი", განსხვავებით ნოდარისა („სურამის ციხე") და სიმონასაგან (მიხეილ ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი"), რომლებიც არ მოასვენა უმანკო სისხლმა.

. თვითონ ცოცხლად დამარხვაც — და არა მოკლულის გვამის ჩატანება სურამის ციხის კედელში — განსაკუთრებულ გაბოროტებაზე მეტყველებს და ეხეც ხაცსებით ბუნებრივია — გზა, რომელიც აირჩია, სხვაგვარი სულისკვეთებით არ ალავსებდა, ოდნავადაც არ გაუნელებდა შრისხანებასა და გულსა და სულში დატრიალებულ მდაბალ ინსტინქტებს.

მხოლოდ წამიერად შეაკრთო თავისი შურისგების ულმობელობამ და ცრემლებიც კი წამოსცვივდა, მაგრამ მალევე გაიმაგრებს გულს („აი შე ლაჩარო ჩემო თავო! შეგეშინდა? აბა, შენი გულის მკვლელი ჩაგივარდა ხელში, აბა, რა წვალებას მოუგონებ"), რათა უშფოთველად მოახსენოს ვეზირს: სურამის ციხის აშენების იმედი ნუ გექნებათ და სულ ასე გაუთავებლად ჩამოიქცევა, თუ მის კედელში დურმიშხან წამალაძის ვაჟი ზურაბი არ ჩაატანეთო.

ასე აღსრულდება შურისგება სხვათა ხელით, ვინც უნებლიე მონაწილენი აღმოჩნდნენ და წარმოდგენა არა აქვთ, სინამდვილეში რას სჩადიან; და თუმც გულისვარდი პირადად არ განგმირავს ყმაწვილს, მისი აბორგებული ეჭვი დამცხრალია და შურისძიების ის სიტკბოებაც, რაც ერთ მეგრულ შაირშიც ყოფილა ხოტბაშესხმული (მისი შინაარსი ბუნდოვნადაა გახსენებული „მთვარის მოტაცებაში") სრულყოფილად განცდილი.

ასევე სრულყოფილია მაიას განცდაც შურისგების აღსრულებისას (ლეო ქიაჩელი, „თავადის ქალი მაია") — მისი სიამოვნების თრობა სისხლით.

თვითმკვლელობით რომ ამთავრებს სიცოცხლეს?

არა, ეს არ გამოუწვევია შურისგებისაგან აღძრულ სინდისის ქენჯნას ანდა ღვთის წინაშე კრთომას. მაიას ჩაკარგვა ზღვაში, რომანტიკული ელფერით წარმოსახული, გამოტირება ჩამქრალი სილამაზისა და სიკისკასის. რასაც მანამდე არ უტყდებოდა და კვლავაც მძაფრად მიელტვოდა სიყვარულს, ოდესღაც შმაგი მიჯნურის გაგულგრილებამ გამოაფხიზლა ილუზიათაგან და თავისი უნუგეშო ხვედრი, მარტოობისა და სიბერისათვის განწირული ყოფა, ცხადად შეაგრძნობინა.

თურმე რა ამაოდ ასდევნებია ახალგაზრდობის ძახილს, სიცოცხლისა და ბედნიერებისაკენ ხმობას, რა ამაოდ არწმუნებს ბონდოს თავის გაშლებულ სიყვარულში („თუ ჩემს ალერსს მიკრძალება არა აქვს, როგორც ტანგადმოშლილ საჯნე მთვარეს... სამაგიეროდ, მოურიდებელია იგი და ყველა წესის დამრღვევი, როგორც უკანასკნელი ტრფიალის გიჟური წყურვილი და ხორცის ალტყინება ვნების მიწურვის წინ...") — მიჯნურის მობრუნება აღარაფერს შეუძლია. თანაც, თავადის ქალს მწარედ უნდა დაატყდეს თავს არამარტო მიჯნურის ღალატი, არამედ მისი დიდი ტრფიალება მაიას მოახლოხაში.

მაგრამ თავადის ქალმა არ იცის პატიება.

და ბედისწერა ულმობლად მიაქანებს ბონდოს დაღუპვისაკენ.

„დეე, აღსრულდეს, რაც ბედისწერისაგან განაჩენია... ოღონდ ბონდო, როცა ამ განაჩენის სისრულეში მოყვანის საათი დარეკავს და შენ მას გაიგონებ ან იგრძნობ, ან დაინახავ, მომიგონე მე — მაია, თავადის ქალი, შენი განწირული სიყვარული..." — ეს არ არის და არც შეიძლება იყოს ლიტონი ნათქვამი, უფრო მეტიც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც მარტოდენ ალღოთი ნაგრძნობი. თავადის ქალი უშუალოდაა ჩარეული ბედისწერის განჩინებაში, როგორც დაბადებითვე მასთან გადაჯაჭვული — მთელი ცხოვრების მანძილზე. სისხლიანი კვალი რომ ასდევნებია და ყველა შიშნარევი მოწიწებით შეჰყურებს. მის სილამაზეშია ჩაბუდებული ბედისწერა და სიკვდილი და, წარმართული ქალღმერთებივით, ბაბილონური იშთარი იქნება თუ ქართული დალი, მიჯნურთ შეიწირავს მსხვერპლად. ეს მაშინაც, როცა არა მრისხანებს; და თუ განრისხდა, მაშინ ვინღა გადაურჩება. ამიტომაცაა მისი შურისგება ასეთი ვნებით აღვსილი და სწორედ წარმართული იერით აღბეჭდილი.

როცა ციცო ლორიას სილამაზეც (გრიგოლ აბაშიძე, „ყორნალი") ასევე ბედისწერას გადაჰდობია, ის თვითვეა მსხვერპლი თავისი მშვენიერების და სულიერი სიწმინდისა — სიცოცხლეგამწარებული და ულვთოდ გამეტებული. ის თვითონაა ზვარაკი, ხოლო მაია — ზვარაკთა მიმღები, დაუსრულებელ რიტუალად რომ მეორდება მის წინაშე. მისი სტილიზებული მეტყველების თავისებურება ანიჭებს ირეალურსა და იდუმალ ელფერს მაიას ცხოვრების სისხლიან გზას და სწორედ შესაფერის განწყობილებას ჰქმნის ბონდოს მკვლელობის აღსაქმელად: რეალობის მიღმა იდუმალ ძალთა სუნთქვას ვგრძნობთ.

თითქოს მაიამ არც იცის, როგორ უნდა იძიოს შური, როცა კარავში ბონდოსთან მოტყუებით აგზავნის დაფინოს. მაგრამ მოვლენათა ბედი უკვე გადაწყვეტილია და ამიტომაც დროზე მოევლინება ამბაკო, ვისაც დაფინო უგონოდ შეჰყვარებია. „ჰო, რა დაწყობილია ბედისწერის კანონები, ამბაკო, შენ რომ დაფინოსათვის თვალი გიდევნებია, ძალიან მომწონს ამ დროს რომ მოიკითხე, ეს უკვე განგება არის. მაგრამ ამას შენ ვერ გაიგებ..." — მაგრამ ამბაკოსაგან ბედისწერის კანონებში ჩაწვდომა არც არის აუცილებელი, იგი ისედაც მონაწილე უნდა შეიქნას სისხლიანი აქტისა... და როცა მაია მასაც კარავში გაგზავნის, დაფინო შეუძლოდაა და მოინახულეო, ოდნავ აკივლებული ხმით კვალდაკვალ ამიტომ დაადევნებს: „ივარგე, ჩემო ამბაკო! ივარგე, ბიჭო, იცოდე!"

გარემო ისეთი ირეალობითაა გაჟღენთილი, ფიქრი გაგიელვებს, ეს კივილი მარტო წაქეზებას ან სიხარულის წინასწარ გამჟღავნებას კი არ ნიშნავს, არამედ თითქოს რიტუალის აღსრულების იმ აუცილებელ ნაწილს ჰგავს, როგორც ტრადიციულად ეგებებიან ზვარაკის შეწირვას. საგულისხმოა, რომ სწორედ ამგვარად — რიტუალურ შეკივლებად — არის გააზრებული „ოდისეას" ქართული თარგმანის კომენტარებში ის კივილი, რომელიც აღმოხდებათ ნესტორის მეუღლესა და ქალ-რძალს კურატის შეწირვისას და, აგრეთვე, ოდისევსის სახლეულ ქალებს სისხლში მცურავი სასიძოების დანახვისას: დიაცთა თვალში ესეც მსხვერპლშეწირვაა.

„თავადის ქალი მაია" სავსებით რეალისტური ქმნილებაა. მაგრამ მთავარი გმირის სახე, მისი ერთგვარად დემონური ბუნება და სისხლის დაღვრისაკენ მიდრეკილება ძალაუნებურად იწვევს ასეთ შორეულ ასოციაციებს.

ისიც ნიშანდობლივია, რომ მაია ზღვაში იკარგება, რაც სიმბოლური აზრით გულისხმობს მისი — მშვენიერებასთან დაწინდული ბედისწერის — კვლავ დაბრუნების მოლოდინს.

მაია იმეტებს არა მარტო ბონდოს, ამბაკოსაც, შურისგების უნებლიე მონაწილეს: და თუმცა თავადის ქალი ამშვიდებს დაფინოს, ამბაკოს გაამართლებენ, როგორც შენს დამცველს მოძალადისგანო, ეს ფუჭი ნუგეშია. ყოველ შემთხვევაში, სამსჯავროს მიერ გამართლება ვერ ჩამორეცხს ამბაკოს სისხლს. თუმც ისიც საფიქრებელია, რომ „მობოლშევიკო" პიროვნება — ამბაკო — მაინცდამაინც არ დაიტანჯება თავადის მოკვლის გამო, რადგან პარტიულ-იდეოლოგიური ზეგავლენა და კლასობრივი ეგოიზმი იოლად ჩაუხშობს სინანულის გრძნობას.

ხოლო ცისკო კიდს სინანულის გრძნობა წამიერადაც არ შეიპყრობს (ო, ჰენრი, „ასე იცის კაბალერომ"): იმ მორალური კანონებით, რომელთაც იგი აღიარებს, არამცთუ ნებადართულია შურისგება და სისხლის დაღვრა, აუცილებელიც კია: სხვაგვარად უეჭველი სიკვდილი ელის. კიდი ყაჩაღია, უფრო თავისუფლების სიყვარულისა და დაუმორჩილებელი სულის გამო, ვიდრე სხვა რამე მიზეზი; იგი ყველაფერზე მეტად თავის პიროვნულ ღირსებას უფრთხილდება და მისი ველური ინსტინქტებით აბორგებული ხასიათი იოლად გუობს სისხლის მორევში დგომას: „ის მკვლელობას ჩადიოდა ამ საქმის სიყვარულით, თანდაყოლილი მიდრეკილების გამო, — რადგან ფიცხი ხასიათი ჰქონდა, თავის გადასარჩენად ან, უბრალოდ, გართობის მიზნით. მისთვის საკმარისი იყო სულ პაწაწინა საბაბიც კი".

კიდს ყველა ერიდება და უფრთხის — კარგად უწყიან, რომ მის ცივ, ულმობელ და უტყუარ შურისგებას ვერ გადაურჩებიან. ოღონდ ცისკო კიდმა იცის, რომ თვით შურისძიების დროსაც არ უნდა უღალატოს თავის პრინციპებს. როგორც კაბალეროს შეჰფერის, მისი ერთ-ერთი მთავარი პრინციპია განსაკუთრებული პატივისცემა და მოწიწება ქალებისადმი: „შეეძლო ესროლა მათი ქმრები და ძმები, მაგრამ რაც უნდა განრისხებული ყოფილიყო, ქალს თითსაც არ შეახებდა".

და ამ პრინციპს მაშინაც დაიცავს, როცა სატრფო, ტონია, სხვაზე გაცვლის, თანაც კაპიტან სენდრიჯზე, ვისაც კიდის შეპყრობა აქვს განზრახული და გულმოდგინედ დაეძებს მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალს. ქალს გადაიბირებს და ისიც შეპირდება, მე ჩაგაგდებინებ ხელში... კიდი მათ საუბარს უნებლიეთ მოისმენს; თუმცა განრისხდება და შურისძიების ჟინი არააჩქარებს. ხენდრიკს ბარათს გაუგზავნის ლენიას სახელით: კიდი დამფრთხალი ჩანს, ყოველ მხარეს საშიშროება ელანდება და ჩემი ტანსაცმლით აპირებს გაპარვას, შენც ჩაუსაფრდი და ესროლე, ცოცხლად ხელში ჩაგდებას ნუ ეცდები, აუცილებლად მოკალიო.

დაიმედებული კაპიტანი, ყმაწვილი გოგოს მარჯვედ გაფენილ ხაფანგში, მართლაც ჩასაფრდება, და როგორც კი ქალის კაბაში გამოწყობილ მხედარს დალანდავს, მაშინვე ესვრის... ასე შემოაკვდება ტონია, ასე გამოიყენებს კიდი უნებლიედ თანამგრძნობელად. როცა თავის მწარე შეცდომას მიხვდება და იმასაც გაარკვევს, რომ ბარათი თურმე კიდს დაუწერია, ხენდრიკი პირქვე დაემხობა მტვერში: იგი მორალურად უკვე საბოლოოდაა განადგურებული, რადგან სიკვდილზე მეტი ტანჯვა იწვნია.

„ის არ იყო ნამდვილი კაბალერო და არ შეეძლო შურისძიების მთელი მშვენიერების დაფასება“ — ამბობს კი მერი და ეს სიტყვებიც იმ დაკარგული მაირის სტრიქონებს ეხმიანება, შურისძიების სრულყოფას რომ ირწმუნებოდა; და ისე შთამბეჭდავად, რომ მსმენელს ხელშესახებად განაცდევინებდა ამ უჩვეულო შეგრძნებას.

უჩვეულოს ჩვენთვის, თორემ შურისძიებით ტკბობასა და ნეტარებას უკიდურესი საზღვარი გადაულახავს. ეს ალბათ იმის დასტურია, რომ შურისგების სისასტიკეს ნამდვილად არ გააჩნია საზღვარი.

როგორ შეგვზარა მედეას იმ გაშმაგებამ, რამაც საკუთარი შვილები დაახოცინა, და კიდევ უფრო გაგვაოგნა ატრევსის საქციელმა: ძმას ორი ვაჟი რომ მოუკლა და მათი ხორცისაგან მომზადებული კერძი მიართვა სუფრაზე. და თურმე ეს ორი უკიდურესობაც კი შეიძლება შეერთებულიყო... ძნელი დასაჯერებელია? უთუოდ, მაგრამ.. მაინც გამთლიანდა ეს შემზარაობანი გუდრუნის სახეში („უფროსი ედა“, ისლანდიური საგმირო ეპოსი), გუდრუნისა, ვინც უსასტიკესად გადაუხდის ქმარს — ჰუნთა მეფე ატლის, ვინც მეუღლეს ღალატით ძმები გამოუსალმა სიცოცხლეს. გუდრუნი არ კმარობს ატლის სისხლის დაღვრას, არც სასახლისათვის ცეცხლის წაკიდებას და მეფის ახლობელთა და მსახურთა შიგ გამოწვას, მან ისეთი მწარე სამსალა უნდა შეასვას სიკვდილის წინ, რომ ატლიმ საიქიოშიც ვერ მოისვენოს. და ასეთი უსაზღვრო სიმწარე რა შეიძლება იყოს, თუ არა...

და შეზარხოშებული ატლი რომ იკითხავს, „ბაღლნი სად არიან, საით შეირბინეს ნეტავ სათამაშოდ“, მეუღლე — სრულიად მშვიდი კილოთი — ისეთ პასუხს მიაგებებს, ამ ტკივილს რა გულმა უნდა გაუძლოს:

დანით პირბასრითა დაგიკალ შვილები,
თასებად ვაქციე მე მათი თავები,
ძეთა მათ სისხლითა ღვინო შეგიმზადე,
შამფურზე ავაგე მე მათი გულები,
შევწვი და მოგართვი, — გითხარ, —
ხბოს გულია;
შენ [illegible] შეჭამე, სხვას არვის გაუყავ,
საძირე კბილებით დაღეჭე გულდაგულ.
„აჰა! სცან სიმართლე — ბაღლნი სად არიან!
ვქმენ ჩემნი საქმენელნი, გაწვნიე სიმწარე.

და თუმც მთლად იოლად არც გუდრუნს ჩაუვლის თავისი სისასტიკე: შვილების დახოცვით სამუდამოდ დაიწყლულებს გულს და ჭირსაც გაიმრავლებს (ესეც რომ არ მომხდარიყო!), მაგრამ მის ფსიქიკაში არსებითად არაფერი იძვრის, არაფერი იცვლება და მესამე ქმართან შეძენილ ვაჟებს ისევე აქეზებს შურის საძიებლად, თითქოს არაფერი მომხდარიყოს და თვითონვე არ გამოეცადოს, რასაც ნიშნავს შურისგების ჟინისაგან აფორიაქებული სული.

ის ზნეობრივი კანონები, ის ადათ-სამართალი, რასაც ეყრდნობა იმ გარემოსა და ეპოქის ცხოვრების წესი, უზენაეს მოვალეობად — ყველა გრძნობაზე აღმატებულად — შურისძიებას აცხადებს და გუდრუნიც ამ კანონებს ემორჩილება უდრტვინველად: ისიც საყოველთაო წესების აღმსრულებელია, ერთიანი ცნობიერების ნაწილი და ამ მთლიანობიდან ამოვარდნა არც სურს და არც შეუძლია, ხოლო ასეთ დროს, რაც უფრო სასტიკი და სისხლიანია შურისგება, მით უფრო დაფასებულია მისი ჩამდენი და გუდრუნის შემაძრწუნებელი შურისძიებაც ამიტომაა ეპოსში გამოცხადებული სასახელო გმირობად, რაც ახალთაობებმა ნიმუშად უნდა დაისახონ.

ის სიუჟეტური ქარგა, რაზეც „უფროსი ედა“ ამოიზარდა, რამდენადმე სახეცვლილი კიდევ ერთ ეპოსს დაედო საფუძვლად — „ნიბელუნგების სიმღერას“, მოგვიანო ეპოქის ქმნილებას, რომლის განსხვავებული ზნეობრივი წარმოდგენებიც ვეღარ იგუებს შვილების დახოცვის მოტივს, თუმც შურისძიება, როგორც გარდუვალი აუცილებლობა, კვლავაც დარჩება ეპოსის მთავარ კომპოზიციურ ღერძად. თუმც ის უმოწყალო ულეტათა და შურისგებათა სურათები, რაც დაუსრულებლივ ენაცვლება ერთმანეთს ზიგფრიდისეული განძის ხელში ჩასაგდებად, იქნებ კიდეც ფერმკრთალდებოდეს გუდრუნის იმ შურისძიების ფონზე, მაგრამ რადგანაც ნიბელუნგების ეპოსი მთლიანად შურისგების ირგვლივ ბრუნავს და ყოველი მოტივი უშუალოდ ამ სულისკვეთებას გამოჰკვეთს, სისხლისღვრანიც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ამიტომ ახდენს და ეს საგაც ამით გამოირჩევა სხვა ეპოსთაგან: მართალია, სისხლის ძიება ნიშანდობლივია საგმირო ეპოსებისთვის — ფრანგუ-

ლი „როლანის სიმღერა“ იქნება, ანგლოსაქსური „ბეოვულფი“ თუ სხვანი — ოღონდ იქ შურისგებაში ასე ყველა და ყველაფერი არ არის ჩათრეული. ამ აზრით, „ნიბელუნგების სიმღერა“ ხელშესახებად გამოსახავს ცოდვის ტრიალის უწყვეტ ჯაჭვს.

ეს უწყვეტობაა — და მის საძირკვლად ულმობელი სისხლისღვრა — ყველაზე საშინელ სასჯელად ადამიანისათვის განუხორციელებელი შურისძიება რომ მიუჩნევიათ. გახსოვთ?—„...არ არსებობს კაცისათვის წამება უფრო მძიმე, ვიდრე წადილი შურისგებისა და ვერასრულება მისი“ (ნიკოლაი გოგოლი, „საშინელი შურისგება“). ოღონდ ამას ნუ მივიჩნევთ მხოლოდ პერსონაჟის შეზღუდულებად ანდა მხოლოდ მოთხრობის კონცეფციად. როცა ვაკვირდებით კაცობრიობის ცხოვრებას, როცა შევყურებთ, როგორ ღრღნის ადამიანის სულს სამაგიეროს გადახდის ჟინი, იძულებულნი ვართ ვირწმუნოთ, რომ მისი არსებობის ერთ-ერთი წარმმართველი განცდა შურისგება ყოფილა.

ეს ჟინი ყველაფერს ავიწყებს ადამიანს, თვით იმ მიზანსაც, სიცოცხლეზე მეტად რომ უღირს. რიჩარდისათვის (უილიამ შექსპირი, „რიჩარდ III“) ასეთი მიზანი სამეფო ტახტი და ძალაუფლებაა, მაგრამ რიჩმონდის ამბოხება ისე გააშმაგებს, ისეთი მძვინვარება დარევს ხელს, უკვე აღარც ახსოვს ის ჭირ-ვარამი, ის სისხლით მოკირწყლული გზა, რაც ტახტის, სამეფოს დასაუფლებლად გაიარა და ამ სამეფოს ერთ ცხენში იმეტებს, ოღონდაც მასზე ამხედრებულმა საკუთარი ხელით განგმიროს რიჩმონდი და განიცადოს შურისძიების თრობით ტკბობა.

რიჩარდის თავზეხელაღებულ ბრძოლას ყველა გაოგნებული შეჰყურებს და კეტსბი იმასაც ამბობს, „მეფე სასწაულს ჩადის სწორედ, რაც კაცს არ ძალუძს. არავითარ შიშს ის არ უფრთხის: ცხენი მოუკლეს, ქვეითი იბრძვის, სიკვდილს თითქოს ყელში უძვრება, რომ რიჩმონდ ჰპოვოს!...“ და ფიცხელ ომიდან წამიერად გამოსული რიჩარდი, მოკლული ცხენის სანაცვლოს რომ თხოულობს, თანამებრძოლთ უმტკიცებს: ვგონებ ამ ველზე ექვსი რიჩმონდი იბრძოდა ერთად და ერთის მაგივრად ხუთი მოვკალი...

მძვინვარეა, მძვინვარე შურისგების ჟინი...

მაგრამ რა ეღირებოდა სიცოცხლე, მარტოოდენ ამ ვნებაში რომ იყოს მოქცეული ადამიანის სული და არ იცოდეს, როგორ დააღწიოს თავი მის არტახებს და ჰპოვოს ის თავისუფლება და უზაკველობა, გაჩენისას რომ დაჰყვა.. და კიდეც მალევე შეიმღვრა.

არტახები მკვრივია და გადაულახველი, ისევ თავისკენ ეწევა ამაღლებულ სწრაფვას, მაგრამ სულიც რისი სულია, ბედს აგრერიგად დაემორჩილოს და სადღაც, იქით, შორეული სადგური არ ეძიოს.

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნიკოლოზ კენჭოშვილი

# ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის სათავეებთან

ინდოეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული თუ პოლიტიკური ურთიერთობების პრობლემა, ობიექტური მიზეზების გამო, ჩვენში საფუძვლიანად არასოდეს შესწავლილა, თუმცა საქართველოში ინდოეთისადმი ინტერესი ოდითგანვე არსებობდა.

ისტორიული ხანის დასაწყისიდან ცნობილი ინდოეთმა, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, გარკვეული კვალი დატოვა ქართულ სულიერ სამყაროზე და დღესაც ახდენს თავის ზემოქმედებას ისევე, როგორც მთელი მსოფლიოს სულიერ ცხოვრებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ კულტურულ ფენომენსაც გააჩნია თავისი ღრმა ფესვები, რომლებიც ერთმანეთში ისე არიან გადახლართული თავისი მონათესავე და მეზობელი ხალხების ისტორიულ-კულტურულ ფესვებთან, რომ ძალიან ძნელია დაზუსტებით თქმა ეს ეთნო-კულტურული ფესვები ზედმიწევნით ქართულია. ეს კი არათ. ამგვარი სიძნელე აშკარად შეინიშნება, თუ დასმულ საკითხს სერიოზული მეცნიერული თვალით შევხედავთ. ამდენად წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ ცდას იმისას, რომ ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემა უფრო საფუძვლიანად იქნას შესწავლილი.

სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე ინდოლოგიური მეცნიერება ისე ვერ განვითარდა, როგორც ეს მოხდა, ვთქვათ გერმანიაში (მე-18 საუკუნეში), შემდეგ ინგლისში, ამერიკასა და რუსეთში (გასულ საუკუნეში); ჩვენში ორიენტალისტიკის ამ განხრამ მხოლოდ ჩვენი საუკუნის 50-60-იან წლებში დაიწყო განვითარება, მაშინ, როცა საქართველოსა და ინდოეთის სულიერი ფესვები გაცილებით ღრმად და ახლოს არიან ერთმანეთთან, ვიდრე რუსეთის ან დასავლეთის რომელიმე ქვეყნისა. თუმცა თავშივე ითქვა, რომ ამ სავალალო ფაქტს გააჩნია თავისი ობიექტური მიზეზები, რომელთაგან უმთავრესია საქართველოს მძიმე ისტორიულ-პოლიტიკური ხვედრი — განსაკუთრებით საბჭოური და „ველიკორუსული" შოვინისტური პოლიტიკა, რომელიც, მეცნიერების მრავალ დარგთან ერთად, ორიენტალისტიკასაც ისე წარმართავდა, რომ მსოფლიო კულტურის განვითარების ისტორიაში ძველი (თანამედროვეც) ქართული ცივილიზაციის წვლილი ნაკლებად ყოფილიყო ცნობილი მსოფლიოსათვის ან საერთოდ მიჩქმალულიყო.

ტრადიციის თანახმად, ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობების საწყის ხანად ისტორიოგრაფიაში ძირითადად მიჩნეულია ალ. მაკედონელის მეფობის პერიოდი, რამეთუ ინდოეთის ისტორიამ პირველად დოკუმენტური ასახვა ჰპოვა არა ინდურ წყაროებში, არამედ სწორედ ძველი ბერძენი ისტორიკოსების (ფ. არიანეს, მეგასთენეს, სტრაბონის, ჰეროდოტესა და სხვათა) შრომებში. ეს პერიოდი კი, როგორც ვიცით, მეტნაკლებად თანხვედრია ძველი საქართველოს — დიაოხისა და კოლხის ისტორიისა. მაგალითად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი ბერძენი ისტორიკოსი ფლავიუს არიანე მიუთითებს, რომ მდ. ფაზისის (მდ. რიონის) მარცხენა ნაპირზე მდებარეობს მილეთელთა მიერ დაარსებული ე. წ. ქ. ფაზისი (ქ. ფოთი), სადაც თავს იყრიდნენ სამოცამდე სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ტომები, მათ შორის ინდოეთიდან მოსულნიო და. ა. შ. უთუოდ სწორედ ამ პერიოდს გულისხმობდა გასული საუკუნის ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე, რომელსაც წერდა, რომ „საქართველოსა და ინდოეთს შორის უშუალო თუ მეშვეობითი ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა უხსოვარ დროიდან უნდა არსებულიყო“ (მ. ბროსე—„ქართლის ცხოვრება“, თბ., 1849 წ. გვ. 129). ეს აზრი შემდგომ განმეორდა არაერთი ქართველი მკვლევარის ნაშრომში ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ, როგორც გასულ საუკუნეში (პ. იოსელიანი, ა. ხახანაშვილი, ნ. მარი, ასევე ჩვენი საუკუნის დამდეგს და უფრო გვიანაც) ა. ჯორჯაძე, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, ს. იორდანიშვილი, ავთ. იოსელიანი და სხვა). მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩემი აზრით ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობების სათავეების პრობლემა უფრო სხვაგვარად უნდა იქნას დასმული, თუ გავითვალისწინებთ განსაკუთრებით 60-70-იანი წლებისა და შემდგომ პუბლიკაციებს მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორიცაა ისტორია, ენათმეცნიერება, არქეოლოგია, ანთროპოლოგია და სხვა; ასეთ ნაშრომთა რიცხვს არ მიეკუთვნება საბჭოთა რუსი ინდოლოგების გამოკვლევები ძველი ინდური კულტურის ისტორიაში (თითო ოროლას გამოკლებით), რომლებშიც მინიშნებაც კი არ არის იმის შესახებ, მაგალითად, რომ შუმერები, აქადები, ხასპერები, ხეთები, მითანიელები, ურარტუელები, პელაზგები და სხვანი, ძველი საქართველოს მეზობელი და, გარკვეულ წილად, მისი მონათესავე ტომები (ხალხები), გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე დაკავშირებულნი იყვნენ ინდოსტანის სუბკონტინენტის სულიერ სამყაროსთან და, ამდენად, ისინი ერთგვარი ეთნო-კულტურული ხიდის როლს ასრულებდნენ ძველ საქართველოსა და ინდოეთს შორის. ამგვარად, როგორც საქართველოსი, ასევე ძველი ინდოეთის სულიერი ცხოვრება განუყოფელი ნაწილია იმ ერთიანი ისტორიულ-კულტურული პროცესებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წინარე აზიაში. მით უფრო, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის კულტურა არ განვითარებულა სრულ იზოლაციაში — ლოკალურ საზღვრებში, მეტად თუ ნაკლებად, შესაბამის ისტორიულ ეტაპზე, ადგილი ჰქონდა ადამიანთა მასების მიგრაციებს და მრავალგვაროვან ეთნო-კულტურულ კონტაქტებს, ურთიერთზეგავლენებს, ევოლუციებს, ტრანსფორმაციებს და ა. შ. ამ თვალსაზრისით არც ინდოეთი და საქართველო ყოფილა გამონაკლისი.

როგორც უკვე ითქვა, უძველეს ხანაში, საქართველოსა და ინდოეთის ისტორიულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხებსა თუ ტომებს შორის ნებისმიერი სახის კონტაქტები, ბუნებრივია, წინარე აზიის, მისი მეზობელი — სამხრეთით განლაგებული ქვეყნების მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო, განსაკუთრებით შუამდინარულ-შუმერულ-აქადური ცივილიზაციების აყვავების ხანაში, იმ ხალხებთან ურთიერთობაში, რომლებიც გაფენილი იყვნენ თითქმის ინდოსტანის სუბკონტინენტის დასავლეთამდე, რომელთა ისტორიისა და კულტურის შესახებაც მრავალი შრომა გამოქვეყნდა გასული საუკუნიდან დღემდე (ვ. ჰუმბოლდტი, კიპერტი, ს. კრამერი, ფ. ბოპი, ჰომელი, ვობტი, მ. ბროსე, ივ. ჯავახიშვილი ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, მ. ჯანაშვილი, ა. ჩიქობავა, მ. წერეთელი, ა. სვანიძე, გ. ჩუბინაშვილი, ქ. ფირცხალავა, გ. წერეთელი, გ. მელიქიშვილი, ზ. გამსახურდია, თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ჯ. შარაშენიძე, ჰ. ფენრიხი, გ. ნებიერიძე, ზ. სარჯველაძე, შ. ასათიანი და სხვა). თუ საკითხს ამგვარად დავაყენებთ, რომ ძველ საქართველოსა და ინდოეთს შორის ერთგვარი მაკავშირებელი ხიდის ფუნქციას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები ასრულებდნენ და ასეთ ისტორიულ-კულტურულ კავშირში ძველი საქართველოც, ფაქტობრივად, აქტიურ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, მაშინ ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობების სათავეებიც ამ რეგიონების ეთნო-კულტურულ და ისტორიულ შრეებში უნდა ვეძებოთ. გ. ჩუბინაშვილის ნაშრომში „სამხრეთ კავკასიის ისტორიისათვის“ (1971 წ. გვ. 21-64 რუს. ენაზე) — ვკითხულობთ — „მასალებით დასტურდება დიდი ტრადიციების არსებობა კავკასიასა და ძველი აღმოსავლეთის ერთიანობაში, ასევე მიწათმოქმედებითი კულტურის ადრეგანვითარების საერთო კანონზომიერება (7-4 ათასწლეულებში ძვ. წ. აღრიცხვით) და სხვადასხვა სახის მუდმივი ურთიერთობა სამხრეთ საქართველოსა და წინარე აზიას შორის“. მოგვიანებით ამ აზრმა თავისი განვითარება ჰპოვა, აგრეთვე, თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ (თბ. 1984 წ. ორტომად, გვ. 890, რუს. ენაზე). სადაც ნათქვამია, რომ წინარე აზიის ჩრდილო პერიფერიებზე, ე. ი. ამიერკავკასიის სამხრეთიდან ზემო მესოპოტამიამდე, სწორედ ამ რეგიონებში, შესაძლებელია ყოფილიყო ენობრივი და კულტურული კონტაქტები ძვ. წ. აღრიცხვით 4 ათასწლეულების მანძილზე. ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ [illegible] რულ ხანაში და მოგვიანებითაც [illegible] კონტაქტების შედეგი (ინდოევროპულ[illegible] ბის ხალხთა ისტორიის [illegible]

ბიბლიოთეკა

შეიძლება იყოს არსებობა იმ საერთო ლექსიკური ნიშან-თვისებებისა (და არა მარტო ენობრივი) ქართულსა და ძველ ინდურ-სანსკრიტს შორის (ასეთ საერთო სიტყვებში გვხვდება მათი ძველი ქართული ფორმებიც). მაგალითად სანსკრიტული სიტყვა „შიავ" ნიშნავს „შავს", „შარდვ" — „დასველებას", „მუშტი" — „მუშტს", „კუდი-ფოჩვს, კონას" (ე. ი. კუდი), სანსკრიტზე „კუტი" — „მოსახვევი", „ზიგზაგი", (ქართულში — კუტი, მოკუტული), „მადა" სანსკრიტზე ნიშნავს „თრობას, ვნებას", „ბანდჳ — „შეკვრა"-ს (ქართ. — შებანდვა), „მალა" — „აკინძვას, ყვავილწნულს" (შეად. ქართულ „ხერხე-მალი", მალა), სანსკრიტული სიტყვა „სუსიტა" ნიშნავს სრულიად თეთრს", აქედან ქართული „სუსტი", „ფერმკრთალი", სანსკრიტზე „მილ" ნიშნავს „შეერთებას, შეხვედრას" აქედან ქართული „მილი — წყლის შემაერთებელი". ამ სიტყვას სულხან-საბა ორბელიანი შემდეგნაირად განმარტავს: „მილი — სხვათა სიტყვაა, ქართულად სოლინარი ჰქვია" (წყალთმილი) იხ. სულხან-საბა ორბელიანი — ლექსიკონი ქართული" თბ., 1966, ტ. 1, გვ. 480). საყურადღებოა, რომ დღეს ხმარებაშია „მილი" (ინდური ფორმა) და არა „სოლინარი". სანსკრიტული სიტყვა „პარპარა" — „მვა, პირი" საბას ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად: „პარპარა" — „წულტუ კლდე", სანსკრიტული „პარშაკა" — მხვნელი" (მთესველი), სულხან საბასთან გვხვდება „კარშიკის" ფორმით, რაც გუთნისებურ „გაზეულ რკინას" ნიშნავს, სანსკრიტული „ლატა" — ხვიარა მცენარე, „ლიანი", საბასთან მოცემულია „ლატანის" ფორმით და ნიშნავს წვრილგრძელ ხეს (იგივე ლიანი), სანსკრიტული სიტყვა „ლამბი" — „ჩამოსაკიდებელი სამკაული", საბას ლექსიკონში გვხვდება „ლამბი"-ის ფორმით და ნიშნავს „ჩოგნის თასმას" (აქედან ქართ — ლამბვა). ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, სანსკრიტული სიტყვა „ტან" (ტანუ) ადამიანის „ტანის" მნიშვნელობით, რომლისგანაც მომდინარეობს ერთ-ერთი ძველი ინდური სარწმუნოებრივ-ოკულტიკური სწავლების აღმნიშვნელი ტერმინი „ტან-ტრა", რაც ამ შემთხვევაში ნიშნავს საკუთარ თავში ცნობიერების უნარის ზრდას, შეცნობის პროცესის გაძლიერებას (შთამომავლობით მიღებული სულიერი ენერგიისა). ინდური სიტყვა „ტან" — „ტანის" მნიშვნელობით, გვხვდება როგორც შუმერულ, ასევე დრავიდულ ენებშიც, ისევე თვით სიტყვა „ენ" (ენა) და „ნავ" (ნავი). თვით სიტყვა „სუმერ" (შუმერ-უ) ინდურის საშუალებით სავარაუდოდ შეიძლება გაიშიფროს შემდეგნაირად: — „სუ-სურია-მზე", ხოლო „მერუ — მთა, მზის სხივებით მოფენილი", რამეთუ სიტყვა „სუმერუ"-ს ინდოელები განმარტავენ, როგორც „ოქროსფერ მთას (ე. ი. გასხივოსნებული — ლოტოსის მთას). ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ შუამდინარეთის მკვიდრთ „„შუმერ-ი, ან („სუმერ-ი) შეარქვეს ინდოეთის დასავლეთში დასახლებულმა ხმელთაშუაზღვისპირელმა დრავიდებმა მოჰენჯო-დაროსა და ჰარაპის ცივილიზაციის შექმნის ხანაში, დაახლოებით 4-8-ათასწლეულს ძვ. წ. აღრიცხვით. ამავე ხანის მიმდინარე ისტორიულ-კულტურული პროცესების შედეგი შეიძლება იყოს ის, ფაქტი, რომ ქართული სიტყვების როგორიცაა — „მარ-ადი", „სა-მარ-ე", „სამარ-ხი", „მარ-ანი" („ღვინის სახლი" ს. საბა) და ა. შ. ფუძე „მარ"-ი შესატყვისია ინდოარიული ფუძისა „მარ (მარა), რაც სიკვდილს, მოკვლას (განადგურებას) ნიშნავს, ანუ ორივე ფუძის სემანტიკა ერთია (სანსკრიტშიც). ის, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილი ქართული სიტყვა „სიკვდილის" შინაარს შეიცავს, ამაზე მეტყველებს საბას განმარტება: — „მარ-ხულობა" მარხვა არს შენახვა, ვინათგან ვიტყვით უნჯთა დამარხვასა, ანუ ცხოველთა ანუ მკვდართა დამარხვასა" (იხ. სულხან-საბა ორბელიანი — „ლექსიკონი ქართული" თბ., 1966, წ. ტ. 1. გვ. 442). მიუხედავად ყოველივე ამისა, დღეს ზემომოყვანილი ენობრივი მაგალითების საფუძველზე, ძალზე ძნელია განსაზღვრო, თუ ურთიერთნასესხებ სიტყვათა შორის, რომელია ზედმიწევნით ქართული თუ ინდური წარმომავლობის. მით უფრო, თუ ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით, იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ინდოსტანის სუბკონტინენტზე ადამიანი უხსოვარი დროიდან სახლობდა. ინდოელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მრავალი ათასი წლის წინათ, ინდოეთში მიგრაციებს ადგილი ჰქონდა ქვეყნის სამხრეთიდან ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით. რ. კ. მუჯუმდარი წიგნში „ძველი ინდოეთის ისტორია" (დელი 1982, გვ. 18., ინგლ. ენაზე), მიუთითებს: — „ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ პირველი ადამიანის კვალი ინდოეთში ნაპოვნია, კერძოდ, მდ. სინდჰუს (ინდის) და მდ. ჯემლამს შორის მდებარე ტერიტორიებზე, რომელიც უნდა იყოს დედამიწის პირველი გამყინვარების დასასრულსა და მეორის დასაწყისის პერიოდისა, ე. ი. დაახლოებით 500000 წლის წინანდელი. ამას მოწმობს შივალიკის მთის (პანჯაბში) ძირში ნაპოვნი ქვის სამარხები. აქვე დედამიწის მესამე და მეოთხე გამყინვარების პერიოდში ადამიანთა არსებობაზე მეტყველებს, აგრეთვე, ამავე რეგიონში ნაპოვნი სხვადასხვა ნივთი და იარაღი. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ინდოეთში პირველი ადამიანი გაჩნდა ამ ქვეყნის სამხრეთით, ხოლო შემდგომ მათი მიგრაცია განვითარდა პანჯაბის მიმართულებით ძირითადად დედამიწის პირველი გამყინვარების ხანაში. ამ პერიოდის ქვის იარაღი ძალიან წააგავს ევროპის ტერიტორიაზე ნაპოვნ ქვის იარაღებს". თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორის აზრით, ინდოელებმა არ იცოდნენ ცეცხლის გამოყენება და ძირითადად თევზითა და ნადირის უმი ხორცით იკვებებოდნენ. ამდენად შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცეცხლის კულტი ინდოეთში შემოტანილი უნდა იყოს აფრიკიდან, ან პროტოავსტრალოიდების მიერ, რომლებიც, ცნობილი ინდოელი ანთროპოლოგის ბ. ს. გუჰას აზრით ამ სუბკონტინენტზე გაცილებით ადრე მოვიდნენ, ვიდრე მედიტერიანელი — დრავიდები, ალპიური (დინარული, ანუ ადრიატიკული) რასის და არმენოიდული (ანუ კავკასოიდური) რასის წარმომადგენლები, ან ნორდიკული, ანუ არიული რასის ხალხები (3-2 ათასწლეულებში ძვ. წ. აღრიცხვით).

ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი ინდური რასობრივი შემადგენლობიდან, ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესოა დრავიდული წარმოშობის ხალხების ისტორია, რომელთა ენასაც გერმანელი ქართველოლოგი ჰაინც ფენრიხი უკავშირებს იბერიულ-კავკასიური ხალხების (ტომების) ენას. სახელდობრ, საქართველოში ყოფნის დროს ჰაინც ფენრიხმა თბილისის უნივერსიტეტის შრომების კრებულში (იხ. თსუ — „მიმომხილველი" — სამეცნ. ბიბლ. კრებ. თბ., 1969-72 წ. გვ. 69-91)* გამოაქვეყნა საინტერესო ნაშრომი „იბერიულ-კავკასიური ენები და დრავიდული ენები", რომელშიც ვკითხულობთ: „ორი გამოჩენილი დრავიდოლოგის ჰაინე გელდერნისა და ფიურერ ჰემენდორფის მოსაზრების თანახმად, ძველად არიელების მოსვლამდე ინდოეთში, დრავიდები ან ირანის ტერიტორიაზე, ან წინარე აზიის ჩრდილოეთში ცხოვრობდნენ. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, რომ დრავიდულ და იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახების შედარება არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული. „ავტორი, მაგალითად, იძლევა შემდეგ ჯგუფურ ენობრივ შედარებას: ქართულში — წითელი, ცუდი; ტამილში — ცეტტუ, ციტტაი; ქართულში — გაცრა, წრე, ცური; ტამილში ცალ, ცურრუ, ცურო; ტელუგუში — დადე (დედალი ღორი), დედა (დედალი ცხოველი); ტატამილურში — მამა (ბიძა), მალაიალამში — მამა (ბიძა): ტამილში — ტუტი, (ტუჩი): მალაიალამში — კარრუ (ქარი), კალუ (პურის მარცვალი) და ა. შ. ამ მაგალითებს შეიძლება დაემატოს ზემოთ განხილული სიტყვები „ენუ (ენა), „ტანუ, ტან", (ტანი), „ნავ" (ნავი) და „მაჰ" — დიდი (სანსკრიტშიც „მაჰანტ" — დიდი), რომლებიც გვხვდება შუმერულსა და დრავიდულ ენებში (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ხ. კრამერისა და ა. ლიპინის შრომები) „მსგავსება იბერიულ-კავკასიურ და დრავიდულ ენებს შორის სისტემური ხასიათისაა", — ასკვნის ჰაინც ფენრიხი.

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთ თქმული გონებაჭვრეტის საინტერესო საგანია, მაგრამ რამეთუ წინამდებარე ნაშრომი ძირითადად ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათისაა, ყოველივე ზემოთ განხილული თავისთავად ბადებს კითხვებს: — სად და როდის, ან რა ისტორიულ გარემოში უნდა მომხდარიყო ამ ორი სხვადასხვა იბერიულ-კავკასიური და დრავიდული ენების მატარებელი ხალხებისა (თუ ტომების) ეთნოისტორიული კონტაქტები? ვინაიდან, ინდურ-ქართულ (ინდოეთ-საქართველოს) ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების ძიების თვალსაზრისით, მთელი სირთულე სწორედ ამ კითხვების პასუხებთან უნდა იყოს დაკავშირებული, ამდენად, თუნდაც პირობითობის თეორიის, დროისა და სივრცის პრინციპიდან გამომდინარე, ზემოთ დასმულ კითხვებზე შედარებით არგუმენტირებული პასუხები, უთუოდ, მაინც უნდა ვეძებოთ ძველი საქართველოს სამხრეთით მდებარე ახლო აღმოსავლეთისა და ინდოსტანის სუბკონტინენტის რეგიონებში. გ. მელიქიშვილი ხაზგასმით მიუთითებს, რომ „წინარე აზიის ქართველთა მონათესავე ტომებმა დიდი როლი ითამაშეს საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამავე ეპოქაში, შუმერები ცხოვრობდნენ სამხრეთ მესოპოტამიაში ტიგროსსა და ევფრატს შორის მდებარე ტერიტორიაზე (4-3-ე ათასწლეულს ძვ. წ. აღრიცხვით) „და დასძენს, რომ „მეორე ათასწლეულისათვის საბოლოოდ მოხდა მათი ასიმილაცია მესოპოტამიის სემიტურ ტომებთან" (გ. მელიქიშვილი — „ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ" თბ., 1952 წ., გვ. 11. რუს. ენაზე). თუ ყოველივე ამას და, ამასთანავე, ზემოხსენებულ ენობრივ მაგალითებსაც გავითვალისწინებთ, მაშინ აუცილებლად მეხაზება, გავიხსენო ჯ. შარაშენიძის მოსაზრებაც, რომ — „ამ ასი წლის მანძილზე არ დარჩენილა მეტად თუ ნაკლებად ცნობილი ენა, რომელთანაც შუმერული არ შეედარებინოთ ყოველმხრივ — ფონეტიკურად, მორფოლოგიურად, სინტაქსურად"; ავტორი აქვე დასძენს, რომ მორფოლოგიური მსგავსება ვლინდება შუმერულ-ქართულ (ქართველურ) და იბერიულ-კავკასიურ ენებშიც, რასაც პირველად ხაზი გაუსვა მ. წერეთელმა. (იხ. ჯ. შარაშენიძე — „შუმერები და მათი კულტურა", თბ., 1988 წ., გვ. 29). ყოველივე აქედან და, ასევე, ჰ. ფენრიხის მოსაზრებიდან გამომდინარე, ლოგიკურია დავასკვნათ, რომ იბერიულ-კავკასიური და დრავიდული ენების მსგავსება ძირითადად უნდა იყოს შედეგი იმ ისტორიულ-კულტურული კონტაქტებისა, რომლებიც არსებობდა ინდოსტანის სუბკონტინენტის დასავლეთით მდებარე დრავიდულ (ჰარაპა-მოჰენჯო-დაროს) და შუმერულ-აქადურ (მესოპოტამიური) ცივილიზაციებს შორის, სანამ ინდოეთში არიელები გამოჩნდებოდნენ, ე. ი. დაახლოებით 4-3-ე ათასწლეულს ძვ. წ. აღრიცხვით. უთუოდ უფრო ინტენსიური კონტაქტები ამ ცივილიზაციებს შორის სავარაუდოა 3-ე ათასწლეულს ძვ. წ. აღრიცხვით. სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუხაროდ, დრავიდების წარმომავლობა და მათი თავდაპირველი ზუსტი ადგილსამყოფელი ჯერჯერობით მეცნიერთათვის უცნობია, თუმცა უმრავლესობას მიაჩნია, რომ დრავიდები ხმელთაშუაზღვისპირეთიდან (მედიტერიანული) დაიძრნენ ინდოეთისაკენ. ამ მოსაზრებას ადასტურებს ქართველი ანთროპოლოგის მ. აბდუშელიშვილის მტკიცებაც: „პალეოანთროპოლოგიური მასალები ნათელ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ სასარგებლოდ ჰიპოთეზისა, დრავიდული ეთნოსის, წინარე აზიის ჩრდილო-დასავლური წარმოშობისა და მათი კავშირის შესახებ ძველი ირანისა და შუამდინარეთის მოსახლეობასთან" (იხ. წიგნი „ახალი მონაცემები ჩრდილოეთ ინდოეთის ანთროპოლოგიური ძიებისა" მოს. 1980 წ. გვ. 191-192., რუს. ენაზე). აქედან ლოგიკურია დავასკვნათ, რომ ასეთ შემთხვევაში დრავიდები ვერ ასცდებოდნენ კონტაქტებს ხემიტური წარმოშობის ხალხებთან. ეს მომენტი კი განსაკუთრებით ვლინდება მეცნიერთა მსჯელობაში დრავიდული დამწერლობის შესახებ, რომ უძველესი







(თანამედროვე გამორიცხულია) დრავიდული დამწერლობა — „ბრამში ლიპი" (ბრამშული სტილი) ფინიკიური წარმოშობისაა, რაც ნათლად ჩანს თუნდაც ცნობილი „სოჰგაურის" სპილენძის ფირფიტაზე ამოტვიფრული წარწერებიდან, რომელიც ძველი ინდოეთის მეფე აშოკის ვერდიქტს წარმოადგენს (3-2-ე სს. ძვ. წ. აღრიცხვით). რ. პატარიძესაც, უთუოდ სამართლიანადაც, მიაჩნია რომ ანბანური დამწერლობა მხოლოდ ერთმა ერმა (ფინიკიელებმა შექმნა (იხ. რ. პატარიძე — „ქართული ასომთავრული" — 1980 წ. გვ. 49). (კ. კეკელიძეც ასევე თვლიდა, რომ ქართული ანბანიც „ფინიკურ-სემური" წარმოშობისაა). ეს მსჯელობა წერილში დასმული საკითხის ძირითად თემას სცილდება, მაგრამ იმ ფაქტსაც გვერდს ვერ ავუვლით, რომ, თუ დავაკვირდებით „სოჰგაურის" ფირფიტაზე მოცემულ წარწერებს ბრამშიზე, ადვილად შევნიშნავთ ასო სიმბოლოებს, რომლებიც გვხვდება ქართულ ასომთავრულში (იხ. სურ. № 1), რაც ასევე მიგვანიშნებს შორეულ წარსულში ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თული, შუამდინარული და დრავიდული (ინდური, ცივილიზაციების ურთიერთკავშირსა და ურთიერთზემოქმედებაზე, ხოლო თვით მესოპოტამიური და ძველი ინდური ცივილიზაციების ახლო ურთიერთობასა და ურთიერთშეღწევაზე მიუთითებს საერთო მითოლოგიური სახელების არსებობაც. ასე მაგალითად, აქადთა მეფის სახელი — „ნარამსინი" ინდურ მითოლოგიაში გვხვდება „ნარასინჰას" სახელწოდებით, ხეთების მეფის სახელი „განიშა" ინდურში გვხვდება „განეშას" სახელწოდებით. ყველა ეს კულტურული ფენომენი კი უდაოდ შედეგი უნდა იყოს იმ ხანგრძლივი ისტორიულ-კულტურული და პოლიტიკური პროცესებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სამხრეთით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების რეგიონებიდან დაწყებული ინდოსტანის დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის რეგიონებამდე 4-8-ე ათასწლეულს ძვ. წ. აღრიცხვით, უფრო გვიან კი შეუძლებელია რამეთუ, მაგალითად დრავიდოლოგ მ. ანდრონოვის აზრით 8-ე ათასწლეულიდან ძვ. წ. აღრიცხვით დაიწყო დრავიდული ენების დაშლა, არიელებისაგან შევიწროებული დრავიდები დაიძვრნენ ჯერ ინდოეთის ჩრდილოეთით, ხოლო შემდეგ სამხრეთის მიმართულებით. მაგრამ ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის სათავეების ძიების თვალსაზრისით, უთუოდ უმთავრესი მაინც უნდა იყოს დრავიდული (ჰარაპა-მოჰენჯო-დარო) და შუმერულ-აქადური ცივილიზაციების ურთიერთობები, იმდენად რამდენადაც, ისტორიის ამავე ეტაპზე ვითარდებოდა უძველესი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებისა და შუმერთა ისტორიულ-კულტურული თუ პოლიტიკური კონტაქტები, რამაც მნიშვნელოვანი კვალი დასტოვა არა მარტო ამ ქვეყნების ხალხთა, არამედ ინდოეთში მოსული დრავიდების სულიერი და მატერიალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ე. მაკეის წიგნისათვის „მდ. ინდის უძველესი კულტურა" (მოსკ. 1951 წ. გვ. 28, რუს. ენაზე) დართულ შესავალში დ. სტრუვე აღნიშნავს: — „ჩვენ სრულიად დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰარაპის (ე. ი. დრავიდული, ნ. კ.) საზოგადოება იყო მონათმფლობელური, რომელიც ძალიან ახლოს იყო შუმერული საზოგადოების წყობილებასთან..." „იშვიათი მსგავსება იკონოგრაფიული და მითოლოგიური სიუჟეტებისა აშკარად მეტყველებენ მნიშვნელოვან სიახლოვეზე შუმერთა რელიგიისა მდ. ინდის (სინდჰუს) ხეობის ქალაქთა რეგიონებთან..." „უნდა ვიფიქროთ, რომ მდ. ინდის ხეობის მცხოვრებნი (დრავიდები) შუმერეთში გასასვლელად ფართოდ იყენებდნენ. საზღვაო გზებს, მაგრამ მეორე მხრივ არსებობს საფუძველი იმისა, რომ ამ მიზნით ისინი იყენებდნენ გზებს ბელუჯისტანის გავლითაც". ამ კულტურების ურთიერთობების თვალსაზრისით, საყურადღებოა, აგრეთვე, ა. კონდრატიევის წიგნში („პროტოინდური დამწერლობა" მოს. 1978. გვ. 884) გამოთქმული მოსაზრება, რომ „პროტოდრავიდული დამწერლობის წაკითხვის პირველი ცდა გააკეთა ლ. ა. უოდელმა, რომელიც შეეცადა პროტოინდური ტექსტები წაეკითხა შუმერულად (ამ ორი ენის ერთგვარი მსგავსების საფუძველზე) და ამ ტექსტებში აღმოაჩინა სახელები, რომლებიც გვხვდება ვედებში". სამწუხაროდ ავტორი ამ სახელებს არ მიუთითებს, მაგრამ ეს უნდა იყოს უთუოდ ზემოთხსენებული სახელები „განიშა" (განეში) და „ნარასინჰა" (ნარასიმჰა) და სხვა. ს. კ. ჩატერჯის აზრით, ინდურ ცივილიზაციაში მნიშვნელოვანი ნაწილი არაარიული წარმომავლობისაა. წიგნში „ინდოარიული ენათმეცნიერების შესავალი" მოსკ. 1977 წ. გვ. 964. რუს. ენაზე) იგი ხაზგასმით აღნიშნავს: — „კარმის იდეა, სულის გადასახლების კონცეფცია, იოგების პრაქტიკა, რელიგიური შეხედულებები შივასა და ვიშნუს გაგებასთან დაკავშირებით, ჰინდუთა პუჯას რიტუალი ვედური „ჰომას" რიტუალის საწინააღმდეგოდ, ყველა ეს და მრავალი სხვა რამ ჰინდუიზმისა და ჰინდური (ჰინდუისტური) აზროვნებისა, არაარიულია". ამავე აზრისაა, აგრეთვე, ინდოელი ისტორიკოსი რ. მუჯუმდარიც, რომელსაც მიაჩნია, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან მოსული დრავიდები უფრო მაღალგანვითარებული ცივილიზაციის მატარებელნი იყვნენ, ვიდრე ინდოეთში დამხდური პროტოავსტროლოიდები, რომლებიც მოსულებმა ნაწილობრივ დაჩაგრეს კიდეც. როგორც ვხედავთ, ვიდრე დრავიდები ინდოეთში მოვიდოდნენ, მათ ცივილიზაციის გარკვეული ნაყოფიერი ეტაპი გავლილი უნდა ჰქონოდათ, იმ პერიოდში, როდესაც შეხებაში იყვნენ ოდესღაც, როგორც სემიტური წარმოშობის, ასევე ძველი საქართველოს მონათესავე ხალხებთანაც, მათ შორის შუმერებთანაც. ეს კი ლოგიკურად ქმნის ჰიპოთეზას ქართული, წინარეაზიური და ძველი ინდური საერთო კულტურული ფენომენების არსებობის შესახებ, ანუ „სამკუთხედს" უძველესი ხანის ერთიანი ისტორიულ-კულტურული და პოლიტიკური პროცესებისა, რომლის მნიშვნელოვან ნაწილსაც ქართული (კავკასიური) ფენომენიც წარმოადგენს. ამაზე მეტყველებს თუმცა ასევე ჰიპოთეტური, მაგრამ მეტად საინტერესო მოსაზრება გასული საუკუნის ფრანგი ინდოლოგისა და მოგზაურის (მცხოვრების რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ინდოეთის სამხრეთში) ჟ. ა. დუბუას (ვისაც თვით მაქს მიულერი დიდად აფასებდა) მოსაზრება ბრაჰმანთა და, საერთოდ, სიტყვა „ბრაჰმა"-ს წარმოშობის შესახებ. ფრანგმა მეცნიერმა წიგნში „ჰინდუთა წესჩვეულებანი და ცერემონიები", რომელიც პირველად 1906 წელს გამოიცა ინგლისურ ენაზე, მთელი თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა




„მიუძღვნა ბრაჰმანთა წარმომავლობას. (იხ. ამ წიგნის მესამე გამოცემა — ნიუ დელი. 1980 წ. გვ. 102-106). აი, რას წერს იგი: „მე მჯერა, რომ ბრაჰმანები არა სემის, როგორც უმრავლესობას ჰგონია, არამედ იაფეტის შთამომავალნი არიან. ჩემი აზრით, მათ ინდოეთში ქვეყნის ჩრდილოეთიდან შემოაღწიეს, მაგრამ მათი თავდაპირველი ადგილსამყოფელი კავკასიის მეზობლად უნდა იყოს..." „ბრაჰმა და პრომეთე რატომ არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე პიროვნება? ზოგიერთ ინდურ ენაზე ხომ ცნობილია ჰინდუ ღვთაება „ბრემას" ან „პრემეს" სახელწოდებით. ორივე ეს სახელი წააგავს პრომეთეოსს, ანუ ბერძენთა ღვთაებას „პრომეს". ბრაჰმა ისევე, როგორც პრომეთე, შემქმნელია ადამიანისა, რომელიც იბადება ბრაჰმას ტანის სხვადასხვა ნაწილიდან. ბრაჰმა უთუოდ კანონმდებელია და ავტორია ვედებისა, რომელიც მისივე ხელითაა დაწერილი. ბრაჰმაც, მსგავსად პრომეთესი ჰერკულესს რომ მიმართა, ერთხელ იძულებული შეიქმნა, მტრის მოსაგერიებლად, ვიშნუსათვის მიემართა..." „მაგრამ თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ თურქეთი ან კავკასიის მიდამოები იყო ბრაჰმანთა სამშობლო, მაშინ არც ისე იოლია მათი ინდოეთში მოსვლის თარიღის დადგენა. მაგრამ ყველა შემთხვევაში, უთუოდ მეცხრე საუკუნეში ქრისტეს ერამდე, ბრაჰმანები უკვე იყვნენ ინდოეთში და საკმაოდ კარგ პირობებშიც". ჟ. ა. დიუბუას მიაჩნია, რომ შვიდი წმინდანი — რიში, ანუ ბრძენი, შვილი შვილია იაფეტისა, რომლებიც მასთან ერთად კაცობრიობას დასავლეთისაკენ მიუძღვებოდა. მაგრამ წარღვნის გამო ყველა მათგანმა ვერ მიაღწია ევროპამდე, და ზოგიერთი მათგანი წინამძღოლობით ჩრდილოეთით, თურქეთისა და კავკასიისაკენ გაემართა, სადაც მათ ბრაჰმანთა დასახლებები შექმნეს. როგორც ვხედავთ, ჟ. ა. დიუბუა „ბრაჰმის" წარმოშობას ძველი აღთქმის ჩასახვის ისტორიას უკავშირებს, რაც თავისთავად მეტად სადავო საკითხია, მაგრამ არცერთი მეცნიერული ჰიპოთეზა სრულიად ცარიელ ადგილზე არ წარმოიშვება. ამ შემთხვევაში კი, ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის სათავეების პრობლემასთან დაკავშირებით, მთავარი ის არის, რომ ფრანგი მეცნიერის ჰიპოთეზა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს წინარე აზიის ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობას. თუმცა, როგორც თავიდანვე იქნა მინიშნებული, წერილში დასმული საკითხი, არ გამორიცხავს ინდოარიულ ისტორიულ-კულტურულ მოვლენებს. მით უფრო, როგორც ცნობილია არიელების გარკვეულმა შტომ დაახლოებით 2-ე ათასწლეულს ძვ. წ. აღრიცხვით კავკასიაზეც გადმოიარა და ჯერ მოხვდა ძველი ირანის ტერიტორიაზე, შემდეგ ინდოეთში (იხ. სურ. № 2., რომელიც გადმოღებულია ლ. კლეინის სტატიიდან „დნეპრიდან მდ. ინდამდე", ჟ. „ზნანიე სილა". 1984, გვ. 18-29). ბუნებრივია თუკი ასეთ მიგრაციას ადგილი ექნებოდა, შეუძლებელია თავისი კვალი არ დაეტოვებია როგორც კავკასიური, ასევე, ინდური სულიერი კულტურის სამყაროზე. ტ. ელიზარენკოვა „რიგვედების" რუსული თარგმანის შესავალში („რიგვედები — რჩეული ჰიმნები" მოს. 1972 წ. გვ. 7) მიუთითებს, რომ მითანიელი კიკულის ხეთურ ტრაქტატში ცხენების მოშენების შესახებ გვხვდება ამ დარგის არიული ტერმინოლოგიაც, და დასძენს, რომ 1500 წელს ძვ. წ. აღრიცხვით არიელთა გამოჩენა დადასტურებულია დღევანდელი სირია-პალესტინის ტერიტორიაზეც კი, ე. ი. არაბეთის რეგიონებში. ს. მაკალათიას აზრით, ინდოირანული წარმოშობის ღვთაება „მიტრა" ქართულ წარმართულ კალენდარში აღინიშნებოდა, როგორც „მირსობის თვე", ხოლო სვანები ამ თვეს გვაწვდის „მირკანის (მარტის თვე") სახელწოდებით. ს. მაკალათიას აზრით „მიტრას" (მზის ღვთაება) სახელთან არის დაკავშირებული ძველი ქართული ისეთი თეოფორისტული სახელები, როგორიცაა „მითრიდატე", „მიჰრიან", „მიჰრაან" (აქედან „მირიანი") და ა. შ. (იხ. ს. მაკალათია — „ქუგა-მისარონის კულტი ძველ საქართველოში", თბ., 1938 წ. გვ. 14-48 (რუს. ენაზე). აგრეთვე, მისივე „ღვთაება მიტრას კულტი ძვ. საქართველოში", თბ. 1927 წ. გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

178-182). თუმცა შესაძლოა ამ ისტორიულ-კულტურულ ფენომენს საქართველოში შეეძლო ანტიკური გზითაც შემოეღწია, როცა „ანტიკურ სამყაროსა" და „ინდოეთს შორის სავაჭრო კონტაქტები საქართველოს საშუალებით ხორციელდებოდა" (იხ. ნ. ლომოური, ქართულ-რომაული ურთიერთობები" თბ. 1981 წ. გვ. 106-107. რუს. ენაზე). გარდა ყოველივე ამისა, ინდურისა და ქართულისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები შესამჩნევია სხვადასხვა საკულტო (სარიტუალო) ადათ-წესებსა და სიმბოლიკაში (იხ. სურ. № 1), მაგალითად დღევანდელ გავრცელებული სიმბოლო-სვასტიკა, რომელსაც ინდოელები ძირითადად კეთილქმედების უნარიანობას მიაწერენ, ორნამენტის სახით გვხვდება ძველ საქართველოშიც, კერძოდ, თრიალეთის რეგიონში ნაპოვნი ქალის ოქროს სამაჯურზე, რომელიც დათარიღებულია 2-1 ათას წლით ძვ. წ. აღრიცხვამდე და დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. იგივე სიმბოლო გამოსახულია ძველი კოლხური თიხის ნაკეთობაზე, რომელიც ასევე ჩვენს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ყურადღებას იპყრობს, ასევე, მზის ქართული სიმბოლოსა და ინდური ტანტრისტული შივა-კალიანტრის ასტრალური ენერგიის დიაგრამული გამოსახულების გარეგნული და შინაარსობრივი ურთიერთმსგავსება (იხ. სურ. № 1). საერთო ასო-სიმბოლოები, დამახასიათებელი ძველი საქართველოსა და წინარე აზიისათვის, გვხვდება დაბა სანჩიში (ინდოეთში) ბუდას სტუპაზე მოცემულ წარწერებში, რომლის ნახვის საშუალებაც საბედნიეროდ პირადად მქონდა (იხ. სურ. № 1). დღემდე ინდოეთში ჯაინთა ჰერალდიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ხელის მტევანი (იხ. სურ. № 7). რომელიც ყოველი ცოცხალი არსების მფარველსა და დამცველის სიმბოლოა; მსგავსი სიმბოლიკა გვხვდება ქართულ ჰერალდიკაშიც. ბუდოლოგი ე. ს. სემეკა ნაშრომში „ცეილონის ზოგიერთი რიტუალები და მითები" (იხ. კრებული, „ბუდისტური კულტურა და ბუდიზმი" მოს. 1971 წ. გვ. 115) მიუთითებს ინდოეთიდან ცეილონზე (შრი ლანკა) გადასულ ერთ-ერთ ბუდისტურ რიტუალზე, როდესაც ხეზე კიდებენ ნაჭერში გახვეულ ქალის მომყოლს რათა დედას ბავშვის საკვებად ბევრი რძე ჰქონდეს მკერდში. მსგავს რიტუალს ვხვდებით ჩვენშიც, როდესაც ხის ტოტებზე ფერად ნაჭრებსა და ძაფებს კვანძავენ (მაგ. ქართლში). ორივე შემთხვევაში ნაყოფიერების კულტთან გვაქვს საქმე. ს. მაკალათიასა საქართველოში განაყოფიერების (ფალოსის) კულტის არსებობას მიაწერს ძველად აქ გავრცელებულ ერთგვარ „ღვთაებრივი მეძავეობის" ადათ-წესს, რომელიც შეიძლება შევადაროთ ძველ ინდოეთში გავრცელებულ „ტაძრის მეძავეების" (დევადასების-ტაძრის მოცეკვავე ქალების) ცხოვრების ადათ-წესს. მ. ვოდბოლსკის წიგნში „ქართული ჰერალდიკა" (თბ. 1980 წ. გვ. 29) ცხენის სიმბოლიკასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „არმაზის თასზე გამოსახული ბომონის წინ მდგარი ცხენი შესაწირავ ცხოველს წარმოადგენს"... „ჩვენ ამ გამოსახულებას მზის კულტს ვუკავშირებთ". ძველ ინდოეთშიც ცხენის კულტი მზისა და განთიადის სიმბოლიკასთან არის დაკავშირებული: „სამსხვერპლო ცხენის თავი განთიადია, თვალები მზეა, ძალა კი ჰაერია მისი" (ბრიჰადაარანიაკაუპანიშადა", კალკატა., 1965 წ., ბილინგვური (სანსკრიტულ-ინგლისური) გამოცემა, გვ. 6).

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთქმულით ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის სათავეების პრობლემა ვერავითარ შემთხვევაში გადაჭრილად ვერ ჩაითვლება, მით უფრო, რომ იგი მრავალ სადავო და ჰიპოთეზურ საკითხს შეიცავს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზემოთ მოყვანილი რიგი მოსაზრებებისა და ფაქტებისა უთუოდ იმის საბაბს მაინც იძლევა, რომ ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის სათავეები ვეძებოთ არა მხოლოდ ანტიკურ ხანაში, არამედ გაცილებით უფრო შორეულ წარსულში. ეს პერიოდი კი უდავოდ დაკავშირებულია ძველი საქართველოს, წინარე აზიისა და ძველი ინდოეთის ურთიერთშემღწევ და ერთიან რთულ ისტორიულ-კულტურულ და პოლიტიკურ პროცესებთან, როგორც კვლევის დაუშრეტელ წყაროსთან.

მინაწერი:

წინამდებარე ნაშრომს ბატონი ჰაინც ფენრიხი გაეცნო გერმანიაში და თავისი მოსაზრებები გამოხატა ჩემდამი ქართულ ენაზე გამოგზავნილ წერილში (1992 11 აგვისტო, ქ. იენა); მეცნიერთა უახლესი მტკიცებების თანახმად, ჰ. ფენრიხიც ამჟამად აღარ აიგივებს „იბერიულ-კავკასიურ" და „ქართველურ ენათა" ოჯახებს და დასძენს: „რაც შეეხება ქართველურ ენებს, ისინი აშკარად ავლენენ გარკვეულ მსგავსებას დრავიდული ენების ოჯახთან (შდრ. ჩემი წერილის „Kartwelisch-drawidische Sprachparallelen. Berlin. 1991"), თუმცა კვლევაძიების დღევანდელ დონეზე ვერ ვამბობ, რომ ეს ოჯახები მონათესავეა. წაიკითხეთ ჩემი წერილი და მიხვდებით. მომავალი გვიჩვენებს, როგორ უნდა ავხსნათ ეს პარალელები. თუ ეს პარალელები ნათესაობით აიხსნება, მაშინ, რასაკვირველია, უნდა ვიფიქროთ, რომ არა მხოლოდ ეს ენები, არამედ ამ ენების მატარებელი ხალხებიც თავიანთი კულტურებით მონათესავეა, და მაშინ ბევრ რამეს პრეისტორიაში მოეპოვება ახალი ინტერპრეტაცია, როგორც თქვენ თქვენ წერილში შეეცადეთ. რაც შეეხება დამწერლობას, ეს ძალზე რთული საკითხია. ამ მხრივ მოგველის კიდევ ბევრი პრობლემა და გამოცანა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ მეგრელიძე

# ახალგაზრდა დრამატურგთა შემოქმედება

თანამედროვე დრამატურგიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს ახალგაზრდა ავტორებმა. თუ ადრე მათი რიცხვი ერთეულებით შემოიფარგლებოდა, დღეისათვის ისინი თაობის მთელ ჯგუფს შეადგენენ, საზოგადოებისადმი საკუთარი დამოკიდებულებით რომ გამოხატავენ არსებულ სინამდვილეს. ახალგაზრდა ავტორები არ გაჰყვნენ 70-იან წლებში დამკვიდრებულ „საწარმოო თემას". მათი პიესები გმირის ცხოვრებისეული გზის ჩვენებით თანატოლთა შინაგან სამყაროში გვახედებენ. მორალურ-ეთიკური პრობლემები წარმოგვიდგება ოჯახურ-ყოფით გარემოში, სადაც თანამედროვე გმირის ზნეობრივი სახე ყალიბდება. თუ 70-იანი წლების დრამატურგია ლირიკულ-ფსიქოლოგიური მიმართულებით გვიჩვენებდა გმირის ჩამოყალიბების პროცესს, რომელიც საკუთარი თვითშეცნობით მიდიოდა უარყოფითი მოვლენიდან სწორი ცხოვრებისეული პოზიციისაკენ, 80-იანი წლებიდან უფრო მეტად მოვლენათა სოციალური ანალიზის წვდომის სურვილი იგრძნობა. დრამატურგები ცდილობენ რეალურად ასახონ ის გარემო, სადაც გმირი ცხოვრობს, მაგრამ ავტორები უმთავრესად მოკლებულნი არიან ღრმა კონცეფციურ გადაწყვეტას და ცალკეული საკითხებით იფარგლებიან. ნაკლებად ხერხდება პერსონაჟთა ბუნების თანდათანობით გახსნა, რაც წინასწარ არსებულ სქემებზე მიგვანიშნებს. ამიტომ გმირთა ხასიათებში არსებული ძირითადი თვისებებით ან ცალკეული მინიშნებებით ვერ ზოგადდება თანამედროვე ახალგაზრდის ჩამოყალიბების პროცესი. ერთი შეხედვით, დასმული საკითხები აქტუალურია — ისინი საზოგადოებაში არსებულ მნიშვნელოვან პრობლემებს პასუხობენ, მაგრამ ავტორები თანატოლთა ნეგატიური თვისებების ნატურალისტურად ჩვენებამ გაიტაცა, თუმცა მათ ბედზე გულისტკივილით და თანაგრძნობით მოგვითხრობენ.

შადიმან შამანაძის შემოქმედებამ გარკვეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ დრამატურგიაში. ავტორი შეულამაზებლად წარმოსახავს თანამედროვეობას, სადაც ადამიანთა გამოკვეთილი სახეებია. მათი წინააღმდეგობრივი ხასიათები ზნეობრივი საკითხების გარკვევას მოითხოვენ. დრამატურგი ცდილობს გაარკვიოს თითოეული მათგანის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ მის პიესებში პერსონაჟთა ხასიათებთან ერთად სოციალური გარემოს შექმნა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას იძენს. „ლია შუშაბანდის" შემდეგ შ. შამანაძემ შემოგვთავაზა ახალი პიესა „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში", დრამატურგი ოთხი ქალიშვილის ურთიერთობის ჩვენებით ცდილობს ამოიცნოს მათი უსახური და უინტერესო ცხოვრების მიზეზები. პიესაში ნათლადაა გამოკვეთილი თითოეული მათგანის ხასიათი, რაც მოქმედების განვითარებასთან ერთად საინტერესო ელფერს იძენს და მათ შორის წარმოქმნილ კონფლიქტურ სიტუაციას ხაზგასმულად გადმოსცემს.

თამრიკო ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატია, მაგრამ დისერტაცია უფრო მოდის აყოლისათვის დაიცვა. მან არ იცის, შემდგომში რა აკეთოს. ამიტომ ირონიულად ლაპარაკობს თავის სპეციალობაზე. ქვეცნობიერად გრძნობს ლისა და გურამის ურთიერთობის ხანმოკლეობას და მათი შეხვედრის ჩაშლას ყოველნაირად ცდილობს, რაც უფრო ღრმა კონფლიქტს წარმოშობს.

დარეჯანი დაწყებითი კლასის მასწავლებელია. სადისერტაციო თემაც დამტკიცებული აქვს. ერთი შეხედვით, ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ პირადი ცხოვრების მოუწყობლობამ იგი გაალიზიანა. ამით უნდა აიხსნას მისი საუბრის უხეში მანერა და ზოგჯერ უხამსობამდე მისული სალაპარაკო ჟარგონი. ყველას დაუნდობლად მიახლის სიმართლეს ისე, რომ იმედის ნაპერწკალსაც არ უტოვებს. დარეჯანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენების ირონიულად შეფასებისას პირო-დირებულად ახდენს მათ გათამაშებას, რითაც სულიერ მღელვარებას ფარავს. იგი ყველაზე აქტიური და ემოციური გმირია და ერთგვარად წარმართავს გოგონების სამოქმედო ხაზს, ამძაფრებს ურთიერთობებსა და კონფლიქტს.

თიკა ხამივე მეგობრისაგან განსხვავდება. იგი საკუთარი მიკროსამყაროს შექმნას, გაითამაშებს ობსცურობას და შემდგომ თვითონვე ხვდება. ეს ამბავი [illegible] უხვავს [illegible] ტიკულ სულიერ სამყაროს, რომელსაც დარეჯანი მთლიანად ამსხვრევს. თიკას არ უნდა სიმართლის მოსმენა და მასთან შეგუება. ილუზიური გარემოდან გამოსვლა ძალიან უჭირს.

ქეთი გურამთან ურთიერთობითაა გატაცებული და კეთილი მომავალსაც ოპტიმისტურად შეჰყურებს; დისა და დარეჯანის შეხედულებებს არ იზიარებს, თავგამოდებით იბრძვის მათ წინააღმდეგ, მაგრამ საბოლოოდ ისიც გულგატეხილი რჩება.

შ. შამანაძე სიტუაციას იმდენად ძაბავს, რომ ფინალში თვითმკვლელობამდე მისულ ქალიშვილთა მდგომარეობიდან გამოყვანა მხოლოდ მაგიური ძალით ხდება. მართალია, ისინი მთელ მოქმედების მანძილზე ექსტრასენსის შესახებ ლაპარაკობენ, ოთახებსა და სარკეში ვიღაც ელანდებათ, მაგრამ ეს ყველაფერი წარმოსახვის სფეროს არ სცილდება. გოგონებს თვითმკვლელობისას ჩაესმით უცხო ხმაც. გათამაშებული კონფლიქტური სიტუაცია გამოლევიძებისას „სადღაც" ქრება და ერთმანეთთან განშორებისას ექსპოზიციაში აღწერილ მშვიდ ურთიერთობას უბრუნდება. თუკი ქალიშვილებს ეს ყველაფერი დაესიზმრათ, მაშინ ამის წინაპირობაც უნდა იყოს მოქმედება კი რეალურ გარემოში იწყება. პერსონაჟთათვის ექსტრასენსის მოლოდინი კიდევ ერთი უსაფური საღამოს გატარებაა — მორიგი გასართობი ნომერი (შეიძლება რაღაც მოლოდინსაც იწვევდეს), ამიტომაც ლაპარაკობენ ასე ირონიით მის მიერ მობდენილ სასწაულებზე. ჰიპნოზური სეანსი განმუხტავს დაძაბულობას, მაგრამ გმირებს გამოსავალს არ უქმნის, ამით შ. შამანაძე მიგვანიშნებს, რომ გოგონებმა თვითონ უნდა მოიკრიბონ სულიერი ძალები, რომლის უქონლობამაც ისინი ასე დაძაბა და გააუხეშა. გმირთა ჩვეულ მდგომარეობაში დაბრუნება და ქეთის სარკეში ყურება უკეთესი მომავლის იმედს კი არ ქმნის, არამედ მხოლოდ საკუთარ თავში ჩაახედებს მას, რაც პიროვნული გადარჩენის მანიშნებელია.

ამასთანავე, ყურადღებამისაქცევია დრამატურგისეული ქვეტექსტი, რომელმაც პიესის აქტუალობა გაამძაფრა, რომელიც არ ეხება მხოლოდ პერსონაჟთა ზნეობის, მარტოობის, საზოგადოებასთან უკონტაქტობასა და ამ გარემოში მათი ადგილის საკითხებს. შ. შამანაძის აზრით, ჩვენი ცხოვრება ისეთ მუდმივ მეთვალყურეობაშია, ეს უხილავი თვალი ყველაფერს აღიქვამს და საჭიროებისამებრ მოვლენებში ერევა, რაც ამ ჯოჯოს ზელოვნურ წარმართვასა და გარკვეული ელემენტების შექმნას განაპირობებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსი ექსტრასენსი ქართველ გოგონებს საექსპერიმენტო არსებებად აღიქვამს და არა [illegible] ოჯახური, საკუთარი შესაძლებლობების [illegible] ნათი ბედის წარმართვა შეთხზულსა და მაცდურზელში წარსულის ნაცნობ შეგრძნებებს იწვევს.

ირაკლი სამსონაძის პიესებში „შუაღამისას" და „ბედნიერი ბილეთის" გმირები ძირითადად 24-30 წლის ახალგაზრდები არიან. დრამატურგი გვიხატავს იმ გარემოს, სადაც პერსონაჟებს უჭირთ სულიერი დეგრადაციის გადალახვა, ამიტომ მათ არ განასხვავებთ მკვეთრად ინდივიდუალური თვისებები და თავიანთი შინაგანი განწყობით ძალიან გვანან ერთმანეთს. ორივე პიესის მთავარი გმირები ოცდაოთხი წლისანი არიან. მეგობრების წრეც ერთნაირად — თანაკლასელებად და თანამშრომლებად იყოფა. პიესის პრობლემა და გმირთა ხასიათები იდენტურად ვითარდება. ნაწარმოებთა ასეთი მსგავსი დრამატურგიული აგებულება მიგვანიშნებს ი. სამსონაძის მიერ შექმნილ სქემაზე, სადაც მხოლოდ გმირთა რაოდენობა და ნაწილობრივ მოქმედების ადგილი იცვლება.

პიესაში „შუაღამისას" მოცემულია ერთი დღე ახალგაზრდა ქალის — ნელის ცხოვრებიდან. მოქმედებიდან ვიგებთ, რომ მას მშობლები საავტომობილო კატასტროფაში დაეღუპა, ავადმყოფი ბაბუის მოვლა კი ჩშირად ალიზიანებს. ბაბუა-შვილიშვილის საუბრის თემა კანფეტების დამალვაა და ნელის ბავშვობის მოგონებებს არ სცილდება. ეს ურთიერთობა სტატიურადაა მოცემული და საინტერესოდ ვერ ვითარდება. ასეთი ექსპოზიციით დრამატურგი ცდილობს გაგვაცნოს ნელის ოჯახური გარემო, მაგრამ მხოლოდ ინფორმაციის მოწოდებით იფარგლება. შემდგომ ეპიზოდებში მოცემულია ნელისა და მაიას, ასევე გიასა და მისი მეგობრების ურთიერთობები. მათ ვერ დაუმკვიდრებიათ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში. გმირთა განწყობილება კარგად ჩანს გიას სიტყვებში: „ვითომ სულ რაღაც საქმეები მაქვს... სადღაც მივრბივარ... მერე რომ დავფიქრდები, თურმე საქმე არ მქონია". ეს ტენდენცია ყველა გმირს ბოლომდე თანსდევს.

ნელი და მაია უკეთესი ცხოვრების მოლოდინში არიან. მათი საუბრის თემა ბაბუის ავადმყოფობას, პასეანსის გაშლასა და თაყვანისმცემლებს ეხება, რასაც თანსდევს გამაღიზიანებელი ტონი და მოვლენებისადმი ირონიული დამოკიდებულება. ასეთ ვითარებაში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმართლებლად მეჩვენება გოგონათა არაუზე მიალება, რაც გმირთა ხაზებს ვერ ამდიდრებს. პარალელურად ვითარდება გიასა და მისი ამხანაგების ურთიერთობაც. მათი საუბრის თემაც სულიერ სიცარიელეზე მიგვანიშნებს. დიალოგები ტრადიციული სადღეგრძელოების წარმოთქმაზეა აგებული, საიდანაც სქემატურად ვიგებთ მათი საქმიანობისა თუ პირადი კონფლიქტების შესახებ. მართალია, თავიანთ საქმეებზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ პრაქტიკულად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას მოწყვეტილნი არიან. ამიტომ წვრილმან პირადულ კონფლიქტს ძმობაშეფიცული მოქეიფენი აყალმაყალამდე მიჰყავს. ი. სამსონაძე ამ მეგობრულ ურთიერთობათა ფონზე გვიჩვენებს თითოეული მათგანის პიროვნულ თვისებებს.

პიესის ბოლო სურათში მოცემულია ნელისა და გიას ურთიერთობა. მათი საუბრისას გია თავის ცხოვრებას აანალიზებს — იწყება გმირის თვითგამორკვევის პროცესი. იგი ხვდება, რომ საკუთარი ადგილის დამკვიდრება საზოგადოებაში მხოლოდ გარკვეული ფასეულობის შექმნით შეიძლება, ამიტომაც იმედიანად ამბობს: „...ყველაფერს ახლიდან დავიწყებ... მე ვიცი, რომ ძალა მაქვს. ყველაფერი არ დაკარგულა... მე ბევრს გავაკეთებ, ბევრს... უფლება არა მაქვს, არ გავაკეთო...“ ამ სიტყვებს გმირის ხასიათში ცვლილებები შეაქვს. ამასთანავე, ნელის სურვილი, იყოლიოს შვილი და მისივე სიტყვები: „სამივენი ერთად ვიქნებით“ — უფრო რეალურს ხდის არსებული ცხოვრებიდან გამოსვლის შესაძლებლობებს. ი. სამსონაძეს მთელი მოქმედება ამ ფინალისაკენ მიჰყავს. რათა გმირთა შინაგანი სულიერი დაუძლურების ფონზე მომავლის პერსპექტივა გამოკვეთოს, მაგრამ საკამათოა, ენდობა თუ არა მკითხველი მთვრალი კაცის ამ „გამოფხიზლებას“.

„ბედნიერი ბილეთის“ მოქმედება თბილისის ერთ-ერთ უბანში წელიწადის სხვადასხვა დროს მიმდინარეობს. ავტორი ხაზს უსვამს გმირთა ხანგრძლივ უმოქმედობას და მათ ერთფეროვან, უაზრობამდე მისულ მოსაწყენ ყოფას. პიესის მთავარი გმირები გია და ანუკი გრძნობენ შექმნილ ვითარებას, მაგრამ თავის დასაღწევად შინაგანი ძალა არ ჰყოფნით და ყოველდღიურობას ინერციით მიჰყვებიან. ი. სამსონაძე მათ ხასიათებს გამოკვეთილად არ წარმოსახავს. არც ერთ გმირს გარკვეული სამოქმედო ხაზი არ გააჩნია, ხოლო პერსონაჟთა ხშირი ადგილმონაცვლეობა მოქმედებას ქაოტურს ხდის. ამიტომ დრამატურგი გვიჩვენებს მოქმედების ცალკეულ სცენებს, რომლებსაც ერთი და იგივე პერსონაჟთა ურთიერთობა აერთიანებს.

ი. სამსონაძეს ექსტრემალური სიტუაციები შემოაქვს — ქუჩაში ავტობუსი კაცს დაეჯახება, ვალეს მამას სამსახურიდან ხსნიან, შოთას ხულიგნობისათვის იჭერენ. ეს მოვლენები პერსონაჟთა მიერ გულგრილად და ინდიფერენტულად აღიქმება. ასეთ სამყაროში სხვადასხვა ასაკის ადამიანებს ვხედავთ. გიას მეზობლები ჯიმი და არჩილი უფროსი თაობის წარმომადგენლები არიან, ისინი დომინოს თამაშით ირთობენ თავს, ხოლო მეოთხეკლასელი გუგა ველოსიპედით სეირნობაში კლავს დროს. თაობათა ასეთი დაპირისპირების მეშვეობით ი. სამსონაძე გმირთა წარსული და მომავალი ცხოვრების მსგავსებას გვიჩვენებს.

მხოლოდ ანუკის დას, რუსიკოს გააჩნია გარკვეული მიზანი. იგ მოქმედების მსვლელობისას არ ჩანს, მეზობელ ოთახში მეცადინეობს. მისი ვიოლინოს ხმა ხშირად გაისმის იმ სურათების დამთავრებისას, სადაც ანუკი მონაწილეობს და გმირებს შემოქმედებითი ცხოვრებისაკენ მოუწოდებს, მაგრამ ეს ხმაც შეუცნობელი რჩება. უფრო მეტიც, სტუმრების მოსვლისას, ხელი რომ შეუშალოს, ანუკის დას დაკვრას აწყვეტინებს. ოთახების გამყოფი კედელიც, რომელსაც ანუკი ხშირად შესცქერის, ორ განსხვავებულ სამყაროზე მიგვანიშნებს.

პიესას „ბედნიერი ბილეთი“ ჰქვია. მოქმედების მანძილზე გიას თანაკლასელი მაია ავტობუსში მოხეულ ბედნიერ ბილეთებს ჭამს. ი. სამსონაძე გმირის ასეთი ქცევის მიზეზს, მართალია, ვერ ხსნის, მაგრამ ფინალში მაია თავის ბილეთს შემთხვევით შეხვედრილ გიას აძლევს. ბოლო რემარკაც, „გია თვალს მოაშორებს ბილეთს, ანუკის მიმართულებით გაიხედავს“, მათი ურთიერთობის კეთილად დამთავრების ასოციაციას ქმნის. ამასთანავე, მიუხედავად გმირთა უარყოფითი თვისებებისა, მათ საბოლოოდ შესწევთ უნარი ერთმანეთის სიკეთეზე იფიქრონ. ასეთია დრამატურგის პოზიცია.

პიესაში საკამათოა ზოგიერთი პერსონაჟის არსებობა, რომლებიც კინოსცენარში უფრო დამაჯერებლად გამოიყურებიან. „თაგვისფერტომრიანი კაცი“, რომელიც ლეღვის ჩირსა და ვარდებს ყიდის, რამდენჯერმე გამოჩნდება. მოქმედებაში ხშირად ერთვება „ცილინდრიანი კაცი“ — იგი მძღოლებს დასდევს, რათა ავტობუსები წესისამებრ გაჩერებასთან გააჩერონ. „მუშის სპეცტანსაცმელში ჩაცმული კაცი“ რამდენჯერმე უსიტყვოდ ჩაივლის. ი. სამსონაძეს ეს გმირები კინომოთხრობაში, ალბათ, საერთო ატმოსფეროს შექმნისათვის სჭირდებოდა, მაგრამ მათი დანიშნულება გაურკვეველი დარჩა და მოქმედებისთვის ზედმეტნი აღმოჩნდნენ.

ბოლო წლებში გახშირდა რეჟისორთა მიერ საკუთარი პიესების დადგმის ტენდენცია. ამ ფაქტს იმით ასაბუთებენ, რომ ვერ მოძებნა სათანადო პრობლემისა და საკითხის შემცველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოები. ეს მოსაზრება გამართლებულია იმ შემთხვევაში, როცა იქმნება საინტერესო და მაღალმხატვრული პიესა, მაგრამ ხშირად ასეთი „დრამატურგია" მოკლებულია ლიტერატურულ ღირსებებს და ხელს ვერ უწყობს რეჟისორის ჩანაფიქრის განხორციელებას. რეჟისორ ა. ვარსიმაშვილის პიესა „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია" გამონაკლისს არ წარმოადგენს. მასში პარალელურად სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ამბავი ვითარდება: სკოლის მოსწავლეების ნინოსა და თემურის, თანასოფლელების სიმონის, მარიამისა და ნიკოლოზის, აგრეთვე, მსახიობების ზაზასა და მამუკას ურთიერთობები. დრამატურგიულად ეს ეპიზოდები იდეურად ერთ მთლიან აზრს ვერ გამოხატავენ და სიუჟეტს ბუნდოვანს ხდიან. ამიტომ გმირთა ხასიათები სქემატურია. ისინი მხოლოდ რეპლიკებით კმაყოფილდებიან, სულიერ სამყაროსაც დამაჯერებლად ვერ წარმოსახავენ.

პიესა იწყება საკლასო ოთახში ნინოსა და თემოს საუბრით. ირკვევა, რომ ნინოს ძალიან დიდი სურვილი აქვს, ვინმემ სილა გააწნას, მაგრამ ამ გრძნობის გამომწვევი მიზეზები დრამატურგიულად არ მზადდება:

ნინო: გინდა, გამარტყი.

თემო: შენ რა, გაგიჟდი?..

ნინო: მიდი.

თემო ურტყამს.

ნინო: მიდი, ძლიერად!

ასეთ მაზოხისტურ მიდრეკილებას არავითარი საფუძველი და შემდგომი განვითარება არა აქვს. არალოგიკურია შემდეგი მოქმედებაც: „ნინო მიუახლოვდება და აკოცებს. თემო მას სილას გააწნავს". ეს რემარკა ვერ ხსნის ასეთი მოქმედების აუცილებლობას. გათამაშებული სიტუაცია შემდგომ ურთიერთობებში არ აირეკლება და განყენებულად დგას. სხვა ეპიზოდების გათამაშების შემდეგ ამ გმირებს კვლავ საკლასო ოთახში ვხედავთ, სადაც მათი მოკლე დიალოგი კოცნითა და, როგორც შემდგომში შევიტყობთ, ინტიმური კავშირით მთავრდება.

სქემატურია ნინოს დამოკიდებულება დედასთან, როდესაც ქალიშვილი ემუდარება, აუხსნას, როგორ ჩნდებიან ბავშვები. მშობელიც განმარტებას არ აყოვნებს: „როცა ცოლს და ქმარს ერთმანეთი უყვართ, ჩნდება ბავშვი". ამ დარიგებას ნინო შემდგომში პრაქტიკულად ახორციელებს, ალბათ, ავტორს იმის თქმა სურდა, რომ დედის არასწორმა ინფორმაციამ განაპირობა შვილის მცდარი ნაბიჯი. ამ საკითხის სქემატურობამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ასევე გაურკვეველია შავებში ჩაცმული ქალის ფუნქცია, რომელსაც ხელში კუბო უკირავს და დროდადრო წარმოთქვამს: „აქ ჩემი შვილია დასაფლავებული... კიბო ჰქონდა საცოდავს". პიესაში არ ჩანს, ვისი მისამართითაა ეს სიტყვები ნათქვამი. ეს ქალი ვერც ეპიზოდებს აკავშირებს ერთმანეთთან და ვერც სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს.

მეორე სიუჟეტში ავტორი ხელოვნურად ქმნის სიტუაციას, როცა ქვრივი გაურკვეველი მიზეზით ჩამორჩება პროცესიას და იძულებულია სიმონთან ერთად ტყეში გამავალი მოკლე გზით მივიდეს სასაფლაომდე. გამცილებელი სკოლის მოსწავლეა და დახმარებასაც გულწრფელად ცდილობს, ამასთანავე, ქალისადმი ეროტიკულ გრძნობას განიცდის. ტყეში ისინი ნიკოლოზს შეხვდებათ, რომელიც არასრულწლოვანის თვალწინ მარიამს ქმრის სახელით გააუპატიურებს. ალბათ, ავტორი ძალიან გაიტაცა რიჩარდისა და ლედი ანას ცნობილმა სცენამ ქმრის კუბოსთან, რამაც პიესაში ასახვა „გათანამედროვებულად" ჰპოვა. საკითხავია, რატომ გახდა ავტორისთვის თვითმიზანი სექსუალური ძალადობის ჩვენება? საერთოდ კი, სიუჟეტის სისუსტემ და კონფლიქტის უქონლობამ განაპირობა მოქმედებისა და გმირთა მისწრაფებების არადამაჯერებლობა.

მესამე ეპიზოდში მსახიობები მამუკა და ზაზა თეატრში ახლად მოსულ კოლეგას დასცინიან. ისინი მას დირექტორად და მთავარ რეჟისორად წარუდგებიან, რათა ყოველნაირი დამცირებით აიძულონ, შეაცვლევინონ გადაწყვეტილება. შექმნილ დისპუტურ ვითარებას ახალბედა მსახიობი ვეღარ უძლებს და კვდება. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ „უზურპატორები" განწირულის ნიჭიერებაზე ლაპარაკს: „არ გაახარეს, შეჭამეს, შეჭამეს!..". გასაგებია, რომ ავტორს სურდა ადამიანთა რთული ურთიერთობების გამოხატვა, მაგრამ მხატვრულად გაუმართლებელია მსხვერპლის დაკავშირება იესო ნაზარეველთან, ვინაიდან ყოფით გარემოში სიმბოლოს შემოტანით იდეა ვერ განზოგადდა. პიესაში მოქმედების მაგივრად თხრობითი ელემენტების სიჭარბემ გმირთა ხასიათები ვერ გამოავლინა.

მამუკა დოლიძის პიესა „მდგმურები" ეხება საინტერესო და აქტუალურ საკითხს, ახალგაზრდა ინტელიგენტისა და ჩამომსვლელთა სოციალურ კონფლიქტს. მოქმედება მწერალ ქართლოსის ბინაში მიმდინარეობს. შემოქმედებით პროცესში ავტორს თავისივე შეთხზული პერსონაჟები გამოეცხადებიან, რათა ასწავლონ „ნამდვილი ცხოვრება", იმსჯელონ, როგორ დაუქვემდებარონ ადამიანის საუკეთესო თვისებები, სინდისი და პატიოსნება, მომხვეჭელობას. ისინი დაუკითხავად იჭრებიან მოკრძალებული მასპინძლის ბინაში და თანდათან მისი სრულუფლებიანი პატრონები ხდებიან. ქართლოსი დატრიალებული ამბის მოულოდნელობით დაბნეული და შეშინებულია, ხოლო მისი სუსტი წინააღმდეგობა უშედეგო აღმოჩ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდება. ქართლოსის შინაგანი სამყარო თავიდანვე სახიერად წარმოგვიდგება, მაგრამ მომდევნო სცენებში იგი სიუჟეტურ განვითარებას ინერციით მიჰყვება. ამიტომ მთავარი გმირის ინდივიდუალური თვისებები მხატვრულად სუსტად ვითარდება.

საკამათოა დანარჩენ პერსონაჟთა სახეებიც. თუ „სტუმართა" ჯგუფის მეთაური, — თემური, საინტერესოდ წარმოგვიდგენს საკუთარი „ფილოსოფიით" ქართლოსის სულიერი სამყაროს გარდაქმნის შესაძლებლობას, უფრო სუსტად გამოიყურებიან ხათუნა და მურმანი. დრამატურგი მათ მხოლოდ გარეგნული შტრიხებით გვიხასიათებს. ფუნქცია არ აქვს ხათუნას მოხუც მამას, რომელსაც მეტწილად სძინავს და მოქმედების განვითარებაში თითქმის არ მონაწილეობს. დასახელებული სამივე გმირის რეპლიკები სტატიურია, მათში არ ჩანს განწყობილებათა შეცვლა, მოვლენათა შეფასება რამაც უნდა განსაზღვროს მხატვრული სახის ძირითადი თვისებები.

ამავე დროს, მდგმურები ერთდროულად კონკრეტული ადამიანებიც არიან და ზმანებანიც. ისინი ქმნიან გარკვეულ სოციალურ ჯგუფს, რომელიც წარმოსახავს ობივატელთა ძირითად თვისებებს. მოქმედების განვითარებამ ვერ გამოკვეთა საზღვრები რეალობასა და ილუზიას შორის, რაც არღვევს პიესის ორპლანიან სახეს. მდგმურები სცილდებიან ავტორის წარმოსახვით სამყაროს და უსაფუძვლოდ იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას. პიესაში მოცემულია მწერლის შემოქმედებითი მუშაობა (რაზეც პიესის დასაწყისიც მიგვანიშნებს), სადაც პერსონაჟები უშუალოდ წერის პროცესში იბადებიან, მ. დოლიძე კი გვიჩვენებს უკვე დასრულებული ნაწარმოებიდან მოვლენილ გმირებს. ამით სუსტდება სიუჟეტის ლოგიკურობა და გმირთა იმპროვიზაციის შესაძლებლობებიც იზღუდება.

მ. დოლიძემ შეცვალა მოთხრობის ფინალი. თუ ქართლოსი საკუთარი თავის რწმენით იმარჯვებდა მოძალადეებზე, პიესაში იგი სამართლიანობისათვის ბრძოლას ეწირება. მის ბინას მდგმურები იკავებენ. ამ საზეიმო დღის აღნიშვნისას მათივე მსგავსი ადამიანები შემოიჭრებიან, რომლებიც თავიანთი იგივე მეთოდებით ისაკუთრებენ ამ ბინას. ასეთ ფინალში ბოლომდე გაურკვეველია გმირთა ურთიერთობა, რადგან აქ ახალი ამბის თხრობა იწყება მსგავსი სიუჟეტური განვითარებით. გასაგებია მ. დოლიძის სურვილი, მიგვანიშნოს არსებული პრობლემის მარადიულობაზე, მის სხვადასხვაგვარ გამოვლინებაზე, მაგრამ თვით კონფლიქტის ლოკალურობამ პიესის ჩანაფიქრი ბუნდოვანი გახადა.

განხილულ პიესებში თანამედროვე გმირის წარმოსახვისა და პრობლემათა დანახვის განსხვავებული შესაძლებლობები გამოვლინდა. თუ შადიმან შამანაძის პიესებში გმირთა დასრულებულ მხატვრულ სახეებს ვხედავთ და ავტორის თვალთახედვა უფრო მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, დანარჩენ ავტორთა პიესებში, საინტერესოდ დანახული პრობლემების მიუხედავად, ხშირად გვხვდება გმირების გარეგნული დახასიათება და უნიათო ურთიერთობები, მოქმედების სუსტი დრამატურგიული განვითარება. არ შეიძლება პიესის თანადროულობა განისაზღვროს მოურიდებლად ნაჩვენები გარემოს ყოფითი წვრილმანებით, რომლებიც ადრე მიუღებელ ესთეტიკურ ნორმებად ითვლებოდა. ამიტომ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების ასახვისას ეს გმირები ვერ არიან მაღალმხატვრულნი. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზრდა ავტორები უმთავრესად პროზიდან მოვიდნენ და ნაკლებად ერკვევიან თეატრისა და დრამატურგიის სპეციფიკაში. მათი პირველი პიესები მოთხრობებიდანაა გადაკეთებული და სუსტი ინსცენირების ჩარჩოებს ვერ სცილდებიან. ამიტომ ამ ნაწარმოებთა შეფასებისას მეტი პრინციპულობით უნდა გავერკვეთ დადებით თუ ნაკლოვან მხარეებში. ავტორებმა მეტი გულისყურით უნდა წარმოსახონ გმირის სოციალური გარემო და მისი პიროვნული თვისებები, რაც მომავალი წარმატებების საფუძველი იქნება.

ტექნიკური რედაქტორი **ზიული ხირაძე**

ჟურნალი აიწყვეს: **ელიკო საკნელაშვილმა** და **ლარისა ლეჟავამ**
დამკაბადონებელი **პაატა ციციშვილი**

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98-64-40; პასუხისმგებელი მდივანი — 98-64-38. განყოფილებები: 98-36-43, საკორექტორო — 98-64-38.

გადაეცა ასაწყობად 21.11.92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.12.92 წ., ქაღალდის ზომა 70X108 1/16, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 13.05. შეკვეთა 2038. ტირაჟი 7.900.

ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო" 380009, თბილისი, მ. კოსტავას 14.

ფასი 5 მან.

ხელმომწერთათვის 2 მან.

ინდექსი 76286

29

ეროვნული ბიბლიოთეკა